კვირის პალიტრა

ალია

№21 (413) 22/V-28/V.2008

ფასი 60 თეთრი

ამომრჩევლის განაჩენი!

ქრისტინა აგილერას მიერ გამოგზავნილი საჩუქარი და უტყუარი წინათგრძნობა

რატომ წავიდა რუსუდან კერვალიშვილი პოლიტიკაში

და რას ურჩევენ მას შვილი და სიძე

ქრისტის მიერ აღზრდილი ქართველი მამაკაცი, რომელიც პოდიუმზე ავიდა

„ცისფერიაო, ჩემზეც თქვეს“...

უმდიდრესი ქართველი და ხელისუფლებისაგან დევნილი მილიონერი

ბავშვობაში დაღდასმულები!

რას იწვევს მშობლების არასწორი ცხოვრების წესი

„გარიგებით“ დაწყებული მეგობრობა

ISSN 1987 - 5029

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათძაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

კვირის პალიტრა
ფეხა
№21 (415)
22 - 28 მაისი. 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲘ ᲛᲓᲘᲑᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ

„მისი წარმოების საქონელბრუნვამ 15 მილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო სუფთა შემოსავალმა – 4 მილიონს. მილიონერის სტატუსის მიუხედავად, უსაქმოდ არასოდეს ყოფილა – მისი 60-ზე მეტი პატენტი წარმოებას პრესტიჟს მატებდა“.

86

„ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ“ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

„დღევანდელ თაობას ეს უკვირს, მაგრამ მინდა, მათ ვუთხრა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ნაღდი, ჭეშმარიტი მეგობრობა არსებობს. ნანულის შემოევლოს ჩემი სიცოცხლე. შემიძლია ხელში ატატებული ვატარო, მას ჩემი ოჯახის წევრად მივიჩნევ“.

18

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ
ᲤᲔᲮᲐ ᲙᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ქალისა და მამაკაცის მეგობრობა იმ იშვიათია დამცარებული, რომ ეს მხოლოდ მეგობრობა კმ კმის.



ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲘᲢᲣᲚᲘ



ᲔᲚᲘᲢᲐ

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ 2008-2012 ᲐᲜᲣ „ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ“ 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ“ 6
■ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ
ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ 7
■ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲭᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲛᲐ ᲫᲛᲐᲛ 9
■ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲨᲐᲛᲑᲐ: „ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲘᲫᲣᲚᲔᲗ...“ 10
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ 12
■ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲘ
ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲐᲒᲘᲚᲔᲠᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ 14
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ! ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲐᲤᲔᲠᲐ SMS-ᲔᲑᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ... 16
■ ᲤᲐᲜᲓᲔᲕᲘ
„ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ“ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ 18
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ 20
■ ᲐᲛᲐᲚᲣᲐ
ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲙᲠᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲐ 22
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 24
■ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
16 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲛᲐ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲛ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲣᲤᲝᲠᲛᲐ 24
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲦᲓᲐᲡᲛᲣᲚᲔᲑᲘ 26
■ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ
ᲡᲐᲛᲙᲘᲓᲠᲝᲛᲝᲥᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ 29



ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲪᲐᲨᲘ ᲤᲠᲔᲜᲓᲐ ᲘᲡ ᲮᲕᲐᲠᲘ

– სხვა მარბიელი თურქიცა ვნახე, ოლონდ – ვეკონსა. შენს მამასთან ერთად ომობს ის ჯარი. რას იზამ, ოდეს შეხვდები?.. მაჰკლამ?! – არ შეეპუა მუროჩი.

– გულმაგარი და მართლისმთქმელი ყოფილხარ! – პირდაპირობა მოუწონა დავითმა.

– ცხენ წაგვექცა. შეუჩვეველია ფხოვური ცხენი ბარის ჭაობსა. ვეღარ გავედით მეორე ნაპირს, თორემ ნახავდი გულმაგრობასა. ვაი, დედასა!.. როგორ იხვის ჭუკებივით დაგვიჭირეს შენმა მხედრებმა! – კბილები გაახრჭიალა უშიშამ.

82

■ თინეიჯერული პონტები

✓ პატარა „პოლიტიკოსები“, გაუმართლებელი იმედები და სკამი, რომელსაც ადვილად უნდა შეელიო 32

✓ „მამაშენისნაირ აგრესორზე სიამოვნებით გავიკარჭიშებდი კუნთებს“ 34

■ პროფესიული კურიოზები

ამბები, რომლებსაც ექიმები ანეკდოტებად აყენებენ... 36

■ ჯანმრთელობა

✓ დედის რძე ბავშვს ინტელექტს უმაღლებს 37

✓ კვირაში ერთდღიანი დიეტა სასწაულებს ახდენს 38

■ ჟურნალი ჟურნალში

გზავნილები 39-70

■ წმინდანები

წმინდა ნიკოლოზი — მეოხი და მფარველი საქართველოს ეკლესიისა 71

■ ემიგრანტი

ცხენზე ამხედრებული ორი მეტრი სიმაღლის მეცნიერი, ქარში, მზესა და წვიმაში დაეხეტებოდა 72

■ თანამემამულენი

უცხოეთის ცის ქვეშ 72

■ რომანი

სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო... (გაგრძელება) 74

■ ტაიმ-აუტი 78

■ საკითხავი ქალებისთვის

✓ ურთიერთობა მოსაწყენი რომ არ გახდეს... 80

✓ ნიღაბი მშრალი და ცხიმიანი თმისთვის 81

■ ისტორიული რომანი

გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82

■ უმდიდრესი ემიგრანტები

ხელისუფლებისგან დევნილი ბიზნესმენი და იტალიელებისთვის დატოვებული ქონება 86

■ ვარსკვლავები

✓ დრიუ ბერიმორმა ლოს-ანჯელესის ქუჩაში ნამდვილი რბოლა მოაწყო 88

✓ პერის პილტონმა მოსკოვს ბოიფრენდი ნარუდგინა 88

✓ პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეული 89

✓ ტომი ლი ჯონსი პემინგუეის უკანასკნელი რომანის ეკრანიზაციას გადაიღებს 89

■ ნამდვილი ამბავი

პომოსექსუალი უცხოელი ტურისტები 90

■ თაობა

„ხმა საქართველოდან“ უკვე მრავალ ქვეყანაში გაისმა 91

■ ბელადი

მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 96

■ დაიჯესტი 98

■ მასმედია

✓ „ათიანის“ ახალი სიცოცხლე „კვირის პალიტრასთან“ ერთად 100

✓ „საბავშვო კარუსელის“ პატარა მეგობრები 100

■ სპორტული მოზაიკა 101

■ ავტო 103

■ სკანვორდი 104

■ ტესტი 105

■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, ირსებიძის ქ. №49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

16 წლის ქართველი მოდელი

„თავდაპირველად ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ახლა აღარ ვნერვიულობ. მიმაჩნია, რომ ჭორს, თანაც ცუდს, შურიანი ადამიანი იგონებს. ვინც კარგად მიცნობს, ყველამ იცის, ვინც ვარ...“

24

ამბები, რომლებსაც ექიმები ანეკდოტებად ჰყვებიან...

„ეს გოგონა თავის ნათესავებთან რომ გასულა, უთქვამს: რა წინ წავიდა ტექნიკა, ექიმმა გლანდები უკანა ტანიდან დამითვალიერა; თან მეგრელი ჰყავს დედა და მაგარი ექიმიაო.“

36

რას ნიშნავს ქართველი მამაკაცის პოდიუმზე ასვლა...

„ჩვენს საქმეში ზოგჯერ „მოსულა“ ასეთი რამ: სულაც არ არის ადამიანი ცისფერი და იმისთვის, რომ ყურადღების ცენტრში მოექცეს, მის გარშემო განგებ იქმნება ასეთი პიარი...“

22

კვირის სანატრელი...

— სად არის?

— საოპერაციოში გადაიყვანეს, უნდა გაკვეთონ, — თავით მანიშნა ნათიამ.

— რა საჭირო იყო, რაგომ დანება ბექამ?

— რა ვიცი, ასე ამჯობინეს, თან ბალზამირებასაც გაუკეთებენ.

— რაო, რას ამბობენ, რა მოხდაო? — ცრემლებს მუშტებით ვიწმენდდი.

— ინსულტიო, ასე თქვეს; როგორც ჩანს, ინერვიულა, — მრავალმნიშვნელოვანი მზერა მტყორცნა გიზელამ, — შენ რომ ნახე, როგორ იყო?

— ჩვეულებრივად.

74

იდეალური დეპუტატი 2008-2012 ანუ „გუშინდელი არჩევნების ხვალინდელი ცისარტყელა"

ასეთი ხალხური გამოთქმა არსებობს: ცისარტყელას თუ გადაახტები, ყველა სურვილი აგიხდებაო. ვერ გეტყვით, ეს ცრურწმენაა თუ „მართლა" გამოცდა, მაგრამ „გადასახტომი ცისარტყელის" სიმაღლე 7-დან 5%-მდე რომ დასწიეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ამ ცრურწმენის ყველას სჯერა და გადახტომის შემთხვევაში მართლაც აუსრულდებათ ყველა ის სურვილი, რაც შეიძლება, საქართველოს პარლამენტის 4 წლით არჩეულ წევრს გაუჩნდეს.

საცისარტყელო მარათონი გუშინ შედგა და მოსახლეობის აქტიურობამ სწორედ ის გვიჩვენა, რომ ხალხი ცდილობს, ის „გადაახტუნოს" ცისარტყელას, რომლის ასახდენი სურვილიც უფრო მეტად ჰგავს ამომრჩევლის სურვილს. შედეგები, რა

თქმა უნდა, ჯერ არ არის ოფიციალურად ცნობილი, მაგრამ თითოეული პარტია რომ უფრო მეტს ელოდა, ესეც ფაქტია. ახლა, ველოდი, მაგრამ ვერ მივიღეო, ქართული სიამაყისთვის უცხო ფრაზაა; ველოდი, მაგრამ არ მომცესო, გაცილებით არგუმენტირებულად ჟღერს და ცხადია, ყველა უკმაყოფილო ამას ამბობს. მე რომ „ნაცმოძრაობა" ვიყო, ყველაზე დიდ სკანდალს ავტეხდი, — ამ უსინდისო ცესკომ გამიყალბა არჩევნები და ხმები ოპოზიციის სასარგებლოდ მომპარა-თქო. მერე გენახათ მოულოდნელი რეაქციები... იქნებ, ოპოზიციას თავის მართლებაც კი დაეწყო, — მე რას მერჩი, არ მომიპარავსო...

ერთი სიტყვით, შედეგებს დავასწრო, ამის არც სურვილი მაქვს და არც — უფლება. ამიტომაც, ამჯერად მხოლოდ ოცნებით შემოვიფარგლები: ხომ ყველას გვინდა, პარლამენტში საუკეთესოთა ნაკრები მოხვდეს, როგორიც თითო-ოროლა კაცად ყველა პარტიასა თუ ბლოკში მოიპოვება. „თითო-ოროლა" შეგნებულად ვთქვი, რადგან სულ 75 დეპუტატია პროპორციული სიით და 12 პარტიიდან რომ 2-2 ავკრიბოთ, 24 დეპუტატს მივიღებთ, ე.ი. მთლად ჯიგრებით ვერ დავაკომპლექტებთ პარლამენტს, მით უმეტეს, რომ ზოგში შეიძლება, ხუთიც კი მოიძებნოს კარგი პოლიტიკოსი, ზოგში — ის ორიც ვერ იპოვო. ამიტომ, მოდი, შევადგინოთ იდეალური პარლამენტის „მოდელი", რომლის მსგავსი 75 სიით შესული და 75 მაჟორიტარი მართლაც რომ შეძლებს კარგი პარლამენტის შექმნას.

დეპუტატი, პირველ რიგში, ლამაზი უნდა იყოს. ხომ გაგიგონიათ, — თვალი ჭამს და თვალი სვამსო; ჰოდა, ამ მხრივ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას „მწვანე აქვს ანთებული" — თარგამაძე-ანიკაშვილის პარტია ქალისა და მამაკაცის ვიზუალური ეფექტურობის მაგალითია. არა, სიმპათიურობით არც „ნაციონალების" სიის ლიდერი ბაქრაძე მოიკოჭლებს, მაგრამ ანიკაშვილი (გააჩნია, ვისთვის) სჯობს. „ვსიო" — ეს სამი კაცი გვყავს უკვე; გულს ნუ გაიტეხთ, ბატონო ჯონდი, მარტო სილამაზით არ ვაფასებთ დეპუტატებს! ეგრე — სიმაღლეც უწყობს ხელს ეფექტურობას და მაშინ გუგავა უკვე მოსაკლავად უნდა დამდევდეს, მაგრამ მაგასაც მოვუხერხებთ რამეს!..

ახლა, პოლიტიკოსისთვის აუცილებელია მსახიობური გარდასახვის უნარი, რომ ოპონენტმა ზედმეტი ვერც სიხარული შეატყოს და ვერც — წყენა. ჰოდა, „ნაციონალური მოძრაობის" №3 — როინიშვილი რისთვის გაზარდა დიდმა მიხეილ თუმანიშვილმა?! თქვენთან ისევ ბოდიში, ჯონდი ბატონო, მოგიხერხებთ რაღაცას...

შევარდნაძემ კრემლიც იმიტომ მოხიბლა და საქართველოს სათავეშიც იმიტომ გაძლო 30 წელი, რომ დამატყვევებელი ღიმილი ჰქონდა. ეს კრიტერიუმი ახლაც აქტუალურია, ამიტომ ბატონ შალვა ნათელაშვილსა და ქალბატონ გუგული მაღრაძეს წინა რიგში აქვთ სკამები გარანტირებული. თუმცა, არც ძმათა — ბერძენიშვილთა „რესპუბლიკური" ღიმილის უგულებელყოფა შეიძლება; ჰოდა, ესეც თქვენი 7 კაცი... ბატონო ჯონდი, არ დამვიწყებიხართ, მაგრამ ჯერ მოდი, ორატორული ნიჭის აუცილებლობას მივხედოთ: ახლა, ლაი-ლაი-ტყაპატყუპის ვიღას სჯერა, თუ დამაჯერებლობისთვის რაიმე არგუმენტებიც არ მოიშველიე, „თქვენი დედას" ან რაიმე მსგავსის სახით, ჰოდა, ბატონი ლევანი არგუმენტირებულად ხვდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — თუ ასე არ იყოს, „ჩემი დედა"!.. (ხედავთ, რა კარგად მიმყავს „არჩევნები", არც კამპანია მჭირდება და არც — ბიულეტენი!). არ დამვიწყებიხართ, ბატონო ჯონდი, ახლავე მოგაქცევთ ყურადღებას, აი: და რაც მთავარია, პარლამენტის წევრი უნდა იყოს გამოცდილი პოლიტიკოსი ანუ რაც შეიძლება, მეტი პარტია უნდა ჰქონდეს გამოცვლილი. მიხვდით, ხომ ვისაც ვგულისხმობ? რა თქმა უნდა — ქალთა პარტიის სახეს — მამუკა ლომაშვილს...

ერთი სიტყვით, წარმოგიდგენთ ახალი პარლამენტის იდეალურ წევრს — ანუ ადამიანს, რომელსაც აქვს: გაჩეჩილაძის შეუპოვრობა, დავითაშვილის მადა, თარგამაძის ლოგიკა, ხაინდრავას მეტყველება, ნათელაშვილის ღიმილი, ლომაშვილის გამოცდილება, ბაღათურიას ალღო (ხომ მაინც გაგიჩალიჩე, ძმაო?!) და, რაც მთავარია, — ჭკუა (გვარს მოვიფიქრებ)...

„კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა" — ნათქვამია, ჰოდა, აგერ, ხვალ-ზეგ საბოლოო შედეგებიც გამოქვეყნდება და ვნახავთ 150 რჩეულს, ვინც ჩემი და თქვენი უკეთესი მომავალისათვის უნდა იზრუნოს უახლოესი 4 წლის მანძილზე. აბა, თქვენ იცით, „ჯიგრებო", თუ რაიმე კარგს იზამთ, ჩვენი თავი გენაცვალოთ, თუ არა და, თქვენს თავს დააბრალეთ — „პოზიცია"-ოპოზიცია ჩვენ არ ვიცით:

„რევოლუციას მოგიწყობთ
ვარდებითა და იებით,
მაჟორიტარებს — ცალ-ცალკე,
პარტიულებს კი — სიებით!.."

პროვოკატორი

„პარლამენტარი პირველ რიგში, განათლებული და სერიოზული ადამიანი უნდა იყოს“

„ერთი სული მქონდა, ეს დღე დამდგარიყო“...

რასაკვირველია, გასული კვირის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა არჩევნებს უკავშირდება, თუმცა ქუჩაში გამვლელ საზოგადოების ნაწილს შემდეგი შეკითხვით მივმართე: თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ნამდვილი პოლიტიკოსი?

ნათია ქივიძე

არჩილ აფციაური, *მშენებელი, 47 წლის:*

— ადამიანი პარლამენტში რომ მოხვდეს, პირველ რიგში, საკმაოდ ნაკითხი და განათლებული უნდა იყოს. გარდა ამისა, დიპლომატიური ნიჭიც უნდა ჰქონდეს, რომ უცხო ქვეყნის პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებები აწარმოოს. საქართველო რომ ძალიან უნდა უყვარდეს, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კიდევ — შეძლებული ოჯახი უნდა ჰქონდეს, თორემ ვინც კი პარლამენტში ჯიბეგაფხეკილი მივიდა, ყველა ჩვენს ხარჯზე გამდიდრდა. ამის გამო, პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილებას, რომ მაჟორიტარ დეპუტატებად კენჭი დიდ ბიზნესმენებს უნდა ეყარათ, მივესალმები. რაც შეეხება იმ პოლიტიკოსს, რომელიც ჩემს სიმპათიას იმსახურებს, — ეს დავით ბაქრაძეა...



ნანა ინაძე, *პედაგოგი, 43 წლის:*

— პოლიტიკოსი ჭკვიანი, განათლებული და სერიოზული ადამიანი უნდა იყოს. არავითარ შემთხვევაში, მაია ნადირაძეს არ უნდა ჰგავდეს: როგორც კი თანამდებობის პირი გახდა, მაშინვე თავში აუვარდა. არც გიგა ბოკერიასავით საშიში თვალები უნდა ჰქონდეს. ამ ადამიანს ტელევიზიით რომ ვუყურებ, სულ შიში მიპყრობს. კიდევ კარგი, ამ ბოლო დროს მის ინტერვიუებს აღარ გადასცემენ. მიმაჩნია, რომ გია როინიშვილის ადგილი პოლიტიკაში ნამდვილად არ არის. მსახიობის პროფესია ისეთია, რომ ის მხოლოდ სცენაზე უნდა იდგეს და თავისი სათქმელი იქიდან თქვას. თუმცა, ჩემი აზრით, როინიშვილზე ბევრად უკეთესი მსახიობებიც გვყავს. ამიტომ აჯობებს, ეს ადამიანი საკუთარ ადგილას „დაეტიოს“. თავის კოლეგებს რომ უღალატა, მას არც ხალხის ღალატი გაუჭირდება... ჩემს დიდ სიმპათიას ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი იწვევს.

ავთანდილ ჯაფარიძე, *პენსიონერი, 73 წლის:*

— კარგი პოლიტიკოსი კარგი პოლიტოლოგი უნდა იყოს. გარდა ამისა, შესაბამისი განათლება უნდა ჰქონდეს. აბა, პარლამენტში ყველა პროფესიის ან საერთოდ, უპროფესიო ადამიანები რომ სხედან, იმიტომ აგვიშენეს ქვეყანა?!. ყველაზე მეტად, გიორგი ასანიძე მაღიზიანებს. ყველა კარგად ხვდება, რომ ეს ადამიანი გაუნათლებელია და შტანგის აწევის მეტი, არაფერი ეხერხება. თუმცა ამ ბოლო დროს, ისე გაიტაცა პოლიტიკამ და კარგმა ცხოვრებამ, მგონი, შტანგის აწევაც დაავიწყდა. ასეთმა ადამიანებმა უნდა ააშენონ ქვეყანა?! მათი ადგილი ოლიმპიადაზეა და იქ გვასახელონ, თუ მაგრები არიან. ჩემი აზრით, კარგი პოლიტიკოსის კრიტერიუმებს ლევან ბერძენიშვილი აკმაყოფილებს...

ნანული ცინცაძე, *ფიზიკოსი, 53 წლის:*

— ნამდვილი პოლიტიკოსი კარგი დიპლომატი უნდა იყოს, შვილო. აბა, კირკიტაძისნაირ ღლაპს რა უნდოდა პოლიტიკაში?! იმიტომ აგვიშენა ქვეყანა!.. მიხარია, ქვეყნის პრეზიდენტი თავის შეცდომებს რომ მიხვდა და ახლანდელ პოლიტიკაში ბიზნესმენი და ჭკვიანი ხალხი მოიყვანა. არჩილ გეგენავას დიდ პატივს ვცემ, რადგან მან მთაწმინდაზე მცხოვრები უამრავი უმუშევარი ადამიანი დაასაქმა...

ლუიზა ლანჩავა, *დიასახლისი, 42 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაკვირველია, არჩევნები იყო. ისე დავიღალე წინასაარჩევნო პროცესით, რომ ერთი სული მქონდა, ეს დღე დამდგარიყო. ხმა გია მაისაშვილს მივეცი. თავიდან ეს ადამიანი ჩემში სიმპათიას არ იწვევდა და „რესპუბლიკელებისთვის“ ვგეგმავდი ხმის მიცემას, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში გია მაისაშვილი ჰყავდათ მიწვეული; მას შვილებზე დაუსვეს შეკითხვა და მოჰყვა, რომ მის ერთ-ერთ შვილს თავში სიმსივნე აქვს, თან დასძინა, — ამ საკითხზე საუბარი არ მსურდა და აქამდე ხმა იმიტომ არ ამომიღია, არ მინდა, ვინმეს შევეცოდოო. ადამიანი ასეთი შეგნებული რომ იქნება და სხვა პოლიტიკოსივით, სხვისთვის თავის შეცოდებას არ დაიწყებს, ის ნამდვილად, არჩევის ღირსია. გარდა ამისა, ვერავინ უარყოფს, რომ მაისაშვილი არაჩვეულებრივი ეკონომისტია და მისი დამსახურებით, იქნებ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც ეშველოს რამე.

დავით ბარბაძაძე, *იურისტი, 43 წლის:*

— როგორც იქნა, ამ არჩევნებმაც ჩაიარა და დიდი იმედი მაქვს, სულ მცირე, ოთხი წელი ჩვენს ქვეყანაში არჩევნები აღარ ჩატარდება. ხმა, რასაკვირველია, „რესპუბლიკელებს“ მივეცი. მართალია, ივლიანე ხაინდრავა ჩემს სიმპათიებს დიდად არ იმსახურებს, მაგრამ ძმები ბერძენიშვილები, დავით უსუფაშვილი და დავით ზურაბიშვილი ძალიან კარგი და ჭკვიანი პოლიტიკოსები არიან. ჩემი აზრით, მათ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი „ნაციონალის“ კანდიდატიც მომწონს: მაგალითად, რუსუდან კერვალიშილი და დავით ბაქრაძე. სამწუხაროდ, ეს ადამიანები ჩემს უბანში კენჭს არ იყრიდნენ, თორემ ხმას აუცილებლად რომელიმე მათგანს მივცემდი...

ძეთევან ღოღობერიძე, *პედაგოგი, 53 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა არჩევნები იყო და, როგორც იქნა, ეს ბარიერიც გადავლახეთ. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ოპოზიციის მომხრე ვიყავი და მათ მოსაზრებებს ვიზიარებდი, ხმა მაინც „ნაციონალურ მოძრაობას“ მივეცი, რადგან ამ ბოლო დროს ოპოზიციის წარმომადგენლებმა საზოგადოების დიდი ნაწილის ანტიპათია დაიმსახურეს. თვითონაც ვერ გაეგოთ, რა უნდოდათ და რა — არა: ხან გაერთიანდნენ, ხან ისევ დაშალნენ. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ გაერთიანდნენ და ისე აირია სიტუაცია, ვინ რომელ პარტიაში გადავიდა, ვეღარ გავიგეთ. ადამიანი იმას რომ ვერ ხვდება, თუ რა უნდა, კარგი პოლიტიკოსი ვერ იქნება. მიხეილ სააკაშვილმა კი ჭკუა გამოიყენა და ბიზნესმენები და ჭკვიანი ხალხი გაიყვანა „ნაციონალების“ სიით. მიმაჩნია, რომ ასეთი გამოცდილი ბიზნესმენები ჩვენი ქვეყნისთვის ბევრ კარგ რამეს გააკეთებენ. ■

საზოგადოება დღეს ამომრჩევლის განაჩენს ელოდება. ადამიანები, რომლებმაც უკვე საკუთარი არჩევანი გააკეთეს, შედეგებთან ერთად, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა რეაქციებსაც ელოდებიან.

ამომრჩევლის განაჩენი

„იმედი მაქვს, კოალიციური მთავრობა და „ჭრელი“ პარლამენტი გვეყოლება“...

ხათუნა ბახტურიძე

ირმა სოხაძე, *მომღერალი:*

— ძალიან ვღელავ, იმიტომ, რომ მშვიდად ყოფნის საფუძველი არ მაქვს. იმედი მაქვს, ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, უკვე ჩატარებული არჩევნებიდან გარკვეული დასკვნები გამოიტანოს და მაქსიმალურად ობიეტურად დაითვალოს ჩვენი ხმები. მე ვთხოვ ცესკოს და ყველა იმ ორგანიზაციას, ვისაც ეს ეხება — მოდი, ერთხელ მაინც დავინტერესდეთ, თუ როგორია ქართველი ხალხის რეალური არჩევანი და მცირედითაც არ გავაყალბოთ შედეგები. მართალია, უტოპიური თხოვნა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხმების დათვლის შემდეგ, რა შედეგიც არ უნდა დაიდოს, ხალხი ინტუიციით მიხვდება, მოატყუეს ის თუ არა. კიდევ ერთი ტყუილის შემთხვევაში, ყველაფერია მოსალოდნელი. მე, საპროტესტო აქციაზე არასოდეს გამოვსულვარ და არც ახლა გავალ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: თუ ქვეყანაში არეულობა და დაუმორჩილებლობა დაიწყო, ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ხელისუფლება იქნება. სხვათა შორის, ქვეყანა არათუ დაიცევა, არამედ პირიქით, უკეთესიც იქნება, თუ პარლამენტი მრავალპარტიული სიით იქნება დაკომპლექტებული.

იური მეჩითოვი, *ფოტოხელოვანი:*

— ჩემი აზრით, ნამდვილი ხელოვანი ხელისუფლებას ყოველთვის ოპოზიციაში უნდა ედგეს. ხმას ოპოზიციურ ძალას მივეცი, ოღონდ რომელს — ვერ გეტყვით... ძალიან მინდა, ჩემს ქვეყანაში უკეთესი ხელისუფლება ვიხილო. ხალხი ნებისმიერი ხელისუფლების წყაროა, ამიტომ თუ დღეს ჩვენ მიერ გაკეთებულ არჩევანს არ გაითვალისწინებენ, ძალიან ინანებენ. იმედი მაქვს, მალე კოალიციური მთავრობა და „ჭრელი“ პარლამენტი გვეყოლება.

მარინა კახიანი, *მსახიობი:*

— ძალიან დაკავებული და დატვირთული ვარ ჩემი საქმით, ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება.

ომარ მერმანიშვილი, *ინჟინერი:*

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, ცესკო ხმებს სამართლიანად დაითვლის და ოპოზიციას თავისი მუქარის განხორციელების საშუალებას არ მისცემს. თვითონ თუ უნდათ, აჯანყდნენ, ხალხს თავი დაანებონ და მშვიდი ცხოვრების საშუალება მისცენ. ხომ ხედავენ, არაფრის თავი არ აქვთ?! მაგათ მხოლოდ ლანღვა-გინება შეუძლიათ, რევოლუციის შნო ვისაც ჰქონდა, მოაწყო კიდეც. აშკარაა, რომ საქართველოს მტრები შინაურების ხელით ებრძვიან, ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება. როგორც ჩანს, ოპოზიციაზე გულაცრუებული ხალხისთვის „ანკესად“, მავანი ახლა, გიორგი თარგამაძეს იყენებს. ამ ადამიანს ძალიან დიდი მხარდაჭერა იმიტომ აქვს, რომ ხალხს ჰგონია, იმას, რაც ოპოზიციამ ამდენ ხანს ვერ მოახერხა, გიორგი თარგამაძე მოახერხებს. აშკარაა, რომ მის ზურგს უკან ვიღაც დგას, აბა, ამდენი ფული საიდან აქვს?! რატომ არ ამბობს, ვინ აფინანსებს?!. რაღაც შეცდომები ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად აქვს, მაგრამ გაურკვეველი და საეჭვო პირების ქვეყნის სათავეში მოხვედრას, ისევ ამათი მმართველობა სჯობია. ძალიან ხშირად ოპოზიცია იმ ფაქტით მანიპულირებს, რომ რეგიონებში ხელისუფლება ხმებს აყალბებს. მე კი ის ვიცი, რომ მაგათ არაპროფესიონალი და ადვილად მოსასყიდი წარმომადგენლები ჰყავთ.

ნათია ხატიძე, *იურისტი:*

— უკვე ვიცი, რა შედეგით დამთავრდება ხმების დათვლა: „ნაციონალები“ გაიმარჯვებენ, ოპოზიციზია კი ქუჩაში გამოვა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწევს. „ნაციონალები“ გაყალბების გარეშეც გაიმარჯვებენ, იმიტომ, რომ იმედის მომცემი დაპირებების გაცემა კარგად ეხერხებათ. სულ რაღაც ოთხი დღის წინ, იმ იმედით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლება, საქმე გააკეთებინო, ლაპარაკის ნაცვლად, რუსთავში „ნაციონალების“ მაჟორიტარის, დავით ნადაშვილის ორ საარჩევნო შტაბში მივედი. ორივეგან მხოლოდ ლაპარაკი დამხვდა, საქმის ნაცვლად. როდესაც პირველ შტაბში მივედი და კანდიდატთან გასაუბრება მოვითხოვე, პასუხად შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვინმე ამირან ცაცანაშვილისგან მხოლოდ აგრესია მივიღე. მისი პასუხი ასეთი იყო — მე რა ვიცი, ის ხან სად არის, ხან — სად, წადით და ქუჩაში ეძებეთო... მეორე საარჩევნო შტაბში გაცილებით თბილად მიმიღეს. ერთ-ერთმა აქტივისტმა ისიც კი მითხრა — ჩვენ თქვენნაირი განათლებული კადრები ძალიან გვჭირდებაო, — და ტელეფონის ნომერიც მომცა, რომ მოგვიანებით დავკავშირებოდი, მაგრამ მომდევნო დღეების განმავლობაში ტელეფონი ხან გამორთული იყო, ხან — მიუწვდომელი, ხან — უბრალოდ, არავინ მპასუხობდა. ასე დამთავრდა ჩემი და „ნაციონალების“ ურთიერთობის პირველი მცდელობა. ასე რომ, დიდ სიახლეებს არ ველოდები და შესაბამისად, არც მოლოდინი მაქვს ისეთი, როგორიც ახალი პარლამენტის არჩევისას უნდა ჰქონდეს ადამიანს. ერთი რამ მაინტერესებს ძალიან: ეს ჩვენი პრეზიდენტი ოპოზიციას თანამშრომლობას რომ ჰპირდება, როგორ წარმოუდგენია ეს ყველაფერი? როდის იყო, მგელი და კრავი ერთად ძოვდა ბალახს?! ისე არ გამიგოთ, რომ ოპოზიცია კრავად მიმაჩნია, უბრალოდ, ამ ხელისუფლების ხელში ჩანან ძალიან საწყლები. ხმების დათვლის შემდეგ, ქუჩაში თუ გამოვლენ, აუცილებლად შევუერთდები.

თინა რევაზიშვილი, *პედაგოგი:*

— მე ჩემი არჩევანი გავაკეთე. ძალიან კი დამაბნიეს: თავიდან, გიორგი თარგამაძისთვის მინდოდა ხმის მიცემა, მაგრამ გადავიფიქრე. რაღაც საეჭვო ვითარებაა. ამ თარგამაძემ ამდენი ფული საიდან მოიტანა?! ალბათ „ნაციონალებთან“ არის შეკრული... ხმა ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას მივეცი, ოღონდ არა გაერთიანებულ ოპოზიციას. ერთი სული მაქვს, შინ როდის მივალ. შედეგები ძალიან მაინტერესებს. ხელისუფლება კი შეგვპირდა, რომ არჩევნებს აღარ გააყალბებს, მაგრამ რა ვერ გავიგე, იცით?.. თარხნიშვილს რატომ ვერ ელევიან? გამყალბებელიც რომ არ იყოს, ხალხის დასამშვიდებლად მაინც უნდა მოეხსნათ, მაგრამ როგორც ჩანს, ან ძალიან სჭირდებათ ეგ კაცი, ან კიდევ, ის აშანტაჟებს ხელისუფლებას. ჩემი აზრით, ორივე — დიდი ბოროტებაა.

გოჩა მაისურაძე, *მუშა:*

— სამწუხაროა, რომ ოპოზიცია, ხმების დათვლის შემდეგ, აჯანყებით იმუქრება. როგორც ჩანს, მართლაც, ქვეყნის მტრები არიან. ახლა, როდესაც რუსი სამშვიდობოები ზუგდიდშიც კი გვიხტებიან, რა დროს აჯანყებები და რევოლუციებია?! ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, ვინც ოპოზიციონერებს ენდობა. პირადი ინტერესებისთვის ერთმანეთს არ ინდობენ და ხალხს დაინდობენ?.. იმედი მაქვს, ხალხი არ გაბრიყვდება და ქუჩაში კიდევ ერთხელ არ გამოვა...

არჩევნების მოსალოდნელ შედეგებსა და პოლიტიკურ ძალთა შესაძლო ურთიერთთანამშრომლობაზე პოლიტოლოგ ***სოსო ცისკარიშვილს*** *ვთხოვეთ კომენტარის გაკეთება.*

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ხმების დათვლის შემდეგ, პარლამენტში ძალთა თანაფარდობა როგორი იქნება?

— ჩემი აზრით, პარლამენტში ვიხილავთ: გაერთიანებული ოპოზიციის, „ნაციონალური მოძრაობის“, რესპუბლიკური პარტიის, ლეიბორისტებისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებს. იმედი მაქვს, მაჟორიტართა სპექტრიც დაახლოებით ასეთივე იქნება. ვიდრე ხმები არ დაითვლება, დაზუსტებით რაიმის თქმა რთულია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ბატონი პრეზიდენტის პარტიას საპრალამენტო უმცირესობაში მოუწიოს ყოფნამ.

რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის პარლამენტში აღარ იქნება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარი ნება-სურვილით შეცვლის კონსტიტუციას და საპარლამენტო ცხოვრებაც უფრო შინაარსიანი გახდება. დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება სოლო სალამურზე, რომელსაც მხოლოდ ერთი პარტიის ლიდერი ასრულებს. მრავალხმიანობა დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

— ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ უნდობლობა გამოუცხადა, ძალზე მოკლე პერიოდში ბევრი მხარდამჭერი მოიპოვა და სოლიდური ფინანსური რესურსიც მოიზიდა. როგორ ფიქრობთ — რა ძალას წარმოადგენს რეალურად, ეს პარტია?

— „აღდგომა და ხვალეო“ — ნათქვამია. ეს ყველაფერი მალე გამოჩნდება. ხომ გაგიგონიათ — საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია ისეთ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც არჩევნების წინ ყალიბდებიან და მოულოდნელად, მაღალ შედეგებს აღწევენ. მართლაც, სერიოზული მხარდაჭერა და საინტერესო რესურსები აქვთ, მაგრამ დაუფარავი ამქვეყნად არაფერი რჩება. ქრისტიან-დემოკრატებს პარლამენტში მალე ვიხილავთ და მათ შესახებ სამკითხაოც აღარაფერი გვექნება.

— თუ ხმების დათვლის შემდეგ, ოპოზიციისთვის არასასურველი შედეგი დადგა, შესაძლებელია თუ არა, რომ მართლაც, დაიწყოს სახალხო აჯანყება?

— ოპოზიცია ვერანაირ საპროტესტო მუხტს ვერ გაზრდის, თუ ამის საფუძველს ხელისუფლება არ მისცემს. მაგრამ თუ კვლავ წინდაუხედავად მოიქცევიან, ამ დღეებში არასასურველი პროცესები დაიწყება, რაც საქართველოს ვერანაირ დივიდენტს ვერ მოუტანს საერთაშორისო საზოგადოების თვალში. ხელისუფლებამ ჯერ კიდევ მაშინ დაარღვია სამართლიანობა, როდესაც სახელისუფლებო რესურსების გამოყენების საშუალება მხოლოდ საკუთარ მაჟორიტარებს მისცა და საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად გაზარდა. ეს ძალიან თვალში საცემია, როდესაც ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ კრიზისზე სერიოზულად ვდარდობთ. ასეთი ალოგიკური სტატისტიკის ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი, მათ

შორის — წინააღმდეგობაც, კანონით გათვალისწინებული მკაცრი ფორმებიც...

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, პრეზიდენტის მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული თანამშრომლობის იდეა მაშინ, როდესაც ოპოზიციური სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია?

— ოპოზიციის მრავალფეროვნება იმის საფუძველს არ წარმოადგენს, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის თანამშრომლობა ვერ შედგეს, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში საამისო კულტურა არ არსებობს.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ასეთი თანამშრომლობის შეთავაზება (თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ოპოზიციასთან) პოლიტიკურ პრაქტიკაში არსებობს და მისაღები ფორმაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გულწრფელია. სამწუხაროდ, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. მთავრობას ოპოზიციასთან თანამშრომლობა თუ მართლა სურს, წინასაარჩევნო კამპანია კანონდარღვევებით არ უნდა ჩაეტარებინა, ვიღაც მაინც უნდა დაესაჯა იმ ადამიანებიდან, ვინც 5 იანვრის არჩევნების გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა და რაღაც მაინც უნდა გაეთვალისწინებინა იმისგან, რასაც ოპოზიციის წარმომადგენლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითხოვდნენ. ■

როგორ დაჭრა დავით უსუფაშვილი უმცროსმა ძმამ

„ოჯახს ძალიან გვინდოდა, რომ ის პოლიტიკაში წასულიყო, რადგანაც მას ამის პოტენციალი ჰქონდა“, — გვითხრა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ძმამ. როგორი დედამიშვილია ბატონი დათო და რატომ ერევათ ის უმცროს ძმაში — ამის გარკვევა მის შუათანა ძმასთან ვცადეთ.

„ის ჩემს ღონიერ მაღლავს გონებით ანეიტრალებდა...“

ეკა მინდაძე

გიორგი უსუფაშვილი:

— დედამიშვილებში უფროსი — დათოა, შუათანა — მე, ხოლო უმცროსი — თამრიკო. დათო ჩემზე სამი წლით დიდია, მაგრამ ერთ დღეს ვართ დაბადებული.

— როგორი ბავშვი იყო ბატონი დათო?

— სერიოზული, სამართლიანი და მიზანდასახული გახლდათ. დაფიქრებისა და გაანალიზების გარეშე გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

— პატარაობისას ხშირად ჩხუბობდით?

— დათო ამის საბაბს არასოდეს მაძლევდა. ცდილოდა, ისეთი რამე არ გაეკეთებინა, რაც ჩვენს ჩხუბს გამოიწვევდა. და თუ ოდესმე ყოფილა ასეთი შემთხვევა, ჩხუბის მიზეზი ყოველთვის მე ვიყავი.

— რომელი უფრო ძლიერი იყო — თქვენ თუ ბატონი დათო?

— ფიზიკურად, მე უფრო ძლიერი ვიყავი, მაგრამ დათო ჩემს სიძლიერეს თავისი სხარტი გონებით ანეიტრალებდა... მახსენდება ის დღე, როცა ტრავმა მივაყენე დათოს. ეზოში, თოვლში, თამაშის დროს, უეცრად ავიღე ნიჩაბი და სახეში ჩავარტყი. მხოლოდ მაშინ შევშინდი, როცა ჩემი ძმის დასისხლიანებული სახე დავინახე. ეს ამბავი ალბათ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ იარა დარჩა სახეზე.

— თამაში, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარდათ...

— რა თქმა უნდა, ფეხბურთი. ორივე ვგიჟდებოდით ფეხბურთზე.

— თქვენ შორის რომელი უფრო ბეჯითი იყო?

— დათო ძალიან ბეჯითი ბავშვი იყო, მე კი ალბათ უფრო — გონიერი. ჩემთვის ძალიან მარტივი იყო გაკვეთილის მომზადება. ის კი სწავლაში მთელ დღეს ატარებდა. გარდა ამისა, ის მოწესრიგებული ბავშვიც იყო. სკოლაში ზუსტად 9 საათზე ცხადდებოდა. არასოდეს ყოფილა შემთხვევა, მას ერთი წუთით მაინც დაეგვიანოს ან პირიქით, ადრე მისულიყოს. ამ მხრივ, მე უფრო ცუღლუტი ვიყავი (*იცინის*).

— სკოლა სად დაამთავრეთ?

— სიღნაღის რაიონში, სოფელ მაღაროში.

— ბატონო გიორგი, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— იურისტი. საკუთარი საადვოკატო კომპანია მაქვს, რომლის სახელწოდებაა — „უსუფაშვილი-ზედელაშვილის ადვოკატთა ჯგუფი“.

— თქვენ და რას საქმიანობს?

— ჩემი და ისტორიკოსია, მაგრამ ამჟამად დიასახლისია და ბავშვების აღზრდით არის დაკავებული.

— ძმები ერთმანეთს გარეგნულად ძალიან ჰგავხართ. ხასიათიც ერთნაირი გაქვთ?

— დიახ. სხვათა შორის, ბავშვობაში ერთმანეთს არ ვგავდით, დღეს კი ხშირად ვერევით. უფრო მეტიც, ბევრჯერ ჩემი ძმის ნაცვლად, ჩემთვის მოუმართავთ.

— დედამიშვილებიდან რომელი უფრო ყურადღებიანი ხართ?

— რა თქმა უნდა, ჩვენი და — თამრიკო. ის ძმების მიმართ ზედმეტად ყურადღებიანიც კია.

— ძმები ერთადერთ დს ალბათ ანებივრებთ, არა?

— ადრე მართლაც, ვანებივრებდით, დღეს კი თავად გვანებივრებს (*იცინის*).

— თუ შეგიძლიათ, თქვენი ძმის დადებით და უარყოფით თვისებებზე გვესაუბროთ?

— დათო შრომისმოყვარე და სამართლიანი ადამიანია. მისი უარყოფითი თვისება ის არის, რომ ახლობლებისთვის ვერ იცლის. არადა, კარგი იქნება, თუ უფრო ხშირად მოინახულებს მშობლებს და და-ძმას...

— როცა ბატონი დათო პოლიტიკაში წავიდა, ოჯახის წევრები ამას როგორ შეხვდით?

— ძალიან კარგად. მეტსაც გეტყვით — ჩვენ უფრო ადრე გვინდოდა, რომ დათო პოლიტიკაში წასულიყო, ვიდრე მან თავად გადადგა ეს ნაბიჯი. ვერ წარმოგვედგინა, რატომ არ უნდა ყოფილიყო ის პოლიტიკაში: ვგრძნობდით, რომ მას ამის პოტენციალი ნამდვილად ჰქონდა და საცოდაობა იყო, ეს პოტენციალი ქვეყნის საკეთილდღეოდ არ გამოეყენებინა.

— პოლიტიკაზე თუ კამათობთ ხოლმე?

— არა. ისე, რჩევა ბევრჯერ მიმიცია, რაც, სხვათა შორის, გაუთვალისწინებია კიდეც.

— ეი. მის პოლიტიკურ საქმიანობას ძირითადად, დადებითად აფასებთ...

— დიახ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი ძმაა. უბრალოდ, მომწონს ის, რასაც აკეთებს და რა პრინციპებსაც ეყრდნობა. თუ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მისი პარტიის ჩანაფიქრის ასრულება, მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, მიზანს მაინც მიაღწევენ. თუმცა ძალიან კი ვწუხვართ, რომ თინა და დათო — ორივენი მოვლენების ეპიცენტრში არიან. ამას ყველანი მართლაც, ძალზე განვიცდით. განსაკუთრებით, მშობლები ნერვიულობენ.

— როცა მათ აკრიტიკებენ ან ლანძღავენ, ამაზე რა რეაქცია გაქვთ?

— თავიდან მშობლები საშინლად განიცდიდნენ. მერე კი ამ ყველაფერს ნელ-ნელა შეეგუვნენ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ უაზრო ჭორების გამო ნერვიულობა არ ღირს. არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, მთავარია, რომ ვიცი, რა არის სიმართლე და რა — არა.

— ბატონო გიორგი, მომავალში პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმას თქვენც ხომ არ აპირებთ?

— დიახ. მინდა, მათ რაღაცით დავეხმარო. მთავარია, პოლიტიკა ადამიანისთვის თვითმიზანი არ იყოს, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ საკუთარი თავის რეალიზაციას ამ სფეროში მოახდენს, რატომაც არა?! გამორიცხული არაფერია, რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს (*იცინის*).

— დაოჯახებული ხართ?

— დიახ. ისევე, როგორც დათოს, მეც ორი ვაჟი მყავს — 15 წლის ლევანი და 11 წლის თორნიკე.

— როგორი მამაა დავით უსუფაშვილი?

— მხიარული. ოღონდ პრობლემა ის არის, რომ შვილები მამას ხშირად ვერ ნახულობენ. ვფიქრობ, სანდრო და გიგა რომ გაიზრდებიან, ამის გამო, დათოს ცოტათი, ალბათ, უსაყვედურებენ კიდეც.

— დაბოლოს, რა მესიჯს გაუგზავნით ჟურნალის მეშვეობით თქვენს ძმას?

— დათო, ეცადე, არ დაიღალო და ხელი არასოდეს ჩაიქნიო (*იცინის*)! ■

სერგეი შამბა: „არ მინდოდა, თქვენს საშინაო პრობლემებში ჩარევა, მაგრამ თქვენ მაიძულეთ...“

საქართველოში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებს ლამის მთელი მსოფლიო ინტერესით ადევნებდა თვალყურს. ამერიკისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არჩევნები ქართული დემოკრატიის დიდი გამოცდა იქნებოდა... მეგობარი ქვეყნების გარდა, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების შედეგები უმნიშვნელო არც სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელებისთვის ყოფილა. დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას თქმით, აფხაზეთის პოზიცია თითქმის საბოლოოდ გარკვეულია და ამჯერად საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუ რა ცვლილებებს შეიტანს აფხაზეთთან ურთიერთობაში, ამასთანავე, იმედს გამოთქვამს, რომ ახალი პარლამენტი უფრო გაწონასწორებული იქნება. აფხაზი პოლიტიკოსი ქართული მხრიდან კომპრომისებსაც ელოდება.

ზურაბ აბაშიძე: „აფხაზებს ეთნოსის გადარჩენის პრობლემა აწუხებთ“

ლალი პაპასკირი

— ბატონო სერგეი, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა გაზეთ „კომერსანტში“ გამოქვეყნებულ სტატიას, თითქოს ქართულ-აფხაზურ მხარეებს კონფლიქტის მოგვარების რაღაც საიდუმლო გეგმა ჰქონდათ. როგორც ამბობენ, თქვენი ლიდერი ამის გამო მოსკოვშიც კი დაიბარეს...

— არ არის ასე, ბატონი სერგო იქ არავის დაუბარებია, ის მოსკოვში ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე წავიდა: უსაფრთხოების საკითხები უნდა განხილულიყო. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა რუს პოლიტიკოსებთან — უკვე ეკონომიკური ხაზით... იცით, რა მიკვირს?.. ქართველ საზოგადოებაშიც კი პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, მყარად არის დამკვიდრებული აზრი, თითქოს აფხაზეთში ფიჩხის მოტეხაც კი რუსეთთან შეთანხმებით ხდება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება უშლის ხელს ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ადამიანურ დონეზეც კი... რუსეთი ჩვენი მოსაზრებების რაღაც ნაწილს იზიარებს, რაღაცას — არა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ისე მოვიქცევით, როგორც ქვეყანას სჭირდება და სწორად მიგვაჩნია. თუმცა ვაღიარებ: საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, რუსეთსაც და აფხაზეთსაც ერთნაირი პოზიცია აქვს.

— როგორი?

— ისეთი, რომ თქვენი ქვეყნიდან მომდინარე აგრესია უკვე შესამჩნევი გახდა. როცა ქართული ტელეარხები აფხაზეთში შემოსული რუსული ჯავშანტექნიკის კადრებს საგულდაგულოდ ატრიალებენ, ხმას არ იღებენ ჩვენს მისადგომებთან გაძლიერებულ ქართულ არმიაზე, რომელიც საბრძოლო მზადყოფნაშია. ადით და დაათვალიერეთ, რა ხდება კოდორის ხეობაში, არ გაინტერესებთ?..

— ამას წინათ თქვენი უწყების წარმომადგენელი ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემასთან ინტერვიუში ამბობდა — ქართულმა მხარემ ზემო აფხაზეთიდან უნდა გაიყვანოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო შენაერთები და მოხსნას ეკონომიკური სანქციები, ამის პასუხად კი ჩვენ ქართველ დევნილებს დავაბრუნებთ, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება აფხაზეთის სტატუსზე საუბარი... ეს მისი პირადი მოსაზრებაა თუ ხელმძღვანელობის პოზიცია?

— ნაწილობრივ, ჩვენი პოზიციაცაა. ერთ შესწორებას შევიტან: სანამ უშუალოდ მოლაპარაკებებზე გადავალთ, ქართულმა მხარემ ერთი რამ უნდა იცოდეს — მის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით აფხაზეთის დაბრუნება აბსურდია და ეს მთელმა მსოფლიომ იცის... რამდენიც უნდა უარყოს თქვენმა ხელისუფლებამ, ერთი რამ ცხადია — დღეისათვის აფხაზეთი ქართველებისთვის პრაქტიკულად, დაკარგულია — თითქმის ისევე, როგორც კოსოვო — სერბეთისთვის. თბილისს ერთადერთი შანსი აქვს, პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესს დაუბრუნდეს. აფხაზეთში ქართველი დევნილების დასაბრუნებლად, მან ეკონომიკურ ბლოკადაზე უარი უნდა თქვას. ჩვენ თურქეთთან საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საშუალება მოგვეცემა, რაც არა მარტო აფხაზეთის ეკონომიკისთვის, არამედ საქართველოსთვისაც კარგი იქნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, მოლაპარაკებები დაიწყოს.

— გამოდის, რომ ქართულმა მხარემ ჯერ ეკონომიკური საკითხები უნდა მოგიგვაროთ, შემდეგ კი აფხაზეთის დამოუკიდებლობაც აღიაროს?!

— რა არის აქ გასაკვირი?! იმ შემთხვევაში, თუ პროცესები ჩვენი გეგმის მიხედვით განვითარდება, ქართულ მხარესთან ფაქტობრივად, საერთო საზღვარი, ეკონომიკა და ვაჭრობა გვექნება, ამის სანაცვლოდ კი დევნილებს დავაბრუნებთ. საქართველოს ხელისუფლებას გააზრებული უნდა ჰქონდეს ამ გეგმის მომგებიანობა — აქ ხომ მისი ხალხიც იცხოვრებს.

— რომლის უსაფრთხოებასაც აფხაზეთის ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღებს?..

— რა თქმა უნდა. ჩვენ ამაში მეგობარი რუსეთი დაგვეხმარება... ყოველ შემთხვევაში, იმ ხალხის უფლებები იმაზე მეტად იქნება დაცული, ვიდრე დღეს, როცა საკუთარ მიწაზე ცხოვრობენ.

— ბატონო სერგეი, 15 წელზე მეტი გავიდა, რაც აფხაზეთში ომი დამთავრდა და მას შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მშვიდი ცხოვრება აუხდენელ ოცნებად რჩება. თითქმის ყველა აფხაზი მილიციელი, ჩვეულებრივი კრიმინალია, რომელიც რუს და აფხაზ ჩინოვნიკებთ-

ან გარიგებაშია შესული და ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობს. აღარაფერს ვამბობ კორუფციაზე. გარდა ამისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, სამწუხაროდ, ქურდული გარჩევებისა და ნარკომანიის შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი შემაშფოთებელია...

— თქვენ საქართველოში არ ცხოვრობთ? იქ, შუაგულ თბილისში, თქვენი პრეზიდენტის ნაქები პატრულის თანამშრომლები კლავენ ადამიანებს... კრიმინალს მოევლება, გაასამართლებ და დასჯი, რაც სხვებისთვისაც მაგალითი იქნება, მაგრამ ქვეყნის უმაღლესი პირისგან წახალისებული სამართალდამცველის შეცდომას სხვაც გაიმეორებს... ჩამობრძანდით სოხუმში (მე გაძლევთ უსაფრთხოების გარანტიას) და ნახეთ, რამდენი გალელი მუშაობს აქ მშენებლობაზე. საქართველოში ცნობილი სამშენებლო კომპანიები ამწე „კრანებს“ არ ქირაობენ, რადგან მუშახელის მიერ შესრულებული შავი სამუშაო ბევრად იაფი უჯდებათ. ჩვენთან ორჯერ და სამჯერ მეტს უხდიან ჩვეულებრივ მუშას. ის ხალხი ადრე თბილისში მუშაობდა, ეგონა, იქ უკეთესი ცხოვრება იქნებოდა, მაგრამ მერე ვიღაცამ ურჩია, სოხუმში სჯობიაო... არ მინდოდა, თქვენი ქვეყნის საშინაო პრობლემებში ჩარევა, მაგრამ თქვენ მაიძულეთ... დიახ, აფხაზეთს უჭირს ყველა სფეროში, მაგრამ მოვინდომებთ და გავაკეთებთ... დიახ, აქ რუსული კაპიტალია, მაგრამ რა არის ამაში ცუდი?.. რა მნიშვნელობა აქვს, რუსული კაპიტალით გაკეთდება საქმე თუ ამერიკულით?!

— კი, მაგრამ თუკი ასე დულს ცხოვრება აფხაზეთში, მაშ, რატომ იცლება იქაურობა აფხაზებისგან?

— მშენებლობები ახლა დაიწყო, მოვა დრო და ის ხალხი საკუთარ ბუდეს დაუბრუნდება... რაც შეეხება სტატუსს, — იმედი მაქვს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უფრო მრავალპარტიული და დაბალანსებული იქნება და აფხაზეთთან დაკავშირებით, უფრო ლოგიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს... ისე კი, არაპირდაპირ საუბრებში, მაგრამ რამდენიმე ქართველი პოლიტიკოსისგან, აფხაზეთთან დაკავშირებით ჯანსაღი აზრიც მომისმენია, ოღონდ ნუ მთხოვთ, დავაკონკრეტო...

მოდი, წარსულს ჩავაბაროთ აფხაზეთის საზღვართან გამართული შოუები — ერთად, ძველებურად, ძმურად ვიცხოვროთო. ხომ იცით, რომ სიამტკბილობაში არასდროს გვიცხოვრია. ქიშპობა ყოველთვის იყო, ხან — ფარული, ხან — აშკარა. ასე რომ, უაზრო საუბარს არანაირი შედეგი არ ჰქონია და არც მომავალში ექნება.

ზურაბ აბაშიძე, *პოლიტიკოლოგი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში:*

— დავიწყოთ იქიდან, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი ძლიერი, პროფესიონალური და ეფექტიანი უნდა იყოს, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებით, სერიოზულად იმსჯელებს. არა მგონია, რაიმე აქამდე განსაკუთრებული, გაუმხელელი რეზერვი არსებობდეს, მაგრამ მთავარია, ეს იყოს კომპეტენტური ხალხი, ყრილობა და არა — ემოციური, პოპულიზმსა და პოლიტიკური ქულების დაგროვებაზე ორიენტირებული განცხადებების ავტორთა თავყრილობა.

— ძველი პარლამენტი ასე იქცეოდა?

— იმის თქმა არ მინდა, რომ ძველი პარლამენტი ამ მხრივ, რაიმეს განსაკუთრებულად ცუდად აკეთებდა ან — პირიქით. უბრალოდ, მინდა, რომ მომავალი პარლამენტი უკეთესი იყოს. იქ რაოდენობრივად ნაკლები ხალხი იქნება და მათი შემცირების ხარჯზე თუ ხარისხი გაიზრდება, ეს საქმეს გამოადგება...

— კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ამ მიმართულებით?

— არჩევნების შემდეგ, პარლამენტის ჩამოყალიბებას დრო დასჭირდება და ამ დროისთვის რა ვითარება იქნება აფხაზეთში, ძნელი სათქმელია. ამიტომაც, მიჭირს იმის პროგნოზირება, თუ რა პრიორიტეტები უნდა შეიმუშაოს ახალმა პარლამენტმა, მაგრამ მთავარია, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ისეთი მოდელი გამოინახოს, რომელიც, როგორც ქართველებისთვის, ასევე აფხაზებისთვის მისაღები იქნება. საქმე ის არის, რომ აფხაზებს ეთნოსის გადარჩენის პრობლემა აწუხებთ. თითქმის ყველა აფხაზის ოჯახის წევრი რუსეთში მიდის სამუშაოდ. სოციალური პირობების მხრივ, მათ გაცილებით უარესი პრობლემები აქვთ, ვიდრე ქართველებს. ამიტომაც ვამბობ, რომ ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების ისეთი ფორმა უნდა გამოინახოს, რომელიც ჩვენთვისაც მისაღები იქნება, იმ საზოგადოებასაც დააწყნარებს და გარე საფრთხეებისგანაც დაიცავს. მესმის, რომ ეს სათქმელად ადვილია, ხოლო გასაკეთებლად — რთული. ჩვენ უნდა შევეცადოთ, მათი ყოველდღიური პრობლემები დავინახოთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამას „მესამე ძალა“ ცუდად იყენებს. ის აფხაზებზე კი არა, საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსა და ბიზნესის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ეს ძალიან კარგად იცის აფხაზმა ხალხმაც, მაგრამ ალტერნატივასაც ვერ ხედავს. თუ დასავლეთი მათ რეალურ მხარდაჭერას შეპპირდა, ისინი პირდაპირ და იმ დღესვე არ დათანხმდებიან მას, მაგრამ ასეთ შეთავაზებაზე აუცილებლად დაფიქრდებიან.

— რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, საქართველოშიც ახალი მოწვევის პარლამენტი ავირჩიეთ. ეს რაიმეს შეცვლის რუსეთ-საქართველოს და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში?

— მე გავეცანი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის გამოსვლას და მართალი გითხრათ, იქ ახალი და იმედის მომცემი ვერაფერი აღმოვაჩინე. ის იმეორებს ძველ თეზისებს — რომ ყველაფერს საქართველო აფუჭებს და რუსეთი ცდილობს, აფხაზეთში ვითარების განმუხტვას; რომ სამშვიდობოები იქაურობას აკონტროლებენ და კონტინგენტის გაზრდა აუცილებელი იყო... ამიტომაც, ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რომ რუსეთის პოზიციებში რაიმე შეიცვალა. რაც შეეხება ახალ ინიციატივას, რომელიც ქართულმა მხარემ სეპარატისტებს შესთავაზა, — რუსეთში მას სკეპტიკურად აფასებენ და აფხაზებისა და ოსების სათქმელსაც თავად ამბობენ. ამ ყველაფერში რუსეთის პოზიცია იკითხება. თუმცა მე მაინც ვვარაუდობ, რომ გარკვეული დროის შემდეგ, რუსეთის ახალი პრეზიდენტი შეიტანს ახალ აქცენტებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.

■

ერთი კითხვა

— ვინ მიგაჩნიათ საქართველოში ყველაზე მდიდარ ადამიანად?

ლამარა, 45 წლის, დიასახლისი:

— საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანის დასახელება დაუფიქრებლად შემიძლია — ეს პიროვნება ბატონი ბიძინა ივანიშვილია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ის უდავოდ ჭკვიანი კაცია და ამიტომაც, ცხოვრებაში ბევრს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ გაკეთებული ქველმოქმედებისა და სიკეთის აფიშირებას არასოდეს ახდენს (სხვა მდიდარი ადამიანებისგან განსხვავებით), საქართველოში მის ქველმოქმედებაზე ლეგენდები მაინც დადის. ეს მისი ერთ-ერთი ღირსებაა. საჩხერე ამ ადამიანით ამაყობს, რადგან ბატონი ბიძინა ამ რაიონს ნამდვილად მხსნელად მოევლინა.

ნათია ქივიძე

რატომ წავიღა რუსუდან კერვალიშვილი პოლიტიკაში

ჩვენს რუბრიკაში ამჯერად ყოფილი პარლამენტარი — ვახტანგ რჩეულიშვილი და მისი მეუღლის დისშვილი, ჟურნალისტი ნინო დარასელი მოვიწვიეთ. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნინომ ჟურნალისტის როლი კარგად მოირგო, მაგრამ არანაკლებ ენაწყლიანი და საინტერესო ჟურნალისტი აღმოჩნდა ბატონი ვახტანგიც...

და რას ეჩიჩვენ მას შვილი და სიძე

ჟურნალისტი – ნინო დარასელი
რესპონდენტი – ვახტანგ რჩეულიშვილი

— სინანულის გრძნობა ხომ არ გაქვს, რომ საარჩევნო პროცესში როგორც პოლიტიკოსმა, მონაწილეობა ვერ მიიღე?

— პირიქით. ისეთი დასვენებული ვარ, ვერც დაიჯერებ. თავი ვერ შევიკავე და რამდენიმე დღის წინ, რუსუდანის (*კერვალიშვილი. — ავტ.*) საარჩევნო შტაბში მივედი. რომ ვნახე იქაური სიტუაციაც, გავიფიქრე, რა კარგია, არჩევნებში რომ არ ვმონაწილეობ-მეთქი.

— მეც ზუსტად იმავეს ვფიქრობ. მას მერე, რაც შენ არჩევნებში აღარ მონაწილეობდი, წყნარად ვიყავი. ახლა ეს სიმშვიდე დედაჩემმა, რუსუდანმა დამირღვია. ალბათ, ამ არჩევნებსაც გადავიტან... ვახო, შენს საქმიანობას თავიდან რომ იწყებდე, პოლიტიკაში ისევ წახვიდოდი?

— აუცილებლად. მართალია, პოლიტიკისგან გადავიღალე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი არჩევანით უკმაყოფილო ვარ. უბრალოდ, ის არის, რომ პოლიტიკას უფრო ახალგაზრდული ენთუზიაზმი სჭირდება. გარდა ამისა, პოლიტიკოსი დაუნდობელიც უნდა იყოს. რაც შვილიშვილი შეგვეძინა, არავის დაჩაგვრა აღარ მინდა. პირიქით, ყველას ვეფერები. საერთოდ, პოლიტიკა დაუნდობელია. ედუარდ შევარდნაძემ ძალიან ბევრი რამ მასწავლა. მართალია, ბევრი რამ არ მომწონდა, მაგრამ რეალური იყო. სწორედ შევარდნაძემ მითხრა პირველად: პოლიტიკა დაუნდობელიაო, ამ სიტყვებით გამომიშვა პოლიტიკიდან და არჩევანი ზურაბ ჟვანიაზე შეაჩერა. ეს გააკეთა იმ კაცმა, რომელთან ერთადაც ავფეთქდი და სიკვდილს ერთად გადავურჩით. ხომ წარმოგიდგენია, ასეთი რაღაცები ადამიანთან როგორ გაახლოებს. მან კი არ დამინდო და ყველაფერი, რაც გვაკავშირებდა, ერთი ხელის მოსმით დაივიწყა. მასაც სწორედ ისევე მოექცნენ თავისი რჩეულები — ჟვანია და სააკაშვილი: ნახმარი ხელთათმანივით გადააგდეს.

— მიუხედავად ამისა, მე მაინც ვამაყობ, რომ შენ ედუარდ შევარდნაძის ერთგული დარჩი და ბოლომდე მის გვერდით იდექი. თავად რითი ამაყობ?

— ბევრჯერ მითქვამს, რომ პოლიტიკის ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ კონკურენტის გაკეთებული საქმე არ მოგვწონს-მეთქი. დღევანდელ ოპოზიციას მიშას მიერ დაბრუნებული აფხაზეთი არ უნდა. ასევე არ უნდოდა მიშასაც, შევარდნაძის მიერ დაბრუნებული აფხაზეთი და ა.შ. ეს რეალობაა. ვინც პოლიტიკაშია, ამ წესებით უნდა ითამაშოს. ამიტომაც გამოვერიდე პოლიტიკას. თუმცა, უნდა ვაღიარო, პოლიტიკაში რომ არ ვყოფილიყავი, ასეთი საინტერესო ცხოვრება არ მექნებოდა. ვერ გავიცნობდი ედუარდ შევარდნაძეს. ის ვინმეს შეიძლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ერთერთი ის ადამიანია, რომლის მეშვეობითაც საქართველოს იცნობენ. სწორედ ამიტომ, მეამაყება, რომ შევარდნაძეს ვიცნობ. საქართველოს ისტორიის შექმნაში მონაწილეობა მივიღე და ყველაზე მეტად ეს მეამაყება.

— შენ კი არა, იმ პერიოდში, ყველანი ისეთი პოლიტიზებულები ვიყავით, რომ მგონია, საქართველოს ისტორიის შექმნაში მონაწილეობა მეც მაქვს მიღებული. თუ ჩემი წარსულიდან რაიმეს ვნანობ, ისიც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული... წეღან აღნიშნე, რომ ახლა შენთვის ყველაზე მთავარი შენი შვილიშვილი — კატოა...

— ოჯახს ახალი წევრი, კატო შეემატა, რომელიც უკვე წლინახევრის არის. რამდენიმე დღის წინ, „ბიბლიაში“ ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: ასაკში ადამიანი ისე ამაყობს შვილიშვილით, როგორც პატარაობაში ბავშვი — თავისი მამით. ეს მართლაც ჭეშმარიტებაა. ბავშვობაში დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემმა შავი ზღვა გადაცურა და ძალიან მაგარი იყო. ვინც მეტყოდა, ასე არ ყოფილაო, ის ადამიანი ძალიან მძულდა.

— ამიტომ, კატოს შემხედვარემ 14-წლიანი პაუზის შემდეგ, გადავწყვიტე, რომ მეორე შვილი გამეჩინა. ჩემი შვილი კატოს მეგობარი იქნება... რადგან ბავშვებზე ვსაუბრობთ, ალბათ, ყველას აინტერესებს, ბავშვობიდან „ტუის“ რატომ გეძახიან...

— ჩემს სკოლასა და სახლს აგურის დიდი კედელი ყოფდა. იმის ნაცვლად, რომ სხვა ბავშვებივით სკოლაში ნორმალური გზით წავსულიყავი, მე ამ კედელზე ვძვრებოდი ხოლმე და ისე მივდიოდი. საერთოდ, ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი. მეოთხე კლასში მიკლუხო მაკლაის გეოგრაფიულ აღმოჩენებს ვსწავლობდით. მაშინ გავიგეთ, რომ მაკლაიმ რუსეთში პაპუასი ჩამოიყვანა, რომელსაც სახელად ტუი ერქვა. კედელზე ძრომის გამო, სწორედ ამ პაპუასის სახელი შემარქვეს. ასე რომ, ჩემი მეტსახელი კრიმინალს არანაირად არ უკავშირდება. რა თქმა უნდა, ვჩხუბობდი კიდეც, მაგრამ მაშინ კანონიერი ქურდები პოპულარულები არ იყვნენ. კარგად მახსოვს, მეათე კლასში ვიყავი, ჩემს ორ მეგობარს რომ შევეკითხე — ვინ უნდა გამოხვიდეთ-მეთქი? ერთმა მიპასუხა: ქურ-

დიო, მეორეს თურმე რაიკომის მდივნობა სურდა. მაშინ არც რაიკომის მდივანი ვიცოდი, ვინ იყო და არც — ქურდი. წარმოიდგინე, რა კარგი ბავშვობა მქონდა.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, შენმა შვილმა, გუკამ, გადაწყვიტა, რომ საქართველოში ანტინარკოტიკული სარეაბილიტაციო ცენტრი გახსნას. ამ იდეის განხორციელება ისევ გეგმაშია?

— რასაკვირველია. მთავრობას შევთავაზეთ კიდეც, რომ ერთ-ერთ საავადმყოფოს შევისყიდით და ჩვენი ხარჯებით გავაკეთებთ. საბედნიეროდ, ახლა ისეთი თაობა მოდის, ვისთვისაც ნარკომანია პოპულარული აღარ არის და ეს ძალიან მიხარია...

— როგორც ვიცი, შენც სპორტით ხარ დაკავებული...

— მართალია. რაც პოლიტიკიდან წამოვედი, სულ ვცდილობ, რომ სპორტულად ვიცხოვრო. აუზზე დავდივარ, თხილამურებზე ვდგავარ, ცხენით ვჯირითობ...

— მიუხედავად იმისა, რომ ცხენიდან ბევრჯერ გადმოვარდი...

— ეს სპორტი ცოტა ტრავმულია, მაგრამ რაც მე პარლამენტში ჩხუბი და უბედურება გადამიტანია, იმას ცხენიდან გადმოვარდნა არ სჯობია? ბოლმას მაინც არ ჩაიდებ გულში... (*იცინის*). თელავში სასტუმრო ავაშენეთ, სადაც სამი ცხენი მყავს. ვინც იქ ჩავა, პირველ რიგში, ყველა იმას მეკითხება — ცხენები თუ გყავსო? წავიყვან ცხენებთან, თავზე ხელს გადაუსვამენ, მერე კი სუფრასთან დასხდებიან და მაგრად ქეიფობენ. თელავი ყველას საქეიფო ადგილად წარმოუდგენია და არა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბაზად. მე კი ასე არ ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ ადამიანი სპორტით დაკავებული უნდა იყოს.

— მთელი ცხოვრება მონატრების გრძნობას განვიცდი, რადგან ოჯახის რომელიმე წევრი აუცილებლად საზღვარგარეთაა და მენატრება. ამ შემთხვევაში გუკას და ნუცას (*კუხიანიძე, გუკას მეუღლე* — *ავტ.*) ვგულისხმობ...

— როგორც იცი, გუკა ახლა დიტო ციწცაძესთან ერთად, კიდევ ერთ ქართულ ფილმს იღებს. იმედი აქვთ, რომ ეს ფილმიც საზღვარგარეთ გაიყიდება. დღეს დილის ხუთ საათზე დავიძინე, რადგან გუკა გერმანიიდან მოფრინავდა. ჩვენი ოჯახის წევრები სულ ცაში არიან. ყოველი მათგანის ფრენისას დიდ სანთელს ვყიდულობ და ვლოცულობ. მაგალითად, ნუცა და კატო ამერიკაში არიან და მათთვის 12 საათი ვლოცულობდი, რადგან გზას ამდენი ხანი სჭირდება. ხან შენი მეუღლე და შვილი მიფრინავენ ან მოფრინავენ. მოკლედ, ყველაზე მეტს მე ვლოცულობ ხოლმე. მიხარია, გუკამ ცოლად ნუცა რომ შეირთო. მათ ერთნაირი ინტერესები აქვთ და ერთმანეთის დახმარებით ქართულ კინოში თავიანთ სიტყვას ამბობენ...

ჟურნალისტი – ვახტანგ რჩეულიშვილი
რესპონდენტი – ნინო ლარასელი

— ნინო, პირველ რიგში მაინტერესებს, როგორ მიდის შენ მიერ დაარსებული ჟურნალის საქმე?

— ძალიან მიხარია, სხვებივით რომ არ მეკითხები, როგორ მიდის შენი ბიზნესის საქმეო. ისეთი ჟურნალი, როგორიც „ანაბეჭდია“, საქართველოში კომერციულად მომგებიანი ვერ იქნება. თუმცა, მიხარია, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად, ისეთი საქმის გაკეთება მოვახერხე, რომელიც ქართველ საზოგადოებას გამოადგება. ჩვენ ხელოვნებას ვემსახურებით. მოკლედ, ისეთი ჟურნალი შევქმენი, როგორიც ჩემნაირ მკითხველს აინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოჯახს ნორმალური მატერიალური მდგომარეობა აქვს, არც ერთ მის წევრს არ შეუძლია, შინ დაჯდეს და ფეხი ფეხზე გადაიდოს. ერთი დღეც რომ არ ვიმუშაო, შეიძლება, გავგიჟდე.

— მკითხველის გასაგონად ვიტყვი, რომ ჩემს მეუღლეს, მაიას განსაკუთრებული გემოვნება აქვს. ჩვენი სახლიც და ყველა სასტუმროც, რომელიც შეეძინეთ, სულ მისი გემოვნებით არის მოწყობილი. ერთადერთი ადამიანი, რომლის გემოვნებაც მაიას მოსწონს, შენ ხარ. ამბობს, რომ ჩაცმის სტილიც არაჩვეულებრივი გაქვს.

— უნდა აღვნიშნო, რომ მაიამ ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ოჯახში ფარჯიანის ნახატები რომ მოჰქონდა, სულ მიკვირდა, რად უნდა ამდენი ნახატი-მეთქი. დღეს კი მისი მადლიერი ვარ, რომ გემოვნება ჩამომიყალიბა. ამით ძალზე ვამაყობ.

— შენი შვილი — ზაზუკა ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, ახლა კი ესპანეთშია. მოდი, მკითხველს შენი ოჯახის შესახებ უამბე. რას აკეთებს ზაზუკა საზღვარგარეთ?

— ზაზუკასთან ერთად საზღვარგარეთ ჩემი მეუღლეც ცხოვრობს. აღმოჩნდა, რომ ნიკას პირველი „პროფესია“ მამობა ყოფილა. გადაყოლილია ზაზუკაზე და სულ თან დაჰყვება. ზაზა 14 წლისაა და ფეხბურთელობაზე ოცნებობს. სწორედ იმ ქალაქში მოხვდა, რომლის საფეხბურთო გუნდიც ყველაზე მეტად მოსწონს, მადრიდის „რეალი“. ზაზა მადრიდში ფეხბურთზე დადის, ბევრს ვარჯიშობს, თუმცა მისი საბოლოო ოცნება მაინც საქართველოში დაბრუნებაა. ახლა პატარა ტრავმა აქვს, ჯერ ვერ თამაშობს და ამიტომ, ცოტა ხნით, საქართველოში ჩამოვა. ვოცნებობ, რომ მისგან კარგი ფეხბურთელი დადგეს.

— როგორ ეგუები მარტოობას?

— სიმართლე რომ გითხრა, ძალიან მიჭირს და მეც სულ ჰაერში ვიყავი გამოკიდებული. ახლა ორსულად ვარ, მეორე ბავშვს ველოდები და ამიტომ, ჩემთვის ფრენა არ შეიძლება. ასე რომ, ამჯერად ქმარ-შვილთან ვეღარ ჩავდივარ.

— ზაზუკაზე ძალიან ვნერვიულობ, რადგან პროფესიონალი სპორტსმენობა საკმაოდ რთულია, თუმცა მის არჩევანს პატივს ვცემ... ვიცი, ყველას აინტერესებს, რას ფიქრობ, რუსუდანის პოლიტიკაში გადანაცვლებაზე?

— რუსუდანი საკმაოდ ძლიერი ადამიანია, თუმცა ჩემთვის რჩევა რომ ეკითხა, კატეგორიულად შევეწინააღმდეგებოდი და პოლიტიკაში არ გავუშვებდი, რადგან მგონია, რომ რუსუდანისნაირი ადამიანი ქართულ პოლიტიკაში არ უნდა იყოს. ამის გამო, ძალზე მეცოდება. ჯერ მხოლოდ ერთხელ იყო ინგა გრიგოლიას გადაცემაში და ეს ძალზე განვიცადე, მიუხედავად იმისა, რომ ინგა საკმაოდ მოზომილ შეკითხვებს უსვამდა. პოლიტიკაში წასვლით, რუსუდანი საკუთარ თავზე დიდ პასუხისმგებლობას იღებს. პასუხისმგებლობა მას არც ისე აკლდა და უამრავი ადამიანის პატრონობას კისრულობდა. ეგოისტურად არ მინდა, რომ დედაჩემი პოლიტიკაში იყოს. რამდენადაც ვიცი, რუსუდანმა კონსულტაცია შენთან გაიარა...

— რუსუდანი საკმაოდ ძლიერი ქალია. თუ დაინახავს, რომ ვინმე მის შეურაცხყოფას აპირებს, ამას თავს აარიდებს. რამდენადაც თბილია, იმდენადვე უცებ შეუძლია, ცივი გახდეს. მთავარია, ამის საჭიროება არ დადგეს. მისთვის პოლიტიკაში წასვლა არავის დაუძალებია. მიმაჩნია, რომ რუსუდანი კარგი პოლიტიკოსი იქნება... ■

ქრისტინა აგილერას ეიერ გამოვზავნილი პილეთები და უცყუარი წინათმარქნოვა

„ვარსკვლავების აკადემიის“ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და აქტიური წევრი — ქეთი ორჯონიკიძე, საზოგადოების აზრით, ამ პროექტის გამარჯვებული გახდება. თუმცა, ჯერჯერობით, ამ საკითხზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან პროექტის დასრულებამდე კიდევ რამდენიმე კვირა დარჩა. რამდენიმე დღის წინ ქეთის მშობლებს შინ ვესტუმრე და მის კარიერასა და პირად ცხოვრებაზე დედამისს, ქალბატონ რუსუდანს ვესაუბრე.

„ვარსკვლავების აკადემიის“ დამთავრების შემდეგ ქორწილი არ აგვცდება...“

ნათია ქივიძე

— როდის აღმოაჩინეთ, რომ ქეთის მუსიკალური მონაცემები ჰქონდა?

— მაშინ ქეთი მხოლოდ 3 წლის იყო. ნათესავთან ვიყავით, სტუმრად. შინ რომ ვბრუნდებოდით, მე და ჩემმა მეუღლემ „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ ვიმღერეთ. ჩვენდა გასაოცრად, ქეთიმ ჩვენი ნამღერი აბსოლუტურად უშეცდომოდ გაიმეორა. ამიტომ, მალევე პიონერთა სასახლეში, ვოკალის პედაგოგთან მივიყვანეთ. პარალელურად, ქეთი ქართულ ცეკვაზეც დადიოდა.

— ეი. ქეთის წარმატებაში წვლილი თქვენ მიგიძღვით?

— ჩემი აზრით, სიმღერის ნიჭი — ბებიისგან, ლექსების წერის ნიჭი კი მამისგან გამოჰყვა.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბავშვობაში ფორტეპიანოზეც უკრავდა...

— მას შემდეგ, რაც სკოლაში შევიდა, მუსიკის გაკვეთილებზეც ვატარებდით. არაჩვეულებრივი პედაგოგი შეხვდა და შეიძლება ითქვას, ქეთის მუსიკალური წარმატება სწორედ მისი დამსახურებაა. პირველ კლასში იყო, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ბახის ნაწარმოები რომ შეასრულა, 8 წლის ასაკში კი საფრანგეთში, პიანისტთა ფესტივალზე გაგზავნეს, სადაც პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მოგვიანებით, საქართველოს ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. პირველი ტურიდან მეორეში გავიდა, მაგრამ რატომღაც, არც ერთი პრიზის მფლობელი არ გამხდარა (ხომ იცით, საქართველოში როგორც ხდება ხოლმე). ამ კონკურსის შემდეგ, კონსერვატორიაში გამართულ ყველა კლასიკურ კონცერტში მიიღო მონაწილეობა... მოგვიანებით, ქეთიმ პირველ სამუსიკო სკოლაში, ვოკალის ფაკულტეტზე ჩაბარა. ახლა ალბათ, კონსერვატორიაში ჩაბარებაზეც ვიფიქრებთ.

— როდის გადაწყვიტა, რომ ბედი სიმღერაშიც უნდა ეცადა?

— 15 წლის იყო, როცა მითხრა, — მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრა რომ შემეძლოს, ამ გზას ავირჩევდი, მაგრამ სიმღერაც ხომ შემიძლია და მინდა, ვიმღეროო. რა თქმა უნდა, მის არჩევანში არ ჩავრეულვარ, რადგან ყოველთვის ვიცოდი, რომ ის სიმღერით იყო გატაცებული. ერთხელ ბიძამისმა კომპიუტერი აჩუქა და მას შემდეგ, სიმღერების არანჟირებას თავადვე აკეთებდა. ქეთი ქრისტინა აგილერას ფანია და მისი ყველა სიმღერა ზეპირად იცის. სხვათა შორის, ზოგიერთ მათგანზე ქართული ტექსტებიც დაწერა. ქეთი ქრისტინა აგილერას ფან-კლუბშია გაწევრებული და შესაბამისად, მასთან მიმოწერა ყოველთვის ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ, ინგლისში აგილერას კონცერტი უნდა გამართულიყო. მან ქეთის, როგორც ყველაზე აქტიურ ფანს, საჩუქრად ორი ბილეთი გამოუგზავნა. სამწუხაროდ, კონცერტზე დასასწრებად ვერ წავედით...

— ქეთი საკუთარი სიმღერების ტექსტებს თავადვე წერს?

— რა თქმა უნდა. სიმღერის ტექსტს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წერს.

— კლიპის გადაღება არ უცდია?

— 2006 წელს გადაიღო ვიდეორგოლი, მაგრამ ამას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. კლიპის გადასაღებად საჭირო თანხა ნათესავებში მოვიძიე, რადგან ჩვენი ოჯახი ისეთი შეძლებული ნამდვილად არაა, რომ ვიდეოს დამოუკიდებლად გადაღება შევძლოთ. ამის გამო, ქეთი დეპრესიაში ჩავარდა... გასული წლის დეკემბერში, როცა „ახალი ტალღის“ შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა, ვთხოვე: სიმღერა ჩავწეროთ და გავგზავნოთ-მეთქი. მომღერალი გიორგი დათიაშვილი მისი მეგობარია და მან შესთავაზა, — ჩვენს სტუდიაში ჩავწეროთო. ასეც მოიქცნენ. ამასობაში, „ვარსკვლავების აკადემიის“ კასტინგიც გამოცხადდა და მეორე მეგობარმა ქეთის მონაცემები „რუსთავი 2“-ში მიიტანა. მართალია, ქეთიმ „ახალი ტალღის“ კონკურსზეც გაიმარჯვა, მაგრამ რატომღაც, იქ წასვლას „ვარსკვლავების აკადემიაში“ მონაწილეობა ამჯობინა.

— ქეთის მიერ შერჩეული მუსიკალური მიმდინარეობა თუ მოგწონთ?

— ახალგაზრდობაში როკი მეც ძალიან მომწონდა და მას სისტემატურად ვუსმენდი. მძიმე როკი არ მომწონს და ზუსტად ვიცი, რომ „მეტალიკას“ ქეთიც არ უსმენს. ძალიან მომწონს ის სიმღერები, რომლებსაც „ვარსკვლავების აკადემიაში“ ქეთის ურჩევენ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თითოეულ მონაწილეს ისეთ სიმღერას ამღერებენ, რომლებშიც მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამომჟღავნება შეუძლიათ.

— ქეთი პროექტში ხშირად ავადმყოფობს. ალბათ, ამის გამო ძალიან ღელავთ...

— რასაკვირველია. მას ნაღვლის ბუშტის პრობლემა შარშანაც ჰქონდა

8 წლის ასაკში საფრანგეთში, პიანისტთა ფესტივალზე გაგზავნეს

და ვუმკურნალეთ, მაგრამ ახლა, ისევ შეაწუხა. როცა შინ იყო, მის კვების რაციონს ვაკონტროლებდი, მაგრამ პროექტში ამაზე ვინ იზრუნებდა? ახლა, სამ დღეში ერთხელ, ქეთის საჭმელს ვუგზავნი. „რუსთავი 2“-ის მადლიერი ვარ, რადგან ბავშვი ექიმებთან წაიყვანეს, წამლებიც თავიანთი ხარჯებით უყიდეს. მიუხედავად ამისა, ერთი რამ უნდა აღვნიშნო: მათ ტექნიკურ პერსონალს იმაში ვადანაშაულებ, რომ კონდიციონერს ერთ დონეზე არ აყენებენ და ამის გამო, ბავშვებს ყელის პრობლემები აქვთ. მეოთხე კონცერტზე, სიმღერის დროს, ქეთიმ ბგერის აღებისას პატარა შეცდომა დაუშვა. თურმე, ყელი დაჩირქებული ჰქონია...

— ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა არ უჭირს?

— ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა, რა თქმა უნდა, უჭირს, მაგრამ ცდილობს, ამის გამო დეპრესიაში არ ჩავარდეს: ხან ლექსებს წერს, ხან აპლიკაციებს აკეთებს და მდგომარეობიდან გამოდის. მინდა, ქეთის ერთ-ერთი ლექსი წაგიკითხოთ, რომელიც მან სექტემბერში დაწერა (უნდა აღვნიშნო, რომ მას უტყუარი წინათგრძნობა აქვს):

„გამოკეტილში ათასი წამი,
ათასი წუთი, ათას წლად ხდება.
გამოკეტილში ათასი ტარი,
ათასი დანის სისხლით ისვრება.
გამოკეტილში ბუდობდა სევდა,
ათასი კაცის ოცნებას ხევდა.
გამოკეტილში ვარ ახლა მე
და ათასი ფიქრი ათას ზღვარს სცდება.
გამოკეტილში ათასი მკვდარი,
ათასში ერთი თავისთვის კვდება.
გამოკეტილში ათასი წამი,
ათასი წუთი, ათას წლად რჩება“.

— პროექტის მონაწილეებზე რას იტყვით?

— ყველა ძალიან მომწონს და თითოეულს ვგულშემატკივრობ. როგორც იცით, ქეთი ყველაზე მეტად ნათიასთან მეგობრობს. მითხრა, — ასე მგონია, ნათიასთან უხილავი ძაფები მაკავშირებსო. ამიტომ, ჩემი შვილის მერე, განსაკუთრებულად ნათიას ვგულშემატკივრობ. მარიკოც საყვარელი გოგონაა, კარგი აურა აქვს და მართლა ძალიან კარგად მღერის. ლევანის დედას ტელეფონით ვეკონტაქტები. მას მიაჩნია, რომ ლევანს ანი არ მოსწონს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ლევანსაც და ანისაც ერთმანეთის მიმართ გრძნობა აშკარად აქვთ და ღმერთმა ქნას, რომ ეს გრძნობა გაღრმავდეს. მგონი, „ვარსკვლავების აკადემიის“ დამთავრების შემდეგ, ერთი კარგი ქორწილი არ აგვცდება... რაც შეეხება ქეთის პირად გრძნობებს, მას შეყვარებული არ ჰყავს. ჭორები დადიოდა, თითქოს, გიორგი დათიაშვილს და მას ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ეს ტყუილია. ისინი მხოლოდ მეგობრობენ...

რაც შეეხება ქეთის პირად გრძნობებს, მას შეყვარებული არ ჰყავს

— საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ პროექტის გამარჯვებული სწორედ ქეთი იქნება...

— ღმერთმა ქნას. თუ პროექტში ქეთი გაიმარჯვებს, ეს ღირსეული გამარჯვება იქნება, რადგან ის ძალზე ბევრს მუშაობს... ■

ФИГУРИН - მსუნაგეული და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის ეფექტურისთვის

- სწრაფად და უსაფრთხოდ ახდენს სხეულის ეფექტურს
- აკვეთებს მადას და არ საჭიროებს მკაცრ დიეტას
- შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მჟავე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.; სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

R- № 0003504

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის 148/III

აჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

ფიქიელაღ! სატელეფონო აფერა SMS-ებით გრძელდება...

„თაღლითური ბუმი“ საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში თაღლითობის პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას. შს სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საქართველოში, წლების მანძილზე, დანაშაულებს შორის „საპატიო“ — პირველი ადგილი აფერას უკავია. სიხშირესთან ერთად, დანაშაულის ეს სახე მრავალგვარობით, დამნაშავეები კი შესაშური ფანტაზიითა და მოხერხებულობით გამოირჩევიან. აღსანიშნავია ისიც, რომ მობილური კავშირის კომპანიების აღორძინებასთან ერთად, ქვეყანაში თაღლითობის ახალი სახეობა — სატელეფონო აფერაც გაჩნდა...

საქმის დიდოსტატებმა ამ სფეროში ნიადაგი თავიდანვე მოსინჯეს. ალბათ, ყველას ახსოვს ლატარიების გათამაშებასთან დაკავშირებული თაღლითური ბუმი: „აფერისტისთვის“ 30-ლარიანი ბარათის ჩატვირთვის შემდეგ, დაბნეული, გაცურებული და პრიზის გარეშე დარჩენილი მოქალაქე ხვდებოდა, რომ საკუთარი წინდაუხედაობისა და გულუბრყვილობის მსხვერპლი გახდა... იყო შემთხვევები, როცა მოტყუებული აბონენტი თაღლითის ნომერზე ათეული ლარის ღირებულების „მონოებს“ ან „ასტრა“-ბარათებს ტვირთავდა. „საქმე“ წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ მალე გახმაურდა. გაირკვა ისიც, რომ ამ „ბიზნესში“ ძირითადად, პატიმრები იყვნენ ჩართულნი. ამის შემდეგ, მოქალაქეებმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს და იოლად აღარ ტყუვდებოდნენ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ თაღლითებმა ხელი ჩაიქნიეს, მოდუნდნენ ან გამოსწორების გზას დაადგნენ...

კომპანიების განვითარებასა და მათ მიერ შემოთავაზებულ სიახლეებთან ერთად, დანაშაულებრივი „ბიზნესის“ მეთოდები და ფორმები იცვლება, ვითარდება. ბოლო დროის ერთ-ერთი ასეთი სიახლე თანხის გადარიცხვის სერვისი გახლავთ. კომპანიების ეს წამოწყება „აფერისტებისთვის“ განსაკუთრებით მოსახერხებელი აღმოჩნდა. ისინი ახალი სერვისის თავისებურებაში მალე გაერკვნენ და საქმესაც შეუდგნენ: ამჟამად, მოქალაქეების გაცურებას SMS-ების საშუალებით ცდილობენ.

თუ მიიღეთ შეტყობინება, ტექსტით — „თქვენს ანგარიშზე დაირიცხა თანხა (მითითებულია), თანხის გადარიცხვის საფასური — 15 თეთრი ჩამოგეჭრებათ ანგარიშიდან“, დიდია შანსი იმისა, რომ თქვენ ერთ-ერთი თაღლითი დაგეკონტაქტათ. ცოტა ხანში, ის დაგირეკავთ და გეტყვით, რომ თქვენს ნომერზე თანხა შეცდომით გადმორიცხა და გთხოვთ, ის უკან დაუბრუნოთ ანუ შესაბამისი თანხა მის ნომერზე დარიცხოთ. მის მახეში რომ არ გაებათ, ყურადღებით დააკვირდით ნომერს, რომლიდანაც SMS მიიღეთ. თუ შეტყობინება ლეგალურია, აუცილებლად დაფიქსირდება კომპანიის მოკლე ნომერი — ოთხნიშნა ან სამნიშნა ციფრი, ხოლო თუ ნომერი კერძოა — ის თაღლითია!

თაღლითის წარმატებას აბონენტის მიუხვედრელობა განსაზღვრავს. სამწუხაროდ, გულუბრყვილო ადამიანებს ხშირად, უცნობის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარებათ და აჩქარებულები, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მოქცეულნი თაღლითის ნომერზე თანხას ისე რიცხავენ, არათუ SMS-ის გამომგზავნის ნომერს, არამედ საკუთარ ბალანსსაც არ ამოწმებენ და იმას, რომ მწარედ მოტყუვდნენ, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ აცნობიერებენ. შეცდომისგან თავის დაზღვევა თავად აბონენტის სიფრთხილესა და დაკვირვებაზეა დამოკიდებული, მაგრამ საინტერესოა, რას აკეთებენ ამ მხრივ თავად მობილური კავშირის კომპანიები? არიან თუ არა საქმის კურსში და რა ზომებს მიმართავენ მსგავსი უსიამოვნებისგან თავიანთი აბონენტების დასაცავად?

მაკა კვარაცხელია, კომპანია „მაგთიკომის“ პიარ-მენეჯერი:

— ასეთი შემთხვევა მართლაც, ძალიან ხშირია, მაგრამ პირადად მე, თაღლითის მსხვერპლი არასდროს გავმხდარვარ. სხვებისგან მსმენია, რომ ისინი აბონენტების გაცურებას ხშირად ახერხებენ და სხვადასხვა ჰაკერული მეთოდით იმასაც აღწევენ, რომ ნომერი, საიდანაც აბონენტს უკავშირდებიან, საერთოდ არ ფიქსირდება. ძირითადად, ჩვენმა აბონენტებმა იციან, რომ გადარიცხვის სერვისის ან წამახალისებელი ლატარიის პრიზის მოგებისას, მათ კომპანია უნდა დაუკავშირდეს და არა — კერძო პირი. ასეთ დროს, ტელეფონის ეკრანზე კომპანიის ნომერი ფიქსირდება და ეს ნომერი თითოეულმა ჩვენმა აბონენტმა იცის. სამწუხაროდ, რაიმე მექანიზმი იმისა, რომ თაღლითებისგან აბონენტების დაცვა მთლიანად უზრუნველვყოთ, არ არსებობს. ამ შემთხვევაში, მათ თვითონ უნდა გამოიჩინონ მეტი ყურადღება და სიფრთხილე.

ანდრო ზოდელავა, *კომპანია „მაგთიკომის“ იურიდიული განყოფილების დირექტორი:*

— ასეთ თაღლითობასთან დაკავშირებით, კომპანიაში არაერთი ზარი შემოვიდა. მსგავსი შემთხვევების რიცხვმა პიკს 3-4 თვის წინ მიაღწია. იმ პერიოდში, სიმართლე გითხრათ, ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კომპანიას არავითარი გეგმა არ ჰქონია. გარკვეული დროის მანძილზე ჩვენ ნეიტრალური პოზიცია გვეჭირა და როგორც ჩანს, თაღლითებმა ამ სიტუაციით კარგად ისარგებლეს. როცა მსგავსი ფაქტების რიცხვმა დღითი დღე იმატა, გადავწყვიტეთ, რაიმე ზომები მიგვეღო. სწორედ ამ მიზნით, სასწრაფოდ შევზღუდეთ ტრანზაქციები (თანხის დარიცხვის პროცედურა). ამ თაღლითური ბუმის პერიოდში იყო შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ნომერზე, დღის განმავლობაში 20-30

ტრანზაქცია ხდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, თვალში საცემი და დამაეჭვებელი გახლდათ. შეზღუდვების შემდეგ, თაღლითები 5 ტრანზაქციის მეტს ვეღარ ახერხებენ. მსგავსი ქმედებებისგან აბონენტთა დაცვის მეორე მექანიზმი ინფორმაციის გავრცელება გახლავთ: დავიწყეთ ერთგვარი სარეკლამო კამპანია, გადავიღეთ რამდენიმე კლიპი, რომლებიც ამ კონკრეტულ პრობლემას ეხება და აბონენტებს აფრთხილებს, რომ კომპანია არაფერ შუაშია და ყოველივე ამას თაღლითები აკეთებენ. სხვათა შორის, ორივე მექანიზმმა გაამართლა — შემთხვევების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

— მაგრამ ფაქტია, რომ ისინი მაინც მოქმედებენ. როგორ უნდა მიხვდეს აბონენტი, რომ მას თაღლითი დაუკავშირდა და არა — კომპანიის წარმომადგენელი?

— პირველ რიგში, ნომერს უნდა დააკვირდეს. თუმცა, პრობლემას სწორედ აქ ვაწყდებით. თაღლითებმა კარგად იციან, რომ კომპანიას საკუთარი მოკლე ნომრები აქვს. ამიტომაც, ერთგვარ თადარიგს იჭერენ და ამ ნომერს, აბონენტის თვალის ასახვევად, ტექსტში კრეფენ, ანუ მოკლე ნომერი არა გამომგზავნის გრაფაში, არამედ თავად ტექსტში წერია. მაგალითად, 526 და შემდეგ, სიტყვები — „თქვენს ანგარიშზე დაირიცხა თანხა...“ ამ დროს აბონენტი იბნევა — რადგან კომპანიის ნომერი თვალში ხვდება, შეტყობინების სისწორეში ეჭვი აღარ ეპარება და თაღლითის ანკესზე ეგება. ამ დროს, ყურადღება სწორედ გამომგზავნის გრაფას უნდა მიაქციონ (იქ კერძო ნომერი არ უნდა ეწეროს). კლიპში ამაზეცაა ლაპარაკი.

— წამახალისებელი გათამაშების დროს, კომპანია თავად იჭერს თადარიგს და აბონენტის ნომერს მთლიანად არ აცხადებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თაღლითობის საშიშროება რეალურად არსებობს. რა კონკრეტული ფაქტები დაფიქსირდა და რა მეთოდით მოქმედებენ ლატარიით დაინტერესებული თაღლითები?

— საშიშროება, რა თქმა უნდა, რეალურია. ამიტომაც ვცდილობთ, აბონენტის ნომერი მთლიანად არ გამოვაჩინოთ, რათა მას რომელიმე თაღლითი არ დაუკავშირდეს და შეცდომაში არ შეიყვანოს. ყოფილა შემთხვევები, როცა თაღლითებს ამ გზითაც მიუღიათ გარკვეული თანხა. მოკლედ, ყველაფერი ადამიანის მიხვედრილობაზეა დამოკიდებული: ზოგი ადვილად ტყუვდება, ზოგი მაშინვე ხვდება, ვისთან აქვს საქმე, ზოგი კი ისე იბნევა, რომ ზედიზედ რამდენჯერმე ებმება მახეში. ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, თაღლითი რეკავს და აბონენტს ეუბნება, — ავტომობილი მოიგე, მაგრამ იმისთვის, რომ მანქანა წაიყვანო, მითითებულ ნომერზე თანხა უნდა დარიცხოო. არის უფრო სერიოზული შემთხვევებიც: თაღლითი აბონენტთან საუბრის დასაწყისშივე ხვდება, თუ როგორ უნდა ელაპარაკოს მას და რა გზით მოატყუოს. თუკი ხედავს, რომ მიზანს იოლად ვერ მიაღწევს, სიტუაციას მეტი სერიოზულობით ნიღბავს. მაგალითად, ეუბნება, — მე ვარ კომპანიის წარმომადგენელი. გათამაშებაში თქვენ მოიგეთ ავტომობილი. გილოცავთ, პრიზის წაღება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მაგრამ საჭიროა, ახლავე გადაიხადოთ მანქანის განბაჟების ან გადაფორმების თანხა, რის შემდეგაც, თანხა უნდა დარიცხოთ ამ ნომერზე... აქედან გამომდინარე, თაღლითების მოქმედების წესები და გზები აბონენტის ინტელექტუალურ დონეზეა დამოკიდებული. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ეს მართლაც ასეა... რაც შეეხება ნომრის დაფარვას, დღეს ეს სირთულეს არავისთვის წარმოადგენს, რადგან ასეთ სერვისს კომპანია აბონენტებს თავად სთავაზობს და გარკვეული, დაწესებული საფასურის გადახდის შემდეგ, დაფარული ნომრის გააქტიურება ნებისმიერ აბონენტს შეუძლია. თუ აბონენტმა ზარი ან SMS დაფარული ნომრიდან მიიღო, ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია, კომპანიას მიმართოს და დეტალური ამონაწერი მოითხოვოს, სადაც ნომერი გაიშიფრება და კავშირის დროც დაფიქსირდება. ეს თავად თაღლითებმაც კარგად იციან და ამიტომ, ამ სერვისის გასააქტიურებლად აღარ იხარჯებიან.

— რამდენად ხშირად ხდება თაღლითთა გამოვლენა და ამ მხრივ, თანამშრომლობს თუ არა კომპანია შს სამინისტროსთან?

— ჩვენ თაღლითების გამოვლენა არ გვევალება. თაღლითობის შედეგად დაზარალებულმა აბონენტმა არა კომპანიას, არამედ სამართალდამცავ უწყებას უნდა მიმართოს. რა ნომრიდან და რა დროს განხორციელდა ზარი? ვისზეა ნომერი გაფორმებული? — ყველაფერ ამას, დაზარალებული პირის განცხადების საფუძველზე, სამართალდამცველები არკვევენ. ჩვენ უბრალოდ, შეგვიძლია, მათ მხოლოდ ინფორმაციულად დავუჭიროთ მხარი.

დაზარალებულები, როგორც ირკვევა, პირველ რიგში, კომპანიებს მიმართავენ და არა — სამართალდამცველებს. თავის მხრივ, არც კომპანიები ერევიან სხვის უფლებამოსილებაში და არც ინიციატივას იღებენ საკუთარ თავზე — პრობლემას მხოლოდ იმ დოზით ებრძვიან, რა დოზითაც თავს ივალდებულებენ. შს სამინისტროში, თაღლითობის ამ კონკრეტული სახეობის შესახებ, დეტალურ ცნობებს ვერ გვაწვდიან. მაგრამ აშკარაა, აღიარება იმისა, რომ დანაშაული სახეზეა, ის კი ფაქტობრივად, დაუსჯელი რჩება, სამართალდამცველებს არ სურთ. ისინი კითხვებზე პასუხებს გაურბიან, ამასობაში კი თაღლითების მსხვერპლთა სია იზრდება... ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 94

ჩვენი მკითხველი

„გამარჯობათ. გთხოვთ, ეს მადლიერების გამომხატველი წერილი დამიბეჭდოთ, რათა ხალხმა გაიგოს, რომ გულისხმიერების გრძნობა კიდევ შერჩენია ქართველ ერს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიკეთეს აკეთებენ. პედაგოგი გახლავართ, თანაც, დევნილი. ჩემს 3 თვის მარიამს თრომბოციტოპათია დაუდგინეს და „იაშვილში“ ვწევართ (მესიჯი რამდენიმე კვირის წინ მოგვივიდა. _ ავტ.). ბავშვს ძვირად ღირებული პრეპარატები და გამოკვლევები სჭირდება, რისი საშუალებაც არ მაქვს. სიტუაციიდან გამოსავალს ვეძებდი. ჰოდა, ახლობელმა ბატონი კობა სუბელიანის ტელეფონის ნომერი დამიმესიჯა. მითხრა, _ ამ ნომერზე მესიჯი მისწერე და აუცილებლად გიპასუხებსო! მერიდებოდა, მაგრამ მაინც გავბედე. ამ დროს, ბატონი კობა პანკისში ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 5 წუთში მიპასუხა: ხვალ დამირეკეო. მეორე დღეს მისი გარემოცვიდან დამირეკეს და დახმარებას შემპირდნენ, ონკო-ჰემატოლოგიური ცენტრის გამგესაც ესაუბრნენ. მისმა მოადგილემ დამირეკა და საბუთების მიტანა მთხოვა. ძალიან დიდი მადლობა, ნუგეშისა და თანადგომისთვის. ბატონო კობა, მხოლოდ თქვენ და სოზარ სუბარს გენდობით. ვიცი, ბევრი ადამიანი გლოცავთ და უფალი მუდამ დაგიფარავთ, ჩვენს საკეთილდღეოდ. პატივისცემით, ეკა“.

„გარიგების“ დაწყებული მეგობრობა

მსახიობები ნანული სარაჯიშვილი და გოგა პიპინაშვილი ზაზა კოლელიშვილის ფილმის, „გარიგების“ გადაღების დროს დამეგობრდნენ. ამ ფილმმა მათ დიდი პოპულარობა მოუტანა. ნანული სარაჯიშვილს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ოქროს არწივი“ მიანიჭეს. ბატონმა გოგამ და ქალბატონმა ნანულიმ „გარიგებაზე“ მუშაობის პერიოდი სიამოვნებით გაიხსენეს.

„ნანულის შემოევლოს ჩემი სიცოცხლე“...

მარეხ ჭონიშვილი

ნანული:

— მე და გოგას დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. გოგა პირველად კინომსახიობთა თეატრის სცენაზე ვნახე. ძალიან მომეწონა და მაშინ ვინატრე, ნეტავ, ასეთი კარგი მსახიობი ჩვენს თეატრში თამაშობდეს-მეთქი... მერე კი ისე მოხდა, რომ „გარიგებაში“ ერთად გადაგვიღეს.

გოგა:

— მე კი ნანული უფრო ადრე, ბავშვობაში მყავს ნანახი (*იცინიან*), ფილმ „მანანას“ ვგულისხმობ. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მასთან ერთად, კინოში გადამიღებდნენ და ასეთი კარგი მეგობრები გავხდებოდით. ნანული დიდი ბიოგრაფიის მქონე ადამიანია. ის სესილია თაყაიშვილს, „ბებიას“ ეძახდა, სანდრო ჟორჟოლიანს ხელჩაკიდებული დაჰყავდა. ასეთი ადამიანები დღეს საქართველოში ერთეულები არიან. ნანული დიდი მსახიობია და მეამაყება, რომ შემოქმედებითად ერთად ვიმუშავეთ.

— რას იტყვით ფილმ „გარიგებაზე“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოგიტანათ?

გოგა:

— „გარიგება“ ზაზას სადიპლომი ნამუშევარი იყო. მასზე მუშაობა ხუმრობით დავიწყეთ და ძალიან კარგი ფილმი გამოვიდა. ზაზამ, გადაღებას რომ იწყებდა, მითხრა: წამოდი, ფილმი თუ არ გამოვიდა, ღვინის სმას მაინც გასწავლიო.

ნანული:

— გადაღებები თელავში მიმდინარეობდა. არაჩვეულებრივი ჯგუფი შეიკრიბა. კარგი სცენარი იყო და ფილმიც კარგი გამოვიდა.

გოგა:

— ნანულის, გარდა იმისა, რომ პროფესიონალი მსახიობი და კარგი მეგობარია, იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობაც აქვს. ჩვენ შორის უწყინარი ხუმრობები მოდის.

ნანული:

— ფილმის გადაღება რომ დაიწყო, „მოსკვიჩი“ ახალი ნაყიდი მყავდა. თელავში ჩემი ახალთახალი მანქანით წავედი. როგორც საკუთარ შვილს, ისე ვუვლიდი, თითქმის ყოველ წუთში ვწმენდდი, მოკლედ, თან ვყვებოდი. გოგას ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამორჩენია.

გოგა:

— მთელმა თელავმა იცოდა, რომ მსახიობები ვიყავით ჩასულები. ერთი ავტოინსპექტორი გადამეკიდა, ნანული გამაცანი, ძალიან მომწონს და „ბალღობიდან შავტრფიო“. ვუთხარი, არ იზამს, ძალიან უკარებაა, ხომ ხედავ, მთავარ როლს ვთამაშობ და მეც კი ზედ არ მიყურებს-მეთქი. არა, გამაცანი და მაგარ პურმარილს ვკისრულობო. ეს ხუმრობით. ისე კი, რომ დავინახე, ნანული როგორ უვლიდა თავის მანქანას, გადავწყვიტე, გავხუმრებოდი და საღამოს ჩემი და ნანულის მანქანის ნომრები შევცვალე (ავტოინსპექტორს წინასწარ მოველაპარაკე, საქმის კურსში იყო). გადაღებაზე რომ მივდიოდით, იქ უნდა ჩაგვევლო, სადაც ეს ავტოინსპექტორი იდგა, ამიტომ, ნანული ვერაფერს მიხვდა. დილით, ჩვეულებრივად, გადასალები მოედნისაკენ გაეშურა, გზაში კი ინსპექტორმა გაჩერა, საბუთები მოსთხოვა და უთხრა: ქალბატონო, მანქანა მოპარულია და განყოფილებაში უნდა წამობრძანდეთო.

ნანული:

— ისე მიმტკიცებდა ეს ინსპექტორი, დავეჭვდი, მართლა სხვის მანქანაში ხომ არ ჩავჯექი-მეთქი. ამიტომ, შევამოწმე — მექსიკური ქუდი მქონდა, რომელიც გასტროლებიდან ჩამოვიტანე და ყოველთვის მანქანაში მედო. შევიხედე და ქუდი ადგილზეა.

გოგა:

— ავტოინსპექტორმა იმდენი მოახერხა, რომ ნანული განყოფილებაში მოიყვანა. იქ კი მას გაშლილი სუფრა დავახვედრეთ.

ნანული:

— ძალიან გავბრაზდი, გოგას ერთი კვირის განმავლობაში ხმას არ ვცემდი.

— მერე, როგორ შეირიგეთ, ბატონო გოგა?

— სასტუმროში, სადაც დავბინავდი, ჩემი ოთახი გავარემონტე. მინდოდა, ნორმალურ პირობებში მეცხოვრა. რემონტს რომ მოვრჩი, „წითელი ლენტი“ გავჭერი და კარგად ვიქეიფეთ. ნანული იმ ქეიფის დროს შევირიგე. ოთახს რომ ვარემონტებდი, ერთხელ სასტუმროს დირექტორი მოვიდა და მითხრა: რომ წახვალ, ამას ხომ დამიტოვებო? გადაღებები დამთავრდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, კვლავ მომიწია იქ ჩასვლამ და ვხედავ, დირექტორს ჩემს ოთახში კაბინეტი აქვს მოწყობილი...

— რა ხდებოდა ფილმზე მუშაობისას?

გოგა:

— ხომ გახსოვთ ის კადრი, სადაც ნანული კიბეზე მჯდარი ტირის?! ამ კადრის გადაღებისას, გამოგვიცხადა: ცოტა ხანს მადროვეთ, მოვემზადები და ვიტირებო, მაგრამ ეს მომზადება დიდხანს გაუგრძელდა. ვხედავ, რომ ვერ ტირის. მოპირდაპირე მხარეს კაცი ხილ-ბოსტნეულს ყიდდა. გადავირბინე, ერთი თავი ხახვი გამოვართვი, შუაზე გავჭერი, ნანულის ზურგიდან მივეპარე და თვალებში ამოვუსვი. ცრემლები წამოუვიდა, თუმცა მანამდე ბევრი იკივლა. ეს კადრი ასე გადავიღეთ. ასევე საინტერესო იყო იმ კადრის გადაღებაც, სადაც მე მდინარეში ვქეიფობ. იმ დღეს, მარტო ნანულის იღებდნენ, მე კი დილიდან, საქეიფოდ შუამთაში წავედი. მაგრად ვიქეიფე. იქიდან წამოსულს გზაში გადამღები ჯგუფი შემხვდა. ზაზამ რომ დამინახა, ნასვამი ვიყავი, გაუხარდა და მითხრა: სწორედ ნასვამი მჭირდები ერთ-ერთი სცენის გადასაღებადო. ალაზნის პირას, რესტორანთან გავჩერდით. უმშვენიერესი გარემო იყო. შუა მდინარეში მაგიდა იდგა. ნანულიმ და ნათიამ (*ნათია — ზაზა კოლელიშვილის მეუღლე და სცენარის ავტორი. — ავტ.*) მაღაზიაში 3 მანეთად



„გარიგებაზე“ მუშაობა ხუმრობით დავიწყეთ და ძალიან კარგი ფილმი გამოვიდა

ვის რად უნდა და ისევ ძველ სიყვარულს მაკითხავს, ჩემით ტკბება. გოგო, ლენას ხომ არ დაურეკავს? ჩემკენ აღარ გამოჩენილა.

— ეჰ, არც ჩემთვის დაურეკავს. ეტყობა, პრობლემები აქვს, არადა, რა გოგო იყო! მაგას ასეთი ქმარი უნდა ჰყოლოდა? გახსოვს, „რუსთაველზე“ რომ გავივლიდით, ბიჭებს რა ემართებოდათ! ახლა კი ვის რა ჭირად ვუნდივართ?!

— ჩვენი ბრალია ყველაფერი, თორემ ახლა კაცები ხელისგულზე უნდა გვატარებდნენ. სად იყო თავში ჭკუა?.. მოიცა, მგონი, კაკო მოვიდა. მერე დაგირეკავ, ლამაზო, თორემ ხომ იცი, არ უყვარს, ტელეფონზე რომ ვჭორაობ.

— კარგი, კარგი, „ცელუიუ“, და აბა, შენ იცი, ახალგაზრდობა გაიხსენე.

— მეც გკოცნი, „ლასტოჩკა“...

ჩემი მეორე „მსხვერპლი“, მოდას აყოლილი მეგობრები არიან. მათი დახმარებით, მოდური ტენდენციების შესახებ ბევრი რამ გავიგე...

— ნინომ მითხრა, რომ მაგარ შარვალს შემიკერავს, მაგრამ არ ვიცი, „ზევით“ რა ჩავიცვა.

— ე.ი. მაინც გადაწყვიტე, რომ შარვალი ჩაიცვა?

— ჰო, აბა, რა ვქნა? ხომ იცი, მაღალწელიანი იქნება, თითქმის მკერდამდე მომწვდება.

— ქამარიც არ დასჭირდება, არა?

— ჰო, ალბათ. მგონი, ზევით, კორსეტს ჩავიცვამ. გოგო, ყელსაბამის საყიდლად გამომყვები? თეთრი ქვებით გაწყობილი კოლიე მინდა. ხომ იცი, მაგრად მევასება.

— გამოგყვები, მაგრამ არ ვიცი, როდის მოვიცლი. მე ედისთან ვიკერავ ვერცხლისფერ კაბას. მაგრად ბრჭყვიალებს.

— გრძელია? ხომ იცი, ახლა „მინებია“ მოდაში.

— კი, მაგრამ გამოსასვლელ კაბას სიგრძე უხდება. მაგარ შავ ქამარს მიკერავს, სუფთა ტყავისგან.

— თეძოზე არ „ჩამოაგდებინო“, მკერდთან გაიკეთე. კარგი ტანი გაქვს და მოგიხდება... მე კიდევ ვერ გადავწყვიტე, ეს მელირება გავიკეთო თუ არა...

მათ საუბარში ვიღაც ბიჭი ჩაერთო:

— ალო, ალო...

— ბატონო?..

— დაკიდე, გოგო, ტელეფონი, რა.

— შენ თვითონ დაკიდე, დეგენერატო!

— შენ ჩაგვერთე და ჩვენ გვეჩხუბები?!

— რით ვერ მოიფხანეთ ენები?! 2 საათია, გისმენთ და თქვენ გამო ვერსად ვრეკავ.

— გარეკილი გაქვს და ეგაა (*იცინიან*).

— გოგო, დაკიდეთ ყურმილი, თორემ ენას ამოგაძრობთ!

— ფეხებს მოგვჭამ ძირში!

— ბიჭო, ვისი ხარ, ასეთი მაღალი და „ცისფერი“?

— გოგო, თქვენ რა უბნელები ხართ?

— რა შენი საქმეა?!

— ნინ, სახლის მისამართიც ხომ არ გავუმხილოთ? რა იცი, რაში გამოგვადგება.

— მე თქვენ „ნოტებზე“ გაღადავებთ, თქვენი...

— ჩვენი კი არა, შენი!.. ბიჭო, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა?! მგონი, ავადმყოფი ხარ და ჩვენ გადაგვეკიდე.

— წადი, სხვა იპოვე. იქნებ გიმკურნალოს (*იცინიან*).

— ფუი, თქვენს ქალობას, თქვენი!..

— ბიჭო, წესიერად ილაპარაკე, გესმის?!

— კაი, ნინ, ტყუილად ლაპარაკობ, მგონი, შეგვეშვა. რას ამბობდი?

— ავადმყოფი იყო, დეგენერატი. ჰო, თმას სად იკეთებ? მე ვართენასთან ვაპირებ მისვლას. ასე მითხრა, შენს თმას ბუნებრივად აწეწილი „პრიჩო“ მოუხდებაო.

— აუ, მეც ჩამწეროს, რა. მაგარ რაღაცებს აკეთებს. დაურეკავ?

— კარგი, ხვალ ჩაგწერ. იცი, ახლა იაკოს ველაპარაკე და მგონი, ბანკეტზე მაგარი ბანძი იქნება. სკოლასთან რომ სამკერვალოა, იქ იკერავს. ალბათ, ფაშფაშა კაბას შეუკერავენ, ყვითელი კოპლებით (*იცინიან*). აუ, გიოს, ძმამ მაგარი ფეხსაცმელი გამოუგზავნა, მრგვალი ცხვირით. მაგარი საყვარლობაა.

— იტალიური თუა, მაგარი იქნება. კოსტიუმიც გამოუგზავნა?

— არა, შენი ზომები მე რა ვიციო?! ფული გამოუგზავნა და აქ იყიდის. ხვალ მაღაზიაში უნდა გავყვე. ხომ იცი, რომ მევასება კოსტიუმი და ჰალსტუხი და იცის, რომ მსგავს რაღაცებში ვერკვევი. არ გინდა, შენც წამოხვიდე?

— კარგი, წამოვალ. რომელ საათზე და სად მოვიდე?

— 12-ის ნახევარზე, „პასაჟთან“ დაგელოდებით.

— „პაკა“.

— „პაკა“, „პაკაკაა“...

არ ვიცი, დედა-შვილის ჩხუბის მოსმენით რამდენად გაერთობით, მაგრამ მათი ლაპარაკის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

— ხომ გაიგონე, რასაც გელაპარაკები?! მამაშენს გადაეცი, რომ მარტო შენ არ ხარ მისი შვილი, შენს დასაც სჭირდება მიხედვა.

— ისევე, როგორც მე მჭირდებოდი ერთ დროს. ახლა, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— შენი და არ გენატრება?

— მას არ ვენატრები? მოვიდეს და მნახოს.

— ის შენზე პატარაა...

— თითზე არ მიკბინოს, რა!.. ქალო, თავი დაგვანებე, თორემ მამა თუ არა, ჭკუას მე გასწავლი.

— გიო, მე დედა ვარ შენი და მიყვარხარ...

— დედა — არა... შენნაირი დედა არ მჭირდება.

— ასე ნუ მელაპარაკები!

— აბა, როგორ გელაპარაკო? მიგვატოვე და ახლა უსინდისოდ ითხოვ, რომ გარჩინონ. იმან გარჩინოს, ვინც გვამჯობინე.

— მე მამაშენმა მაიძულა, ასე მოვქცეულიყავი.

— შენი მოსმენა არ მინდა, იცოდე, ჭკუიდან გადამიყვან. აქ აღარ დარეკო!

ბიჭმა ყურმილი დაკიდა, დედამისი კი დიდხანს გაიძახოდა: შვილო, შვილო, შვილოო! — მერე კი ტელეფონი მანაც გათიშა. კარგა ხანს ვფიქრობდი ამ დედა-შვილზე, მინდოდა, მათი ცხოვრების დეტალებსაც ჩავწვდომოდი, მაგრამ უეცრად, ვიღაც კაცის ყვირილმა რეალობაში დამაბრუნა:

— ვინ ხარ, შენი!.. დაკიდე-მეთქი ყურმილი, თორემ ისეთს გაგინებ, აუცილებლად მოგივა.

უცებ ვერ მივხვდი, ეს კაცი ვის ეჩხუბებოდა და სულგანაბული ვუცდიდი იდუმალ ხმას, რომელიც ამ კაცს დააშოშმინებდა, მაგრამ რადგან მას არავინ გამოეპასუხა, მივხვდი, რომ მისი გულისწყრომა მე დავიმსახურე და ტელეფონი სასწრაფოდ გავთიშე.

დამერწმუნეთ, გაუმართავი სატელეფონო ქსელის „წყალობით“, ბევრ ისეთ ამბავს შეიტყობთ, რაც გაგაოცებთ, სიცილისგან „აგაყირავებთ“ და სიმწრისგან ენას მუცელში ჩაგაგდებინებთ. ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო ბევრჯერ გამლანძღეს უცნობმა ადამიანებმა, ბევრჯერ კი სიყვარულით მომიკითხეს, რადგან თავიანთ ახლობლად მიმიჩნიეს და საიდუმლოებებიც გამანდვეს. ისიც გავიგე, რომ ასეთი „საუცხოო“ კავშირის მეშვეობით, ბიჭები გოგოებზე (და პირიქით) „ნადირობენ“ და საპირისპირო სქესის წარმომადგენლების „შებმასაც“ ახერხებენ. შესაძლოა, ამ გზით ოჯახებიც კი შეიქმნა და თუ თქვენ მსგავსი შემთხვევების შესახებ რაიმე იცით, დაგვიკავშირდით — სიამოვნებით დაგითმობთ ჟურნალის ფურცლებს...

ლეონარდო და ვინჩის ხორცშესხმული ოცნება

შვეიცარიელმა ოლივიე ვიტე-ტეპმა ლეონარდო და ვინჩის ოცნებას შეასხა ხორცი: გულადი გამომცდელი დიდი შემოქმედის ნახაზების მიხედვით დამზადებული პარაშუტით 650 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და დედამიწაზე უვნებლად დაეშვა. ეს აპარატი და ვინჩიმ 1485 წელს გამოიგონა. პირამიდის ფორმის პარაშუტი ერთმანეთის ტოლი, ოთხი სამკუთხა ტილოს ნაჭრისგან შეიკერა. და ვინჩის პარაშუტით გადმოხტომა პირველად 2000 წელს ბრიტანელებმა სცადეს. მათ გამოჩენილი იტალიელის გამოგონება ზუსტად გაიმეორეს, მაგრამ ექსპერიმენტი კინალამ ტრაგედიით დასრულდა. შვეიცარიელმა კონსტრუქტორებმა ბრიტანელთა გამოცდილება გაითვალისწინეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

ამაკა ლომაშვილის ინტერლოქტი და მისი საყვარელი წიგნი

ცნობილი პაროდისტი და გლდანის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი, **ამაკა ლომაშვილი** „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. როგორც თავად მითხრა, — საინტერესო წიგნებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით კითხულობს. კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ ის წიგნია, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ლიტერატურული პერსონაჟებიდან, არსენა მარაბდელთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს. მას პროზა და პოეზია თანაბრად უყვარს. შოთა ნიშნიანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, მორის ფოცხიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, იოსებ ნონეშვილი — ეს იმ პოეტთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ლექსებსაც ყოველდღე კითხულობს და ცალკეული სტროფები ზეპირადაც ახსოვს. პაროდისტი, ჩვენი მკითხველისთვის, ერთ-ერთ მათგანს იხსენებს: „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,/ ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,/ წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,/ თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

„ჩემი და ბუასტის აზრები ერთმანეთს ემთხვევა...“

თამუნა კვინიკაძე

— **ეს ცნობილი ქალაქი ამერიკაში მდებარეობს. ამბობენ, რომ იგი მაფიამ ააგო და მასში უფრო მეტი მლოცველია, ვიდრე — მექაში. რომელი ქალაქია ეს: ბოსტონი, ლას-ვეგასი თუ ატლანტა?**

— ლას-ვეგასი.

— **რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან?**

— ფარსმან I; მას რომში ძეგლიც დაუდგეს.

— **1815 წლის 1-ელ მარტს, ათასკაციანი რაზმი სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროდან პარიზისკენ გაემართა. 20 მარტს ისინი უკვე პარიზში იყვნენ. ისტორიაში ეს ფაქტი „100 დღის“ სახელით შევიდა. რომელ ისტორიულ მოვლენაზეა ლაპარაკი?**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებთ.

— **მიგანიშნებთ, ეს ისტორიული მოვლენა ნაპოლეონის სახელს უკავშირდება.**

— გამახსენდა: როცა ნაპოლეონი კუნძულ ელბიდან დაბრუნდა, მისი მმართველობა 100 დღეს გაგრძელდა.

— **დაასახელეთ რელიგია, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნეში, ინდოეთში აღმოცენდა, შემდეგ კი მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. იგი მისი დამაარსებლის სახელით იწოდება.**

— ამ რელიგიის მიმდევრები დღესაც არიან?

— **დიახ.**

— ბუდიზმი.

— **რა სახელწოდებითაა ცნობილი ინგლისელ ფეოდალთა შორის ატეხილი ბრძოლა, 1469-1485 წლებში?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებთ, ამ ბრძოლაში ლანკასტერების დინასტიის გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული; ხოლო მათი მოწინააღმდეგე იორკების გერბზე — თეთრი.**

— ვარდები იქაც აქტუალური ყოფილა (*იცინის*). ვერ გიპასუხებთ. რაც არ ვიცი — არ ვიცი.

— **ვარდების ომი. ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის შემდეგ, ესპანელები თავიანთ ფეხბურთელებზე ისე გაცოფებულან, რომ სარეკლმო პლაკატები იმ ღამესვე ჩამოუხსნიათ. დილით მხოლოდ ბრაზილიური ყავის რეკლამები იყო ხელუხლებელი, საიდანაც იცქირებოდა...**

— პელე.

— **„დიდი“, „რეგვენი“, „კისკასი“, „მცირე“ — ვინ იყვნენ ისინი?**

— (*ფიქრობს*) „დიდი“ და „რეგვენი“ მეფეები იყვნენ, მაგრამ „კისკასი“ და „მცირე“ — არ ვიცი.

— **სწორი პასუხია — მეფე-მთავრები. „დიდი“ — გურგენ IV, „რეგვენი“ — ბაგრატ II, „კისკასი“ — აშოტ IV და „მცირე“ — გიორგი VI. დაასახელეთ ვენესუელის დედაქალაქი.**

— კარაკასი.

— **ინდიელები მას „უნივერსალურ მაღაზიად“ მოიხსენიებენ: მისი ფოთლებით ქოხებს ხურავენ, ნაყოფს საკვებად იყენებენ, ღეროსგან — ავეჯს, ხოლო წვენისგან ღვინოს ამზადებენ. რას უწოდებენ ინდიელები „სიცოცხლის ხეს“?**

— ჩემი აზრით, ეს ქოქოსის პალმა უნდა იყოს. მაგრამ პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— **თქვენი პასუხი სწორია. რომელი სახელმწიფოს დროშაზეა გამოსახული თეთრი ჯვარი წითელ ფონზე?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **შვეიცარიის. სანდრო ბოტიჩელი, მიქელანჯელო ბუონაროტი, ტიციანი, ლეონარდო და ვინჩი — რა აქვთ მათ საერთო?**

— მხატვრები არიან (*იცინის*).

— **გარდა მაგისა?**

— სხვა რა საერთო უნდა ჰქონდეთ? (*ფიქრობს*) გამოვიცანი: იტალიელები არიან. ამას გულისხმობდით?

— **დიახ. ვინ არის ავტორი ქანდაკებისა — „კიდევაც დაიზრდებიან“?**

— ამაშუკელი.

— **ცდებით. სწორი პასუხია მერაბ ბერძენიშვილი. რომელ ოკეანეშია კუკის კუნძულები?**

— წყნარ ოკეანეში.

— **რომელმა მოგზაურმა გამოიგონა აკვალანგი?**

— ვიცი, არ შემახსენოთ! მისი გვარი უნდა გავიხსენო... (*ფიქრობს*) ჟაკ ივ კუსტომ.

— **ყოჩაღ! 1872 წელს, თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ, ერთ-ერთი უბნის ტერიტორია 2 ნაწილად გაიყო! რკინიგზის აღმოსავლეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართვოდ იკავებდა და სახლდებოდა. რა ეწოდა ახალ უბანს?**

— როგორც ვხვდები, ნაძალადევს გულისხმობთ.

— **როგორ მოიხსენიებდა სულხან-საბა თინეიჯერს?**

— ყმაწვილი.

— **ცდებით, ნინელი. რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?**

— ვერ გეტყვით.

— ესპანეთის. რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?

— არ ვიცი.

— ეს ჩანჩქერი ცნობილია, როგორც...

— (*მაწყვეტინებს*) გამახსენდა, ეს ჩანჩქერია ვიქტორია.

— უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წასვლას აპირებთ. თუ იცით, რომელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახელმწიფო ხურალი?

— აზიის რომელიღაც ქვეყნის, მაგრამ ზუსტად არ ვიცი.

— მონღოლეთის. „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავერა“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — ამ ოპერებიდან, რომელი არ არის ზაქარია ფალიაშვილის?

— (*ფიქრობს*) „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ეს დიმიტრი არაყიშვილის ოპერაა.

— მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?

— არ ვიცი.

— ეგეოსის ზღვას. რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ ნიკიტა ხრუშჩოვს და ვასილ მჟავანაძეს?

— არც ეს ვიცი.

— მათი მეუღლეები დები იყვნენ. რომელ ქვეყანაში უნდა იმოგზაურო, რომ სფინქსის ქანდაკება ნახო?

— ეგვიპტეში.

— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი, სადაც 1203 წელს, საქართველოს სამეფო ლაშქარი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ იბრძოდა?

— თურქეთის.

— „ჭინკები“, „ძაღლი“, „მონატრება“, „კორიდა“, HELLADOS — ვინ არის ამ მოთხრობების ავტორი?

— ნოდარ დუმბაძე.

— „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით, რა გვარი იყო ილიკო?

— გავიხსენებ. (*ფიქრობს*) ილიკო ჩიგოგიძე.

— რომელი მოგზაური იკვლევდა პაპუასების ცხოვრებას?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიკლუხო მაკლაი. რა გვარია ბორის აკუნინი?

— ქართველია, გვარად ჩხარტიშვილი.

— რომელმა ამერიკელმა მწერალმა დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში?

— არ ვიცი.

— ო'ჰენრიმ. ვინ დააარსა პეტრიწონის მონასტერი და რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა დღეს იგი?

— ვინ დააარსა, ვერ ვიხსენებ, მაგრამ ვიცი, რომ დღეს იგი ბულგარეთის ტერიტორიაზეა.

— იგი ბიზანტიის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. რა ჰქვია შორენას მამას „დიდოსტატის მარჯვენაში“?

— ეს ჩემი საყვარელი ნაწარმოებია. შორენას მამა თალაგვა კოლონკელიძეა.

— 1952 წელს, სოციალისტურ შეჯიბრებაში II ადგილზე გასული კოლმეურნე ოქროს საათით დაჯილდოეს. რით დაჯილდოეს I ადგილზე გასული?

— არ ვიცი. შეიძლება, ნამგალი და ურო აჩუქეს (*იცინის*).

— I ადგილზე გასული, ლენინის სურათით დაჯილდოეს. რას გიწოდებდათ ძველი რომაელი, თუ მას მარათონზე შეხვდებოდით?

— მოწინააღმდეგეს.

— კონკურენტს. დაასახელეთ ნახევარკუნძული, რომელიც ყვითელ და იაპონიის ზღვებს შორისაა მოქცეული.

— ვერ გიპასუხებთ.

— კორეა. რა ეწოდება ეპოქას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის წარმოქმნიდან ეგვიპტის დაპყრობამდე?

— არ ვიცი.

— ელინისტური ხანა. რომელ ქალაქშია წმინდა სოფიას ტაძარი?

— სტამბოლში.

— რომელ წელს გამოცხადდა ვაშინგტონი ამერიკის დედაქალაქად?

— წელი ზუსტად არ მახსოვს.

— 1800 წელს. როდის შეღებეს თეთრად ამერიკის პრეზიდენტების რეზიდენცია?

— წელს ვერც ამჯერად დაგისახელებთ. ვიცი, რომ ამ შენობაში გაჩნდა ხანძარი, რის შემდეგაც ის თეთრად შეღებეს.

— და ეს 1812 წელს მოხდა. რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი — „გამოცანები“?

— (*ფიქრობს*) მამათა და შვილთა ბრძოლას.

— სად გარდაიცვალა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა?

— ხაშურთან ახლოს რომ არის, რა ჰქვია? (ფიქრობს). სურამში.

— ვისი სიტყვებია: „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი — საყვარელი“.

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, ეს მწერალი პროფესიით ექიმი იყო.

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— ჩეხოვი. სად მდებარეობს მამისონის უღელტეხილი?

— რაჭაში.

— რა ერქვა დიდუბეს V საუკუნეში: არწივის ბუდე, მგლის ხაფანგი თუ ცხენის ტერფი?

— ცხენის ტერფი.

— დედამიწა, მარსი, მერკური, ვენერა — ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე პატარა პლანეტა?

— მერკური.

— რა სახელით მოიხსენიება ძველ წყაროებში ეთიოპია?

— არ მახსოვს.

— აბისინია. რა ერქვა ძველ რომში მოქალაქეთა თავშეყრის ადგილს?

— თუ კარგად მახსოვს, ფორუმი.

— დიახ. რომელ ქალაქში აგებენ ყოველწლიურად ყინულის სასტუმროს?

— არ ვიცი.

— შვედეთში. რომელ ცნობილ ნაწარმოებს აქვს წამძღვარებული: „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო?“

— ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

— დიახ. ეს მხატვარი ტალეირანის უკანონო შვილი იყო.

— არ ვიცი. უკანონოს ვერაფერს ვიტან.

— ეს მხატვარი დელაკრუა გახლდათ. — დასრულეთ ბუასტის ცნობილი გამონათქვამი: „რამდენ კაცი დამუნჯდებოდა ქვეყანაზე, აკრძალული რომ იყოს თავისი თავის ქება და...

—„... სხვისი ძაგება“; ასეა?

— დიახ.

— ჩემი და ბუასტის აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ■

ერუდიტი +

გენიოსთა უნებური ხარჯი არცოდნას

როდესაც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი-გიგანტების — ისააკ ნიუტონის, მაიკლ ფარადეის, მიხაილ ლომონოსოვის ბიოგრაფიებს ეცნობი, არ შეიძლება ერთმა უცნაურმა დამთხვევამ არ გაგაკვირვოს: სიცოცხლის უკანასკნელი ათეული წლები მათთვის საკმაოდ ტრაგიკული იყო და სამივე მათგანი ერთნაირი სიმპტომების მქონე ავადმყოფობას უჩიოდა — უძილობას, დეპრესიას, აზრის აკვიატებას, შრომის უნარის ძლიერ დაქვეითებას. ფარადეის, ბოლო 15 წლის მანძილზე, მეხსიერება საერთოდ დაკარგული ჰქონდა.

რა შეიძლება ვიფიქროთ მათი თითქმის ერთნაირი დაავადებების და მძიმე ხვედრის შესახებ?

პასუხს ამ კითხვაზე შემდეგ „ერუდიტი +“-ში შემოგთავაზებთ.

პედაგოგი კრისტი და საუბრები ეთერში ანუ რას ნიშნავს დღეს ქართველი ძაძაკაცის პოლიუმზე ასვლა...

„მინდა, გაგაცნოთ ჩემი მოსწავლე, მეგობარი, ძმაკაცი, მოდელი და ახლა უკვე ჩემი გადაცემის იდეის ავტორი, პროდიუსერი და კოორდინატორი ლაშა ჯაფარიძე. სწორედ მისი წყალობით მოვხვდი ამ რადიოში“, — მითხრა მოდელმა კრისტიმ, რომელმაც რამდენიმე თვეა, რაც თავისი საქმის პარალელურად, რადიოწამყვანობას (ტალღაზე BEAT EF 100,3) მიჰყო ხელი და ყოველ ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე უძღვება გადაცემას — „კრისტი და მოდა“, რითაც დიდად კმაყოფილია. საუბარი ამ სიახლეზე მის პროდიუსერთან დავიწყე.

ლალი ფაცია

ლაშა ჯაფარიძე:

— ეს არის ძალიან პოპულარული და მოდური ტალღა, სადაც ჟღერს ხარისხიანი და გემოვნებიანი მუსიკა. ჰოდა, გამიჩნდა იდეა, რომ გაკეთებულიყო გადაცემა მოდაზე და ის წაეყვანა ისეთ ადამიანს, რომელიც ამ სფეროში ჩახედული და თან, ამ საქმის პროფესიონალი იქნებოდა. ასეთად კრისტი მივიჩნიე და მას მორიდებით შევთავაზე, — ხომ არ წაიყვან გადაცემას მოდაზე-მეთქი? ისიც სიამოვნებით დამთანხმდა.

კრისტი:

— გამოგიტყდებით და, ბოლო დროს, მეც მქონდა რადიოწამყვანობის სურვილი. ამიტომ, ლაშას წინადადება ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

— უკვე რამდენმე თვეა, რაც გადაცემა ეთერში გადის. ლაშა, როგორ გგონია, შენმა იდეამ — კრისტის წაეყვანა შენი პროექტი — გაამართლა?

— პირველსავე გადაცემის დროს დავინახე და მივხვდი, რომ კრისტი, როგორც პოდიუმზე, ასევე სტუდიაში, მიკროფონთანაც, როგორც პროფესიონალი, ისე გრძნობდა თავს. გადაცემა მართლაც, კარგად მიჰყავს. სტუმრად უამრავ საინტერესო ადამიანს ვიწვევთ და ბევრი მსმენელიც გვყავს... კრისტის ჩემს მოსაზრებებსა და შეხედულებებს ვუზიარებ ხოლმე, მაგრამ მაინც მინდა, რომ გადაცემაში მისი აზრი დომინირებდეს — ეს ხომ მისი გადაცემაა...

— პროგრამას ჰქვია — „მოდა და კრისტი“ ანუ საუბარი ძირითადად, მოდაზე იმართება. ამიტომ, მაინტერესებს, როგორია ამ პერიოდის მოდა? ადეკვატურად ასახავს თუ არა ჩვენს ბობოქარ ცხოვრებას — ანუ პოლიტიკური, კულტურული, საზოგადოებრივი ძვრები მოქმედებს თუ არა მასზე?

— რა თქმა უნდა, ასახავს... რატომღაც, ახლა გამახსენდა რამდენიმე წლის წინანდელი პერიოდი, როდესაც სამოდელო ბიზნესში საოცრად აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა. კვირა არ ჩაივლიდა, რომ თბილისში ერთი დიდი, საინტერესო ჩვენება არ გამართულიყო. დიზაინერი მაკა ასათიანი და მისი კომპანია ნაყოფიერად მოღვაწეობდა... ახლა ამ მხრივ სალაპარაკო და სატრაბახო ბევრი არაფერია...

ლაშა:

— მიმაჩნია, რომ მაკას ყველაზე კარგად აწყობილი მარკეტინგი და სერვისი ჰქონდა, რაც ყოველთვის მაოცებდა. საოცარი გემოვნება, დახვეწილი სტილი, უამრავი ადამიანის ერთად თავმოყრისა და შეკვრის უნარი მხოლოდ მაკას ჰქონდა. ამას ხმამაღლა და თამამად ვამბობ! კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მაკა ასათიანის ჩვენებას ყველა ქართველი დიზაინერი ესწრებოდა. სხვა მოდელიერების ჩვენებებზე კი ასეთი რამ ძირითადად, არ ხდება, რაც მათი დიდი ნაკლია. ჩვენებებს აგრეთვე უნდა ესწრებოდნენ ჟურნალისტები და პედაგოგები სამხატვრო აკადემიიდან, ისინი, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობენ და მომავალ დიზაინერებს ზრდიან.

კრისტი:

— დღეს ძალზე იშვიათად ტარდება ჩვენება. ბევრი ამბობს, — რა დროს მოდაა, ვის სცალია მაგისთვისო?!. ზუსტად ამიტომაც მინდოდა, ეს გადაცემა ეთერში გასულიყო — რომ ჩვენში არ დაავიწყდეთ ამ სფეროს არსებობა... იმის გამო, რომ ახლა ქართულ მოდას ერთგვარი ტაიმაუტი აქვს აღებული, წარსულის გახსენება გვიწევს... დღეს ამ ქალაქში რამდენიმე მოდის სახლია. მათ თავიანთი კლიენტები ჰყავთ, მაგრამ ისინი ჩვენებებისთვის აღარ იხარჯებიან, მხოლოდ ვიწრო წრისთვის მუშაობენ... საერთოდ, ეს საქმე, სამწუხაროდ, არ არის შემოსავლიანი. სპონსორებიც არ ჩანან.

— ამ სფეროში რაც იქმნება, იმაზე რას იტყვით?

— ჩვენში მოდის თავისებური პრინციპი მოქმედებს. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, დიზაინერები ხომ წინსწრებით, რამდენიმე თვით ადრე ქმნიან კოლექციებს?! საქართველოში კი კოლექციები და ჩვენებები სხვანაირად კეთდება. როდესაც დიზაინერი ნამუშევრებზე მუშაობს, ის ქმნის იმავე სეზონისთვის, როდესაც ჩვენებას აწყობს, რათა პროდუქცია მეორე დღესვე გაიყიდოს და არა — წინსწრებით...

ლაშა:

— საქართველოში პიარი, დიდი დოზით, დღეს რატომღაც მხოლოდ პოლიტიკაში გვხვდება. ავიწყდებათ, რომ არსებობს კიდევ სხვა სფეროებიც... არადა, ხალხი პოლიტიკისგან მართლა დაიღალა...

— ესე იგი, დღევანდელი ცხოვრება მოდის სფეროზეც ახდენს მძიმე გავლენას... საინტერესოა, თავად ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ, როგორ იმოსებიან — რამდენად გემოვნებიანად, თანამედროვედ და დახვეწილად აცვიათ?

ლაშა:

— საქართველო საერთოდ, ჩაცმის სტილით გამოირჩევა. ამას, სხვათა შორის, აღნიშნავენ ჩემი უცხოელი მეგობრები, რომლებიც აქ ჩამოდიან ხოლმე. მართლაც, ქართველებს ეფექტურად აცვიათ, ყურადღებას იქცევენ. გემოვნება აქვთ... თუმცა ჩვენებებზე მისული, მოდის მოყვარულების ჩაცმის კულტურა ჯერჯერობით დაბალ დონეზეა. რაღაც, გარკვეული სტილი არ არსებობს... არ იციან, რა უნდა ჩაიცვან, როგორ უნდა იყვნენ გამოწყობილები. ამ ყველაფერს ჩვენში ყურადღება არ ექცევა.

კრისტი:

— ზოგადად, თუ მასაზე ვილაპარაკებთ, ჩვენი ცხოვრების პირობების გათვალისწინებით, არც ისე ცუდად იცვამს ქართვე-

ლი ხალხი. 50%-ს აქვს გემოვნება, მაგრამ ბევრს აქვს ფული და არა აქვს გემოვნება... რა თქმა უნდა, არსებობენ გაჭირვებული ადამიანები, რომელთა ჩაცმის სტილზეც ვერაფერს ვიტყვით...

— კრისტი, ახლა მინდა, ლაშაზე, როგორც მამაკაც მოდელზე ვისაუბროთ...

— უკვე აღვნიშნე, რომ ლაშა ჩემი ნამოწაფარია. მისი, როგორც მოდელის დებიუტი, მაკა ასათიანის ერთ-ერთ გრანდიოზულ ჩვენებაზე შედგა...

ლაშა:

— მახსოვს, მაშინ ძალიან დაძაბული ვიყავი... კრისტიმ, შეიძლება ითქვას, რომ პოდიუმზე სიარული მასწავლა, ფეხი ამადგმევინა. ქალბატონმა ნატამ — „ნატალის“ ხელმძღვანელმა კრისტის მიმაბარა. მან კი, ისეთი გაკვეთილი ჩამიტარა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ყველაზე მთავარი მისი დარიგებიდან ის ჩამრჩა, რომ მაყურებელს თავი უნდა დავამახსოვრო.

კრისტი:

— მნიშვნელობა არა აქვს, პოდიუმზე ფეხს როგორ გადადგამ და გაივლი. მთავარი — ფსიქოლოგიური მომენტია. დამწყებმა მოდელმა პოდიუმზე არ უნდა ინერვიულოს, მოიხსნას სტრესი, გაიაროს თავისუფლად და მაყურებელს, რომელიც დარბაზში ზის, თავი მოაწონოს (ამას ვასწავლი „ნატალიში“ ყველა ჩემს მოსწავლეს), რაც ლაშამ კარგად აითვისა.

— ბევრია თქვენს სააგენტოში მოდელი მამაკაცი?

ლაშა:



პოდიუმზე სიარული კრისტიმ მასწავლა

— არც ისე. სამწუხაროდ...

— ქართველი მამაკაცი, ქართულ სინამდვილეში, ქართულ პოდიუმზე — ეს არ არის ჩვეულებრივი, ტრადიციული მოვლენა. როგორ მიგიღო არა მოდის სამყარომ, არამედ სამეგობრო წრემ? როგორ აღგიქვა საზოგადოებამ, როგორც მოდელი?..

კრისტი (ასწრებს):

— ლაშა მოხვდა საჭირო დროს, საჭირო ადგილას...

ლაშა:

— ჩემ მიმართ, რა თქმა უნდა, იყო კითხვები, რომლებსაც წესით, უნდა გაველიზიანებინე, მაგრამ მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია: ზოგს ჰგონია, თუ პოდიუმზე გამოდიხარ, აუცილებლად მამათმავალი ხარ... ცისფერი... იყო ასეთი შეფასებებიც. მაგრამ ჩვენს საქმეში ზოგჯერ „მოსულა“ ასეთი რამ: სულაც არ არის ადამიანი ცისფერი და იმისთვის, რომ ყურადღების ცენტრში მოექცეს, მის გარშემო განგებ იქმნება ასეთი პიარი...

— შენზეც თქვეს, ცისფერიაო?

— კი. აბსოლუტურად ყველა მამაკაცზე, ვინც ჩვენთან პოდიუმზე ავიდა.

კრისტი:

— აქ მინდა დავამატო ერთი რამ: სტატისტიკურად, მოდელი ბიჭები ცისფრები, როგორც წესი, არ არიან. ცისფრებად უფრო დიზაინერები გვევლინებიან... უცხოეთშიც ასეა... მე და ლაშა ერთად, ნუცა შანშიაშვილის კლიპში გადაგვიღეს, სადაც ლაშას გრძელი, შავი კაბა ჩააცვეს. არადა, ის ნანკა კალატოზიშვილს უნდა ჩაეცვა, მაგრამ რეჟისორმა უეცრად ასე გადაწყვიტა.

ლაშა:

— მახსოვს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემი ამ ნაბიჯის მიმართ: ეგონათ, ამას გავაპროტესტებდი... არადა, ჩვეულებრივად შევხვდი. აბა, რადგან კაბა ჩავიცვი, ესე იგი, რაღაც მჭირს?!. ეს არასწორი მიდგომაა.

— რაც შეეხება ოჯახს, — როგორ შეხვდა ის შენს მოდელობას?

— 9 წლის ვიყავი, მამა რომ დამეღუპა, სულ მალე კი — ბაბუაც. ისე მოხდა, რომ ოჯახში მამაკაცი მარტო მე დავრჩი. როცა ახლობლებიდან უფროსი მამაკაცი, როგორც საჭიროა, გვერდში ისე არ გიდგას და გრძნობ, რომ ოჯახი შენი ზურგით არის გასატანი, იღებ საკუთარ თავზე ამ ტვირთს. ამიტომ, იქიდან მოყოლებული, შრომას მიჩვეული ვარ.

— პროფესიით ვინ ხარ?

— ეკონომისტი. საბანკო-საგადასახადო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. თავიდან, 4 წელი, ბარმენის დამხმარედ ვმუშაობდი. 11-12 წლიდან დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე. სურვილი გამიჩნდა, ჩემით გამეკეთებინა საქმე და ცხოვრებაში რაღაცისთვის მიმეღწია.

კრისტი:

— საერთოდ, ლაშა დაუზარელი ადამიანია, შრომისმოყვარე და მიზანდასახული...

ლაშა:

— მერე ქალბატონმა ნატამ მთხოვა, — იქნებ, ჩემთან იმუშაოო, — რაზეც დავთანხმდი. მეც, ბიჭებს, ვინც ამ საქმით იყო დაინტერესებული, ყველას ერთად თავი მოვუყარე და ჩვენს სააგენტოში გავაერთიანე. სულ მქონდა და მაქვს იმის ამბიცია, რომ თუ სადმე რაიმე საინტერესო ჩვენება ტარდება, მონაწილეობა მივიღო. ძალიან ვბრაზდები, თუ იქ არ მიწვევენ. თუ ამა თუ იმ ჩვენებაზე 10 ბიჭი გამოჰყავთ, ერთ-ერთი მათგანი მე უნდა ვიყო...

— შენი უახლოესი ძმაკაცები და მეგობრები გაფასებენ?

— მათ უხარიათ ჩემი წინსვლა. ცდილობენ, გვერდში ამომიდგნენ. ყოველთვის უნდათ, რომ გავაცნო ჩემი მეგობარი, ლამაზი მოდელი გოგონები. მაგრამ ვეუბნები, რომ მამაკაცს უნდა შესწევდეს იმის ძალა და ჰქონდეს უნარი, რომ თვითონ მიაღწიოს ცხოვრებაში ყველაფერს. ამაში სხვისი დახმარება საჭირო არ არის. თუ ვინმე მომეწონება, სხვას არ დავიხმარ. აქვე გეტყვით, რომ შეყვარებული ვარ.

— ამდენი ლამაზი ქალის გარემოცვაში ყოფნა, მგონი, მამაკაცისთვის ადვილი არ არის...

— მათ მიმართ მეგობრული ვარ...

კრისტი:

— ლაშა მთელი სააგენტოს გოგონებს დაბადების დღეებს ულოცავს. არ არსებობს, რომ ვინმეს დაბადების დღე გამორჩეს.

ლაშა:

— ქალს ყურადღება ყოველთვის სიამოვნებს. მამაკაცმა კი ეს ქალის მიმართ არ უნდა დაინანოს.

— ლაშა, რას ფიქრობ, რატომ არ აქვთ ქართველ მამაკაცებს მოდელობის სურვილი?

— ზედმეტად დაკომპლექსებულები არიან... ხშირად ვყოფილვარ სარეკლამო რგოლის გადაღებაზე. როცა რეჟისორებს, ფოტოგრაფებს უნდათ, მაგალითად, ამა თუ იმ ტიპაჟის გამოყენება და ვიღაცას, შესაბამისი მონაცემების მქონეს მიიწვევენ, ვერ „ხსნიან“: ის იძაბება, თუნდაც პერანგის საყელოს შეხსნაზეც კი არ თანხმდება. ასეთივე კომპლექსები აქვთ გოგონებსაც... არადა, ფოტოგრაფი მხატვრულ, დახვეწილ ფოტოგადაღებას სთავაზობს... ეს ჩვეულებრივი ქართული ხასიათია.

— უბანში „ბირჟაზე“ თუ მდგარხარ?

— კი. ძალიან კარგი მეგობრები მყავს. ქუჩა ბიჭისთვის საჭირო რამ არის, მაგრამ — ზომიერების ფარგლებში. მან არ უნდა ჩაგითრიოს და ჩაგძიროს... იქიდან უნდა აიღოს ის, რაც ცხოვრებაში სჭირდება... მე რომ ქუჩის გამოცდილება არ მქონოდა, ჩემი ნამდვილი მეგობრები რომ არ მყოლოდნენ გვერდში, მართლა გამიჭირდებოდა...

MK

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ანწუხი წვეტიანი სარია.
2. „ამქმელი“ და „ბებიაქალი“ სინონიმებია.
3. ველური ძაღლი დინგო არასდროს ყეფს.
4. რუსი სტრელცები საკუთარი ხარჯით იჭურვებოდნენ.
5. ფარენგეიტის სკალის მიხედვით წყალი – 32 გრადუსზე იყინება.
6. მიოლოგია ანატომიის ნაწილია, რომელიც კუნთებს შეისწავლის.
7. დოდო აბაშიძე, ყველას, ვისი სახელიც არ იცოდა, მამუკას ეძახდა.
8. ბუდულაის როლი ფილმში „ბოშა“ მიხაი ვოლონტირმა შეასრულა.
9. ლაჭანი წნელისგან მოწნული საწოლია, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული.
10. ავტობანები 2,5 პროცენტით დახრილია, რათა მის ზედაპირზე წყალი არ გაჩერდეს.

11. ვეშაპებს 300 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ ჩაყვინთვა, სადაც წნევა 32 ატმოსფეროა.
12. სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების მომწყობ კერძო პირს ანტრეპრენიორი ჰქვია.
13. ალექსანდრეს ლაშქრობამდე სპარსეთის იმპერია მაკედონიაზე 40-ჯერ უფრო დიდი იყო.
14. ძველ არბატზე ფარნების დადგმის შემდეგ, მოსკოვში გაჩნდა ხუმრობა: „არბატ აფანარელ“.
15. ვლადიმირ მენშოვის ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ „ოსკარით“ არის დაჯილდოებული.
16. ირლანდიაში გველები არ ბინადრობენ. მათ განდევნას ირლანდიის მფარველს, წმინდა პატრიკს მიაწერენ.
17. გალაკტიონ ტაბიძეს ქუთაისის სასწავლებელში სწავლისას, საკუთარი მასწავლებლის შვილი, რაისა ჩიხლაძე უყვარდა.
18. დიმიტრი ყიფიანი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალეს.
19. ჰიტლერმა „ვალტერის“ მარკის პისტოლეტით მოიკლა თავი. ფიურერმა იარაღი პირში ჩაიდო და ისე მოისწრაფა სიცოცხლე.
20. „კაკ სვინიი ნე ვიდიატ ზვიოზდ, ტაკ კაპიტალისტი ნეკაგდა ნე პოიმუტ ნაშეი სოციალისტიჩესკოი სუშნოსტი“, — ამბობდა ხრუშჩოვი. (მოგ...ნ „სუშნოსტ“-ი ნიკიტა სერგეევიჩ!).
21. სამხედრო სამსახურის პროპაგანდისას, ამერიკელები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ელვის პრესლი არმიაში მსახურობდა.

16 წლის ქართველი მოდელი, რომელსაც უკვეხავს ჰრესტიჟული საერთაშორისო კონკურსი გაუფოლდა

„ბედნიერი ვარ იმით, რომ საშუალება მომეცა, ჩემი ქვეყანა ისეთ პრესტიჟულ სამოდელო კონკურსზე წარმედგინა, როგორიც „ელიტ მოდელ ლუქს ინტერნაციონალია“. მე პირველი ქართველი გოგონა ვარ, ვინც ამ კონკურსზე საქართველო წარადგინა და წარმატებაც მოიპოვა“, — ამბობს 16 წლის მოდელი თამთა შედანია. ის ამჟამად მსოფლიო სამოდელო ტურნესთვის ემზადება.

„ისეთი ფოტოები გამივრცელეს, გულს მატკივნეს“...

სოფო ჭონიშვილი

— თამთა, ჯერ 16 წლის ხარ და უკვე ბევრს მიაღწიე. მოგვიყევი შენს წარმატებებზე.

— დიახ, 16 წლის ვარ და ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობ. ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობიდან მოდელობაზე ვოცნებობდი, თუმცა პატარაობაში იმდენად ლამაზი ვიყავი, რომ ყველა ბარბის თოჯინას მეძახდა. რომ წამოვიზარდე, „FESHEN TV"-ის ხშირად ვუყურებდი. ძალიან მინდოდა, წარმატებული მოდელი გავმხდარიყავი. ერთი წელია, რაც საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი, მანამდე ზუგდიდში ვცხოვრობდი.

— თბილისში საცხოვრებლად კარიერის გამო გადმოხვედი?

— დიახ. ტელევიზიით რეკლამა გავიდა იმის შესახებ, რომ რეგიონებში ტარდებოდა კონკურსი — „მის საქართველოსთვის“. შესაბამისად კი ჩვენს რეგიონშიც „მის სამეგრელო“ უნდა აერჩიათ. „მის სამეგრელოს“ კასტინგზე მონაწილეობა მივიღე, გამარჯვების იმედი ნამდვილად არ მქონდა, რადგან „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა კი შეიძლება, მაგრამ 17 წლის ასაკიდან ირჩევენ გოგონებს. თუმცა 13 გოგონას შორის მაინც მოვხვდი. ფინალის დღეს, ამ გოგონათა შორის, ქალბატონმა ია კიწმარიშვილმა მე ამირჩია და „მის საქართველოს“ კონკურსზეც მოვხვდი, სადაც „მის პატარა მონაწილის“ ტიტულიც ავიღე. ბატონებმა — ვანო ჩხარტიშვილმა და ზაზა გოროზიამ კი 2-კვირიანი ანტალიის საგზურით დამაჯილდოეს. ამ კონკურსის შემდეგ, „იმიჯცენტრთან“ 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

— თამთა, ცოტა ხნის წინ, შენ პრაღიდან დაბრუნდი, სადაც ერთ-ერთ მასშტაბურ და პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობდი. რამდენადაც ვიცი, საქართველომ წელს პირველად მიიღო ამ კონკურსში მონაწილეობა.

— დიახ, ამ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის უფლება ქალბატონმა ია კიწმარიშვილმა მოუპოვა. „ელიტ მოდელ ლუქსი“ ეს არის მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული პროფესიული სამოდელო კონკურსი, რომელიც დამწყებ მოდელებს უზარმაზარ შესაძლებლობას აძლევს. ამ კონკურსს მსოფლიოს არაერთი ცნობილი მოდელი აღმოუჩენია. „ელიტ ჯგუფი“ კონკურსს ყოველწლიურად 50-ზე მეტ ქვეყანაში ატარებს, რითიც ხელს უწყობს ახალი სახეების გამოვლენას და საფუძველს უყრის მათ წარმატებულ სამოდელო კარიერას. როცა გავიგე, რომ ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესარჩევი კასტინგები ტარდებოდა, მონაწილეთა სიაში მეც დავრეგისტრირდი. სულ 500-მდე გოგონა ვიყავით: შესარჩევი ტურების შემდეგ, 20 მონაწილე დავრჩით. ეს კონკურსი თბილისში, 3 ნოემბერს ჩატარდა, იმ პერიოდში, საქართველოში დაძაბული სიტუ-

აციის გამო ეს კონკურსი პირდაპირი ეთერით აღარ გაუშვეს. თბილისში ამ შესარჩევ კონკურსზე პარიზიდან ჩამოსული იყო სააგენტო „ელიტის“ წარმომადგენელი — ვიქტორია დე სილვა და რუმინეთიდან ქალბატონი — ალექსანდრა კოლიბანი. ფინალის დღეს, ძალიან ვნერვიულობდი, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ გავიმარჯვებდი. მაგრამ ქალბატონმა იამ ჩემი სახელი რომ გამოაცხადა, უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. ამის შემდეგ ინტენსიური მზადება დავიწყე მსოფლიო ფინალზე მოსახვედრად. ჩემს შრომას უქმად ნამდვილად არ ჩაუვლია. „იმიჯ ცენტრმა“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ კონკურსზე ყველანაირად მომზადებული და მობილიზებული წავსულიყავი.

— **რამდენი გოგონა მონაწილეობდა „ელიტ მოდელ ლუქსის“ კონკურსზე?**

— სულ — 56 ქვეყნის წარმომადგენელი. ყველა გავიცანი. მათ საქართველოს შესახებ ვესაუბრებოდი. ბევრმა მათგანმა ჩვენი ქვეყნის შესახებ არაფერი იცოდა. ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ისიც კი მითხრა: არ გეტყობა, რომ საქართველოდან ხარ; ისეთი გარეგნობა გაქვს, ადამიანს გაუჭირდება თქვას,

რა ეროვნების ხარო. თბილისიდან 12 აპრილს გავემგზავრე. 2 კვირის განმავლობაში იქ ვემზადებოდით. ფინალი 21 აპრილს ჩატარდა. 56 მონაწილეს შორის, 15 გამარჯვებული გოგონა შეარჩიეს. მათ შორის მოვხვდი მეც. 15-ივე გამარჯვებულს „ელიტ მოდელ ლუქსმა“ კონტრაქტი გაგვიფორმა. „ელიტ მოდელ ლუქსის“ სათავო სააგენტო პარიზშია. მას სააგენტოები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვს. ამ კონკურსზე პარიზის ერთ-ერთი მოდის სახლის დირექტორს მოვეწონე და თავისი სავიზიტო ბარათი დამიტოვა. ასევე, მივიღე სხვადასხვა შემოთავაზებაც.

— **კონტრაქტის მიხედვით, ამ კონკურსის ორგანიზატორები რას გთავაზობენ?**

— როგორც უკვე გითხარით, „ელიტ მოდელ ლუქსს“ სააგენტოები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვს. დამწყებ მოდელებს, მათ შორის ჩვენც, იმ 15 გოგონასაც სხვადასხვა ქვეყნებში გაგვანაწილებენ. მაისის ბოლოს, 2 კვირით პარიზში მივემგზავრები, სადაც — ფოტოსესია მექნება. იქიდან 3 თვით, ტოკიოში მივდივარ. ამ ხნის განმავლობაში, იქ, რეკლამებზე, ფოტოსესიებზე, დეფილეებზე ვიმუშავებ, სადაც გარკვეული ანაზღაურებაც მექნება. შემდეგ კიდევ სხვა ქვეყანაში წავალ, მთელი მსოფლიოს სააგენტოებთან უნდა ვითანამშრომლო.

— **მშობლებმა როგორ მიიღეს შენი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოდელი უნდა გამხდარიყავი?**

— ჩემი წარმატება, მშობლების დამსახურებაა. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ წინ წავსულიყავი და ახლა ბედნიერები არიან, ჩემი ესოდენ დიდი წარმატებით.

— **თბილისში მარტო ცხოვრობ?**

— არა, ხან დედაა აქ, ხან — მამა.

— **დედმამიშვილები გყავს?**

— 4 წლის ძმა მყავს, რომელსაც ამ ჩემი გრაფიკის გამო ხშირად ვერ ვხედავ და სულ მენატრება.

— **სკოლაში არ დადიხარ?**

— ახლა ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადები. ისე, საბუთები ისევ ზუგდიდის სკოლაში მაქვს. ჩემი დირექტორი ამაყობს იმით, რომ ასეთი წარმატებული მოსწავლე ჰყავს.

— **გინდა, რომ ამ პროფესიას სამომავლოდ დაეუფლო?**

— როგორც იცით, მოდელობა მაინც დროებითი პროფესიაა, ამიტომ ძალიან მინდა, მეორე პროფესიაც მქონდეს, მინდა , თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარო, რისთვისაც პარალელურად უკვე ვემზადები.

— **ზუგდიდში ალბათ უამრავი თაყვანისმცემელი გყავს?**

— ბევრი (*იცინის*). უამრავ კომპლიმენტს ვიღებ. ზუგდიდი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს. ჩემ შესახებაც ყველაფერი იციან. სხვათა შორის, ბევრი შურიანი და ცუდის მოსურნე ადამიანიც ცხოვრობს. ისეთი ჭორები გამივრცელეს, გული მეტკინა.

— **უკვე მოასწრეს?**

— თავდაპირველად ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ახლა აღარ ვნერვიულობ. მიმაჩნია, რომ ჭორს, თანაც ცუდს, შურიანი ადამიანი იგონებს. ვინც კარგად მიცნობს, ყველამ იცის, ვინც ვარ...

— **შენს ამ მოგზაურობას ვინ აფინანსებს?**

— აბსოლუტურად ყველაფერს „ელიტ მოდელ ლუქსი“ აფინანსებს. ამ ეტაპზე ვემზადები, ვვარჯიშობ, დიეტას ვიცავ და ა.შ. მოდელობა ძალიან კარგი პროფესიაა, მაგრამ ბევრი, ამაში ცუდს ხედავს. ისეთი მამებიც არიან, რომლებიც თავის შვილებს, კონკურსებზე გასვლის უფლებას არ აძლევენ. მამაჩემი ასე არ ფიქრობს. რაც ძალიან მიხარია.

— **თაყვანისმცემლები, შენდამი სიმპათიას როგორ გამოხატავენ?**

— მირეკავენ, კომპლიმენტებს მეუბნებიან. შეყვარებული ჯერ არ მყავს. მინდა, ამ საქმეში მაქსიმუმი გავაკეთო; წარმატებები მოვიპოვო, შეყვარებულსა და ოჯახის შექმნაზე კი შემდეგ ვიფიქრებ.

— **წარმატებს გისურვებ.**

— დიდი მადლობა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

22. „ხაჩუ ია კაკ რანშე უსლიშატ სლავა, ი პაზივნიე რადნიე, „ვნიმანიე, გავარიტ მასკვა!“ — რაბოტაიუტ ვსე ასტალნიე“, — წერს ანდრეი ალიაკინი.

23. ინგლისის დედოფლის, ელისაბედ II-ის დას, პრინცესა მარგარეტს ინგლისელი ოფიცერი, სამეფო კარის მეჯინიბის შვილი უყვარდა.

24. ლადო გუდიაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მისი დის, სოფიო ბარათაშვილის სახის მიხედვით შექმნა, რადგან დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქართველი პოეტი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი ფოტო თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს მიუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიეში და ისიც ხანძრის დროს დამწვარა.

25. ლას-ვეგასის კაზინოებში სათამაშოდ ჩასულ მილიონერებსა და მათ ექსცენტრიკულ საქციელზე ტელეარხ „დისქავერის“ გადაცემათა მთელი ციკლი აქვს შექმნილი. ამ ისტორიებიდან ერთ-ერთს ჩვენს მკითხველს ვთავაზობ: „ცოდვის ქალაქში“ დროს სატარებლად ჩასულმა ერთმა მილიონერმა კაზინოში დიდძალი თანხა წააგო და უკმაყოფილო დაბრუნდა სასტუმროს ნომერში, სადაც სადილი და უიშვიათესი ღვინო, 1978 წლის „მონტრაშე“ შეუკვეთა. სასტუმროს მეპატრონეებს ეს ღვინო არ აღმოაჩნდათ. მათ სპეციალურად გაგზავნეს კურიერი, რომელმაც მთელი ქალაქი დაიარა, მაგრამ ვერსად იშოვა. გამწარებულმა ინტერნეტით განაგრძო ძებნა. ბოლოს იპოვა კერძო კოლექციონერი, რომელსაც ეს ღვინო აღმოაჩნდა. კურიერი პაპანაქება სიცხეში ფეხით გაემართა ღვინის საყიდლად. ადგილზე მისული გაოცებული აჰყურებდა ოცდახუთმეტრიან მრგვალ კოშკს, რომელიც გარედან ტყვიაგაუმტარი მინის გალავნით იყო დაცული. კოშკის ნიშებში უთვალავი ძვირად ღირებული ღვინის ბოთლი იყო შენახული. გალავანსა და კოშკს შორის მანძილი 1,5 მეტრს არ აღემატებოდა. სპეციალურმა მომსახურე პერსონალმა, რომელსაც ლას-ვეგასში ღვინის ანგელოზებს ეძახიან, მინის კარი გააღო და ალპინისტური აღჭურვილობის დახმარებით კოშკის ზედა სექციამდე აცოცდა. დიდი სიფრთხილით აიღო სასურველი ღვინის ბოთლი, რომელიც 30.000 დოლარი ღირდა და უკან დაეშვა. კურიერმა ფული გადაიხადა, სასტუმროში დაბრუნდა და ღვინო შემკვეთს მიართვა. ეს უკანასკნელი ერთხანს უკმაყოფილო სახით დაჰყურებდა ღვინის ბოთლს, შემდეგ მოიქნია, მარმარილოს აბაზანაში ჩაამსხვრია და ხელები დაიფერთხა: აი, ახლა კი გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავსო. ■

ბავშვობაში ღალღასმულები

„ბავშვობისგან მრავალი წელი მაშორებს, მაგრამ იმ დროს განცდილს ვერაფრით ვივიწყებ"

ხშირად უფროსები წინდაუხედავად ვიქცევით, როდესაც შვილების თანდასწრებით ვკამათობთ, ვჩხუბობთ, ურთიერთობებს ვარკვევთ და მავნე ჩვევებს ვავლენთ. ალბათ, ამ დროს არც კი ვფიქრობთ, თუ როგორ რეაგირებს ბავშვი ყოველივე ამაზე და რა შედეგებს მოვიმკით მომავალში. არადა, ნათქვამია: ბავშვი მშობლის სარკეაო... რესპონდენტების ნაამბობმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. იმედი მაქვს, ამ თემის წაკითხვის შემდეგ, შვილებთან ურთიერთობისას, ძალზე ფრთხილები და წინდახედულები იქნებით.

ემა ტუხიაშვილი

ნანა, *31 წლის:*

— ზუსტად არ ვიცი, რა ასაკიდან უყალიბდება ადამიანს მეხსიერება, მაგრამ მე ღრმა ბავშვობაში განცდილიც კარგად მახსოვს. განსაკუთრებით, ერთი ამბავი დამამახსოვრდა. ასე, ორი წლის ძლივს ვიქნებოდი. გარეთ თოვდა. დედამ ჩემი უმცროსი ძმა დააძინა, მე კი ქურქი მომაცვა და ქუჩაში გამიყვანა. გარკვეული მანძილი ფეხით გავიარეთ, სადარბაზოში შევედით და ვილაცის კარზე დავაკაკუნეთ. კარი ახალგაზრდა ღამაზმა ქალმა გააღო. ის კარგ გუნებაზე ჩანდა, რადგან მეც მიღიმოდა და დედასაც. ღია კარიდან დიდი და ნათელი ოთახი მოჩანდა, საიდანაც ხმაური გამოდიოდა. მახსოვს, გაშლილ სუფრასთან მამაჩემის მოღიმარი სახე დავინახე და გახარებულმა ყვირილი დავაპირე: მამიკო-მეთქი, მაგრამ მომეჩვენა, რომ მამას სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა და გაჩუმება ვარჩიე. მერე მამამ დედას უყვირა, სუფრასთან მსხდომები კი გულიანად ახარხარდნენ. დედა რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ხმა უთრთოდა და სიტყვებს ვერ აბოლოებდა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე — დედა ტიროდა, ხოლო მის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას, ოთახში მყოფები და ქალი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ღია კართან იდგა, დაცინვით ხვდებოდნენ. ცოტა ხნის მერე, მათ კარი ცხვირწინ მოგვიხურეს და ჩვენც სახლში დავბრუნდით... დილით დედა ნაცემი დამხვდა — თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და მეგობარი ქალი ჩაის საფენებს ადებდა. შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჩვენ მის მეგობართან ვცხოვრობდით. ჩემი ბავშვობა დახუნძლულია მსგავსი „სასიამოვნო" მოგონებებით, მაგრამ ახლა, მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ. როგორც მიხვდით, მამაჩემისთვის მეუღლის ერთგულება მიუღებელი იყო. რატომღაც, უფროსები არასათანადოდ აფასებენ ბავშვების გონებრივ შესაძლებლობებს ან უბრალოდ, მათ აზრს, შეხედულებებს, გრძნობებსა და ემოციებს უგულებელყოფენ. მოკლედ, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ზედმიწევნით კარგად ვიცოდი, ვინ და როდის იყო მამაჩემის საყვარელი, რატომ აიძულა მან დედა, რომ მუშაობა ღამის ცვლაში დაეწყო. ერთხელ, როდესაც დედა სამსახურში იყო, მამამ მე და ჩემი ძმა საყვარლის სახლში მიგვიყვანა, იმ ქალის შვილებთან დაგვტოვა, თავად კი საყვარელი მანქანაში ჩაისვა და გათენებამდე არ გამოჩენილა. ჩემი ძმა მამის ლოდინით რომ დაიღალა, იქვე, სავარძელზე ჩაეძინა, მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, რადგან არ ვენდობოდი იმ ქალის შვილებს, ვისაც ასე მარტივად შეეძლო ოჯახის, შვილების (აღარაფერს ვამბობ მის სახელზე) შეურაცხყოფა. როდესაც მამა და ის როსკიპი დაბრუნდნენ, თავი მოვიმძინარე, რათა მისთვის ჩხუბის საბაბი არ მიმეცა. მახსოვს, ძალიან გამომწვევად იქცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ბავშვებს გვეძინა და შეიძლებოდა, რომელიმეს ხმაურზე გაგვღვიძებოდა. მერე, მამამ ჩემი უმცროსი ძმა მოურიდებლად წამოაგდო ფეხზე და გამთენიისას შინ დავბრუნდით. რა თქმა უნდა, დედას ყველაფერი ვუამბე, მაგრამ მან მამას თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არაფერი იცოდა. ალბათ, ჩხუბსა და უსიამოვნებას მოერიდა... ერთხელ, მამას სკოლიდან ჩვენი გამოყვანა დაავიწყდა. დედა სამსახურში იყო და სახლში ჩვენი არყოფნა ვერავინ შენიშნა. მახსოვს, როგორ ვიდექით მე და ჩემი ძმა სკოლის ფანჯრებთან და ჭიშკარს თვალს არ ვაცილებდით იმ იმედით, რომ ვინმეს მაინც გავახსენდებოდით. როდესაც დაღამდა და წასაყვანად მაინც არავინ მოგვაკითხა, სკოლის დამლაგებელმა თავის სახლში წაგვიყვანა. ახლაც მახსოვს იმ ჩაისა და პურის გემო, რომლითაც მოხუცი ქალი გაგვიმასპინძლდა და იმწუთას, ჩვენთვის არავინ იყო იმ ქალზე უფრო ახლობელი. ბავშვობისგან მრავალი წელი მაშორებს, მაგრამ იმ დროს განცდილს ვერაფრით ვივიწყებ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც მამას სიბერე მოეძალა, ქალებისკენ გახედვაც არ უნდა და ვინაიდან, მას და დედას ჩხუბის მიზეზი აღარ აქვთ, ახლა მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. მე კი, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება დამიმახინჯეს. მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, შვილები, მაგრამ გამუდმებით თან მდევს ეჭვი, რომ ჩემი მეუღლეც ისევე მღალატობს, როგორც ოდესღაც, მამაჩემი ღალატობდა დედას. ჩემი ეჭვიანობით თავიც

ჩვენი მკითხველი

„ნათია, ათენიდან. მოგესალმებით ყველას. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. 2 თვეა, ათენში ვიმყოფები და საქართველო ძალიან მომენატრა. ყოველ კვირა დღეს მივდივარ ომონიაზე, ჟურნალის საყიდლად და იქიდან მალევე მოვდივარ, რადგან აქ მცხოვრებ არც ერთ ქართველს არ ვიცნობ. გზად სადმე ჩამოვჯდები ხოლმე და საღამომდე „გზას" ვკითხულობ. გეფიცებით ყველას, მართლა ასეა. ყველანი ძალიან კარგები ხართ. საბერძნეთში „გზა" რომ არ იყიდებოდეს, გავგიჟდებოდი".

გავიწამე და მეუღლესაც გავურთულე ცხოვრება, რადგან ყველგან და ყველაში მის საყვარლებს ვხედავ. ჩემი ეჭვიანობის გამო, მეგობარი გოგონებიც დავკარგე — მიხვდნენ, რომ ზოგჯერ მათზეც ვეჭვიანობდი. ძალიან მინდა, თავს მოვერიო და ვირწმუნო, რომ ყველა მამაკაცი მოღალატე არაა, მაგრამ კაცებისადმი რწმენა ბავშვობაში დავკარგე და ალბათ, მას ვერასდროს დავიბრუნებ.

მაია, *25 წლის:*

— როდესაც მამა გარდაიცვალა, პირველ კლასში ვიყავი, ჩემი და კი ბაღში დადიოდა. მამის სიკვდილის შემდეგ, ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და შეიძლება ითქვას, მამასთან ერთად, დედაც დავკარგეთ. პატარა ბინაში, სადაც ჩვენ და დედა ძლივს ვეტეოდით, ხშირად მოდიოდნენ მისი მეგობრები და ზოგჯერ, თვეობით ცხოვრობდნენ ჩვენთან. დედის დაქალებს მეგობარი მამაკაცებიც აკითხავდნენ და ღამეებს ქეიფსა და მხიარულებაში ატარებდნენ. რადგან ძალიან პატარა ბინა გვქონდა, მე და ჩემს დას სამზარეულოს გარდა, წასასვლელი არსად გაგვაჩნდა. სამზარეულოში ვამზადებდით გაკვეთილებს, ვსადილობდით (თუ რა თქმა უნდა, დედას და მის მეგობრებს რაიმე დარჩებოდათ შეუჭმელი) და იქვე, მაგიდის ქვეშ დაგებულ ქვეშაგებელზე გვეძინა. შესაძლოა, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი და სკოლაში მე მივიყვანე, მე ვურეცხავდი ტანისამოსს, ვაჭმევდი, ვაბანავებდი და დავალებების შესრულებაშიც ვეხმარებოდი. დედას ჩვენთვის არ ეცალა და აბა, რა უნდა მექნა? ხშირად, ორი-სამი დღით მიდიოდა სახლიდან და ჩვენი არსებობაც ავიწყდებოდა. ზოგჯერ, მეგობარი მამაკაცები შინ მოჰყავდა და ამ დროს, ჩვენ ისევ სამზარეულოში გაგვამწესებდნენ ხოლმე. თუ გარეთ კარგი ამინდი იყო, ეზოში ჩავდიოდით და ვიდრე სტუმარი წასვლას არ ინებებდა, იქ ვრჩებოდით. შემდეგ, უკვე ეზოში ჩასვლასაც ვერიდებოდით, რადგან კამათისას ბავშვებმა პირდაპირ მოგვახალეს: დედათქვენი ბოზიაო. მახსოვს, ამის გამო ბევრი ვიტირე; დავაპირე, ბარგი ჩამელაგებინა და სოფელში, ბებია-ბაბუასთან წავსულიყავი, მაგრამ ვერ გავბედე. აღარც სკოლაში სიარული მინდოდა, რადგან მეგონა, იქაც იცოდნენ, თუ ვინ იყო დედაჩემი და ამის გამო ძალიან მრცხვენოდა. ამასობაში, ჩემი დაც წამოიზარდა და მისი დამორჩილება სულ უფრო მიჭირდა. ვიცოდი, სკოლას ხშირად აცდენდა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, სახლში კი არ მოდიოდა, არამედ მთელ დღეს პარკში, თანატოლ ბიჭებთან ერთად ატარებდა. ვინ იცის, ამის შესახებ რამდენჯერ ვუთხარი დედას, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია. ერთხელ ისეთი რამ მოხდა, რამაც სახლიდან წასვლა საბოლოოდ გადამაწყვეტინა. ჩვეულებისამებრ, შინ მარტო ვიყავი, როდესაც კარზე ზარი გაისმა. კარი გავაღე. ზღურბლზე დედაჩემის ერთ-ერთი მეგობარი მამაკაცი იდგა. მან უხეშად გამწია გვერდზე და შინ შემოვიდა. მივახალე, — დედაჩემი სახლში არ არისმეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვა, საავარძელში მძიმედ ჩაეშვა და მბრძანებლური ტონით მითხრა: ყავა მომიდუღეო! თან, სიგარეტს მოუკიდა. ძალიან გაბრაზდი, მაგრამ ვიფიქრე, — რაც უფრო მალე ჩახეთქავს ყავას, მით უფრო ადრე წავა-მეთქი და სამზარეულოში გავედი. ცოტა ხანში შემომყვა. არ მინდა, დეტალებს ჩავუღრმავდე, რადგან მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ეს ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დღე იყო — დედაჩემის მეგობარმა ჩემი გაუპატიურება სცადა. ახლაც ჩამესმის ყურში მისი ხვნეშა და ლაპარაკი: შენც დედაშენივით კახპა ხარო. ამ შემთხვევამ მაიძულა, სახლიდან წავსულიყავი. მეგონა, როდესაც ბებია-ბაბუას ყველაფერს ვუამბობდი, განრისხებულები დედაჩემს მოკლავდნენ, მაგრამ მათ მომისმინეს და მხოლოდ ის მითხრეს: ეგ ბოზი მამაშენს, მის სიცოცხლეშიც ღალატობდაო. დღემდე მამაჩემის მშობლებთან ვცხოვრობ. ბაბუა სამსახურის შოვნაში დამეხმარა. ხალხთან ურთიერთობას აღარ გავურბივარ, მაგრამ მაინც მეშინია, ვინმემ დედაჩემის გამო შეურაცხყოფა არ მომაყენოს. გათხოვებას და ოჯახის შექმნას ფიქრადაც არ გავივლებ, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველა მამაკაცი მოძალადეა და ქალი მხოლოდ საკუთარი ჟინის დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ. ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ვენდობი, ბაბუაა და სხვა არავინ მჭირდება.

ბაჩუკი, *35 წლის:*

— დედამ და მამამ ოჯახი უსიყვარულოდ, გარიგებით შექმნეს და ერთად თითქმის ოცი წელი იცხოვრეს. მართალია, უდედმამო ბავშვებისგან განსხვავებით, ოჯახში, დედისა და მამის გვერდით გავიზარდე, მაგრამ ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა. მამა მკაცრი, უხეში და უმოწყალო, დედა კი — დამთმობი, ლმობიერი და უსუსური გახლდათ. ფიქრობდა, — სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, ოჯახი უნდა შეენარჩუნებინა, რადგან განქორწინება მისი მშობლების სახელს შეურაცხყოფდა. მამაჩემი ამით ბოროტად სარგებლობდა და ცდილობდა, ცოლი სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა. მაგალითად, დედას მისი ნებართვის გარეშე სტუმრის მიღება-გამასპინძლება არ შეეძლო და უმიზეზოდ არც თავად უნდა შესულიყო მეზობელთან; როგორც კი მამა რომელიმე მეზობელს წაეჩხუბებოდა, დედა ვალდებული იყო, ქმრის „მტერს“ არ დალაპარაკებოდა. როცა დედას თეფში ან ჭიქა გაუტყდებოდა, მამა გიჟივით იქცეოდა: ყვიროდა, იგინებოდა, დედას სხვადასხვა ნივთს ესროდა, ყველაფერს ლეწავდა და ცოლს ფიზიკურადაც უსწორდებოდა. მე ამ დროს სახლის ყველაზე შორეულ ოთახში ვიყუჟებოდი და შიშისგან ვტიროდი. მეშინოდა, რომ მამა დედას მოკლავდა, დანით ყელს გამოსჭრიდა ან ღამით ბალიშით გაგუდავდა. დედას, მამის ნებართვის გარეშე, საცვლის ყიდვის უფლებაც არ ჰქონდა. მამა თუ ცუდ ხასიათზე იყო, შვილებსაც უმოწყალოდ გვექცეოდა და ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულებას გვავალებდა. ამ დროს სულაც არ ანაღვლებდა ის, რომ ბავშვებს ამის გაკეთება გვიჭირდა. მახსოვს, ერთხელ თამაშით ისე გავერთე, რომ ქათმებისთვის წყლის დასხმა დამავიწყდა. ამის გამო, მამამ მთელი დღით საქათმეში ჩამკეტა. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა, საქათმეში საშინელი სუნი იდგა, სუნთქვა მიჭირდა და ვტიროდი, მაგრამ მამა კარს არ მიღებდა. მოკლედ, მამაჩემის ისე მეშინოდა, რომ მისი ხმის გაგონებაზეც ვკანკალებდი. ამან იქამდე მიმიყვანა, რომ ძილში უნებლიე შარდვა დამეწყო. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა მამაჩემი, რომელიც ქალაჩუნასა და ქვეშაფსიას მეძახდა,



დედამ და მამამ ოჯახი უსიყვარულოდ, გარიგებით შექმნეს და ერთად თითქმის ოცი წელი იცხოვრეს

— ვერც კი ხვდებოდა, რომ ჩემი ავადმყოფობა მისი „დამსახურება“ იყო. ამის შემდეგ, თანატოლებთან ურთიერთობა შევწყვიტე, რადგან მეგონა, ჩემი „ნაკლის“ ამბავი ყველამ იცოდა და ფაქტობრივად, შინიდან აღარ გავდიოდი; საკუთარ თავში ჩავიკეტე და ველოდი იმ დღეს, როდესაც მამისთვის სამაგიეროს გადახდას შევძლებდი. ერთ დღეს, მამამ დედა მხოლოდ იმის გამო სცემა, რომ შინ დაბრუნებულს სადილი მზად არ დახვდა. გამბედაობა მოვიკრიბე და პირ-

ში მივახალე ის, რისი თქმაც წლების განმავლობაში მინდოდა და ვერ ვბედავდი. მეგონა, მამა მომდგებოდა და ძვალრბილს გამიერთიანებდა, მან კი ბარგი ჩაალაგა და სახლიდან წავიდა. ახლა, დედასთან ერთად მშვიდად ვცხოვრობ. ამბობენ, თითქოს მამაჩემი რუსეთში მუშაობს. ვიცი, აქედან შორსაა, მაგრამ მაინც მეშინია — მგონია, რომ ერთ დღესაც დაბრუნდება და მთელი ის კოშმარი თავიდან დაიწყება. ბავშვობაში განცდილმა მთელი ცხოვრება დამიმახინჯა. ადამიანებთან ურთიერთობას დღემდე გავურბივარ და ამის გამო, ფაქტობრივად, მეგობრები არ მყავს. არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩნდა და მიმაჩნია, რომ მსხვერპლი ვარ, საცოდავი ადამიანი...

ბავშვის მომავალს უმეტესწილად განაპირობებს ის, თუ რამდენად აქვს მის მშობელს გაცნობიერებული, რა არის ოჯახი

ქალბატონი ლიანა, *58 წლის:*

— ეს ამბავი საბჭოთა პერიოდის საქართველოში მოხდა. ჩვენს რაიონში შიზოფრენიით დაავადებული ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობდა. კარგად მახსოვს, მაშინ სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე პენსიებს არ გასცემდა და ამიტომაც, გაბროს ჩვენი რაიონის მეურნეობაში, დარაჯად დავაწყებინეთ მუშაობა. პატარა შემოსავალი რომ გაუჩნდა, ხალხმა თქვა: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, მოდი, გაბროს ცოლი შევრთოთ; მართალია, შვილი არ ეყოლება, მაგრამ ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაახარებსო. გაბროს საპატარძლოც მალევე შეურჩიეს — მეზობელი სოფლიდან მასავით ინვალიდი ქალი, ნაზიკო გადმოუყვანეს. ჩვენი რაიონის მეურნეობამ წყვილს ქორწილი გადაუხადა და საცხოვრებელი ფართიც გამოუყო. საწყალი ნაზიკო იმდენად ჭკუასუსტი იყო, რომ ქორწილში, ნეფის ნაცვლად, საცეკვაოდ მეჯვარეს ეპატიჟებოდა... ჩვენდა გასაოცრად, ნაზიკომ გაბროს სამი შვილი გაუჩინა, სამივე აბსოლუტურად ჯანმრთელი და საღსალამათი. ჭკუასუსტ ცოლ-ქმარს ბავშვების გაზრდაში რაიონი ეხმარებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შევატყვეთ, რომ ინვალიდი მშობლების ფაქტორი ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებდა და მათ ფსიქიკას დაღს ასვამდა. თანატოლები პატარებს ხშირად დასცინოდნენ და ისინიც დამფრთხალ, ველურ არსებებს დაემსგავსნენ. მაშინ რაიონის პროფკავშირების თავმჯდომარე გახლდით და გადავწყვიტე, სასწრაფოდ დავხმარებოდი ბავშვებს, რათა მათ საზოგადოებისგან გარიყულად არ ეგრძნოთ თავი. ერთადერთი, რისი გაკეთებაც რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად შევძელი, ის იყო, რომ გაბროს და ნაზიკოს შვილები საგურამოს ბავშვთა ინტერნატს მივაბარეთ. მახსოვს, მაშინ ბევრმა გამკიცხა: შვილები ღვიძლ მშობლებს მოსწყვიტაო, მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. დღეს გაბროს და ნაზიკოს ქალიშვილს არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს; ერთმა ვაჟმა მაღალი სამხედრო ჩინი დაიმსახურა, მეორე კი ცნობილი სახელმწიფო მოხელეა.

სოფიო ვერულაშვილი, *ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი:*

— მშობლების ერთმანეთისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება, არასწორი ცხოვრების წესი, უპასუხისმგებლობა ოჯახის ინსტიტუტის მიმართ და მშობლის ფუნქციის გაუცნობიერებლობა — ეს ის მიზეზებია, რის გამოც, ადამიანები, უკვე ზრდასრულ ასაკში სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან. ბავშვის მომავალს უმეტესწილად განაპირობებს ის, თუ რამდენად აქვს მის მშობელს გაცნობიერებული, რა არის ოჯახი, ცოლქმრობა, მშობლად ყოფნა და რამდენად დიდია დედ-მამის პასუხისმგებლობა შვილის აღზრდაში, განათლებაში, სოციალურ-ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, რამდენად წარმატებული იქნება ის ოჯახში, პიროვნულ ურთიერთობებში თუ ზოგადად, საზოგადოებაში. მშობლის მოვალეობა მხოლოდ შვილის დაპურება და შემოსვა როდია. უნარ-ჩვევებს, პირველ რიგში, მშობელი შვილს პირადი მაგალითით უყალიბებს. მარტივად აგიხსნით: თუ მშობელი მწეველია, მაგრამ შვილს მოწევას უკძალავს, მისი შეგონება უშედეგო იქნება. როდესაც ბავშვი იზრდება ოჯახში, რომლის წევრებს შორის არაჯანსაღი ურთიერთობაა, თავადაც იმავეს გაიმეორებს. კიდევ უარესია, თუ მშობელი არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აღზარდოს შვილი და მას უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბოს. დღეს კონსულტაცია მქონდა 14 წლის გოგონასთან, რომელმაც არამცთუ არ იცის, როგორ აანთოს გაზქურა, არამედ დამოუკიდებლად მაცივრიდან მზა სადილსაც ვერ გამოიღებს. როდესაც ბავშვი ელემენტარული საკითხების მიმართ უუნაროა, სხვა სოციალურ აქტივობაშიც შეეშლება ხელი. რაც შეეხება ოჯახურ ძალადობას — ფიზიკური შეურაცხყოფის გარდა, ოჯახში შესაძლოა, ბავშვზე მორალური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხორციელდებოდეს. ასეთ დროს ბავშვს უყალიბდება დაბალი თვითშეფასების უნარი, ის საკუთარ თავში, შესაძლებლობებში დარწმუნებული არ არის. ფსიქოლოგები ამას სოციალურ ადექციას ვეძახით. ამ შემთხვევაში ადამიანის მხრიდან სოციალური ნორმების უგულებელყოფა ხდება. შეიძლება, მან დაგროვილი აგრესია გარეთ გამოიტანოს და საზოგადოებისთვის საშიში გახდეს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს აგრესია შიგნით მიმართოს, რის შედეგადაც შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს ფსიქოსომატური, ფსიქიკური ფაქტორით განპირობებული ორგანული დაავადება; განუვითარდეს ასაკობრივი ჩამორჩენილობა, ინფანტილიზმი. ზოგჯერ დედები შვილების მიმართ ჰიპერაქტიურობასაც ავლენენ, რასაც ასევე, სავალალო შედეგებამდე მივყავართ. მერწმუნეთ, მშობლის სწორი დამოკიდებულებით, ფსიქიატრის და ფსიქოკონსულტანტის დახმარებით, ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვიც კი შესაძლოა, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვაქციოთ. ამიტომ მინდა, ყველა მშობელს ვურჩიო, რომ შვილის აღზრდაზე ბავშვის ჩასახვისთანავე იზრუნონ. მეტიც, ვიდრე შვილის ყოლას გადაწყვეტთ, დედობისა და მამობისთვის ჯერ თავად უნდა მოემზადოთ. ■

ერთი კითხვა

— ვინ მიგაჩნიათ საქართველოში ყველაზე მდიდარ ადამიანად?

თამაზი, *60 წლის, დრამატურგი:*

— საქართველოში ყველაზე მდიდარ ადამიანად ბატონი რობერტ სტურუა მიმაჩნია, რადგან ადამიანის სიმდიდრეს, მისი ნიჭიერებისა და გონიერების მიხედვით ვაფასებ. „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“... ნიჭი ღვთისგან ბოძებული სიმდიდრეა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და მოგპარავს. შეიძლება, აურაცხელი ქონება გქონდეს, მაგრამ ყველაფერი ისე გაფლანგო, რომ არავის არაფერში გამოადგე. მოკლედ, ნიჭიერ ადამიანებს განუსაზღვრელი სიმდიდრე აქვთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი რობერტ სტურუა სწორედ ასეთი, უმდიდრესი პიროვნებაა.

საქვეიდროქოკლევაულთა ცხაბიკული თავვაღასავალი

ახალციხის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი გოგი ივანიძე ისტორიკოსია. 40 წელიწადი იმუშავა პედაგოგად, დამსახურებული მასწავლებელი და ღირსების ორდენოსანი გახლავთ, სამცხე-ჯავახეთის თემაზე რამდენიმე წიგნისა და სტატიის ავტორია. დღეს პენსიაშია, მაგრამ წიგნებზე მუშაობას არ წყვეტს. 82 წლის გოგი ივანიძეს სოფელ ურაველში ვეწვიე. უთბილესი მოხუცი ბევრს მესაუბრა, არჩევნებზეც კი ვკითხე და, — ვინც უნდათ, ის აირჩიონ, ოღონდ ქართული სულისკვეთება ჰქონდეს და ქვეყანას ასარგებლოს; თუმცა, დღევანდელ ხელისუფლებაზე უკეთესს ვერავის ვხედავო, — მითხრა. დაწვრილებით კი ე.წ. „თურქი მესხების“ ამბავი გამოვკითხე — მათ გასახლებამდე სოფელში ერთად ცხოვრობდნენ.



გოგი ივანიძე

ირმა ხარშილაძე

ასპინძის რაიონში იყო უძველესი, წინა ქრისტიანული ხანის სოფელი ჭობარეთი, რომელიც მერე განადგურდა — იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა თურქების შემოსევების დროს ამოწყდა. დღეს ნასოფლარს ვერანა ჭობარეთს ეძახიან და იმ ადგილას ნასახლარები, იგივე ფაგები და VIII საუკუნის სამნავიანი ეკლესიის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. მისგან ერთი კილომეტრის მოშორებით კიდევ ერთი უძველესი სოფელია, უწინ მზიანეთი ერქვა — დილიდან საღამომდე მზე ანათებდა, რადგან სამხრეთითაა დაქანებული. შემოსევებისას ეს სოფელიც განადგურდა. მერე, XVIII-XIX საუკუნეებში, ნელ-ნელა სხვადასხვა სოფლიდან წამოვიდა ხალხი და მზიანეთში დასახლდა. ნაწილი ქრისტიანი იყო, ნაწილი — მაჰმადიანი. სოფელს სახელი გამოუცვალეს და ახალი ჭობარეთი უწოდეს. აქ შემორჩენილი იყო X საუკუნის ეკლესიის ნანგრევები, მაჰმადიანმა ქართველებმა მასზე მეჩეთის დაშენება დაიწყეს. ამაზე დიდი ამბავი ატყდა. მერე, 1894 წელს, აქაური დეკანოზის, დიმიტრი ხახუტაშვილის ხელმძღვანელობით, იმ ნანგრევებზე სულიწმინდის მოფენის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია აშენდა.

— **რა ხდებოდა განახლებულ ჭობარეთში, რატომ შეუცვალეს მზიანეთს სახელი?**

— ჭობარეთის — ამ სახელის დაკარგვა არ უნდოდათ. „ჭობარეთი“ ზანური — ძველი მეგრული სიტყვაა და „წაბლს“ ნიშნავს. საერთოდაც, ამ მხარეში ზანური წარმოშობის ბევრი გეოგრაფიული სახელი გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც, წინა ქრისტიანულ პერიოდში, ამ მიწაზე მეგრელები და მესხები ერთად ცხოვრობდნენ, ერთი ცხოვრების წესი ჰქონდათ და თითქოს შეერწყნენ კიდეც ერთმანეთს. შემდეგ სად წავიდნენ მეგრული წარმოშობის ტომები, არავინ იცის. ფაქტია, რომ ტოპონიმები დარჩა. რაც შეეხება ე.წ. „თურქ მესხებს“, ეს სახელწოდება მტრისგანაა შემოგდებული. თუ მესხია, თურქი როგორღა არის?! მესხი — ეს არის უძველესი ქართველი ტომი, ჩვენი სახელმწიფოს ფუძემდებელი, ამ ტომის შთამომავლები არიან ბაგრატიონები. მესხებმა შექმნეს უძველესი ქართული სახელმწიფო ძველი წელთაღრიცხვის XIX-XVIII საუკუნეებში. მაშინდელ მესხებს მუშკებს ეძახდნენ: მუშკები — მუსკები — მესხები. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ჰოდა, თურქს რა უნდოდა იქ?! — თურქები გაჩნდნენ XI საუკუნეში შუა აზიის მომთაბარე ტომებისგან. მერე, XIV საუკუნიდან, ვინმე ოსმანის ხელმძღვანელობით, შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთი ეწოდა. დროთა განმავლობაში კი, რაკი იქ თურქული ტომები ცხოვრობდნენ, თურქეთი უწოდეს. მესხები კი ყოველთვის ქართველები იყვნენ, ამიტომ ვერაფრით ვუწოდებთ თურქებს.

— **თქვენს სოფელში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებზე რას იტყვით?**

— მე იქ, ახალ ჭობარეთში დავიბადე, გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე და რაც მახსოვს, ორივე სარწმუნოების ქართველები ძალიან მშვიდად, წყნარად და მეზობლურად ვცხოვრობდით ერთად. მაჰმადიანები ლაპარაკობდნენ თურქულადაც და ქართულადაც. ზოგს ქართული გვარიც ჰქონდა. ერთადერთი კომლი ცხოვრობდა ქურთების. საერთოდ კი, თურქებმა ამ ხეობაში — მდინარე ურავლის ხეობაში ჩამოასახლეს ქურთები, რუსებმა კი XVIII საუკუნეში — თარაქამები, იგივე შავქუდიანები. ურავლის ხეობის იქით უკვე თანამედროვე თურქეთია. მისი გავლენით აქეთ მცხოვრებმა მაჰმადიანებმა უფრო დაივიწყეს ქართული, ასპინძის რაიონისა და აწყურის მხარის მცხოვრებლებმა კი კარგად იცოდნენ. საქართველოს არქივის ახალციხის ფილიალში არსებობს დოკუმენტები, სადაც წერია, რომ 1928-30 წლებში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში მაჰმადიან ქართველებს ქართულს ასწავლიდნენ. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის ურთიერთობა 1917-21 წლებში გამწვავდა. მაშინ მაჰმადიანებმა ამბოხება მოაწყვეს, სურდათ საქართველოსგან მესხეთის მოწყვეტა და თურქეთთან მიერთება. უპირველესად კი ეს თურქეთს უნდოდა და სწორედ ის ხელმძღვანელობდა ამ აჯანყებას. აბა, ორ საუკუნე-ნახევარი, ეს ქართველები თურქეთის სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, თურქეთმა მათ სარწმუნოება და ენა წაართვა და საბოლოოდ გადააგვარა კიდეც. იცით, რატომ არის, რომ მაჰმადიანმა ქართველებმა, რომლებიც აქ ქრისტიანებთან ერთად ცხოვრობდნენ, მშობლიური ენა დაკარგეს, ამჟამინდელ თურქეთის ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთში კი, სადაც ასევე მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა? წარმოგიდგენიათ? — ისინი უფრო ქართველობენ. იმიტომ, რომ ის ქართველები ჩაკეტილი იყვნენ, არაფრის დიდებით არ გააყოლებდნენ ქალს თურქს, არც ცოლად მოიყვანდნენ. ამან ერი შეკრა.

— **თქვენს სოფელში, ალბათ, ყველამ იცოდა თურქული ენა...**

— ვიცოდით და არა მარტო ჩვენს სოფელში — მთელ ამ მხარეში ანუ სამცხე-ჯავახეთში გაბატონებული ენა იყო თურქული. მე კარის მეზობლებიც მაჰმადიანი ქართველები მყავდა. საერთოდ კი უბნებად ვიყოფოდით — ერთი უბანი მათი იყო, მეორე — ჩვენი. ეს წარსულიდან გამოყოლილი შიშით იყო გამოწვეული. უწინ თუ მტერი დაესხმებოდა თავს, ერთად უნდა ყოფილიყვნენ. ცხოვრობდნენ მიწურ სახლებში, რომლებსაც მიწისქვეშა სამალავები — დარნები ჰქონდა. ახალი ჭობარეთი დარანზე დგას. იქ შედიოდა მთელი სოფელი თავისი სურსათ-სანოვაგითა და პირუტყვით, სალოცავებიც კი ჰქონდათ — აბა, თვეობით უნდა დამალულიყვნენ...

— **თქვენს მეზობლებზე ჰყვებოდით. რა გვარის ხალხი იყო?**

— „ოღლებად“ იწერებოდნენ, მაგათ გვარები არ ჰქონდათ. პაპის ან მამის სახელს „ოღლის“ მიამატებდნენ და სულ ეგ იყო. ერთი რამ 1917-21 წლის ამბე-

ბიდან კიდევ მინდა, გითხრათ: აჯანყების დროს ბევრი ქრისტიანი ქართველი გაანადგურეს. მიხვდნენ ჩვენი წინაპრები, რომ თუ არ გაიქცეოდნენ, სულ ამოწყდებოდნენ. ამ ხეობით ღამით გადავიდნენ იალაში, სადაც თარაქამები ცხოვრობდნენ. იქ ამ ხალხს — ძირითადად, ივანიძეები და გვირჯიშვილები იყვნენ — მეგობრები ჰყავდა და მათ შეიფარეს. აჯანყებულები იქაც მიადგნენ და თარაქამებს ქართველების გადაცემა მოსთხოვეს, — თუ არა და, ყველას ამოგწყვეტთო. რაღას იზამდნენ? გაეპარეს ქართველები. ერთი თურქი შეხვედრიათ, რომელსაც უთქვამს, — სად მიდიხართ, სოფელ ტოლოშში (ვარძიასთან არის) ქართველებისა და მაჰმადიანების შერიგება დაიწყოო. პაპაჩემის ძმას უთქვამს, — ბავშვები და ქალები სად წამოვიყვანო, მე გამოგყვებიო. იმავე ღამეს მოუკლავთ. მაშინ სოფელში მაჰმადიან ქართველებთან ერთად, მამაჩემის პაპა თედორე დარჩენილა. ღრმად მოხუცებული იყო და სიარულსაც ვერ შეძლებდა. პაპაც და სახლ-კარიც იმ ჩვენს მეზობლებს ჩაუბარებიათ. თურქებს ატყუებდნენ, თურმე, — ეს ჩვენი სახლ-კარია, შევისყიდეთო, — და ამით გადაარჩინეს იქაურობა. ჩემი გაქცეული წინაპრები რომ დაბრუნდნენ, მათ ქონებას ნემსიც კი არ აკლდა. ქართული ადათ-

აჯანყების დროს ბევრი ქრისტიანი ქართველი გაანადგურეს. მიხვდნენ ჩვენი წინაპრები, რომ თუ არ გაიქცეოდნენ, სულ ამოწყდებოდნენ

წესები ჰქონდათ. მაგალითად, „ყურანი“ მათ ალკოჰოლური სასმელების — არყის, ღვინის დალევას უკრძალავს; მხოლოდ შარბათისა და შირას — ყურძნის ტკბილის, რომელიც არ ღვინდება — დალევა შეუძლიათ. ჩვენი მეზობლები კი წაიყვანდნენ ხოლმე დედაჩემს არყის გამოსახდელად და მშვენივრად მიირთმევდნენ იმ არაყს. მაგათ ღორის ხორცის ჭამაც ეკრძალებათ, მაგრამ ახალგაზრდები არც ამას ერიდებოდნენ. ახლა ვწერ მემუარებს, სადაც ჩემი ბავშვობის მეგობრებსაც ვიხსენებ... ერთი იყო ილიაზა, ასლანიანთ ეძახდნენ, რადგან პაპის მამას ერქვა ასლანი. მეორე იყო იბრაგიმ ეიბოღლი, იბოს ვეძახდით, კარგი, ვაჟკაცი ბიჭი იყო. ვმეგობრობდით. ჩვენი მეზობლები ხშირად აკეთებდნენ ნაირ-ნაირი შიგთავსის ხინკალს და არ არსებობდა, მთელი ოჯახით არ მივეპატიჟებინეთ... თურქული წესით ასაფლავებდნენ — საფლავს ჯერ გაჭრიდნენ, მერე გვერდზე შეჭრიდნენ და თეთრ ზეწარში გახვეულ მიცვალებულს იქ შეასვენებდნენ ხოლმე. სასაფლაოც ცალკე ჰქონდათ. ქორწილს კი თითქმის ჩვენებურად აწყობდნენ. სხვათა შორის, დიდი სამამულო ომის დროს ქართული სკოლებიც გაიხსნა. სამმა პატრიოტმა რაიკომის მდივანმა — გიორგი კირვალიძემ (ახალციხის), ისაკ ძებისაშვილმა (ასპინძის) და კაკო რუხაძემ (ადიგენის) — 1944 წელს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელ მდივანს — კანდიდ ჩარკვიანს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს — ბაქრაძეს. ბარათში, რომელიც ქართველ მაჰმადიანთა გასახლებამდე 3-4 თვით ადრეა დაწერილი, დასაბუთებულია, თუ რატომ არის აუცილებელი მათთვის ქართული სასწავლებლების გახსნა. გახსნეს ეს სკოლები, მერე ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლებიც უნდა გაეხსნათ... მახსოვს, დაიწყეს ქართულის სწავლა ჩემმა თანატოლებმა, პიესებსაც კი ვდგამდით, სადაც იბო და ილიაზაც მონაწილეობდნენ. ილიაზა კარგად ვერ ლაპარაკობდა ქართულად და მახსოვს, ფრაზებს ამახინჯებდა: მე შენი სისიხილი მწყურიაო, — იტყოდა და ჩვენ დავცინოდით. კოლმეურნეობაში ერთად შრომობდნენ ქრისტიანები და მაჰმადიანები. მოხუცი მაჰმადიანები მკაცრად იცავდნენ რამადანს — მუსლიმანურ მარხვას. ყანაში დილიდან დაღამებამდე ერთად ვმუშაობდით და არც წყალს დალევდნენ მზის ჩასვლამდე, არც ლუკმას გატეხდნენ და არც სიგარეტს მოსწევდნენ. მე და ჩემი მეგობრები ხარებს ვმწყემსავდით. სანამ პატარები ვიყავით, დილის მეხრეებად გვიშვებდნენ. რომ წამოვიზარდეთ, ღამეც ვრჩებოდით ტყეში.

— მერე რა მოხდა?

— მეათე კლასში ვსწავლობდი, ისინი რომ გაასახლეს. კარგად მახსოვს, 1944 წლის 20 ნოემბერი იყო... იცით, მანამდე აუცილებლად უნდა გითხრათ, მაჰმადამიანების გადაგვარებაში რუსეთმაც დიდი როლი შეასრულა. მეფის რუსეთი ყველანაირად ხელს უწყობდა ამ ქართველებში თურქული ენის „გაბატონებას“: ქართულ სკოლებს ხურავდნენ და მათ საგანგებოდ უხსნიდნენ თურქულ სკოლებს. ეშინოდათ, ქართველებს დამოუკიდებლობა არ მოეთხოვათ და ეს მაჰმადიანებიც არ აეყოლიებინათ. სხვათა შორის, 1916 წელს საქართველოში ჩამოსული იყო მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი, ვინმე ბულგაკოვი. მასთან მივიდნენ გამაჰმადიანებული ქართველი თავად-აზნაურები და გადასცეს წერილი, რომელიც ნიკოლოზ მეორის სახელზე იყო დაწერილი. ამ წერილით ატყობინებდნენ მეფეს, რომ ისინი იყვნენ თურქების მიერ იძულებით გამაჰმადიანებული ქართველი ბეგები და სურდათ, თავიანთი ყმებიანად, კვლავ გაქრისტიანებულიყვნენ, ესწავლათ ქართულ სკოლებში, ოღონდ სანაცვლოდ, იმავე უფლებებს ითხოვდნენ, რაც ქართველ თავად-აზნაურებს ჰქონდათ. რუსეთს საქართველოს მიმართ სხვა ინტერესები ამოძრავებდა და, რა თქმა უნდა, მაჰმადიანებს უარი შემოუთვალეს. თუკი რუსები ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ, რატომ არ უნდა მიეღოთ მაჰმადიანი ქართველების ეს წინადადება?! არც საბჭოთა ხელისუფლება იყო ამ ხალხის წინაშე მართალი — რა ქართული სკოლები უნდა გაგიხსნათ? თათრები ხართ და თათრულ სკოლაში ისწავლეთო. ხედავთ, როგორი პოლიტიკა იყო?!. ამან სულ გააფუჭა საქმე. ესენიც გამწარდნენ და თავიანთ შვილებს ბაქოსა და ანკარაში გზავნიდნენ სასწავლებლად, იქიდან კი „მოწამლული“ და ანტიქართულგანათლებამიღებული მაჰმადიანები ბრუნდებოდნენ...

— 1944 წელს შუა აზიაში მაჰმადიანი ქართველების გასახლებას მინდა დავუბრუნდეთ...

— მაშინ თურქეთი გერმანიის მოკავშირე იყო და მისი საქართველოს მხრიდან, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოჭრის საშიშროება დადგა. თურქეთის სახელმწიფოს ბევრ მაჰმადიან ქართველთან ჰქონდა კავშირი, ინფორმაციას იღებდა მათგან და ასე შემდეგ — ანუ სერიოზული საფრთხე იქმნებოდა და ამიტომაც გადაასახლეს შუა აზიაში. რომ არა ომი, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა და ის ადამიანები აუცილებლად გაქართველდებოდნენ... მახსოვს, ჩვენს სოფელში ვიღაცები მოვიდნენ და გეოლოგებად გაგვეცნნენ. გავიდა ხანი. ამ „გეოლოგებმა“ სამხედრო უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა ფორმა ჩაიცვეს და ამით გაამჟღავნეს თავიანთი ვინაობა. თუმცა მათ და რაიკომის პირველი მდივნის გარდა, გასახლების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ყველაფერი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ერთმა კაცმაც კი ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ისე განახორციელეს ეს გეგმა.

— ანუ ერთ მშვენიერ დღეს, მოჰკიდეს ამ ხალხს ხელი და გაასახ-

ლეს?

— მე იქ ვიყავი. გასახლებამდე სამი დღით ადრე სოფელში შინაგანი ჯარი შემოვიდა და გარშემო, მაღლობებზე განლაგდა. აკრძალეს სოფლიდან სოფელში მიმოსვლა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ყველა ქართველი აქტივისტი ასპინძაში წაიყვანეს და სამი დღე ჩაკეტილი ჰყავდათ. ასმევდნენ და აჭმევდნენ, რათა მაჰმადიანების გასახლების შემდეგ სოფელში იმათი ქონებისთვის მიეხედათ და დაეცვათ. ხალხში ხმა გავრცელდა, თურქეთი ომს იწყებს და ჯარი ამიტომ ჩააყენესო. ერთ ღამეს მე, ჩემი მეგობარი მაჰმადიანები და ქართველები სპექტაკლის რეპეტიციის შემდეგ შინ რომ დავბრუნდით, ვიღაცამ ჩემი სახლის კარზე დააკაკუნა. ამ დროს საჭმელს ვჭამდი. დამიძახეს, — „კანტორაში“ ამოდიო. ვიფიქრეთ, — ნაღდად ომი იწყება-თქო. ყველა ქართველი შეგვკრიბეს და დაგვავალეს, ჩამოგვევლო მაჰმადიანთა ოჯახებში და თითო წარმომადგენელი მიგვეყვანა. წარმოდგენა არ გვქონდა, ამას რატომ გვაკეთებინებდნენ. რომ მივდიოდით, თითოეულის კართან სამი-სამი ჯარისკაცი გვხვდებოდა. მოვიყვანეთ ყველანი, ამასობაში ინათა კიდეც. სოფლის „სტუმრები“ რუსულად რაღაც ამბობენ და ბიძაჩემი თურქულად უთარგმნის, — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით არის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, შუა აზიაში უნდა გაგასახლონ 40 წლით, მერე კი ისევ დაგაბრუნებენო. თან ჯარმა ალყა შემოარტყა ამ ხალხს. აყვირდა ხალხი, — არ წავალთ, არ გვინდა წასვლაო, მაგრამ... ახალგაზრდები გაგვაფრთხილეს, რომ მივხმარებოდით ამ ადამიანებს ხარ-კამეჩის გამოყვანაში, სურსათ-სანოვაგის მომარაგებასა და ბარგის შეკვრაში. ყველანი კალოზე უნდა გაგვეყვანა. იმ ღამეს ვერ წავიდნენ ჩვენი მაჰმადიანები და ჩემი მეზობლის პატარა ბიჭს, ჩემი ძმის კბილას, ჩვენთან ეძინა — ნება დაგვრთეს, დანარჩენებმა კი ღამე კალოზე გაათიეს. საღამოს რუსების ამერიკული მანქანები — „სტუდებეკერები“ მოიყვანეს, შეყარეს ეს ხალხი იქ და წაიყვანეს. ერთი-ორი მაჰმადიანი კი აყვირდა: ქართველებო, თქვენი დედაო!.. ჩვენ უნდა გვენახა თქვენი ქორწილი და ახლა თქვენ ესწრებით ჩვენს ქორწილსო — „ქორწილში“ უბედურებას გულისხმობდნენ... ასე მოხდა ეს ამბავი. მერე, წლები რომ გავიდა, ვითომ აბასთუმანში სამკურნალოდ, ჩამოდიოდა ზოგიერთი გადასახლებული, აქაც ამოდიოდნენ და ვიღაცამ მითხრა: შენი ილიაზა, აქედან რომ წავედით, ერთ-ერთ სადგურში მატარებლიდან ჩავიდა და მას შემდეგ არავის უნახავსო. ასე დაიკარგა ეს ახალგაზრდა ბიჭი... სხვათა შორის, მაშინ გახსნეს რკინიგზა და პირველი მატარებლით სწორედ ეს ხალხი წაიყვანეს. ისე, ბევრი დაღუპულა, თურმე, გზაში...

— თქვენი მეორე მეგობარი სად არის?

— არაფერი ვიცი, არსად გამოჩენილა. ჩემი აზრით, ეს გასახლება სწორი არ იყო. რუსები მათ იმასაც ეუბნებოდნენ, ქართველებს თქვენ არ უნდოდითო. ჩვენ რა შუაში ვიყავით ან ვინ რა გვკითხა?.. მამაჩემი ურავლის ხეობის მილიციის უბნის რწმუნებული იყო. მოგვიანებით, რაიკომის მდივანს სთხოვა და ხალხი ჭობარეთიდან სოფელ ურაველში — სადაც ახლა ვიმყოფებით — გადმოვსახლდით. შუა აზიაში გადასახლებულები, აქ რომ ჩამოდიოდნენ, აუცილებლად ხვდებოდნენ მამაჩემს. მამა ჯერ საბუთებს უმოწმებდა, მერე დააპურებდა ხოლმე და უკან უშვებდა. ერთხელ ამ სოფლიდან წასული ახალგაზრდა იყო ჩამოსული, მამაჩემმა უმასპინძლა და ბოლოს იმან უთხრა, პაპაჩემის საფლავი უნდა ვნახოო. მამამ იცოდა, რომ იქ ადრე სასაფლაო იყო. ხალხი რომ ჩამოასახლეს, სასაფლაო მოშალეს და იმ ადგილებში სახლები ჩადგეს. მამას არ უნდოდა, ახალგაზრდას ამ უბედურების ამბავი გაეგო და ცდილობდა, ისე გაესტუმრებინა. იმანაც არ დაიშალა... ჩავიდა და სადღა დახვდა საფლავი? — ზედ სახლი იყო აშენებული. დავარდა ძირს, თურმე, ტიროდა და თავს ურტყამდა მიწას. ძალიან შესცოდებია მამაჩემს — ეს რა უქნიათ, ადგილის მეტი რა იყო, სხვაგან აეშენებინათ სახლიო!.. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგაც მოდიოდნენ. ერთხელ მახსოვს, მე და ჩემი მეუღლე ვიყავით შინ, ორი ფაფახიანი მოგვადგა. გოგი, როგორ ხარო? — ერთმა ქართულად დაიძახა. შემოვიპატიჟე და მეც ვიცანი — მამაჩემთან მუშაობდა ადრე. კარგა ხანს ვისაუბრეთ... აქაური ხილი მოგვენატრაო. მეც გავატანე ყველაფერი. საერთოდ, ჩემთან იმიტომ მოდიან, რომ თურქული ვიცი, თან მამაჩემი უყვარდათ ძალიან და მისი ამბავი აინტერესებთ. ერთი აშუღი იყო აქ, ექვთიმე დავლაშელიძე! ხშირად დადიოდა შუა აზიაში, გადასახლებულებთან. ისინიც ამღერებდნენ ხოლმე და საჩუქრებით უშვებდნენ. ერთხელაც რომ გამოუსტუმრებიათ, უთხოვიათ, ათ ამდენს გაგატანთ, ოღონდ ისიდორე ივანიძის ამბავი ჩამოგვიტანეო. მესტუმრა ეს კაცი, გამეცნო, მაგრამ სამწუხაროდ, მამა უკვე გარდაცვლილი იყო.

— რას ფიქრობთ, შესაძლებელია მაჰმადიანი ქართველების აქ დაბრუნება და დასახლება?

— მე თუ მკითხავთ, აქ მათი კომპაქტურად დასახლება არ შეიძლება. ისინი გადაგვარებულები არიან. ახალგაზრდებს აქაურობის სიყვარული აღარ აქვთ, ქართველების შესახებაც არაფერი იციან. ძველები კი ცოცხლებიც აღარ იქნებიან. ჩემი აზრით, თუ ჩამოიყვან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა დაასახლო. მათი ჩამოსვლით ქართველები მეტად გამრავლდებიან, რადგან ისინი მრავალშვილიანები არიან. მაგრამ თუკი აქ, საზღვრისპირას დაასახლებ, აუცილებლად ავტონომიას მოითხოვენ,

ურავლის ხეობის სტუმრები

სკოლისა და მეჩეთის გახსნაც მოუნდებათ, ეს კი სიტუაციას გაართულებს. თანაც გადასახლებულ მაჰმადიანთა ორი ჯგუფიდან, „ვათანი“, რაც სამშობლოს ნიშნავს, მრავალრიცხოვანია და ანტიქართული, მეორე — „ხსნა“ კი, რომელიც უფრო მცირერიცხოვანია, ქართული ორიენტაციისაა. ახალციხეში ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი უკვე ჩამოსახლდა წლების წინ.

— ერთი წლის წინ, ახალციხეში მამუკა ხუციშვილის ოჯახი გავიცანი...

— მამუკა ჩემი მეგობარია. წიგნებს რომ ვუშვებ, ყოველთვის ვუძღვნი. ხაშზე მეპატიჟება ხოლმე. ულამაზესი შვილები ჰყავს, ნაღდი ქართველები, ქართულ ხალხურ ანსამბლში მღერიან. ეს ცოტაა? ასეთი ხალხის ჩამოსახლება შეიძლება...

— საქმე ისაა, რომ ჩამოსახლებისას როგორ გაარჩევენ, ვინ მტერია, ვინ — მოყვარე?

— ხელისუფლება ძალიან უნდა გაფრთხილდეს. ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთება არ შეიძლება, თორემ კონფლიქტის ახალი კერა გაჩნდება. აქეთ — აფხაზები, იქით — ოსები, აგერ, ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში სომხები არ ჩერდებიან!..

— ამბობენ, არც სომხებს უნდათ მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლება...

— ყველაზე მეტად, სომხებს არ უნდათ; მაშინაც ძალიან უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ამიტომაც ვამბობ, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ კეთილი საქმე ცუდად არ შემოგვიბრუნდეს. ■

პატარა „პოლიტიკოსები“, გაუმართლებელი იმედები და სკამი, რომელსაც აღვილად უნდა შეეცილო

დღეს პოლიტიკაში ყველა, დიდი თუ პატარა რომ ერკვევა და ერევა, ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ თინეიჯერები, რომლებიც თითქოსდა მხოლოდ გართობაზე ფიქრობენ, ამ საკითხშიც ერკვევიან და თუ საჭიროდ მიიჩნევენ, კამათშიც აგყვებიან და პირსაც დაგაღებინებენ. ჩვენ მოზარდებში გამოკითხვა ჩავატარეთ. მართალია, ბევრი მათგანი პოლიტიკაზე ლაპარაკისგან თავს იკავებდა, მაგრამ ბევრი, აქტიურობით გამოირჩეოდა და ამბობდა, რომ ისინი მომავალი თაობის წარმომადგენლები არიან და მათაც უნდა ჰკითხონ, — მოსწონთ თუ არა ესა თუ ის რეფორმა და კანონი, ესა თუ ის პიროვნება და ა.შ.

ლიკა ქაჯაია

ზურა, *15 წლის:*

— არჩევნებზე წასვლისა და ხმის მიცემის უფლება რომ მქონოდა, იქ მაინც არ მივიდოდი. აბა, რა აზრი აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირებას მაშინ, როცა ამას არავინ გაითვალისწინებს? მე მჯერა, რომ ახლო მომავალში, ქვეყნის სათავეში მოვა ადამიანი, რომელიც საქართველოს პოლიტიკას სწორი გზით წარმართავს. ახლა კი რისი უნდა მჯეროდეს?..

— **ეს შენი მოსაზრებაა თუ მშობლების გავლენის ქვეშ ხარ?**

— რატომ უნდა ვიყო ვინმეს გავლენის ქვეშ? რა, შენ გგონია, ისეთი პატარა ვარ, რომ არ შეიძლება, საკუთარი აზრი მქონდეს?

— **არა, მე ეს არ მითქვამს. უბრალოდ, რატომღაც მგონია, რომ ამ ყველაფერზე მშობლები მსჯელობდნენ და ახლა, როცა ამ საკითხზე ლაპარაკი დაგჭირდა, შენც იმავეს იმეორებ. შენს ასაკში პოლიტიკაზე ლაპარაკს, მით უმეტეს, მსგავსი განცხადებების ასე, საჯაროდ გაკეთებას მოვერიდებოდი...**

— შენ გოგო ხარ და ალბათ, ესეც ბევრ რამეს განაპირობებს.

— **რას გულისხმობ?**

— იმას, რომ არ გაქვს გამბედაობა იმისა, რომ სათქმელი პირდაპირ თქვა, მე კი ეს შემიძლია... იცი, ყველაზე მეტად ნათელაშვილი მესიმპათიურება. სხვა თუ არაფერი, ის მართობს მაინც. რატომღაც მგონია, რომ ყველაზე გულწრფელია. ვიცი, მცირე გამონაკლისის გარდა, მას არავინ ენდობა (ჩემი ოჯახის წევრებიც არ უჭერენ მხარს), მაგრამ მერწმუნეთ, ის მეტ რამეს გააკეთებდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ვიდრე დანარჩენები.

— **შენმა მშობლებმა ვის მისცეს ხმა?**

— ვინაიდან გლდანში ვცხოვრობთ, ერთადერთ ნორმალურ კანდიდატად მამუკა ლომაშვილი მიიჩნიეს. მამუკა მესიმპათიურება, მაგრამ დეპუტატის ამპლუაში ვერ წამომიდგენია და თუ გინდა, მომკალი.

— **თქვენთან კენჭს გიორგი ასანიძეც იყრიდა...**

— ამ კაცს რაღა უნდა, ვერ ვხვდები, რა. მე რომ პრეზიდენტი ვიყო, მას ყვითელ ბარათს ვუჩვენებდი. ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე რომ ვიცოდეთ, ყველაფერი კარგად გვექნება, მაგრამ იქით მივრბივართ, საითაც ფულის შოვნის მეტი შანსია და ეს გვღუპავს. ვერ ვიტან პოლიტიკას და მასში არასდროს ამოვითხვრები.

ნინო, *17 წლის:*

— ძალიან მომწონს „ნაციონალები“ და რა ვქნა? მათ მართლაც, ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ჩვენ ვართ დაუნახავები.

— **რას გულისხმობ?**

— გზები რომ შეაკეთეს, ხალხმა თქვა, — ეს რა უბედურებაა, ეს გაგვაძღებსო? ფასადები რომ შეღებეს, — ეს ვის ამოუყორავს მუცელსო? ქალაქი რომ გაანათეს, — შუქი რას უშველის ჩვენს გაჭირვებას, გადასახადი როგორ გადავიხადოთო? ახალი ავტობუსები ჩამოიყვანეს და მათ სავარძლებს იწუნებენ. მოკლედ, უმადურები ვართ, რა. გზა დათხრილი და შენობები დანგრეულ-უსახური რომ იყო, ეს მოგწონდათ? ან არც შუქი რომ არ გვქონდა და არც ავტობუსები დადიოდა, კარგი იყო? მაშინ ამ ყველაფრის უქონლობის გამო წუწუნებდნენ. ახლა კი რა გამოდის?..

— **„ნაციონალებში“ ყველაფერ დადებითს ხედავ?**

— არა, ისინი ბევრ ისეთ რამეს არ აკეთებენ, რისი გაკეთების შანსიც აქვთ, მაგრამ რა ქნან, ყველაფრის ერთად მოგვარება თუ არ ძალუძთ?! მჯერა, დრო მოვა და სხვა პრობლემებსაც მოაგვარებენ. ხელისუფლებას წიხლი კი არ უნდა დავაჭიროთ მტკივნეულ ადგილას და ამით მტერი კი არ უნდა გავახაროთ, არამედ მას უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ ჩვენდა საკეთილდღეოდ მეტი რამ გააკეთოს.

— **შენი მშობლებიც „ნაციონალებს“ უჭერენ მხარს?**

— აბა, რა! ისინი დაუნახავი ადამიანები ნამდვილად არ არიან.

— **როგორ ფიქრობ, მათი გავლენის ქვეშ ხომ არ იმყოფები?**

— არავითარ შემთხვევაში, მე საკუთარი მოსაზრებები მაქვს.

— **ოპოზიციური პარტიებიდან არც ერთი არ მოგწონს?**

— პარტიის რა მოგახსენო, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძე ძალიან მომწონდა. სამწუხაროდ, მან იმედები ვერ გამიმართლა. მარტო გინება ქვეყანას ვერ აგვიშენებს.

— **ნინო, მომავალში პოლიტიკოსად ხომ არ მოგვევლინები?**

— გამორიცხული არაფერია (*იცინის*).

რომა, *16 წლის:*

— რა დროს პოლიტიკაა, შენი ჭირიმე, რა. მე სომეხი ვარ და სომხურ პოლიტიკაზე მკითხე, თუ გინდა.

— **ჰო, მაგრამ შენ საქართველოში ცხოვრობ და წესით, ეს ყველაფერი უნდა გაინტერესებდეს, გაღელვებდეს.**

— აქ ვცხოვრობ, მაგრამ ყველა სომეხს მეძახის, ჩემი სახელი არავის ახსოვს და მე რატომ უნდა ვიმტვრიო თავი ქართველების გამო? თან, არც ერთი პოლიტიკოსი არ მომწონს. ერთადერთი, ჟვანიას ვცემდი პატივს და ისიც „დაბრიდეს“. არ მჯერა, რომ ხელისუფლებაში მოსული რომელიმე პარტია ან ადამიანი ჩვენი კეთილდღეობისთვის იბრძოლებს. ვფიქრობ, ყველა თავისი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავს.

— **შენი ოჯახის წევრები არჩევნებზე არ წასულან?**

ეკეკლდებოდი, ხალხს იმდენი ეემოსავალი ჰქონოდა, რომ ეიმეეილს არავინ ეეხუსებინა

— ვინაიდან მათ ჩემგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ, ხმის მისაცემად წავიდნენ. მშობლებს ვუთხარი კიდეც, — სად მიდიხართ, მეტი საქმე არ გაქვთ-მეთქი? მაგრამ არ დამიჯერეს. არ ვიცი, ხმა ვის მისცეს, რადგან ამით არ დავინტერესებულვარ.

— რომა, ბევრი შენი თანატოლი ამბობს, რომ პოლიტიკის აზრზე ყველა — დიდი თუ პატარა უნდა იყოს...

— ეს მე არ მეხება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, რაღაცებში მეც ვერკვევი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი, მსჯელობა და თავის ატკივება არ მიღირს.

— ახლა სრულწლოვანი რომ იყო, არჩევნებზე არ წახვიდოდი?

— ხომ არ გაგიჟდი? იქ რატომ უნდა წავსულიყავი?! ბევრი უაზრო სიარულისგან ფეხსაცმელი ცვდება.

— როგორ ფიქრობ, მომავალში პოლიტიკოსად რომ მოგვევლინო...

— (*მაწყვეტინებს*) რა სასაცილო რაღაცას მეუბნები (*იცინის*)! ჩემგან პოლიტიკოსი არა, მაგრამ კარგი ფეხსაცმლის შემკეთებელი გამოვა და თუ ჩექმა გაგიფუჭდება, 1-2 წლის მერე შემომიარე...

— კიდევ ერთ კითხვას დაგისვამ (შენთვის ისევ სასაცილოს). პრეზიდენტი რომ იყო, პირველ რიგში, რას გააკეთებდი?

— იმათ ამოვაძრობდი ენას, ვინც ჩემი სომხური წარმოშობის გამო აბუჩად მიგდებს. მეც ხომ ადამიანი ვარ და იქნებ, მეც მტკივა რაღაცები? ჰო, ხალხს განურჩევლად ეროვნებისა, დავასაქმებდი. სხვა რა გითხრა? კარგ სახლს ავიშენებდი და ჩემებს ფუფუნებაში ვაცხოვრებდი, სიცოცხლით დავტკბებოდი, მაგრამ „სახლშიც“ თავის დროზე წავიდოდი ანუ როცა ხალხს მოვბეზრდებოდი, სკამს ადვილად შეველეოდი.

ანი, *17 წლის:*

— პოლიტიკა ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ ზოგჯერ, პოლემიკაში მეც ვერთვები. არჩევნებზე წასვლის უფლება რომ მქონოდა, ხმას ლევან ღვინჯილიას მივცემდი. სხვას თუ არაფერს, ქართულ ენას მაინც დაიცავდა.

— შენმა მშობლებმა მას დაუჭირეს მხარი?

— სამწუხაროდ, არა. მათ არჩევანი არჩილ გეგენავას სასარგებლოდ გააკეთეს. სხვათა შორის, დედას უნდოდა, ხმა ბატონი ლევანისთვის მიეცა, მაგრამ მამამ აიძულა, აზრი შეეცვალა.

— რატომ?

— მართალია, ღვინჯილია ფრიად პატივსაცემი ადამიანია, მაგრამ ვერაფერს აგვიშენებსო და რა ვიცი. მე კი მგონია, რომ დედა მართალი იყო და მამას მასზე ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა. ყველას აქვს უფლება, არჩევანი დამოუკიდებლად გააკეთოს და ის არც მეზობელს და არც ოჯახის წევრს არ უნდა წავართვათ.

— თანატოლები პოლიტიკაზე ხშირად მსჯელობთ?

— არა, ამისთვის დრო ნამდვილად არ გვრჩება, მაგრამ როცა უფროსების გარემოცვაში ხარ, იძულებული ხდები, ამ საკითხზე ლაპარაკს მოუსმინო და ძალაუნებურად, შენც მასში ერთვები. საქართველოში კი მოგეხსენება, ყველგან პოლიტიკაზე ლაპარაკობენ.

— როგორ ფიქრობ, ეს კარგია თუ ცუდი?

— კარგია, როცა ადამიანი პოლიტიკაში ერკვევა, ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ იცი, ჩემს ასაკში პოლიტიკაზე ფიქრი და ლაპარაკი ნაადრევი მგონია. თუმცა, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ ამას გვერდს ვერ ავუვლით.

— ოდესმე, პოლიტიკოსობაზე თუ გიოცნებია?

— რას ამბობ?! ამისგან ღმერთმა დამიფაროს!

სოფიო, *16 წლის:*

— ბევრს ეცინება, როცა მათ პოლემიკაში აქტიურად ვერთვები. მერე რა, რომ ჯერ სრულწლოვანი არ ვარ? მეც ხომ მაქვს საკუთარი მოსაზრება, რომლის გამოთქმის უფლებას ვერავინ წამართმევს. საერთოდაც, უფროსმა თაობამ ჩვენც, მომავალი თაობის წარმომადგენლებსაც უნდა გვკითხონ, — მოგვწონს თუ არა ესა თუ ის რეფორმა და კანონი, ესა თუ ის პიროვნება და ა.შ.

— რომელი პარტია თუ პოლიტიკოსი მოგწონს?

— პარტია არ ვიცი, მაგრამ ძალიან მომწონს ნინო ბურჯანაძე, მეცოდება გია მაისაშვილი, მეცინება შალვა ნათელაშვილის კომენტარებზე. ძალიან მიყვარდა, მაგრამ ახლა ანტიპათიურად ვარ განწყობილი ლევან გაჩეჩილაძის მიმართ; ვერ ვხვდები, რა უნდა გოგა ხაინდრავას? პატივს ვცემ დავით უსუფაშვილს, მაგრამ მაღიზიანებს მისი ცოლის გამოსვლები; არ ვიცი, რას უნდა ვგრძნობდე მიშა საააკაშვილისა და დავით გამყრელიძის მიმართ. ხომ ხედავთ, პოლიტიკაში როგორ ვერკვევი.

— უფლება რომ გქონდეს, არჩევნებში ხმას ვის მისცემდი?

— არ ვიცი, ეს რთული გადასაწყვეტია. უფროსები ასე უცებ, დაუფიქრებლად რომ იღებენ გადაწყვეტილებას, მერე იმიტომაც არიან ყველაფრით უკმაყოფილოები. ჯერ ვიღაცის პრეზიდენტობის გამო იხოკავენ სახეს, იშლიან ნერვებს, მერე კი გაიძახიან: გადადექი, გადადექიო. კაცო, რა ეგონათ, ვიღაც სავარძელს თუ ჩაეჭიდა, მისი ჩამოგდება ასე ადვილი იქნებოდა? გამაგიჟებს ეს ხალხი.

— ხომ არ ფიქრობ, რომ შენი ასაკისთვის, უცნაურად აზროვნებ?

— ასე ნამდვილად არ მიმაჩნია. ვერ ვხვდები, რა არის ცუდი იმაში, თუ პოლიტიკაში ვერკვევი? მგონი, არც არაფერი.

— როგორ ფიქრობ, ახლა მომავალ პოლიტიკოსს ხომ არ ველაპარაკები?

— ადვილი შესაძლებელია. ძალიან მინდა, პოლიტიკოსი ვიყო, მაგრამ არა — ლაქლაქა და უსაქმური, არამედ ჩემი ქვეყნის ღირსეული შვილი. მერწმუნეთ, ხალხს მამა-მარჩენლად მოვევლინებოდი.

— ეს ცოტა არ იყოს, ძნელი საქმე იქნებოდა...

— ჰო, ალბათ, თითოეული მოქალაქის საკუთარი ხელით დაპურებას ვერ მოვახერხებდი, მაგრამ შევეცდებოდი, ხალხს იმდენი შემოსავალი ჰქონოდა, რომ შიმშილს არავინ შეეწუხებინა. მიკვირს, როცა ადამიანებს ერთმანეთის შურთ. კაცო, თუ მდიდარი მეზობელი მეყოლება, ამით მე რას წავაგებ? პირიქით, როცა გამიჭირდება, ის დამეხმარება. აბა, ჩემზე გაჭირვებული, თავის თავს რომ ვერ არჩენს, მე რას მომცემს? ქვეყანაში ღმერთმა გვიმრავლოს მდიდარი ადამიანი.

— შენს ოჯახში პოლიტიკაზე ბევრს ლაპარაკობენ?

— ამ საკითხზე სად არ ლაპარაკობენ? ყველგან შეგიძლია პოლიტიკაზე საუბარს მოჰკრა ყური: „მარშრუტკაში“, ავტობუსში, ბარში, რესტორანში და ა.შ. ამ საკითხზე სახლშიც კამათობენ ხოლმე და ხშირად, ეს კამათი ყვირილით და გაბუტვით მთავრდება. იმედია, თქვენს ოჯახშიც ასე ხდება და ეს ყველაფერი არ გაგაკვირვებთ.

— თუ პოლიტიკოსი გახდები, პირველად ინტერვიუ მე მომეცი, კარგი?

— (*იცინის*) აუცილებლად!

„�ARAFERSTAN ERTMANETS GAVIVARJIUMDI KUNTEPS“

„გზის“ №20-ში დაიბეჭდა 17 წლის დატანჯულის მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა, რომ მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ, ხოლო ის და მისი და-ძმა საცხოვრებლად მამასთან დარჩნენ, რადგანაც დედას შვილებ-ის რჩენის თავი არ ჰქონდა. თურმე, მამა ბავშვებს საშინლად ექცევა: „თითქმის ყოველდღე მთვრალი მოდის, გვაგინებს. რამდენჯერმე ხელითაც შემეხო“. გოგონას უფროსმა დამ ამ სიტუაციას ვერ გაუძლო და თავს გათხოვებით უშველა, დატანჯულმა კი არ იცის, რა მოიმოქმედოს და ამიტომაც, რჩევისთვის თანატოლებს მიმართა.

ფახუცანა-20, *ქუთაისიდან:*

„გენაცვალე, თავის მოკვლით მხოლოდ სულს დაიმძიმებ და აქ ტანჯულმა, იმ ქვეყნად მაინც ვერ უნდა პოვო ბედნიერება? ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე და შენი თუ არა, შენი პატარა ძმის ხათრით, ამ ჯოჯოხეთს ცოტა ხანს გაუძელი. იქნებ, მამის ნათესავებთან შეძლო დაკავშირება. ვფიქრობ, ისინი დაგეხმარებიან. წარმატებებს გისურვებ!“

კელი:

„შენი კარგად მესმის, რადგან მსგავს სიტუაციაში მეც ვყოფილვარ. გახსოვდეს, ცუდს ყოველთვის კარგი მოსდევს და ადრე თუ გვიან, შენი ცხოვრება შეიცვლება! მანამდე კი ისწავლე და ღმერთს სთხოვე, მოგცეს ძალა იმისათვის, რომ ამ ყველაფერს გაუძლო“.

ფსიქოლოგი:

„ჩემო კარგო, ყველაფერი მოგვარებადია. მესმის, რომ 17 წლის ხარ და მთვრალი მამის ხასიათის ატანა გიჭირს, მაგრამ მერწმუნე, ცხოვრებაში ამაზე უარესებიც ხდება. დედას ამ ყველაფრის შესახებ ელაპარაკე? იქნებ, მან შეძლოს შენი დახმარება?! ჩემო პაწია გოგო, არც გათხოვებაა გამოსავალი და არც — თავის მოკვლა. იცი, ცხოვრებაში რამდენი პრობლემა მქონია? იცი, რომ ხმელი პურიც მომნატრებია? მაგრამ ადამიანი ამ ყველაფერს უნდა გაუმკლავდეს. ვიცი, არის მომენტები, როცა სიკვდილზე ფიქრობ, მაგრამ მეორე წუთში სიცოცხლე გიხარია. ცხოვრება თავისი სისასტიკით, საშინელი დღეებით, ზოგჯერ კი ბედნიერი წუთებით, მაინც მშვენიერი და ლამაზია. იბრძოლე ბედნიერებისთვის და არასდროს დაკარგო საკუთარი თავის რწმენა. გკოცნი ბევრს. უფალი იყოს შენი მფარველი“.

გრუზინკა:

„ეცადე, თავი ხელში აიყვანო. იქნებ, დედას ჰგავხარ, შენში მას ხედავს და ნანობს, რომ ოჯახი დაენგრა?!. თავის მოკვლა გამოსავალი არაა. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ“.

სოფიჩა:

„ჩემო პატარავ, მეც ანალოგიურ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ეკლესიაში სიარულმა მიშველა. შენც იარე ეკლესიაში და უფალი აუცილებლად დაგეხმარება. თუ გინდა, დამიკავშირდი“.

ცრემლუკა:

„შენმა ამბავმა შემძრა. მაპატიე, მაგრამ ასეთი მამის ყოლას, სჯობს, სულ არ გყავდეს. არა, პატარავ, სიკვდილზე არ იფიქრო და სულით ნუ დაეცემი. გამაგრდი! მინდა, გაგიცნო. თუ ამის სურვილი თავადაც გაგიჩნდება, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი. უფალი იყოს შენი მფარველი“.

ბეეკა:

„ეჰ... ვიცი, ასეთ სიტუაციაში ყოფნა ძალიან ძნელია, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. იცი, მსგავს მდგომარეობაში მეც ვყოფილვარ. მერწმუნე, ოდესმე, მამაშენი მიხვდება, რომ დანაშაული ჩაიდინა და საკუთარ საქციელს ინანებს. თუ სურვილი გექნება, მომწერე და აუცილებლად დაგეხმარები. მერწმუნე, არ ინანებ!“

„MINDA, SHEMSHILITH MOVKVDE, VIDRE KEMSHI AMOMXADONS SULI“

თათია და ანა:

„შენი კარგად მესმის. როცა მამაშენი ფიზიელი იქნება, ძალა მოიკრიბე და მთელი სერიოზულობით დაელაპარაკე. აუხსენი, რომ შენ და შენი ძმა ცუდ პირობებში იზრდებით და ისიც აუცილებლად გაგიგებს“.

თათუკა:

„ასეთ ჯოჯოხეთში ცხოვრება ძნელია. მოძღვარს დაელაპარაკე და თუ ნებას დაგრთავს, შენს პატარა ძმასთან ერთად, მონასტერში იცხოვრე. იქ მოგივლიან და თან, ღვთის სამსახურში იქნები“.

ლუნა:

„არა, გენაცვალე, თავის მოკვლაზე არც იფიქრო. ოდესმე, მამაშენი შენთან ჩხუბით დაიღლება და თავს დაგანებებს. ახლა რომ გირჩიო, — გათხოვდი-მეთქი, ეს რას მოგიტანს? — არაფერს. ყველაფერს სჯობს, საცხოვრებლად შენს გათხოვილ დასთან გადახვიდეთ. მერე მამაშენი მიხვდება, რომ ცუდად იქცეოდა და შინ დაბრუნებას გთხოვთ. იცი, მეც საოცრად ეჭვიანი მამა მყავდა და ახლა ძალიან მიკვირს, არაფერს რომ არ მიშლის (თვალი არ მეცეს). ისე, იცი, რა უნდა ქნა? — როცა გინებას დაგიწყებს, ყურში ბამბა ჩაიტენე და თუ რაიმე გაიგონო, მე ვიყო პარლამენტის წევრი (უფ, მიყვარს ოცნება)! მე ასე ვშვრები და ამართლებს. P.S. ლიკ, თუ „მიმბლოკო“, შენ გაიზიარე ჩემი მეზობლის ბედი — ბავშვი ეყოლა, ბავშვიი. აბა, ცუდ რაღაცას ხომ არ გისურვებდი? გაკოცე ნიჭიერებაში!“

ტერეზა:

„გამოსავალს სიკვდილში ნუ ეძებ, რადგან ამით სულს სამუდამოდ დაიღუპავ. განსაცდელი ლოცვითა და მოთმინებით დასძლიე. ღმერთს ევედრე, მამა გამოგისწოროს და დასახმარებლად დედასაც მიმართე“.

ეკილი:

„აუ, ძალიან ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ ყველაფერს ეშველება. მასთან დალაპარაკება კიდევ ერთხელ სცადე და აუხსენი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეგიძლია. ჰო, კიდევ, ასეთი ახალგაზრდა ხარ და თავის მოკვლაზე არც უნდა ფიქრობდე. ჩვენ შენთან ვართ, გამაგრდი“.

ნაზი ბებო, *რუსთავიდან:*

„დატანჯულო, ბებო, დედაშენი ან მისი მშობლები სად არიან? სად ან ვის ხელში დაგტოვეს? უთქვენოდ როგორ ჩერდებიან? შვილო, გენაცვალოს ნაზი ბებო, მამას დაელაპარაკე. უთხარი, რომ ის ძალიან გიყვარს, რომ მის გარდა არავინ გყავს და სთხოვე, გაგიგოს. ავია თუ კარგია, მამაშენია და მას არ მიუტოვებიხარ. ბებო, მშობელი შვილს ხან მოეფერება, ხან გაუწყრება, მაგრამ დამიჯერე, მას უყვარს თავისი ნაშიერი. ბებო, მე შენზე დიდი და პატარა შვილიშვილები მყავს, დიდი ბებიაც ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ. შეეცადე, მამას გაუგო და დედაშენიც შეაწუხე: გაიგე, სად და როგორ არის. ის ვალდებულია, შვილებს მიხედოს“.

მარი 17:

„შენი ცხოვრება მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. შენ შეგიძლია, ის კარგისკენ შეცვალო! გამაგრდი!.. რა თქმა უნდა, ამ

ყველაფრის ატანა ძნელია, მაგრამ შეეცადე, კონფლიქტს თავი აარიდო. როცა მამაშენი შინ დაბრუნდება, სხვა ოთახში გადი და მუსიკას მოუსმინე“.

NIKE:

„სიკვდილზე ნუ ფიქრობ, ეს საშინელებაა. დამიჯერე, საგიჟეთში ყოფნას ისევ შიმშილი სჯობს (ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები). შენს ძმას ხელი მოჰკიდე და დედასთან წადი. კარგი იქნება, თუ ეკლესიაში ივლი. მერწმუნე, სულიერი მოძღვარი ბევრ რამეში დაგეხმარება. თუ გინდა, შემეხმიანე და გამოსავალი ერთად ვიპოვოთ“.

ნატა:

„ვიცი, ცუდ დღეში ხარ და ძალიან გიჭირს, მაგრამ მამას უნდა გაუგო. თუ შენი დის მსგავსად, გათხოვებას გადაწყვეტ, უფრო დაიტანჯები, რადგან უსიყვარულოდ ცხოვრებას ვერ შეძლებ. ცოტა შენს ძმაზეც იფიქრე. იცი, მამაჩემს, ავადმყოფობის გამო, ხასიათი გაუფუჭდა და ხშირად, უმიზეზოდ მეჩხუბებოდა. 5 თვეა, რაც გარდაიცვალა და ამ სიცარიელეს ვერაფერი მივსებს“.

ფიფილა:

„გულით შემეცოდე, პატარავ. გთხოვ, თვითმკვლელობაზე აღარ იფიქრო და უფლის რწმენა არ დაკარგო. შეიძლება მკითხო, — რატომ ვიწამო უფლის, როცა მას არ ვახსოვარო? ცდები. წარსულს გადახედე და მიხვდები, რომ ღმერთი შენთანაა. მოძღვარს გაესაუბრე და ის სწორ გზაზე დაგაყენებს. უფალს ებარებოდე“.

განძის მაძიებელი:

„მეც დამტანჯა შენი მესიჯის კითხვამ. მამაშენისნაირ აგრესორზე სიამოვნებით გავივარჯიშებდი კუნთებს. დახმარება დას და სიძეს რომ სთხოვო? არ ვიცი, რა გირჩია, ასეთ დროს მზა რეცეპტი არ არსებობს. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი. შენ გვერდით მიგულე და გამაგრდი!“

აბლახანუმი:

„ზოგიერთი კაცი, თუ ცოლს გაშორებულია, ჯავრს შვილებზე იყრის. დედასთან წადი. დამიჯერე, ჯობს, ზოგჯერ მშიერმა დაიძინო, ვიდრე მამის ასეთი საქციელით ცხოვრება დაიმახინჯო. ისე, დედაშენის არ მესმის: თუ იცის, რომ ვენები გადაიჭერი და თავის მოკვლა გინდოდა, მამასთან როგორ გტოვებს? უფალი გფარავდეს“.

კახელი ხისთავიანი:

„რადგან სიკვდილს გადაურჩი, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს ასე უნდოდა. მგონია, რომ ახლა სახლიდან გაქცევა უნდა სცადო. არ ვიცი, სად, მაგრამ ძალიან შორს უნდა გაიქცე“.

მის-13:

„დრო მოვა და მამაშენს, თავისი საქციელის გამო, უფალი დასჯის. მინდა, ნიკოლოზობა მოგილოცო. მისი მადლი და ძალა გფარავდეს, ყველგან და ყოველთვის“.

მაკუნა:

„ლიკუშ, ისევ გესტუმრე. მინდა, დატანჯულს გამოვეხმაურო: მირჩევნია, შიმშილით მოვკვდე, ვიდრე ცემაში ამომხადონ სული. მამაშენი მართლა ძალიან ცუდად იქცევა. შენი და სად არის? რატომ არ ცდილობს, ამ ჯოჯოხეთიდან გიხსნას? მის ადგილას, როგორც არ უნდა მიჭირდეს, ჩემს და-ძმას არავის დავაჩაგვრინებდი. დამიმესიჯე და შენთან გავჩნდები“.

იკუშკები:

„შენმა ამბავმა ძალიან შემაშფოთა. წარმომიდგენია, ახლა როგორ ცუდად ხარ. ისეთი არავინ გყავს, ვინც დაგეხმარება და მამაშენს დაელაპარაკება? ან დედაშენი სად არის? დავიჯერო, შვილებთან არანაირი ურთიერთობა არა აქვს? ჯობს, ეკლესიაში წახვიდე, მოძღვარს დაელაპარაკო და თავს უკეთ იგრძნობ. იქნებ, მამაშენიც წაიყვანო ეკლესიაში. აბა, გათხოვება როგორ გირჩია, როცა ვატყობ, რომ არავინ გიყვარს. ჩემო კარგო, ასეთი დიდი ტკივილისთვის ძალიან პატარა ხარ. გული მეწვის, ასე რომ იტანჯები. ბედნიერებას გისურვებ!“

7676:

„ძალიან მეცოდები და არ ვიცი, რა გირჩია. შენმა წერილმა გული მატკინა. ჯობია, დედაშენთან წახვიდე. ასეთ ცხოვრებას გაჭირვებაში ყოფნა სჯობს. ღმერთმა გაძლება მოგცეს. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე“.

უცნობი:

„მთელი კვირა ვფიქრობდი, რა მომეწერა შენთვის, რით მენუგეშებინე. თუ შესაძლებელია, დედასთან წადი. გერჩივნოს, მშიერი იყო და მშვიდად იცხოვრო, ვიდრე სულ იმის შიში გქონდეს: ვაიმე, ახლა მოვა და რაღა მეშველებაო? მეორე ვარიანტიც არსებობს: შენი გასაჭირი მოძღვარს უამბე და სთხოვე, შენ და შენს ძმას რომელიმე მონასტერში ცხოვრების უფლება მოგცეთ. იქ ბევრ რამეს გასწავლიან და თან, მაგ არაკაცს თავს დააღწევ. აბა, შენ იცი, დაუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგა“.

ეგოისტკა:

„მეც შენი ასაკის ვარ და ასეთ საკითხშიც მაქვს გამოცდილება. რას ჰქვია, გცემს? — არც გააბედვინო. თუ კიდევ დაგარტყამს, ხელი შეუბრუნე. დამიჯერე, შეიძლება უფრო გამწარდეს და მეტი გირტყას, მაგრამ ბოლოს, ფარ-ხმალს დაყრის. კატეგორიული და მომთხოვნი იყავი, ნუ მოემსახურები. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოიქცე“.

თეთრი ვარდი, *თელავიდან:*

„აუხსენი, რომ უკვე პატარა აღარ ხარ, რომ ხელით არ უნდა შეგეხოს და არ დაგამციროს. ჩემო კარგო, გამძლეობას და ღმერთის მფარველობას გისურვებ. P.S. ლიკუშ, გახსოვს, წინა კვირაში რომ მოგწერე, „გზის“ საშუალებით ბიჭი გავიცანიმეთქი? ის ჩემს სანახავად შორიდან ჩამოვიდა და ერთმანეთი ორივეს მოგვეწონა. რა მოხდება, ამას მომავალი გვიჩვენებს“.

ზვიო 17:

„პრივეტ“, ლიკ. მე ახალი ვარ. დატანჯული მაგრად შემეცოდა. რამდენიმე წლის წინ, მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. მინდა, მას ვურჩიო: მშობლების სულელური საქციელის გამო ცხოვრებას ნუ დაინგრევ და სიკვდილზე ნუ ფიქრობ. ბედნიერებისთვის იბრძოლე, არ დანებდე!“

კახელო-616:

„პრივეტ“, ლიკ. დატანჯულის წერილი რომ წავიკითხე, აღვშფოთდი. ვერ წარმომედგინა, ასეთი მამები თუ არსებობდნენ. მე და მამაჩემს შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, მისთვის ყველაფერი ვარ და ამიტომაც, გული ძალიან მეტკინა — მე დავკარგე იმის რწმენა, რომ ყველა მშობელს საკუთარი შვილი სიცოცხლეს ურჩევნია. ჩემო კარგო, არ ვიცი, რა გირჩია, მაგრამ მართლა მინდა, რომ მამაშენი შეიცვალოს და ის განძი დააფასოს, რასაც შვილი ჰქვია. იმედია, ახლო მომავალში ასეც იქნება“.

„ეგოზრეგის ფეჟენის უკანასკნელ ფანს ნუ ფამართმევ!“

დოლჩე:

„ლიკა, არ ვიცი, რა ვქნა. რას ვგულისხმობ? — ჩემი ცხოვრება ძალიან უაზრო და მოსაწყენია, რადგან მეგობრები არ მყავს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ კლასელები ცისფერს მეძახიან (პირველი კლასიდანვე) და დამცინიან. ასეთი არ ვარ, მაგრამ ამდენი დაცინვის შემდეგ, მართლა ქალური ჩვევები და მიხრა-მოხრა ჩამომიყალიბდა. ჰო, ვიცი, მართლა ასეთის შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ... მჯერა, თუ მეგობრების თანადგომას ვიგრძნობ, კაცური ქცევები ჩამომიყალიბდება, ანუ მიზანს მივაღწევ. ხალხნო, მე არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩნდა და იქნებ, თქვენ მაინც მიშველოთ რამე. ლიკაა, მეგობრების შეძენის უკანასკნელ შანსს ნუ წამართმევ! თუ არ დამიბეჭდავ, იცოდე, გულს ძალიან მატკენ. გელოდები და არ დამაღალატო“.

***P.S.** თუ დოლჩეს წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ერთელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*

ამბები, რომლებსაც ექიმები ანეკდოტებად ჰყვებიან...

„იმ ამბებს, რომლებიც ექიმებს პაციენტებთან ურთიერთობაში გადაგვხდენია, შემდეგ ანეკდოტებად ვყვებით ხოლმე", — მითხრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ინფექციონისტ-გასტროენტეროლოგმა ირაკლი ხმალაძემ. თავადაც არ დაიზარა და პროფესიული საქმიანობის დროს, თავს გადახდენილი და კოლეგებისგან მონათხრობი სახალისო ამბები გაიხსენა.

თამუნა კვინიკაძე



რექტოსკოპია და საბურავები

ცნობილი ექიმები: სიმიკო (სიმონ) ჯაფარიძე, პეტრე ბურჭულაძე და ასლან ხაბაზი ინფექციურ საავადმყოფოში მუშაობდნენ. მაღალი პროფესიონალიზმის გარდა, ეს ადამიანები იუმორის გრძნობითაც გამოირჩეოდნენ. მათ გვერდით მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი იყო. პაციენტს, რომელიც ნაწლავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ექიმს აკითხავს, უმეტეს შემთხვევაში, რექტოსკოპიას უკეთებენ (ეს არის სწორი ნაწლავის დათვალიერება სპეციალური მილით. ეს დიაგნოზის დასასმელად საჭირო პროცედურაა). ერთ დღეს, ბატონ პეტრეს სიმიკომ დაურეკა და უთხრა: დღეს შენთან ჩემი ახლობელი მოვა და მიმიხედეო. იმ პერიოდში, დატვირთული დღის გრაფიკით გვიწევდა მუშაობა, დღეში 20-30 პაციენტს ვიღებდით. საღამოს საათებია. ბატონ პეტრესთან მამაკაცი მოვიდა და უთხრა: მე სიმონ ჯაფარიძის ახლობელი ვარო. ექიმს კოლეგისგან ნათქვამი სიტყვა — „მიმიხედე" გაახსენდა და ეს მამაკაცი პირდაპირ რექტოსკოპიის კაბინეტში შეიყვანა. რაც შეეხება თავად პროცედურას, ძალზე უსიამოვნოა. პაციენტი წინ იხრება და სწორ ნაწლავში სპეციალური 30-სანტიმეტრიანი მილით შედიან. პროცედურის ჩატარების შემდეგ, ბატონმა პეტრემ ცოტა გაკვირვებული სახით მიუგო: თქვენ არაფერი გჭირთ, ჯანმრთელი ხართო. — რა თქმა უნდა, არაფერი მჭირს, ბატონ სიმონს საბურავები მოვუტანე და იქნებ შეუნახოთო. ძალიან შევწუხდით, ამავე დროს, იმ მამაკაცის მოთმინებამ გაგვაოცა, — არა უშავს, რაც მოხდა, მოხდაო, — პირიქით, ჩვენ გვამშვიდებდა.

წინ წასული ტექნიკა

ანალოგიურ სიტუაციაში ერთხელ მეც აღმოვჩნდი. მეგობარმა დამირეკა და მითხრა: სამეგრელოდან ჩემი ნათესავი გოგონა ჩამოვა და მიმიხედეო. მართლაც ერთ დღეს, ჩემი მეგობრის სახელით, 16 წლის პაციენტმა მომაკითხა, თან 20-30 ახლობელი ახლდა, ვუთხარი: დედაჩემიც მეგრელია-მეთქი. ძალიან ესიამოვნათ. პაციენტი ჯერ გარეგნულად, მუცელზე გავსინჯე. საეჭვო ვერაფერი შევამჩნიე, შემდეგ რექტოსკოპიის კაბინეტში შევიყვანე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავუკეთე, არანაირი გასტროენტეროლოგიური პრობლემა არ ჰქონდა. ეს გოგონა თავის ნათესავებთან რომ გასულა, უთქვამს: რა წინ წავიდა ტექნიკა, ექიმმა გლანდები უკანა ტანიდან დამითვალიერა; თან მეგრელი ჰყავს დედა და მაგარი ექიმიაო. შევუქივარ მეგრელებს. ბოლოს გავარკვიე, რომ ეს გოგონა თბილისში გლანდების ოპერაციის გასაკეთებლად ჩამოსულა. მე კი ვიფიქრე, რადგან მეგობარმა მე დამირეკა, გასტროენტეროლოგიური პრობლემები აწუხებს-მეთქი. შემდეგ შესაბამის განყოფილებაში გადავიყვანეთ და ამ ამბავმა ასე, მშვიდობიანად ჩაიარა.

გემრიელი დანდური და გათავებული შარდი

ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომლებმა შესვენებაზე დაკონსერვებული დანდური მიირთვეს. უმეტესობა მოიწამლა, ბოტულიზმი განვითარდა, ერთი ქალბატონის მდგომარეობა კი განსაკუთრებით მძიმე იყო. რეანიმაციის განყოფილებაში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადავიყვანეთ. ცოტა რომ მომჯობინდა, მასთან სტუდენტები შევიყვანე, თან ახალგაზრდა კოლეგებს ამ დაავადების თავისებურებებზე ვესაუბრებოდი. ადამიანს ის პროდუქტი, რომელმაც მოწამლა, ეზიზღება, ვერ იტანს-მეთქი. დამაჯერებლობისთვის მოწამლულ პაციენტს ვკითხე: ქალბატონო, თქვენ დანდური ხომ გეზიზღებათ-მეთქი? — შენ არ იცი, რა გემრიელ დანდურს ვაკეთებ, როგორც კი აქედან გავალ, იმ დღესვე შევჭამო, — განბილებული დამტოვა ჩემმა პაციენტმა.

რამდენიმე წლის წინ, განხორციელდა ამერიკის და საქართველოს მედიკოსთა ერთობლივი პროექტი ბოტულიზმთან. მე ამ პროექტის კოორდინატორი გახლდით, თითქმის მთელი საქართველო მოვიარე. ერთ-ერთ რაიონში მომიყვნენ ამბავს, რომელიც შემდეგ ანეკდოტად გავრცელდა. ამ ანეკდოტის მთავარ გმირს პირადად კარგად ვიცნობდი. იგი სანიტარული სამსახურის ექიმი იყო და ამ რაიონში ჩასვლისას თავი კლინიცისტ ექიმად გაასაღა. ერთხელ, 102 წლის მამაკაცთან წაუყვანიათ. პაციენტი შარდის შეკავებით იტანჯებოდა. — რამდენი წლის ხარო? — უკითხავს ექიმს. მოხუც ბაბუს ძლივს ჩაულაპარაკებია: — უკვე 102 წლის გავხდიო. — თქვენ შარდი გაგთავებიათ და ეგ ყოფილა, მე როგორღა გიმკურნალებთო. ან როგორ უნდა ემკურნალა, მას „საექიმო" პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია.

დაბნეული ექიმი

ის დღეს ცნობილი ექიმია. მაშინ კი, როცა ეს ამბავი გადახდა თავს, ახალბედა იყო და ნევროლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა. ამ განყოფილებაში ხშირად, მენინგიტით დაავადებულ პაციენტებს მკურნალობენ. მათი უმეტესობა აგზნებულ მდგომარეობაში შემოდის, ხელ-ფეხს იქნევს. ასეთ ავადმყოფთან პატრონს ყოველთვის ვტოვებთ ხოლმე. ერთ-ერთი პაციენტის მიღების დროს, პალატები გადატვირთული იყო და მეუღლისთვის, რომელიც ავადმყოფთან რჩებოდა, ადგილი ვერ გამოვნახეთ. მან თავად შემოგვთავაზა, ჩემი ქმრის საწოლის გვერდით, იატაკზე, ლეიბს გავშლი და დავწვებიო. თანხმობის შემდეგ ასეც მოიქცა. ჩვენმა ახალბედა ექიმმა ღამე პალატებში შემოვლა დაიწყო. ახალმიღებულ პაციენტს აგზნება დასწყებია, ხელ-ფეხის ქნევის გამო, საწოლიდან გადმოვარდნილა და მძინარე მეუღლეს დასცემია. ზუსტად ამ დროს, ჩვენს ექიმს პალატის კარი შეუღია, იატაკზე მოფართხალე ცოლ-ქმრის დანახვაზე, უფიქრია, ეტყობა მათ შორის სხვა რამ ხდებაო, უკაცრავადო, — უთქვამს და კარი გამოუხურავს. შემდეგ ის ქალბატონი ავადმყოფი ქმრისგან ექთანებს დაუხსნიათ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

დედის რძე ბავშვს ინტელექტს უმაღლებს

სიცოცხლის პირველ თვეებში მხოლოდ დედის რძით კვება ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებზე ძალზე დადებითად მოქმედებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ

კანადის მაკგილის უნივერსიტეტის მეცნიერები, რომლებიც ბელორუსიაში დაბადებული თითქმის 14000 ბავშვის განვითარებას აკვირდებოდნენ.

კვლევა, რომელსაც მაიკლ კრამერი ხელმძღვანელობდა, 1990 წლიდან ბელორუსიის 31 სამშობიაროში ტარდებოდა. ამ დაწესებულებების თითქმის ნახევარი, მხოლოდ ძუძუთი კვების წახალისების პროგრამას ატარებდა, დანარჩენები კი თავიანთ უწინდელ პრაქტიკას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მისდევდნენ. ბავშვთა ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შეფასებას მკვლევრები ექვსი წლის ასაკში ახდენდნენ.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბავშვებს, რომლებიც დედის რძით, სულ მცირე, სიცოცხლის პირველი სამი თვის მანძილზე მაინც იკვებებოდნენ, კოგნიტიური უნარების გამომჟღვანების მიზნით ჩატარებულ ტესტებში უკეთესი შედეგები ჰქონდათ. ვერბალური ინტელექტის დასადგენი 100-ქულიანი სკალის მიხედვით ჩატარებულ ტესტებში მათ საშუალოდ 7,5-ით, არავერბალური ინტელექტის დასადგენ ტესტებში — 2,9-ით, ხოლო საერთო ინტელექტის დასადგენ ტესტებში 5,9%-ით მეტი ქულა დააგროვეს. გარდა ამისა, ამ ჯგუფის ბავშვებს საკონტროლო ჯგუფის ბავშვებზე უკეთ ჰქონდათ განვითარებული კითხვის, წერისა და თვლის უნარიც.

მკვლევართა თქმით, სადღეისოდ ჯერ ძნელი ასახსნელია, რასთანაა დაკავშირებული ინტელექტზე ძუძუთი კვების დადებითი ზემოქმედება. მაიკლ კრამერის ვარაუდით, ეს ეფექტი შეიძლება, დედის რძის ფერმენტების ზეგავლენით, ანდა იმ ფიზიკური და სოციალური ფაქტორებით აიხსნას, რომლებიც ძუძუთი კვების პროცესში დედისა და ახალშობილის კონტაქტისას წარმოიშობა.

ჭკუასუსტობის რისკი კიდურების სიგრძეზეა დამოკიდებული

გრძელხელება და გრძელფეხება ადამიანებს ალცჰაიმერის დაავადება და ასაკობრივი დემენციის სხვა ფორმები უფრო იშვიათად აწუხებთ — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც ამ მიზნით, 1798 ადამიანი გამოიკვლიეს. კვლევის მონაწილეთა უმეტესობა თეთრკანიანი ამერიკელი იყო, რომელთა საშუალო ასაკი 72 წელს შეადგენდა.

ხუთწლიანი დაკვირვების მანძილზე, 480 ადამიანს დემენციის დიაგნოზი დაუსვეს. მონაცემთა გაანალიზების შემდეგ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოკლეხელება ქალები ალცჰაიმერის დაავადებით 72%-ით უფრო ხშირად ავადდებიან. წვივების სიგრძე ასევე ახდენდა გავლენას დაავადების განვითარების სიხშირეზე: ამ მაჩვენებლის ყოველი 2,5 სანტიმეტრით გაზრდას ალცჰაიმერის დაავადების რისკის 22%-ით, დემენციის სხვა ფორმების დროს კი — 16%-ით შემცირება მოსდევდა.

მამაკაცებში ეს დამოკიდებულება უფრო ნაკლებად იყო გამოხატული და მხოლოდ ერთი მაჩვენებლით — ხელების სიგრძით განისაზღვრებოდა. ამ მაჩვენებლის 2,5 სმ-ით გაზრდას, დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების რისკის 6-7%-ით შემცირება მოსდევდა.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ადამიანის კიდურების სიგრძე არა მარტო მემკვიდრეობითობაზე, არამედ გარემო ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. ამ მაჩვენებლებმა შეიძლება, ბავშვის ადრეულ ასაკში არასაკმარისი ანდა არასრულფასოვანი კვების ინიდიკატორის როლი შეასრულოს, გავლენა მოახდინოს თავის ტვინის განვითარებაზე, ხანდაზმულ ასაკში კი ალცჰაიმერის დაავადებისადმი მიდრეკილება განსაზღვროს.

„ადრე მეცნიერებმა კორეულ პოპულაციასთან დაკავშირებითაც ანალოგიური მონაცემები მიიღეს. ბოლო კვლევებმა კი დაადასტურა, რომ კიდურების სიგრძის გაზრდა სიბერის ჭკუასუსტობის რისკს დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებლებშიც ამცირებს“, — განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა, ტაფტის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თინა ჰუანგმა.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასაბეჭდების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
ELVA

ქ. თბილისი
ოთხვილის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

კვირაში ერთდღიანი დიეტა სასწაულებს ახდენს



როგორც ცნობილია, ნებისმიერ დიეტას, მრავალი ღირსების მიუხედავად, არაერთი და ძალზე არსებითი ნაკლიც აქვს: გახდომის მსურველთა უმეტესობის უმთავრესი პრობლემა, კვების ჩვეულებრივ რეჟიმზე გადასვლისთანავე წონაში ხელახლა მომატებაა.

უმბრიაში მდებარე იტალიური ცენტრის დიეტოლოგი მარკ მესერე თავის პაციენტებს ძალზე დაუნდობელად ექცევა. „დიეტა მხოლოდ წონაში მატებას იწვევს. ყოველკვირა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში 80-ზე მეტი ახალი დიეტა ჩნდება, სიმსუქნით შეწუხებულ ადამიანთა რაოდენობა კი იტალიაში ყოველწლიურად 2%-ით იზრდება. თქვენ ეს უჩვეულოდ არ გეჩვენებათ?“ — ამ სიტყვებით ეგებება დიეტოლოგი მასთან მიღებაზე მისულ ყველა ადამიანს. პაციენტების გვარიანად დაფრთხობის შემდეგ, მესერე ცოტა მოლბება ხოლმე და ნებისმიერი დიეტის პრინციპის ახსნას იწყებს. მისი თქმით, მოხმარებული კალორიების მკვეთრ შემცირებაზე დაფუძნებული დიეტების შედეგად, ადამიანი მხოლოდ საჭმლით მიღებული სიამოვნების განცდას კარგავს, ხოლო მეგობრებთან ერთად რესტორანში წასვლა ნამდვილ წამებადაც ექცევა ხოლმე. მესერი მასთან დახმარებისთვის მისულთ, დიეტას არ უნიშნავს, რადგან ყოველ ახალ ჯერზე მიღებული შედეგები, როგორც თავად მას, ისე გახდომის მსურველ მის პაციენტებსაც მხოლოდ გუნება-განწყობილებას თუ უფუჭებს. მარკ მესერს სიმსუქნესთან ბრძოლის საკუთარი მეთოდი აქვს. თანაც, მეცნიერებაზე, რელიგიასა და კულტურაზე დაფუძნებული გახდომის მისეული რეცეპტი საკმაოდ უბრალოცაა და მხოლოდ მარხვის დღეების დაცვას გულისხმობს.

მესერე საკუთარ მეთოდს შემდეგნაირად ხსნის: „ოდესღაც ადამიანები იცავდნენ წესს, რომლის თანახმადაც, პარასკევი მარხვის დღე იყო და მხოლოდ თევზის ჭამა შეიძლებოდა. ამ საეკლესიო წესის მიზანი მდიდრებისა და მღვდლების ჯანმრთელობის გამოსწორება იყო, რადგან ცილების ჭარბი რაოდენობის მიღებით გამოწვეული პოდაგრა მხოლოდ მათ აწუხებდათ. თუ ამ რეკომენდაციას ჩვენც გავითვალისწინებთ და თუ თუნდაც კვირაში მხოლოდ ერთ დღეს, უცხიმო, უმარილო, ცილიან და მწვანილით შეზავებულ საკვებს მივიღებთ, თავს ბევრად უკეთესად ვიგრძნობთ“.

ტრადიციულ დიტებთან შედარებით, მესერეს რეცეპტი ნამდვილ სასწაულებს ახდენს: როცა მისმა კლიენტებმა „ერთი მსუბუქი დღის“ წესის დაცვა დაიწყეს, შედეგები შესამჩნევად გაუმჯობესდა და წონაში დაკლებულთა რაოდენობა 2-დან 30%-მდე გაიზარდა. იტალიელი დიტეოლოგის თეორიას სხვადასხვა დიეტის არაეფექტურობის თაობაზე დღეს უკვე Medicare-ს სახელმწიფო პროგრამაში შემავალი ამერიკელი მკვლევრებიც ადასტურებენ. მათი მონაცემების თანახმად, დიეტის დამცველ ადამიანთა 80% შემდგომში არა მარტო უწინდელ წონას იბრუნებს, არამედ კიდევ უფრო მეტადაც იმატებს. ერთხელ რის ვაი-ვაგლახით მიღწეულ შედეგების შენარჩუნებას კი მხოლოდ ადამიანების მინიმალური რაოდენობა თუ ახერხებს.

და კიდევ: ახლახან მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ცხიმოვანი უჯრედების რაოდენობა ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იცვლება. ადიპოციტები მხოლოდ ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში მრავლდება, ხოლო შემდეგ მათი რაოდენობა უცვლელი რჩება და მხოლოდ უჯრედების ზომაღა იცვლება. ცხიმოვანი უჯრედების რაოდენობაზე თვით წონაში მნიშვნელოვანი დაკლებაც კი არ მოქმედებს. ამდენად, კუჭის მოცულობის შესამცირებელი ოპერაციის შემდეგაც კი პაციენტების ადიპოციტების რაოდენობა უწინდებურად დაახლოებით 80 მილიონი რჩება. თუმცა ამ ოპერაციაგადატანილი მსუქნების სხეულის მასის 18%-ით შემცირების შედეგად, მათი ადიპოციტებიც შესამჩნევად... „ხდებიან“.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეაგროვე და აკინძე

ჟურნალი ჟურნალში

გზა ვნილები

22.05. – 28.05.2008



აქ ჯი გამარჯვება „ნაციონალებს"

დარჩათ. ლეიბორისტი ვანო ჯი, თაბაშირში წევს, დიდოსტატივით – მარჯვენა შესწირა შრომის პარტიას

საიდუმლო ხუთოსანი

როგორ უნდა გახდე პრეზიდენტის ცოლი

როგორ ხდებიან პირველი ქალბატონები? სად შეიძლება შეხვდეთ მომავალ პრეზიდენტს ან მთავრობის მეთაურს?

– მე ცოლიანი ვარ...
– ჩაიბურტყუნა მამაკაცმა.
– უფრო სწორად, ბატონი ვახტანგი ვარ...



ლეიბორისტი დიდოსტატი და ვითომ პატიოსნები ანუ მგზავნელების დიდი საიდუმლო

მარი ჯაფარიძე

მართალია, საიდუმლო არ არის, მაგრამ დიდი ხანია, რაღაც მინდოდა მეთქვა ძველი და ახალი მგზავნელებისთვის. ახლებ-ის („მემარჯვენეებს“ არ ვგულისხმობ) გასაგონად ვამბობ: როდესაც პირველად ამესიჯები, არ არის საჭირო ნებართვის აღება და იმის თქმა: „მარი, ახალი ვარ და თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, კიდევ მოგწერ. ყველანი მიყვარხართ, მაგრები ხართ“. მთავარია, საინტერესო ამბავი გამოგზავნოთ. შემდეგი საკითხი, როგორც ახალ, ასევე ძველ მგზავნელებს ეხება. „მარი, რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს? მიწუნებ? ეს მესიჯი დამიბეჭდე“. აბა, სად არის მესიჯი? რა დავბეჭდო? ამბები! ამბები და კარგი ამბები! აი, რას ვბეჭდავ ხვეწნის გარეშე... რაც შეეხება პირადი შინაარსის მესიჯებს, სადაც ერთმანეთის მიმართ სიყვარულსა და სიმპათიას გამოხატავთ და მოკითხვას უგზავნით, მხოლოდ „მობილი-ზაციაში“ უნდა გამოგზავნოთ.

რატომ გამრავლდნენ რუსები?..

„ეს „სთორი“ გურიაში მოხდა. 2 წლის წინ ბაბუაჩემის ძმა გარდაიცვალა. სანამ სულს მიაბარებდა უფალს, მამაოს აღსარება ჩააბარა და ისეთ საიდუმლოებებს აეხადა ფარდა, რომ... მოკლედ, ჯარში ყოფნისას, რუსეთში, მშვენიერ ლუდმილასთან, კატიასთან და სვეტასთან გაჩაღებულმა რომანმა შედეგი გამოიღო. ის ერთდროულად 3 ბიჭის მამა გახდა. მოიხადა სამხედრო (და არა მარტო სამხედრო) ვალი და დაუბრუნდა სამშობლოს, წვრილშვილის პატრონი. მალე ცოლი მოიყვანა და მასთანაც 3 ბიჭი შეეძინა. ერთ ზაფხულს კი უფროს ბიჭთან ერთად, ზღვაზე წავიდა დასასვენებლად. იქ მშვენიერი უკრაინელი, გათხოვილი ქალბატონი გაიცნო.

ცდუნებას ისევ ვერ გაუძლო და რომანი გააბა მასთან. ქალი უკრაინაში ორსული დაბრუნდა. ალბათ მისი ქმრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 3 ქალიშვილის მერე ნანატრი ბიჭი შეეძინა (თუმცა არა — თავისი „ნაშრომი“).

მოკლედ, მამაო გაოგნებული ისმენდა აღსარებას. ბოლოს, მიუტევა ცოდვები მომაკვდავს და დანანებით დააყოლა: კაცი შენ ყოფილხარ, ძამა, სამი ულელი ბიჭები გყავს, მე უნდა ვიკითხო, 6 გოგო რომ მყავსო. კაცო, ეს ცხონებული 75 წლის იყო და იქნებ, მეხსიერება ღალატობდა, თვარა ამფერი შედეგების მქონე, 7 შვილზე რავა გაჩერდებოდა? :) პატივისცემით, იკუშკები“.

„ბორჯომი ნე ზნაიუ“...

„ამბავს მოგიყვებით, სრულიად არასაიდუმლოდ. ჩემი დაქალი, ხათო, თავის ოჯახთან ერთად, გარკვეული დრო ხაბაროვსკში ცხოვრობდა. იქვე დაუდაქალდა ერთ ადგილობრივ გოგოს და ხშირად უყვებოდა თავისი სოფლის ამბებს. ამ გოგომ ზეპირად იცოდა, რომ ხათო ადიგენის რაიონის სოფელ წარბასთუმნიდან იყო. ეს გოგო გაუცნია ხათოს ბიძაშვილ ბიჭს და მოსწონებია. არ იცოდა, თუ ხათოს ედაქალებოდა. დაუპატიჟია რესტორანში და უყვებოდა თურმე რაღაცებს. ამ გოგოს უკითხავს, საიდან ხარო? ბიჭს უფიქრია, ადიგენი რომ ვუთხრა, რას გაიგებსო და უთქვამს — საქართველოდან, კურორტ ბორჯომიდანო. გოგო დაფიქრებულა და უთქვამს: — „ბორჟომი ნი ზნაიუ, ნო ადიგენსკი რაიონ, სელო წარბასთუმანი

ია ტოჩნა ზნაიუ“-ო და ბიჭი გამოშტერებულა, მისი მისამართი რომ უთქვამს. მერე კი გაირკვა, როგორ და საიდან, მაგრამ ვიდრე გაირკვეოდა... ელისო“.

ცოდვით დამძიმებული

„ნომრის თემამ ჩემი საიდუმლო გამახსენა, მაგრამ უნიკოდ ან შეცვლილი ნიკით მოწერას არ ვაპირებ. ამ კოშმარს 18 წელია, გულით ვატარებ. დიდი ხნის წინ დავიფიცე, რომ ადამიანს, რომელმაც ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, მე თვითონ ვაგებინებ პასუხს ყველაფრისთვისმეთქი... ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ 3 წლის წინ გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა გამაბოროტა, რადგან მასზე შურისძიების უკანასკნელი შანსი დავკარგე. საერთოდ, ძალიან გულჩვილი და კეთილი ვარ, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისია, მისი გახსენება საკმარისია, რომ ჩემში ყველაფერი შეიცვალოს, სხეულს ვეღარ ვგრძნობ და თითქოს სულში დემონი მისახლდება. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, საქართველოში დავბრუნდები, თუნდაც იმიტომ, რომ მისი საფლავი მოვძებნო და ვუთხრა: — ხანმოკლე სიცოცხლე ასეთი ცოდვით რატომ დაიმძიმა? მას ცოლი და 2 შვილი დარჩა. ღმერთს ვთხოვ, მამის ცოდვები შვილებს არ მოჰკითხოს. წლების განმავლობაში ვცდილობ, მიტევება შევძლო, მაგრამ ეს ჩემს ძალებს აღემატება. ხალხის თვალში მხიარული და უდარდელი ბავშვი ვარ და ყოველთვის ასეთად დავრჩები, რადგან ჩემს საიდუმლოს ვერასოდეს გაიგებენ. სო-ნი“.

საიდუმლო სიყვარული

„მინდა, ჩემი მეგობრის დიდი საიდუმლო მოგითხროთ. ათი წლის წინ უყვარდა გოგო. მათი სიყვარული ზღაპრული იყო. უერთმანეთოდ წუთით ვერ ძლებდნენ. მოხდა ისე, რომ გიო მოსკოვში წავიდა. ტრაგიკული იყო მათი განშორება. გავიდა სამი თვე და გიოს სიყვარული მოიტაცეს. უკან დაბრუნება აღარ უნდოდა, თითქოს ცხოვრება დამთავრდა. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა. ბინა იყიდა, უნდოდა, ახალი ცხოვრება დაეწყო და მოხდა საოცრება. კარის მეზობელი მისი სიყვარული აღმოჩნდა. მას ქმარი და 2 შვილი ჰყავს. ცხოვრობს გიო მათ გვერდით, მეზობლობს მის მეუღლესთან. მისი გული კი წმინდად ინახავს იმ საიდუმლოს, რომელსაც მუდმივი სიყვარული ჰქვია. მოხუცი“.

გამქრალი ანტიკვარიატი

„ბიძაჩემს ერთი ანტიკვარული საათი ჰქონდა, რამდენიმე თაობის ნაქონი, ულამაზესი, მოჩუქურთმებული, დასადგმელი საათი იყო, თანაც — საკმაოდ მოზრდილი. მთელი ოჯახი თავზე დაჰფოფინებდა ამ საგვარეულო რელიკვიას. ერთხელ, მათთან ყოფნის დროს, ისე მოხდა, რომ ნახევარი საათით სახლში მარტო დავრჩი და შუა ოთახში კალათბურთის თამაში დავიწყე. თამაშის ეშხში შესულმა, ვერც გავაცნობიერე, როდის შემომელეწა ეს ჩვენი ანტიკვარიატი. ნამსხვრევებზე ფეხი რომ ამიცურდა და იატაკზე გავიშოტე, მაშინღა მოვეგე გონს და მივხვდი, რაც მომხდარიყო. სიმწრის ოფლმა დამასხა. ნამსხვრევები სასწრაფოდ გადავმალე და იქიდან წამოსულმა ჩუმად გადავყარე. საათის გაქრობა მეორე დღეს შენიშნეს და დიდი კვლევაძიების შედეგად დაასკვნეს, რომ ღამით მოჰპარეს. ეს ამბავი რომ გამემხილა, ალბათ ვერ გადავრჩებოდი. ამიტომ, ეს ჩემი პატარა საიდუმლოა. პენსიონერი“.

არაკაცი პატიმარი

„მარი, საიდუმლოს გულისტკივილთან ერთად შენ და „გზის“ ფურცლებს გაგიმხელთ და ალბათ შვებას ვიგრძნობ, რადგან სული მტკივა იმ არაკაცის გამო, რომელიც გავაღმერთე, მან კი ცხოვრების ხალისი დამიკარგა. ყველაფერი ასე დაიწყო: 3 წლის წინ, სრულიად შემთხვევით, ტელეფონით გავიცანი მამაკაცი. მაშინ ის პატიმარი იყო და სასჯელს რუსთავის კოლონიაში იხდიდა. 1 წლის მერე ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს. ქსანშიც 2 წელი გაატარა და ამ 3 წლის მანძილზე მე ვიყავი

სპაიდერმენი

„საიდუმლო თითქმის ყველანაირი გამიგია, მაგრამ ახლა რასაც მოგიყვებით, ძალიან გამიკვირდა. ჩემი მეზობელი, 45 წლის კაცი, რომელიც 8-ე სართულზე ცხოვრობს, ყოველ დილით უთენია ჩაირბენდა მთელ 8 სართულს, გააღებდა გარაჟის კარს, ჩავლებოდა მანქანაში, 5 წუთის შემდეგ კი სახლში ბრუნდებოდა. ასე მეორდებოდა დღეში რამდენჯერმე. ბოლოს ვთხოვე, ჩემთვის პატარა საიდუმლო გაენდო და ეთქვა, ასე რატომ იქცეოდა. მითხრა, რომ მანქანაში პატარა ობობა ჰყავდა, რომლის გამოსაკვებადაც შინიდან ნამცეცები მიჰქონდა“.

„ბუტკა-ბანკი“

„ამას წინათ, ათენში მყოფმა მეგობარმა გარკვეული თანხა გამომიგზავნა და დამარიგა, თუ სად და როგორ უნდა ამელო. რომ არა ზღვა ხალხის რიგი, ვერაფრით მივხვდებოდი, რომ ავტოსადგურის სალაროსა და სათამაშო აპარატებს შორის, სოკოსავით ჩადგმული ჯიხური, ბანკი იყო.

— ბოლო ვინ არის? — ვიკითხე და პასუხის შემდეგ მორჩილად ამოვუდექი წინ მდგომ, ჭაღარათმიან ქალს, რომელმაც ჩემს დანახვაზე ისე ჩაბღუჯა ფურცელზე დაწერილი კოდი და პირადობის მოწმობა, რომ ეჭვგარეშეა, პოტენციურ მძარცველად მიმიჩნია.

— რატომაა ასე ბევრი ხალხი? — წარმოვთქვი და როცა ხალხის ირონიულ მზერას წავაწყდი, მივხვდი, რომ უადგილო კითხვა დავსვი.

როგორც იქნა, შიგნით შევაღწიე. კედელზე ქართულ-ბერძნული დროშები ეკიდა, გვერდით კი დიდი აბრა გამოეკრათ: „ჩვენთან დოლარის ყველაზე მაღალი კურსია“. ვილაც გონებამახვილს არანაკლებ დიდი ასოებით მიეწერა: „მტყუნის“– მოულოდნელად, ჭაღარათმიანის მობილურმა დარეკა:

— ჰო, დედა გენაცვალოს... არა, რიგში ვდგავარ... კი, ბავშვები კარგად არიან... მთავარია, შენ იყო ჯანმრთელად... კი, დედა, ფულს როგორც კი ავიღებ, ბაზარში წავალ და ხორციან ბულიონს გავუკეთებ, — იოლი მისახვედრი იყო, რომ მოხუცს შვილიშვილები ჰყავდა ჩაბარებული. შვილის მიერ გამოგზავნილი „ეკრო-გროშები“ სათუთად ჩაკეცა საფულეში, მძიმედ ამოიოხრა და წავიდა. უეცრად ისეთი მუჯლუგუნი მკრეს, ლამის შევხტი.

— წინ დამაყენე, პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ! — დამიყვირა კაცმა და ისე გადამიდგა წინ, პასუხს არც დალოდებია. მოლარეს სარკმლიდან ნორმალურად ხელი არ ჰქონდა გამოწვდილი, რომ 17-18 წლის ბიჭმა სტაცა ფულს ტორები და იქვე „პოკერებში“ დურთა თავი. მანამდე კი მშობელს ორი სიტყვით აცნობა: — დე, ავიღეო. როცა წარმოვიდგინე, თუ რა ტანჯვა-წამებით შოულობდა ფულს ის ქალი, რომ შვილისთვის გამოეგზავნა, ცუდად გავხდი და ლამის უფასო ლექცია ჩავუტარე მფლანგველ თინეიჯერს. ჩემი რიგიც მოვიდა. „ბუტკა-ბანკიდან“ გამოსულმა კი თავს სერიოზულად ვკითხე: გვეშველება, რაზე? ლეო91“.

ერთადერთი ადამიანი, ვინც ჰპატრონობდა. სიყვარულს, სითბოსა და ყურადღებას არ ვაკლებდი, ყველანაირად გვერდით ვედექი, მისი გულისთვის ბევრჯერ რისკზეც წავსულვარ, მაგრამ გასაკეთებელი მაინც გამიკეთებია. მისი სიყვარულის გამო, მისი ახლობლებისთვისაც პატივი მიცია. ამ ყველაფერს უანგაროდ და ალალად ვაკეთებდი, რადგან სიცოცხლეს მერჩივნა ის არაკაცი. დასანანია, რომ მისი ნამდვილი სახე ადრე ვერ დავინახე. მეგონა, ჩემსავით გულწრფელი იყო და თურმე, რა მაცდური ყოფილა... მე კი ვერ ვხვდებოდი. წარმოიდგინეთ, 3 წელი ქალი გპატრონობდეს, გაჭმევდეს, გასმევდეს, გაცმევდეს და ამის მერე როგორი არაკაცი უნდა იყო, რომ ეს დაივიწყო. რასაც მეუბნებოდა, ყველაფერი ფარსი ყოფილა და შარშანდელი თოვლივით გაქრა. სამი თვეა, გათავისუფლდა. არ მინახავს და ვერც ვურეკავ. არ ვიცი, როგორ დავუკავშირდე. თვითონ კი არ ვახსოვარ. ალბათ ახლა არ ვჭირდები და იმიტომ. ნუთუ შეიძლება, ქალს ასე მოექცე? ამას ღმერთი არ აპატიებს. ალბათ პატიმრების უმეტესობა ვალიკოსნაირი უსინდისოა. ხომ გაგიგონიათ, ადამიანი შეცდომებზე სწავლობსო? მწარე გამოცდილება მივიღე და იმედები გამიცრუვდა. ქალების გასაგონად ვამბობ: მსგავს სიტუაციაში თუ ვინმე ხართ, თავს დროზე უშველეთ, თორემ ჩემსავით ინანებთ. თუ უყვარხართ და არ გატყუებთ, როცა გათავისუფლდება, თვითონვე მოგძებნით და დაგიმტკიცებთ სიყვარულს. იქნებ იმ მოღალატემ წაიკითხოს და დაფიქრდეს? ნაცნობი-უცნობი“.

ვითომ პატიოსნები

„საიდუმლო მართლაც რომ ბევრი მაქვს. კი მოგწერე, არ გეტყვი-მეთქი, მაგრამ... ერთს გაგიმხელ: სოფელში რომ ვარ, ღამით სიარული მიყვარს. გინდ ზაფხული იყოს, გინდ — ზამთარი, სულ დავდივარ. ჰოდა, იმდენ ქმრიან-ცოლიან, ერთმანეთისგან შორს მცხოვრებ ადამიანს გადავყრივარ, ერთად რომ დადიან... მერე გამოვლენ და ვითომ პატიოსნები არიან. სოფელში ამბები ხდებაა!.. რომ გავამხილო, აირევა მონასტერი. მაფიოზა“.

ორმაგი შეცდომა

„ასე, 15 წლის წინ, ყოველ დილით, 7 საათზე თბილისის



რკინიგზის სადგურის პირველი ლიანდაგიდან გადიოდა კაზრეთის მატარებელი, რომლითაც ჩემი ნათესავი გოგო სარგებლობდა. ერთ მშვენიერ დილას, ჩვეულებისამებრ, როცა რაიონში ბრუნდებოდა დედამისთან ერთად, მივიდნენ ვაგზალზე, შევიდნენ ვაგონში. ის იყო, მატარებელი დაიძრა, რომ ოთხი უზარმაზარი ჩანთით დატვირთული, აქოშინებული და გახვითქული ქალი შევარდა მატარებელში, ბედნიერი სახით — რადგან მიუსწრო. ჩემი ნათესავების წინ დაჯდა და გაღიმებულმა ჰკითხა — გენაცვალეთ, ხომ რუსთავის მატარებელიაო? და „კაკრაზ", მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა. — არა, ქალბატონო, რუსთავის კი არა, კაზრეთის მატარებელიაო, უპასუხა ჩემმა ნათესავმა. ქალი წამოხტა, დასწვდა თავის ჩანთებს და თითქმის გაქანებული მატარებლიდან გადახტა. ცოტა ხანი რომ გავიდა, ერთი მგზავრი მივიდა ჩემს ნათესავებთან და უთხრა — გენაცვალე, ის ქალი ტყუილად დატოვეთ, თქვენ ხართ შეცდომით ამოსულები, ეს კაზრეთის კი არა, რუსთავის მატარებელიაო. ასე დაარტყეს „კრუგი" რუსთავს ჩემმა რაჭველმა ნათესავებმა. ემიგრანტი".

ლეობორისტი დიდოსტატი

„საარჩევნო ციებ-ცხელებამ ჩვენს სოფლამდეც მოაღწია. მოაღწია და თან როგორ! კეთილმოსურნე მეზობლებიც კი გადაჰკიდა ერთმანეთს. ერთ დღეს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დათომ თავის გარაჟზე გაკრული, მოღიმარი შალვას პლაკატი დანახა და რადგან დათო მიშას ფანია, პლაკატის გამკვრელი მამაპაპურად მოიკითხა, ჩამოხევაც დააპირა, მაგრამ ვინ აცალა? შალვასაც გამოუჩნდა ფანი, ასევე ნასვამი ვანო და აზყდა „ნაციონალურ-ლეობორისტური" ჩხუბი. არ ვიცი, არჩევნებიც ასეთი შედეგით დასრულდება თუ არა, აქ კი გამარჯვება „ნაციონალებს" დარჩათ. ლეობორისტი ვანო კი თაბაშირში წევს, დიდოსტატივით: მარჯვენა შესწირა, შრომის პარტიას. აბა!"

კარგი გოგო

„12 წლის გათხოვილი ვარ და ახლა გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ყველას და ყველაფერს მირჩევნია. ჩემზე 16 წლით უფროსია და მასთან თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა. ქმარს ძალიან ვუყვარვარ, თან ეს ამბავი ვინმემ რომ გაიგოს, ალბად სიკვდილი არ ამცდება. ყველას კარგი გოგო ვგონივარ, მაგრამ რა იციან, როგორი ნაძირალა ვარ?! უცნობი".

2 ქვრივი

„ადრე გიყვებოდით, მოტირალი მეზობელი ქალი მყავს, მის გარეშე მკვდარს არ მარხავენ-მეთქი. ჰოდა, ახლახან, გვერდით მისი ასაკის კაცი მოკვდა და დღე და ღამე ქვრივივით ეჯდა თავთან. გააგიჟა იმ კაცის ცოლი, ტირილს აღარ აცდიდა. გადიდებული სურათიც დაუწუნა, უფრო ეშხიანი იყო ჩემი(!) დიტო, თვალებში სხივი აკლიაო. ათას უაზრობას მოთქვამდა მთელი ხმით — რა მეშველება უშენოდ, რომ დამიძახებდი ღობესთან და კვერცხებს მომაწოდებდი (თვითონ ხელმოკლედ ცხოვრობდა და



აბა თქვი — ჩიის

ის კაცი ეხმარებოდა), ხომ დამტოვე ახლა უკვერცხოდ, არაფერი გენანებოდა ჩემთვის, ისეთ საიდუმლოებებსაც მიმხელდი, რაც შენმა ცოლმაც არ იცოდაო. აქ კი ავარდა ნამდვილი ქვრივი და მკვდარ ქმარზე ეჭვით გამწარებულმა, შავი დღე აწია თვითმარქვია „ქვრივს“, მაგრამ მაინც ვერ მოიშორა. მიცვალებული რომ უნდა შეემოსათ, კაცებმა სთხოვეს, ქალი ხარ მაინც და გადიო. გაგიჟდა, — მე რომ არ მინახავს, დიტოს ისეთი რა აქვს? არ გავალო! — დაიჟინა. ასე გაიგო მთელმა სოფელმა მკვდარი მეზობლის საიდუმლო, კაცის, რომელსაც ორი ქვრივი დარჩა. რამდენიმე დღის წინ, ქმრის საფლავზე ცოლმა იმ ქალს ისე მიუსწრო, მათ საიდუმლო ურთიერთობაზე რომ მოთქვამდა და იქ ისეთი წეწვა ატყდა, ლამის მიცვალებულები ადგნენ გასაშველებლად. კამელია“.

ყველაფერზე თემის გარდა

მოხუცი ტურფა

„წლების წინ, როცა ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი ვერ წარმოვიდგენდით, რომ მობილური ტელეფონი ასე, ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით გამრავლდებოდა, ნაცნობ-ნათესავ-ახლობელ-შეყვარებულების ამბავს ან ვინმეს საშუალებით ვიგებდით, ან ავტობუსის მძღოლის მიერ მოტანილ-გამოტანებული წერილებით. ჩემმა ძმამაც ძმაკაცისგან გაიგო, რომ თურმე მისი ტურფა საავადმყოფოში იწვა. გაგიჟდა, გადაირია, არ დაიშალა და გაქანდა მანქანით, საავადმყოფოში, „მიჯნურსა გულმან როგორ გაუძლოს“ — სცენარით. რა თქმა უნდა, ძმაკაცებმა სოლიდარობა გამოუცხადეს და ვის „ბამბანერკა“ მიჰქონდა (მაშინ მოდაში იყო), ვის — შამპანური, ვის — თაიგული და ასე დარაზმულები გაეშურნენ ავადმყოფის მოსანახულებლად. როგორღაც, პალატის ნომერიც გაარკვიეს და სულმოუთქმელად შექანდნენ. შექანებით კი შექანდნენ, მაგრამ ავადმყოფი არ დახვდათ. იკითხეს, სად არისო? — საოპერაციოში ჰყავთო. დაელოდნენ. როცა დერეფანში ავადმყოფი გამოაგორეს, ჩემს ძმას სახეზე ნათელი გადაეფინა. არც მისი ძმაკაცები იდგნენ გულგრილად, გულაჩუყებულები შესცქეროდნენ და ჰოი, საოცრებავ... შეხედეს ავადმყოფს და აუტყდათ თვალის ხამხამი. სად იყო ტურფა? საკაცეზე მოხუცზე მოხუცი ქალი იწვა. თურმე ის გოგო წინადღეს გაუწერიათ სახლში. ვიღას ახსოვდა ზრდილობა და რაინდობა? დაავლეს ხელი თავიანთ ძღვენს და უკანმოუხედავად გამოიქცნენ“.

„პორნო ბიძია“

„მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. ერთხელ, მთელი ჩემი სანათესავო ახლობლის ქორწილის ვიდეოს საყურებლად შეიკრიბა. როგორც კი დამთავრდა და ავიშალეთ, გავიგონე, როგორ გადაუჩურჩულა ერთმა ბიძამ მეორეს — ეს ბავშვები (მათ რიგში ჩემი დეიდაშვილ-ბიძაშვილები და მეც ვირიცხებოდით) მეზობელთან გავუშვათ და მაგარ პორნოს გაყურებინებთო. სასწრაფოდ გავვარდი ბავშვებთან და ვუთხარი — ვიღაც მაგარი „პორნო“ ყოფილა (რემბოს

მსგავსი ბიჭი აღვუწერე, ჩემი ფანტაზიით) და ჩუმად უნდათ ნახონ, არიქა, სასწაული „ჩხუბის კინოა“ და დამალულებმა ვუყუროთ-მეთქი. ამყვნენ ბავშვებიც. მშობლებს რომ ეგონათ, მეზობლის სახლში ვთამაშობდით და დამშვიდებული მისჩერებოდნენ ტელევიზორს, საწოლის ქვემოდან „დამატებითი“ 6 წყვილი თვალი ამაოდ და გაფაციცებით ეძებდა ნახევრად შიშველ ქალებში „პორნო ბიძიას“ დაკუნთულ სხეულს, მაგრამ სად ვნახავდით? ის იყო, მოწყენილობისგან ლამის ჩაგვეძინა, რომ ქალის „განწირული“ კვნესა მისწვდა ჩვენს სმენას. არიქა, დაიწყო ჩხუბი-თქო, გავიფიქრეთ, მაგრამ როცა ვნახეთ, როგორ „ახრჩობდა“ ვიღაც კაცი საწოლში საცოდავ ქალს და მშველელი არსად ჩანდა, სიბრალულისაგან ცრემლი ღვარად დაგვედინა ექვსივეს. როგორც იქნა, დასრულდა კინო და იმ ქალების „წამებაც“. დაცლილ ოთახში სამალავიდან გამოცვენილებმა, გაკვირვებით მკითხეს, რომელი ბიჭი იყო „პორნოო“? მე კი პასუხი არ მქონდა... დღესაც არავინ იცის, როგორ ვაყურებინე პორნო 6-7 წლის ბავშვებს. თუმცა სამწუხაროდ, დღეს ეს აღარავის უკვირს. კამელია“.

პოეტი დეიდა

„არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა ჩემთან გამოლაპარაკებას ცდილობს — ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა — მნიშვნელობა არ აქვს. ნახევარსაათიანი ნაცნობობა საკმარისია, რომ გული გადამიშალონ. განსაკუთრებით — რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსიში. ჩემი პრობლემები არ მეყოფა, ვიღაც უცნობი დეიდის კარის მეზობლის გარე ბიძაშვილის მეგობრის უნიათო და ლოთ-ბაზარა მაზლის შესახებ რომ არ ვისმინო? თან დიდი ამბით მაფრთხილებენ ხოლმე, არავის უთხრა, გენაცვალეო. თითქოს ნახევარ „მარშრუტკას“ არ ესმოდეს მათი ხმამაღალი მონოლოგი. ერთმა შუახანს გადაცილებულმა ქალბატონმა თავისი არაკონტაქტური, გაუთხოვარი ქალიშვილის შესახებ რომ მიამბო, მკითხა — რაზე სწავლობო? რომ გაიგო, „ჟურნალისტიკურზე“, მითხრა: — ჩემი დაწერილი ლექსები უნდა წაგიკითხო, რადგან ჟურნალისტი ყოფილხარო. ორთაჭალამდე ვისმენდი ბატონი შალვა ნათელაშვილის ქება-დიდებას, ლექსად თქმულს (სხვათა შორის, კარგად კი იყო გარითმული). კარგია-მეთქი, — აღვნიშნე. რამე ხომ უნდა მეთქვა?! — ჰოდა, გადაგიწერ, შვილო, და დამიკავშირდიო. ვაააიმეე... გამომცემლობის დირექტორი ხომ არ ვარ, ერთი ბეჩავი სტუდენტი გახლავართ-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი ტანჯვის კომპენსირება მგზავრობის საფასურის გადახდით სცადა ქალბატონმა „პოეტმა“. ისე, ამ ხნის ქალი ვარ და (ნუ, ძაან დიდი ხნის არა, მაგრამ მაინც) გაწიე-გამოწიე, სამიოდე ლექსი თუ მოუძღვნიათ ჩემთვის და ვერ უყურებთ ბატონ შალვას — მუზებს უღვიძებს ხალხს! არა, კი არ მშურს... არა, კი მშურს, სადღაც, გულის ბნელ კუნჭულში... მოკლედ, რა ვიცი, მრავალტანჯული პოლიტიკოსია და კი იმსახურებს... :) მამაცი თოჯინა“.

თუ ცაში ოთვალთმეფრინავი ჰილოცს შენიშნავთ, მაშ, ჩვენს ჯარს ოჩინმაჩინი თვალთმეფრინავი შეოქენია.

ვინაა, ნეტავ?

„აი, სიურპრიზიიი... მარ, დღეს ჩემი სურათი რომ ვნახე „გზაში“, კინაღამ გულმა დამარტყა. :) ე, ბიჭო, „გლაზოკში“ ადამიანს რომ დაინახავ, ისე არ ვჩანდი? :) თანაც, ცხვირი მიჩანს „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“ და იმდენი ვიცინეეე... ჩორის შერჩეული სურათია, მას ვთხოვე, რომელიმე გამოეგზავნა შენთვის. სად მოთხარა, ნეტავ? სახეზე ხომ მეტყობა, ლელუჩიას დაიკოს ექსპერიმენტი? მაკიაჟის გაკეთებას ჩემზე სწავლობს ყველა... :) მერე იმაზე ვიცინე, ორმა მგზავნელმა დამირეკა (ორივეს ნანახი ვყავარ) და მახარა — ილი, „გზაში“ ვიღაცის სურათია და ზედ შენი სახელი აწერიაო. :) ვინაა, ნეტავ? ილინი“.

ცალტარა

„ჩემს სოფელში, იცოცხლე, ბლომად არის მოხუცი. ჰოდა, ხუმრობენ დაუსრულებლად (ეს მოხუცები რამ გადარია, კაცო?..). ერთხელ გოდერძი ბაბუამ (80-ს მიუკაკუნა) და კარლო პაპამ (70-ს გადააბიჯა) ნარდი გააჩაღეს. შუა თამაშში არიან და ერთი შეყვარებული წყვილი შენიშნეს.

— ოჰჰ, — ამოიოხრა კარლომ.

— რა იყო, ბიჭო? — დაინტერესდა გოდერძი.

— იფ, იფ, ერთი ეგ გოგო მომცა ერთი საათით...

— რომელი, კაცო? — გაიკვირვა გოდერძიმ. — ბიჭს რომ მიყობა?

— ჰო, იფ...

— ვაი, შენს ჭკუას, ნეტავ, რად გინდა, ვინცხამ რომც მოგცეს მაი გოგო?

— აი, მე ვიცი...

— არაფერიც არ იცი, შე ცალტარავ(?!). ის მაინც გენატრა, ის ბიჭი ვიყო, ვისაც მიყვებაო... — ჩაიქირქილა გოდერძიმ. წიკვინე“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

„ერთმა ულვაშა თელაველმა მეორეს შესჩივლა: — კაცო, კარაქიანი პური ჩემს გემოზე ვერ მიჭამია, ულვაშები კარაქს უკან ხვეტავს და მე კიდევ, გადაფხეკილ პურსა ვჭამო. მეორემ უთხრა: — ძმაო, მეც მასე მომდიოდა ჯარში და გადმობრუნებულ პურსა ვჭამდი, კარაქი ქვემოდან რომ ესვაო. კახელი სალომე“.

„დაახლოებით 3 წლის წინ ჩავედი სოფელში ე.წ. დახეული ჯინსით და უკუღმა შეკერილი ჟაკეტით. ბებომ რომ მნახა, გადაირია: ვაი, შვილო, როგორ გაგჭირვებია, ასეთი ტანსაცმლით რომ დადიხარ, მოიტა, უცებ ამოგიკერავ, მანამდე სხვა ჩაიცვიო. სანამ არ ავუხსენი, მოდაშია, ბებო, და მთელი ქალაქი ასე დადის-მეთქი, მანამდე არ მომეშვა. ლერწამი“.

„ყვარელში ერთი ენაკვიმატი მეტყეევე იყო, იაკო. ერთ დღეს რევიზორს ყვარლის ტყეს ათვალიერებინებდა. წამოწვა იაკო ხის ძირში და ფოთლებს მიაშტერდა. რევიზორი ეკითხება — იაკო, რაზე ფიქრობო? — რაც ამ ხეზე ფოთოლია, ნეტავ იმდენი თუმნიანი მომცაო, — უპასუხა. — რომ გქონდეს, ნახევარს მომცემო? — რაღა მე მეცილები, შეჩემისა, ცოტა ხეა? შენც ინატრეო. ელ-555“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — გამოუყენებელი შანსი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მიამბეთ, რა შანსი მოგცათ ცხოვრებამ და რატომ ვერ გამოიყენეთ. კითხვა მოკლე ჩართვისთვის: ჩემი ყველაზე დიდი მინუსი. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

P.S. გთხოვთ, ჩემდამი თუ ერთმანეთისადმი სიყვარულის ახსნაში დროს ნურც თქვენ დაკარგავთ და ნურც მე მომაცდენთ; გამოგზავნეთ საინტერესო, სახალისო, ცხოვრებისეული ამბები და თქვენთვის ადგილს უეჭველად გამოვნახავ.

როგორ უყურებ მასლე პრეზიდენტის ცოლი

როგორ ხდებიან პირველი ქალბატონები? სად შეიძლება შეხვდეთ მომავალ პრეზიდენტს ან მთავრობის მეთაურს? — ამ კითხვებზე პასუხი ალბათ, ბევრ გოგონას აინტერესებს...

საკუთარი რჩეულის გაცნობა, რომელიც შემდგომში სახელმწიფოს მეთაურად შეიძლება მოგვევლინოს, ყველგან შეიძლება. მაგალითად, ნიკოლა სარკოზიმ თავისი აწ უკვე ყოფილი მეუღლე — სესილი პირველ ქმარზე დაქორწინების ცერემონიაზე გაიცნო, რომელსაც თავად, როგორც ქალაქის მერი, პირადად უძღვებოდა. მომავალი ქმარი-პრეზიდენტი შეიძლება, მეგობრებმაც გაგაცნონ. სწორედ ასე მოხდა ლუდმილა შკრებნევას შემთხვევაში, რომელიც ვლადიმირ პუტინს თეატრის სალაროს კიბეზე შეხვდა, სადაც მეგობარ გოგონასთან ერთად იყო მისული.

მომავალმა მისის ბუშმა ჯორჯ ბუში წვეულებაზე გაიცნო. ისინი ერთმანეთს ლორას სკოლის მეგობარმა ჩენ ო'ნილმა წარუდგინა. ერთი ნახვით შეყვარება არ გამოვიდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ, ლორა და ჯორჯი კიდევ ერთხელ მოხვდნენ ერთსა და იმავე კომპანიაში და ამის შემდეგ ურთიერთობაც გაიბა.

საერთოდ კი, სახელმწიფოს პირველი პირები თავიანთ მეორე ნახევრებს ძირითადად, სკოლაში ან ინსტიტუტში ხვდებიან. ასე რომ, თუ პრეზიდენტის ცოლობა გსურთ, მასთან ერთ კლასში ან ერთ უმაღლეს სასწავლებელში უნდა ისწავლოთ. სწორედ ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს არაერთი ქვეყნის პირველი ქალბატონის გამოცდილებაც: რაისა ტიტარენკომ და საბჭოთა კავშირის ერთადერთმა პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა ერთმანეთი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს; ნაინა გირინა ცოლად გაჰყვა თავის თანაკურსელ ბორის ელცინს, რომელთანაც ურალის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. ჰილარი როდემმა ბილ კლინტონის ყურადღება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, წიგნის კითხვისას მიიპყრო. გოგონამ ვაჟის დაჟინებულ მზერას ვეღარ გაუძლო და მას პირველი გაეცნო. ქალიშვილის გაბედულებამ ბილს მცირე ხნით მეტყველების უნარიც კი დააკარგვინა...

ქვეყნის მეთაურის ცოლის მდგომარეობა გარკვეული ტრადიციებისა და ვალდებულებების დაცვას მოითხოვს. ისტორიული მოვლენებისა და საზოგადოებრივი გარდაქმნების აქტიური მონაწილე პირველი ქალბატონები თავიანთ მაღალ სტატუსსა და

ორგანიზატორულ შესაძლებლობებსაც ასევე აქტიურად იყენებენ და კულტურული და ჰუმანიტარული კონტაქტების განვითარებას ყველანაირად ხელს უწყობენ. ახორციელებენ საქველმოქმედო პროექტებს.

ბორის ელცინისთვის ცოლის მხარდაჭერა საკმაოდ ბევრ და ნამდვილად მძიმე სიტუაციაში (მაგალითად, 1996 წლის საარჩევნო კამპანიის დროს) შეუცვლელი იყო. ამომრჩევლებთან ნაინას იშვიათმა, მაგრამ გულწრფელობით გამორჩეულმა შეხვედრებმა და ჟურნალ-გაზეთებისთვის მიცემულმა ინტერვიუებმა ბორის ელცინს ადამიანური სიმპათიები შემატა. ქმრის თანხლებისას ნაინა ელცინა ძირითადად, სკოლებს, საავადმყოფოებსა და მოხუცთა სახლებს სტუმრობდა. 1999 წელს მას ბავშვის დახმარების საერთაშორისო ფონდ „ფრენკის" მიერ დაწესებული საერთაშორისო პრემია „ოლივერი" მიენიჭა.

ლუდმილა პუტინას აზრით, „სახელმწიფოს მეთაურის ცოლი, პირველ რიგში, იმაზე უნდა ფიქრობდეს, რომ პრეზიდენტის მოღვაწეობას ზიანი არ მიაყენოს". ვლადიმირ პუტინის მეუღლემ დიდი წვლილი შეიტანა გერმანიასა და რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობის საქმეში, კერძოდ — ორი ქვეყნის მოსწავლეებისა და ახალგაზრდობის ფესტივალის — „ერთად XXI საუკუნეში!" — ორგანიზებაში, იყო რუსული ენის განვითარების ცენტრის ჩამოყალიბების ინიციატორი. მისი ეს დამსახურებები 2002 წელს იაკობ გრიმის პრემიით „გერმანული ენის პოპულარიზაციისათვის" აღინიშნა. მეორე პრემია ლუდმილა პუტინას ყირგიზულ-რუსული ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისთვის, 2002 წლის დეკემბერში მიენიჭა. 2005 წლის ოქტომბერში კი გუმილიოვის სახელობის ევრაზიული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება და სამახსოვრო მედალი „ოქროს მებრძოლიც" ერგო.

7 ივნისიდან, მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში კიდევ ერთი პირველი ლედი — სვეტლანა მედვედევა მოექცა.

საინტერესოა, რას წერენ და ლაპარაკობენ რუსეთის ახალ „დედოფალზე" და ზოგადად, რუსეთის (და მისი წინამორბედი საბჭოთა კავშირის) პირველ ქალბატონებზე?

რა იმალება ეფექტური გარეგნობის მიღმა

სანამ მოხდენილი რაისა გორბაჩოვა ჰელსინკიში გუჩის ხელჩანთით გამოჩნდებოდა, საბჭოთა ხელმძღვანელების ცოლებს, ძირითადად, მოუხეშავ საბჭოთა მაცივრებს თუ ადარებდნენ. საინტერესოა, ვინ არის და რას წარმოადგენს რუსეთის ახალი პირველი ლედი სვეტლანა მედვედევა?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ელეგანტური ქერათმიანი ქალბატონი თაყვანისმცემლებს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას უბნევდა თავგზას. „სვეტა სკოლაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოგონა იყო, — იხსენებს ირინა გრიგორევსკაია, რომელიც მას სანქტ-პეტერბურგში მათემატიკას ასწავლიდა. — მას თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა".

ამჟამად სვეტლანა მედვედევა მოსკოვის მაღალი საზოგადოების ღონისძიებების ნამ-



დვილი ვარსკვლავია: ესწრება საქველმოქმედო აუქციონებს, სახელგანთქმული მოდელიერის ვალენტინ იუდაშკინის მოდების ჩვენებას და ბომონდის ისეთი წარმომადგენლების მიერ გამართულ მიღებებს, როგორიცაა, მაგალითად, პოპსაოცრება ალა პუგაჩოვაა. რუსეთის პრიალაგარეკანიანი ჟურნალები სულ უფრო ხშირად რთავენ სვეტლანა მედვედევას ყველაზე ელეგანტურად ჩაცმული ქალების სიაში. ამბობენ, რომ საკუთარ ქმარს იოგას ვარჯიშებიც სწორედ მან შეაყვარა.

თუმცა რუსეთის პირველ ლედის მარტო მოდური ჩვენებები და ღამის ცხოვრება როდი აინტერესებს: სანამ შვილი შეეძინებოდა და მისი უკეთ აღზრდის მიზნით სამსახურს თავს დაანებებდა, ეკონომისტად მუშაობდა. ამჟამად კი აქტიურად მონაწილეობს ობოლ ბავშვთა დახმარების მიზნით გამართულ საქველმოქმედო აქციებში, პოპულარიზაციას უწევს სამამულო კინემატოგრაფს, ხელმძღვანელობს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მხარდაჭერილ პროგრამებს — ანუ მისი ეფექტური გარეგნობის მიღმა სერიოზული ხასიათიც იმალება.

სვეტლანა მედვედევა 1965 წელს, ლენინგრადის ოლქში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მისი ქალიშვილობის გვარია ლინიკი. სწავლობდა კუპჩინის საშუალო სკოლაში. იქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე — დმიტრი მედვედევი, რომელიც პარალელურ კლასში სწავლობდა. ახალგაზრდებმა 1989 წელს იქორწინეს. 1996 წელს შეეძინათ ვაჟი — ილია. ბიჭუნა კომპიუტერებითა და ფეხბურთითაა გატაცებული, იური ლუჟკოვის გოგონებთან ერთად კი ფარიკაობაშიც ვარჯიშობს.

სვეტლანა მედვედევამ საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ სპეციალობით დიდხანს არ უმუშავია. სანქტ-პეტერბურგში სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიების ორგანიზებით იყო დაკავებული.

ამჟამად, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-ის კურთხევით შექმნილი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის — „რუსეთის მოზარდი თაობის სულიერ-ზნეობრივი კულტურა“ — სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელია.

5 ფაქტი რუსეთის ახალი პირველი ლედის ცხოვრებიდან

მეუღლე — დმიტრი მედვედევი 35 წლის წინ, საშუალო სკოლაში სწავლისას გაიცნო: მისი პირველი მასწავლებელი დმიტრი მედვედევის მასწავლებელთან მეგობრობდა და ამიტომ, ორი პარალელური კლასის ბავშვებიც ხშირად იყვნენ ერთად.

სვეტლანას საყვარელი მოდელიერი ვალენტინ იუდაშკინია. ისინი ერთმანეთს ალა პუგაჩოვამ, საკუთარ დაბადების დღეზე გააცნო.

მედვედევა მისი უწმინდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ის კურთხევით შექმნილი, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის „წმინდა ევფროსინია მოსკოველის“ ორდენის (რომელსაც რუსეთის გამოჩენილ ქალებს ანიჭებენ) კავალერია.

ოფიციალურ ღონისძიებებზე ძალზე იშვიათად ჩნდება. ამას, მაღალი საზოგადოების მიერ მოწყობილ ანდა საქველმოქმედო ღონისძიებებს ამჯობინებს. მისთვის არც ქველმოქმედებაა უცხო: ქალბატონი მედვედევა ამჟამად სანქტ-პეტერბურგის №1 სახლ-ინტერნატს მფარველობს, სადაც 4-დან 25 წლის ასაკამდე 316 აღსაზრდელი ცხოვრობს.

ბედოვლათები თუ უიღბლოები

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა პლანეტის ყველაზე უიღბლო ადამიანების სია გამოაქვეყნა. თუმცა, უიღბლობა რა შუაშია, თუკი ადამიანი ბედოვლათადაა დაბადებული?..

1. 1993 წელს ფეხბურთში „კოკა-კოლის“ თასის გათამაშების ფინალური მატჩი შედგა, რომლის მიმდინარეობისას, „არსენალის“ ფეხბურთელმა, სტივ მოროუმ გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ტრადიციისამებრ, ამ გუნდის ფეხბურთელებმა მატჩის გმირი ხელში აიყვანეს და მოედნიდან ისე გაიყვანეს. მაგრამ რაღაც მომენტში ყურადღება მოადუნეს და თანაგუნდელი ხელიდან გაუვარდათ. მოროუ მხრის ძვლის მოტეხილობით, საავადმყოფოში წაიყვანეს.

2. გაუსაძლისი სიცხის გამო, ვინმე ქრისტოს ბერტოსმა სახლში კონდიციონერი დაამონტაჟა, რომლის ძირითად დეტალს თვითმფრინავის გიგანტური პროპელერი შეადგენდა. როდესაც გამომგონებელმა თავისი „ქმნილება“ ჩართო, მან სახლს სახურავი ააგლიჯა და დაუდგენელი მიმართულებით მოისროლა.

3. შეფილდში მცხოვრები პენსიონერი ქალბატონი 20 წლის განმავლობაში სიბნელეში ცხოვრობდა იმის გამო, რომ მას სახლში დენი გაუთიშეს და ამის გამო აყალმაყალის ატეხა არ სურდა.

4. 1994 წელს ვიტა ფინლის ავტომობილი მთებში, თოვლში გაიჩხირა. იმის ნაცვლად, რომ ვიტას საკუთარი თავისთვის ეშველა, ის მანქანაში დარჩა და მშველელს დაელოდა. ექიმების დასკვნით, მან რამდენიმე თვე იცოცხლა და შემდეგ შიმშილით მოკვდა. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ის რომ მანქანიდან გადმოსულიყო და 100 მეტრი გაევლო, მშვენიერ გზას იპოვიდა, რომელიც შინ დაბრუნების საშუალებას მისცემდა.

5. 1981 წელს ვანდა ენისმა ავტოგასამართ სადგურზე შეიარაღებული თავდასხმა მოახდინა. მეორე დღეს ტელევიზიით გადმოსცეს სიუჟეტი, სადაც მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ლაპარაკობდნენ და იმ ავტოგასამართ სადგურს უჩვენებდნენ, სადაც ძარცვა მოხდა. დამნაშავემ იფიქრა, რომ ძარცვა ვიდეოფირზე იყო აღბეჭდილი და წუთი-წუთზე დააპატიმრებდნენ. ამიტომ თავისი ბარგი-ბარხანა ზურგზე მოიკიდა და პოლიციაში გამოცხადდა.

6. იოან მაკგუაირმა გადაწყვიტა, პარაშუტით გადმოხტომა ვიდეოკასეტაზე აღებეჭდა. გონებამახვილმა მამაკაცმა ვიდეოკამერა შლემს მიამაგრა, შეამოწმა, საიმედოდ იყო თუ არა დამაგრებული და თვითმფრინავიდან გადმოხტა. თურმე ისე გაერთო ვიდეოკამერის დამაგრებით, რომ ყველაზე მთავარი — პარაშუტი დააავიწყდა. თვითონ საშინლად დაიმტვრა, მაგრამ ვიდეოკამერა გადარჩა.

7. არგენტინელმა ილუზიონისტმა, მარვომ, შოუს დასასრულს თანაშემწეს სთხოვა, რომ მისთვის იარაღი თავში დაემიზნებინა და ესროლა. სროლის ხმა გაისმა, მარვომ კი საზეიმო გამომეტყველებით, ტყვია პირიდან გამოიღო და მაყურებელს უჩვენა. დარბაზში მყოფი ერთ-ერთი მაყურებელი მარვოს ტრიუკმა აღაფრთოვანა. ჯიბიდან იარაღი ამოიღო, ილუზიონისტს თავში დაუმიზნა, დაიყვირა — ესეც დაიჭირეო! — და გაისროლა... სასამართლო პროცესზე დამნაშავე დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ის გაოცებული იჩეჩდა მხრებს და ამბობდა, რომ ვერაფრით გაიგო, ილუზიონისტმა მისი ტყვიის დაჭერა რატომ ვერ შეძლო. საბოლოოდ, ის გაამართლეს.

8. 2 ნიუ-იორკელი იურისტი უსაქმურობისგან თავის დასაღწევად, თავშესაქცევს ეძებდა. გადაწყვიტეს, ოფისის დერეფანში ერთმანეთს სირბილში გასჯიბრებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი ისე სწრაფად გაიქცა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და დერეფნის ბოლოში არსებული ფანჯრიდან გადავარდა. ოფისი 39-ე სართულზე მდებარეობდა.

9. მიუნხენში მომხდარი სარკინიგზო ავარიის შედეგად, ორმა მამაკაცმა ხელები დაკარგა. ისინი საავადმყოფოში, მოწყვეტილ კიდურებთან ერთად მიიყვანეს. ექიმებმა რთული ოპერაციის შედეგად, ორივე მამაკაცს ხელები მიაკერეს, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ერთმანეთში არევიათ. მამაკაცებს ერთი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდათ და მათმა სხეულმა უცხო კიდურები მშვენივრად შეითვისა. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ, დაზარალებულებმა გადაწყვიტეს, ახალ კიდურებს შეჰგუებოდნენ და დამატებით ოპერაციაზე უარი თქვეს.

10. ლოურენ როდამ მეგობრებთან სანაძლეო დადო, რომ ულტრაბგერების მეშვეობით, ოტავის ცენტრში, მანქანით თვალებახვეული გაივლიდა და არაფერს დაეჯახებოდა. ექსპერიმენტის შედეგად, მან ფეხით მოსიარულე დააზარალა და შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით, 3 ავტომობილს შეეჯახა. მათ შორის ერთ-ერთი — პოლიციის მანქანა გახლდათ.



2007 წლის აუქციონზე გაყიდული ყველაზე ძვირად ღირებული ნივთები

გასულ წელს უამრავი აუქციონი ჩატარდა, სადაც ბევრი იშვიათი და ძვირად ღირებული ლოტი გაიტანეს. მათ შორის, ხელოვნების უნიკალური ნიმუშიც, რომელიც ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, უხვად იყო. წარმოგიდგენთ ყველაზე ძვირად ღირებული ნივთების ათეულს:

1. ყველაზე დიდი ბრილიანტი, რომლის წონა 84,37 კარატია, 14 ნოემბერს, „სოთბის“ აუქციონზე 16 მილიონ დოლარად გაიყიდა.

3. „თავისუფლების დიადი ქარტია“ დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. 17 ასლიდან ერთ-ერთზე მეფე იოანეს ხელმოწერაა, რომელიც 1215 წლის 15 ივნისით თარიღდება. პერგამენტის ფურცელი ზომით 35,6X40,6 სმ-ია. ის დევიდ რუბინშტეინმა ვაშინგტონის ნაციონალური არქივისთვის 21 მილიონ 300 ათას დოლარად შეიძინა.

2. როტშილდის კვერცხი ლონდონში, „კრისტის“ აუქციონზე 18 მილიონ დოლარად გაიყიდა. ის კერძო, რუსული ნაციონალური მუზეუმის დირექტორმა ალექსანდრ ივანოვმა შეიძინა.

4. ელიზაბეტ ტეილორის ცნობილი პორტრეტი, რომელიც ენდი უორჰოლმა შექმნა, 23 მილიონ დოლარად გაიყიდა.



5. თანამედროვე კონცეპტუალისტის, ჯეფ კუნსის მიერ შექმნილი დაკიდებული გული, რომელიც 1,5 ტონას იწონის, „სოთბის“ აუქციონზე 23 მილიონ 560 ათას დოლარად გაიყიდა.

6. ბრიტანელი მხატვრის, ფრენსის ბეკონის „ავტოპორტრეტი“ 33 მილიონ დოლარად გაიყიდა.





7. იმავე მხატვრის, ფრენსის ბეკონის მეორე ნახატი – „ხარების ბრძოლის პირველი ეტიუდი“ კი – 46 მილიონ დოლარად.

8. ანრი მატისის ნახატი – `L`Odalisque, Harmonie Blueue“ – ნოემბერში 33 მილიონ 600 ათას დოლარად გაიყიდა.

9. სტატუეტი – „გუენოლის ძუ ლომი“, რომელიც მესოპოტამიაში, 5 ათასი წლის წინ შეიქმნა, „სოთბის“ აუქციონზე 57 მილიონ 200 ათას დოლარად გაიყიდა. მანამდე სტატუეტი ამერიკელ კოლექციონერს, ალისტერ ბრედლი მარტინს ეკუთვნოდა. ახალმა პატრონმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.



10. XVIII საუკუნეში, პლატინისგან დამზადებული, 8601 ბრილიანტით დამშვენებული თავის ქალა, რომელიც ცნობილ ბრიტანელ მხატვარს, დემიენ ჰერსტს ეკუთვნის, 100 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ამბობენ, 2026 წლისთვის ბევრი პროფესია გაუქმდება და უსარგებლო გახდებაო. თურმე ამ დროისთვის კაცობრიობას დიდი გამოცდა ელის: მაღაზიები ავტომატურ გადახდაზე გადავლენ, რის გამოც მოლარე საჭირო აღარ იქნება და მათ უმეტესობას შრომის ბირჟაზე სამსახურის ძებნა მოუწევს.

რაც შეეხება ფოსტალიონებს, ისინი მოლარეებზე ადრე დარჩებიან უმუშევრები. წინასწარი პროგნოზით, 2016 წლისთვის ქაღალდზე დაწერილ წერილებს აღარავინ გაგზავნის.

პროფესიის არჩევანში რომ არ შეცდეთ

ჟურნალმა „ფორბსმა“ მომავალს „გადახედა“ და 20 წლის შემდგომი პერიოდისთვის ყველაზე საჭირო პროფესიების დასახელება სცადა. 2026 წლის სამყაროს სურათი მან მუქ ფერებში დახატა. „ფორბსის“ ვერსიით, მანქანების „მბრძანებლობის“ პერიოდი დადგება.

უმუშევრად დარჩენილი მოლარეების გზას გაუდგებიან სამხედრო ავიაციის პილოტებიც, რადგან იმ დროისთვის მხოლოდ უპილოტო საფრენი აპარატები იფრენენ.

მაგრამ ყველაფერი ასე ცუდად როდი იქნება. ახალი სამყარო ახალ პროფესიებს წარმოშობს. მაგალითად, გაჩნდებიან გენური ინჟინერიის სპეციალისტები. მეწარმეებს დასჭირდებიან ისეთი ადამიანები, ვინც ჩვეულებრივი ტესტის საშუალებით, ადამიანის დე-ენ-კას „წაიკითხავენ“ და დამსაქმებელს მომავალი თანამშრომლის შესახებ სრულ და უტყუარ ინფორმაციას მიაწვდიან — ვთქვათ იმას, ხომ არ არის ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიისკენ მიდრეკილი და შეძლებს თუ არა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

თუ „ფორბსს“ დავუჯერებთ, მომავალში ყველა სამუშაოს მანქანა შეასრულებს და ადამიანების უმეტესობა სამსახურის გარეშე დარჩება. სხვათა შორის, „რობოტ დიასახლისებს“ „სონი“ უკვე სთავაზობს მსურველებს, მაგრამ რობოტი, ისევე, როგორც ნებისმიერი ხელსაწყო, შესაძლოა, მწყობრიდან გამოვიდეს. ამიტომ, იმ დროისთვის გაიზრდება მოთხოვნილება ისეთი პროფესიის ადამიანებზე, რომლებიც ამ მანქანების შეკეთებას შეძლებენ. არც ის არის გამორიცხული, რომ მომავალში რობოტმა თავადვე შეძლოს თავისნაირი რობოტების შექმნა და შეკეთება, მაგრამ ეს გაცილებით შორეული მომავლის პერსპექტივაა.

დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი ტურიზმის სფეროშიც. კომპანია Virgin Group 2018 წლიდან კოსმოსში ტურისტულ მოგზაურობას გეგმავს. ბუნებრივია, თანამედროვე დონის გიდი კოსმოტურისტების მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს და კოსმოგიდის საჭიროება წინა პლანზე წამოიწევს.

„მოღვაწეობის“ სფეროს შეცვლა მოუწევთ ავტოგასამართი სადგურების თანამშრომლებსაც, რადგან 2006 წლისთვის კაცობრიობა წყალბადის საწვავზე გადავა, ეს კი არა მარტო ავტოგასამართი სადგურების თანამშრომლების გადაკვალიფიცირების საჭიროებას წარმოქმნის, არამედ ახალი პროფესიის გაჩენასაც შეუწყობს ხელს: საჭირო გახდება იმ ადამიანთა მომზადება, ვინც ახალი ტიპის საწვავის წარმოებას შეძლებს.

საგულისხმოა, რომ წყალბადი მხოლოდ „მიწიერ“ პროფესიებში როდი შეიტანს ცვლილებებს. „ფორბსი“ დარწმუნებულია, რომ საწვავად წყალბადის გამოყენება ცაში დირიჟაბლის დაბრუნებას შეუწყობს ხელს, რადგან მას თვითმფრინავთან შედარებით, რამდენიმე უპირატესობა აქვს — გაცილებით იაფია, ასაფრენად და მიწაზე დასაშვებად ინფრასტრუქტურას არ საჭიროებს და მგზავრის ჩამოსმა ნებისმიერ ადგილზე შეუძლია.

მომავლის პროფესიების ჩამონათვალში ცხოველების ადვოკატიც შედის. 20 წლის შემდეგ, ფაუნის წარმომადგენლების უფლებები სავარაუდოდ, ადამიანის უფლებებს გაუტოლდება.

კიდევ ერთი ახალი პროფესია — კინოჰოლოგრაფიორია: სავარაუდოდ, ჰოლივუდი ამ დროისთვის სამგანზომილებიანი ფილმების გადაღებას დაიწყებს.

ტელეპორტაციის სპეციალისტები ადამიანებს „აზრობრივად გადაადგილებაში“ დაეხმარებიან.

„ფორბსი“ გვირჩევს, რომ ტელეპორტაციის თემას სერიოზულად მივუდგეთ და შეგვახსენებს იმ დროს, როდესაც თვითმფრინავის არსებობას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ამბობდნენ, რომ ადამიანი ცაში ფრენას ვერ შეძლებდა.

კინოთეატრებში კინომექანიკოსები აღარ დასჭირდებათ, რადგან კინობიზნესის ყველა სიახლე მაყურებელთან შინ თავისთავად მივა. უსარგებლონი გახდებიან პროფკავშირების ლიდერები: იმ დროისთვის ადამიანები მიხვდებიან, რომ კაპიტალიზმთან „მოლაპარაკება“ უშედეგოა. სხვათა შორის, პროფკავშირებმა თავისი ფუნქცია ბოლო 20 წლის მანძილზე ისედაც დაკარგა.

უსაქმოდ დარჩებიან მაღაროს მუშები და ნავთობმომპოვებლები: 2026 წლისთვის ადამიანი მზის ენერგიის გამოყენებას დაიწყებს.

არსებობს მუდმივი და „უკვდავი“ პროფესიებიც. ისინი შორეული წარსულიდან მოდის. მაგალითად — პოლიტიკოსობა. გვიყვარს ისინი თუ არა, მათგან თავის დაღწევა შეუძლებელია. ასევე მუდმივია მეკუბოვის, საგადასახადო სისტემის თანამშრომლების, დალაქის, მსახიობის, ჯარისკაცის (რობოტებს საომრად ვინ გაუშვებს?) პროფესიები.

ასე რომ, ვიდრე არჩევანს გააკეთებ, კარგად დაფიქრდი, იქნება თუ არა საჭირო შენი პროფესია მომავალში.

ᲕᲬᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ



ᲐᲛ ᲯᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲯᲚᲐᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ! ᲰᲝᲓᲐ, ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲛ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲓᲦᲔᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲗᲔᲗᲠ, ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲭᲠᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲰᲔᲠᲐᲜᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ. ᲤᲘᲥᲠᲡ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲓᲒᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ. ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲣᲥᲣᲜᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲯᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲰᲝᲓᲐ, ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲯᲐᲠᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲣᲠᲘᲝᲖᲘ ᲐᲛᲝᲛᲘᲢᲘᲕᲢᲘᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲧᲝᲚᲘᲐ.

კარლო მასწავლებელი სათვალიანი მამაკაცი გახლდათ და ცოტათი დაბნეული ტიპი იყო. გარეგნული მსგავსების გამო მეტსახელად შურიკას ეძახდნენ. ბავშვებს ძალიან უყვარდათ, მაგრამ ხშირად აბრაზებდნენ და ათასგვარ ოინს უწყობდნენ ხოლმე. ყვითელი ფერის „ჟიგული“ ჰყავდა, რომელსაც სკოლის ეზოში აჩერებდა და შინ მიმავალი, უეცრად აღმოაჩენდა, რომ საბურავები დახვრეტილი ჰქონდა ან ფანჯრის მინაზე რაღაც ეწერა. რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ეს იმ ბავშვის გაკეთებული იქნებოდა, ვისაც იმ დღეს ორიანი დაუწერა და მერე მიდიოდა საქმის გარჩევა, დირექტორთან მშობლის სკოლაში დაბარება და ერთი ვაი-უშველებელი.

ᲰᲝᲓᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲕᲚᲘᲜᲔᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲐ ᲐᲜ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲖᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲛᲝᲒᲕᲐᲮᲡᲜᲔᲕᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲔᲠᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲘᲒᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲕᲣᲓᲔᲥᲘᲗ. ᲤᲘᲖᲘᲙᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲐᲢᲝᲛᲚᲐᲪ, ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ. ᲓᲐᲤᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲫᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲝᲛᲔᲧᲝᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲛᲝᲕᲮᲡᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ. ᲓᲐᲤᲐᲖᲔ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲬᲔᲠᲔ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲖᲔᲞᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲠᲐᲙᲠᲐᲙᲔ ᲓᲐ „ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ“ ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲔ. ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ (ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲜᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓᲕᲔ ᲛᲗᲮᲝᲕᲐ) ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲝ ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲙᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲐ.

— ᲠᲐᲡ ᲨᲕᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲡᲬ?! — ᲨᲔᲕᲙᲘᲕᲚᲔ ᲒᲐᲝᲒᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ.

— ᲨᲔᲜᲘ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲐᲮᲚᲐ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ „ᲨᲔᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲔᲡ“ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲪᲘᲜᲐ — ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲐᲥ ᲐᲠ „ᲨᲔᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲔᲡᲝ“.

ᲰᲝᲓᲐ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲑᲘᲭᲡ ᲩᲐᲣᲚᲘᲐ. ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ „ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘ“ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲐᲣᲦᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲐᲒᲓᲝ. ᲰᲝᲓᲐ, ᲐᲛ ᲩᲔᲛᲛᲐ „ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲛᲐ“ ᲓᲦᲘᲣᲠᲛᲐ ᲘᲡᲙᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲛᲝᲐᲓᲘᲜᲐ ᲢᲧᲐᲞᲐᲜᲘ.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲐᲡᲬ-ᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲔᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲘᲦᲝ, ᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲐᲘᲩᲩᲐ, ᲮᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲛᲘᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲬᲝᲓᲐ.

ᲐᲘ, ᲐᲡᲔ ᲓᲐᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ. ●

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ „ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ

— დაუვიწყარი ამბავი, რომელიც „გზავნილებში“ მოუწერიათ. (mily).

— დაუვიწყარი ის პირველი ამბავია, რომელმაც „გზავნილებს“ საფუძველი ჩაუყარა.

— როგორ ატარებ თავისუფალ დროს (თუ გრჩება კიდევ, ჩვენს ხელში)? და კიდევ, მიამბობ რამეს შენს ბიოგრაფიაზე? დჯ-სუპერკა.

— უკაცრავად, თავისუფალი დრო რა არის?

— მარ, რაშია შენი წარმატების საიდუმლო? (ბომბორა).

— ალბათ იმაში, რომ ვიცი, რა უნდა მკითხველს და რას წაიკითხავს სიამოვნებით.

— არჩევანი რომ გქონდეს და მგზავნელად ყოფნის შანსი მოგეცეს, რომელი ჩვენგანის ნიკით დაამესჯებდი?

— ალბათ არც ერთის. რაიმეს, საკუთარს მოვიფიქრებდი. მაგალითად — მარიამული.

მოცემულ ფოტოზე, ყავის მარცვლებს შორის მამაკაცის თავი უნდა აღმოაჩინოთ. ვიდრე ძებნას დაიწყებდეთ, დრო დაინიშნეთ, შემდეგ კი ტესტის პასუხები ნახეთ.



მრავალჯერადი ექსპერიმენტის საშუალებით დადგენილია, რომ:

1. თუ მამაკაცის თავს 3 წამის განმავლობაში აღმოაჩენ, შენი ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო უკეთაა განვითარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი ნიჭით ხარ დაჯილდოებული და შენგან კარგი პოეტი, მხატვარი ან მსახიობი დადგებოდა. თუ სწორედ ამ სფეროში მოღვაწეობ, გაგიმართლა და ეგ არის. თუ – არა და, მაშინ დროა, პროფესიის შეცვლაზე იფიქრო (თუ უკვე ძალიან გვიან არ არის, რა თქმა უნდა).

2. თუ მამაკაცის თავის აღმოსაჩენად 1 წუთი ან ცოტათი ნაკლები დრო დაგჭირდა, არ აღელდე, ეს სავსებით ნორმალურია და იმას ნიშნავს, რომ შენი გონება ნორმალურად აზროვნებს. შეგიძლია ზომიერი სირთულის ამოცანების გადაჭრა და საბანკო და საფინანსო სფერო შენთვის ისეთივეა, როგორიც თევზისთვის – წყალი. წარმატებებს გისურვებ.

3. თუ თავის აღმოსაჩენად 1-3 წუთი დაგჭირდა, შენი ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო ცუდადაა განვითარებული და დიდი რაოდენობით ხორცის პროდუქტი უნდა მიირთვა, რათა დანაკლისი აინაზღაურო. სავარაუდოა, რომ კარიერას ვერ შეიქმნი და ყოველთვის გაგიჭირდება ისეთი სამსახურის შოვნა, რომელიც გონებრივ მუშაობას ემყარება.

4. თუ ძებნა 3 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, საქმე ცუდად ყოფილა. შენი გონება შეფერხებებით მუშაობს. ნუთუ მულტიპლიკაციური ფილმების მეტს არაფერს უყურებ? 100-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებაზე ზეპირად ივარჯიშე. ეს გონებას ხსნის.

პროპოზალი



„ანა, მომწონს შენი პრინციპული ხასიათი. ისე, ეგ დათო მაგარი ნაგავი ვინმე ჩანს. ანა, ფრთხილად, შენი ცხოვრება თანდათან სახიფათო თამაშს ემსგავსება! ცრემლუკა“.

„ოო, ცუდია პოლიტიკურ ინტრიგებში გახლართვა. ანა, დაანებე თავი მაგ ამბავს, თორემ ინანებ. შენ მაგივრად მე მეშინია. სილვია“.

„და ეს კაცი მოგწონდა, შე სულელო ანა? თურმე როგორ ცდებოდი?! მაგას შენი მახო სჯობია ისევ, თუმცა, ისიც მოღალატეა. ანა, შეეშვი რა, ამ კაცებს და სამსახურსა და ბიზნესს მიხედე. მაგათ სიკეთე ვისთვის მოუტანიათ, შენ რომ დაგაყარონ ხეირი? დაგღუპავენ და ნახავ, მერე. ღლონტი“.

დასაწყისი — „გზა“, №11-20

მარი ჯაფარიძე

ახლა კი იმ ამბავს განვაგრძობთ, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როდესაც ანას თავისმა რძალმა შეშფოთებული ხმით დაურეკა და სთხოვა, სათბურში მისულიყო.

რა თქმა უნდა, არც შევყოვნებულვარ, ტელეფონი გავთიშე თუ არა, ჩანთას ხელი წამოვავლე და ელვის სისწრაფით გავვარდი გარეთ. ერთი კი გავიფიქრე, ჯერ დათოსთან ავსულიყავი, მაგრამ უმალ გადავიფიქრე.

ადგილზე მისულს ასეთი სურათი დამხვდა: ეზოში სიმშვიდე იყო, ადმინისტრაციული შენობის კართან კი 2 შეიარაღებული, ნიღბიანი ტიპი ქანდაკებასავით უძრავად იდგა. შეუფერხებლად გამატარეს. ასეთივე ტიპები იდგნენ კაბინეტის კართან. ჩემს დანახვაზე არც კი განძრეულან. გვერდი ავუარე და კარი შევაღე. ველოდი, რომ ოთახი მთლიანად სავსე იქნებოდა ნიღბიანებით, მაგრამ მოვტყუვდი. აცახცახებული ნინოს პირდაპირ, დირექტორის სავარძელში ჩია ტანის, სათვალიანი მამაკაცი იჯდა, რომელმაც რაღაცით ჰიტლერი მომაგონა.

— გამარჯობა, — ვთქვი და ხელი გავუწოდე.

წამოდგა და მარჯვენა შემაგება. სახე გაყინული ჰქონდა, გამომეტყველება — ქანდაკებასავით უტყვი.

— რაშია საქმე? — ვიკითხე და გულხელი დავიკრიფე.

„ჰიტლერი“ სავარძელში ჩაეშვა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— რამდენი წელია, რაც ამ საქმიანობას მისდევთ? — ლაპარაკის დროს ტუჩებს ამოძრავებდა თუ არა, ამასაც ვერ მივხვდი.

— ჯერ ის მითხარით, ეს დაკითხვაა, რევიზია, მეგობრული ვიზიტი, საქმიანი მოლაპარაკება თუ შეიარაღებული თავდასხმა?

— ჩათვალეთ, რომ ამჯერად მეგობრული ვიზიტია.

— მაშინ, თუ შეიძლება, ჩემი სავარძლიდან აბრძანდით და ადგილი დამითმეთ. ამის შემდეგ განვაგრძოთ საუბარი. ასე თავს უხერხულად ვგრძნობ. თქვენ ზიხართ, მე — ფეხზე ვდგავარ და მასპინძელს თქვენ უფრო ჰგავხართ, — სადაც წვრილია, იქ გაწყდესმეთქი, გავიფიქრე, როცა ამას ვამბობდი.

წამოდგა. ჩემი კუთვნილი ადგილი დავიკავე და მამაკაცს შევხედე. ახლა კი იყო ჩემსიმაღლე, როცა მე ვიჯექი და ის ფეხზე იდგა.

— ასე არ სჯობია? ახლა პირდაპირ თვალებში მიყურებთ, წეღან კი ლამის კისერი მოგტყდათ, ზევით ყურებით, — არ დავინდე სტუმარი, — თქვენს ადგილზე, არ დავჯდებოდი...

— ჰმ... — უხერხულად

ბავშვებო, ნუ ვეჭნებათ
დიდების იმედი,
თქვენთა დასაბადეთ!

შეიშმუშნა. — წელან კითხვა რომ დაგისვით, იმაზე მიპასუხეთ, — მითხრა და ჩემ წინ მოკალათდა.

— ისე, ეტიკეტი მოითხოვს, რომ ჯერ თავი უნდა გამაცნოთ. ვინ ბრძანდებით, იქნებ გამარკვიოთ? — საკუთარი ქმედებებით უზომოდ კმაყოფილი ვიყავი და მიკვირდა, რომ შიშის ნატამალიც არ გამჩენია.

— თემურ დვალი, საგადასახადო პოლიციიდან.

— აა, გასაგებია. და რა მკითხეთ წელან? რა გაინტერესებდათ? დიდი ხანია თუ არა, რაც ამ საქმიანობას ვეწევი?

— დიახ...

— ისე, ადვოკატი ხომ არ გამოვიძახო? თუ შემიძლია, მის გარეშე გაგცეთ პასუხები?

— ადვოკატი ჯერ საჭირო არ არის, ჯერ ისე მიპასუხეთ.

— ჯერ რას ნიშნავს? თქვენ რა, მაშინებთ?

— არა, რას ბრძანებთ, ქალბატონო... — სახეზე საზიზღარი ღიმილი გადაეფინა.

— ცოლი გყავთ? — უადგილო კითხვა დავსვი, რადგან ძალიან დამაინტერესა, ამ მახინჯ კაცს ვინმე თუ გაჰყვა ცოლად.

— დიახ, — ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ჩემი შეკითხვა.

— ყოჩაღ! — შევაქე, ტელეფონზე დათოს ნომერი ავკრიბე და როცა ყურმილში მისი ხმა გავიგონე, ტელეფონი თემურს მოვაწოდე.

გაკვირვებულმა გამომართვა და — ალოო, ჩასძახა.

ვიდრე ისინი გაარკვევდნენ, ვინ იყო ყურმილის თავსა თუ ბოლოში, მე ნინოს ხელი მოვკიდე და გარეთ გავიყვანე. ვაიძულე, რომ შინ წასულიყო. არ უნდოდა ჩემი დატოვება, მაგრამ დავამშვიდე და გავუშვი. მე კი უკან შევბრუნდი. თემური უკვე კიბეზე ჩამოდიოდა.

— მიდიხართ? — სტუმრის ადრიანად წასვლით გულდაწყვეტილი მასპინძლის ხმა მქონდა.

— დიახ, კარგად ბრძანდებოდეთ, — ცივად მითხრა და გვერდი ამიარა.

— სამწუხაროა, კიდევ ბევრი რამის კითხვას ვაპირებდი...

— მაგალითად? — ქვევიდან ამომხედა.

— მაგალითად? მაგალითად, მაინტერესებდა, ცოლი როგორ მოიყვანეთ. სიყვარულით?

ხელი ჩაიქნია და კიბეზე დაეშვა. თავისი „ქანდაკებები" უკან გაჰყვნენ.

დიდხანს არც მე შევყოვნებულვარ. ეზოდან გავიდნენ თუ არა, მეც ჩემი მანქანით უკან მივყევი. დიღომს რომ გავცდით, ჩვენი გზები გაიყარა.

სამსახურში მივედი და მაშინვე დათოს მივაკითხე. დაცარიელებულ შენობაში ალბათ მხოლოდ მე და ის ვიყავით. კაბინეტში დამხვდა.

— რა იყო, მაშინებ? ქალთან ურთიერთობის მშვენიერი მეთოდები გქონია, — პირველად მივმართე შენობით.

— მე რა შუაში ვარ? — მიამიტად შემომხედა.

— აბა, მე ვარ შუაში? შეიარაღებული ბანდა გამომიგზავნე, მაშინებ და შანტაჟს მიწყობ...

— სწორედ რომ შენ ხარ შუაში...

— კარგი, დათო, წავალ პარიზში, მაგრამ იცოდე, რომ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი, რასაც მე დამავალებ და საერთოდ, მაინტერესებს, ასეთ საიდუმლო დავალებას მე რატომ მანდობ?

— იმიტომ, რომ შენზე ეჭვს არავინ აიღებს, სუფთა ხარ. თანაც, შენ დასაკარგავი ბევრი

— ჯერ ის მითხარით, ეს დაკითხვაა, რევიზია, მეგობრული ვიზიტი, საქმიანი მოლაპარაკება თუ შეიარაღებული თავდასხმა?

ქალისა და მამაკაცის მეგობრობა იმ იშვიათია დამცარიელებული, რომ ეს ძალიან მეგობრობა კარ კარის.

რამ გაქვს და დარწმუნებული ვარ, ისე მოიქცევი, რომ რაც შენთვის ძვირფასია, ყველაფრის შენარჩუნებას ეცდები.

— საშიში ადამიანი ყოფილხარ, არადა, მამა აბრაამის ბატკანს ჰგავხარ.

პასუხად მხოლოდ ჩაიცინა. ავდექი და უსიტყვოდ დავტოვე მისი კაბინეტი.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ქალაქგარეთ მივქროდი. თავში უამრავი ფიქრი ერთმანეთში ირეოდა. ერთდროულად ყველაფერზე და არაფერზე ვფიქრობდი. გონის მოკრება და სწორი გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა. მანქანა გზის განაპირას გავაჩერე და ერთერთი მეგობრის ტელეფონის ნომერი ავკრიბე, რომელიც პარლამენტის კანცელარიაში მუშაობს. მოკითხვის შემდეგ, იმ ადამიანის ტელეფონის ნომერი ვთხოვე, რომლის

წინააღმდეგაც ინტრიგა მზადდებოდა. მასთან დარეკვა კი მეორე დღისთვის გადავდე. მანამდე კარგად უნდა მომეფიქრებინა, რა უნდა გამეკეთებინა. ნომერი გონებაში რამდენჯერმე გავიმეორე, საფუძვლიანად დავიმახსოვრე, რომ არ დამვიწყებოდა და თბილისში დავბრუნდი.

დილით, შინიდან გამოსვლამდე მზიას ტელეფონით დავრეკე (რა იცი, რა ხდება) და ჩემი შეფის მომავალ მსხვერპლს საღამოსთვის შეხვედრა დავუნიშნე. მასთან

მე შანტაჟისტი არ ვარ. უბრალოდ, შემთხვევით ჩამივარდა ხელში და მინდოდა, გცოდნოდათ, რომ ამის გამოყენებას თქვენ წინააღმდეგ აპირებენ.

წასვლამდე დისკიდან გადმოწერილი ჩანაწერის ნაწილი ჩემს ტელეფონში გადმოვწერე და დანიშნულ ადგილზე ისე მივედი. შეხვედრა კი იქ გვქონდა დათქმული, სადაც ის თავის ამომრჩევლებს ხვდებოდა. ხალხს შევერიე და მის მახლობლად დავდექი. მესიჯი გავუგზავნე, ბლუთუსი ჩართეთ-მეთქი. დავინახე, რომ მესიჯი წაიკითხა და მივხვდი, რომ ჩემი თხოვნა შეასრულა. ჩანაწერი გადავუგზავნე. მიიღო თუ არა, იქვე გახსნა და დავინახე, როგორ შეეცვალა სახე, როდესაც ჩანაწერს ნახულობდა. შემდეგ ხალხს მოავლო თვალი და მივხვდი, მე მეძებდა. როდესაც ჩვენი თვალები შეხვდნენ, გავუღიმე და მივახვედრე, რომ მე ვიყავი ის, ვისაც ეძებდა. თვალი ამარიდა, მაგრამ ხშირ-ხშირად გადმომხედავდა ხოლმე, რომ თვალთახედვიდან არ დავკარგვოდი. როდესაც შეხვედრა დასასრულს მიუახლოვდა, მის დასანახავად მანქანისკენ გავემართე. ჩავჯექი, ძრავა ავამუშავე და დაველოდე, მიხვდებოდა თუ არა, რომ უნდა გამომყოლოდა. მიხვდა და თავისი მანქანისკენ გაემართა. გამიხარდა, რომ თან არავინ იახლა. დავიძარი. ისიც შორიახლოს მომყვა. გამოცდილი შპიონივით გზას ვაკვირდებოდი, კიდევ ხომ არავინ მოგვყვებოდა უკან. საეჭვო ვერაფერი დავლანდე. გეზი მამადავითისკენ ავიღე. ამ გზაზე უფრო იოლი იყო კუდის ამოცნობა, მაგრამ ჩვენ გარდა გზაზე არავინ შემინიშნავს. ეკლესიის ეზოში პირველი შევედი და იქვე გავჩერდი. ორიოდე წუთში ისიც მოვიდა.

— გამარჯობა, — ხელი პირველმა გამომიწოდა, — ეს ჩანაწერი თქვენთან როგორ მოხვდა? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ამას მნიშვნელობა არ აქვს. მე მინდა იცოდეთ, რომ ის მალე საფრანგეთში აღმოჩნდება.

— მის სანაცვლოდ რას ითხოვთ?

— არაფერს, — გამეცინა.

— ეს როგორ?

— ეს — ასე. მე შანტაჟისტი არ ვარ. უბრალოდ, შემთხვევით ჩამივარდა ხელში და მინდოდა, გცოდნოდათ, რომ ამის გამოყენებას თქვენ წინააღმდეგ აპირებენ. წინასწარ მოემზადეთ და კონტრარგუმენტები დადეთ. მეტი არაფერი.

— საინტერესოა...

— გეთანხმებით, საინტერესოა და ახლა სრული უფლება გაქვთ, ჩემში ეჭვი შეგეპაროთ, მოგზავნილი ხომ არ ვარ ან რა მრჯის, რომ ასე ვიქცევი, მაგრამ ეს თქვენი ნებაა, რაც გინდათ, ის იფიქრეთ. მე გეუბნებით იმას, რაც სიმართლეა. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. ჩანაწერი საკმაოდ ვრცელია. მე მისი მხოლოდ ნაწილი გაჩვენეთ.

— მე მეგონა, ფულს მოითხოვდით მის სანაცვლოდ.

— როგორ გეკადრებათ, მე თავმოყვარე ადამიანი ვარ და ფულს მხოლოდ საკუთარი შრომით ვშოულობ. ასეთი გზით ნაშოვნი ფული არავის შერჩება.

— შეიძლება, სადმე დაგპატიჟოთ?

— არა, არა, ერთად არავინ უნდა გვნახოს, — შევიცხადე.

— გამოდის, რომ ეს ჩანაწერი ხელში შემთხვევით კი არ ჩაგივარდათ, მასთან რაღაც კავშირი გაქვთ, არა?

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. რისი თქმაც შემეძლო, უკვე გითხარით.

— კარგი, მაშინ მომავალ შეხვედრამდე...

— კარგად ბრძანდებოდეთ.

თითქოს ვალმოხდილი წამოვედი იქიდან. ახლა სინდისის ქენჯნა აღარ შემაწუხებდა და გულდამშვიდებული წავიდოდი საფრანგეთში.

საღამოს ჩემს ტელეფონზე უცნობი ნომრიდან შემოსული, უცნაური მესიჯი აღმოვაჩინე. როდის მოვიდა, არ გამიგია. „არ მსურს, უშენობით მუდამ ვიმარხულო, ვერა, ვეღარ გავძლებ, უნდა გინახულო! ვეღარ დაგივიწყებ, ვეღარ შევიცვლები, მართლა მომენატრე, შენს თავს გეფიცები!“ — მწერდა ვიღაც. მაშინვე გადავრეკე, მაგრამ ტელეფონი გამორთული დამხვდა.

ძალიან მაინტერესებდა, ვინ მომწერა მესიჯი, მაგრამ ვიდრე მისი ავტორი ტელეფონს არ ჩართავდა, მანამდე ვერაფერს დავადგენდი. თუმცა, ვიფიქრე, რომ რომელიმე მეგობარი მეხუმრა და მესიჯი დავივიწყე. ●

ეჭვი — მაზოხიზმი თუ ავთვისებიანი სენი?

რა არის ეჭვი და როგორ შეიძლება მისგან განკურნება, ამის შესახებ ჩვენი ფსიქოლოგი, გრაფი თარხანი გესაუბრებათ. მე კი უბრალოდ, რამდენიმე ადამიანის ნაამბობს გადმოგცემთ.

მარი ჯაფარიძე

პირველი რესპონდენტი თინეიჯერი გოგონაა, რომელმაც თავისი ეჭვიანობის გამო შეყვარებული დაკარგა.

ვიკა:

— სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ჩემი სკოლელი, ერთი წლით უფროსი ბიჭი შემიყვარდა. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ სიყვარულმა ისე გამაბრუა, რომ სწავლას მოვუკელი. სულ მის გვერდით ყოფნა მინდოდა. გარეგნულად არც ისე კარგი ტიპი იყო, მაგრამ ისეთი მოქარგული ენა ჰქონდა, რომ გოგონები მასზე „ეცემოდნენ". უმრავი გოგო უგზავნიდა სასიყვარულო მესიჯს, მე კი ამის გამო ძალზე ვნერვიულობდი. თუ ერთად ვიყავით და მისი ტელეფონი დარეკავდა, პირველი მე ვეცემოდი და მესიჯს ვკითხულობდი. სალანძღავ პასუხებსაც არ ვერიდებოდი, პირდაპირ მისსავე ტელეფონიდან ვუგზავნიდი. არც ვანო იყო ამის წინააღმდეგი და არასოდეს დაუშლია ჩემთვის მისი მესიჯის წაკითხვა, მაგრამ ერთ შშვენიერ დღეს, გააპროტესტა და მის ტელეფონთან მიკარება ამიკრძალა.

— ალბათ შენი ეჭვიანობაც მაშინ დაიწყო, არა?

— მანამდეც ვეჭვიანობდი, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ტანჯვა. ვფიქრობდი, თუ დასამალი არაფერი ჰქონდა, რატომ მიშლიდა ტელეფონისთვის ხელის ხლებას?

— ამის შესახებ არაფერი ჰკითხე?

— ვკითხე და მითხრა, რომ უბრალოდ, ტელეფონი მისი პირადი ნივთია და სხვას უფლება არ აქვს, მის პირად ნივთს საკუთარივით მოექცეს.

— ირწმუნე მისი ნათქვამი? ის ხომ სიმართლეს ამბობდა?

— ჯერ ერთი, მე მისთვის „სხვა" არ ვიყავი. მეორეც, რატომ მანამდე არ მიშლიდა?

— იქნებ, ფიქრობდა, რომ დღეს თუ ხვალ, შენით მიხვდებოდი ამას?

— არა, ეგ არაფერ შუაშია. მე სრული უფლება მქონდა, მისი ტელეფონი „გამეჩხრიკა".

— მასაც რომ იგივე გაეკეთებინა? მისცემდი ამის უფლებას?

— რა თქმა უნდა, სწორედ ამიტომ მიჩნდებოდა ეჭვი. მე დასამალი არაფერი მქონდა და ამიტომ არც იმის წინააღმდეგი ვიყავი, რომ ჩემი მესიჯები წაეკითხა. რადგან მიშლიდა, ე.ი. რაღაცას მალავდა.

— ამის გამო იჩხუბეთ?

— არა, ამის გამო მხოლოდ ვიკამათეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ეჭვებით ვიტანჯებოდი. ლამის ღამეები არ მეძინა იმაზე ფიქრით, სად იყო, რას აკეთებდა, ვისთან ერთად იყო და ა.შ. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. მუდმივად ჩემი კონტროლის ქვეშ რომ ყოფილიყო, მხოლოდ ერთი გამოსავალი მქონდა — ცოლად უნდა გავყოლოდი. ამის შესახებ მასაც ვუთხარი.

— არა მგონია, რომ ეგ კარგი და საიმედო გამოსავალი ყოფილიყო.

— ჰოდა, მანაც სწორედ ეგ მიპასუხა. ჯერ სკოლა არ დაგვიმთავრებია, უნდა ვისწავლო, რა დროს ოჯახის შექმნაა? თუ არ ვისწავლე, ცხოვრებას როგორ ავაწყობთო?

— პრინციპში, მართალი იყო ის ადამიანი, რას ერჩი?

— მისმა პასუხმა უარესი ეჭვი გამიჩინა. ვუთხარი, თუ გიყვარვარ, ასე ცივი გონებით ვერ განსჯი, ე.ი. არ გიყვარვარ-მეთქი.

— რა გიპასუხა?

— მითხრა, უგონოდ მიყვარხარ, შენ გამო სიცოცხლესაც დავთმობ, ოღონდ ყველაფერზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, ჯობს, ჩვენი თითოეული ნაბიჯი კარგად ავწონ-დავწონოთ უკეთესი მომავლისთვისო.

— შენ, რა თქმა უნდა, არ დაუჯერე-

— ჰო, ამის მერე უარესად დავეჭვდი და ეჭვებით დაბრმავებულმა, გადავწყვიტე, გამომეცადა. ავდექი და მობილურის ახალი ნომერი ვიყიდე. ამ ნომრიდან ვუმესიჯებდი. მაინტერესებდა, ამყვებოდა ლაპარაკში თუ არა. ჰოდა, თავიდან არ მპასუხობდა, მაგრამ შევუჩნდი, არ მოვასვენე და ბოლოს, მიპასუხა. მერე თითქოს ეჭვი გაუჩნდა, რომ მე ვიყავი და როცა იმ ნომრით ვუმესიჯებდი, ჩემს ნომერს გადაამოწმებდა ხოლმე. მისი ეჭვები რომ გამექარწყლებინა, იძულებული გავხდი, ახალი ნომერი ჩემი დაქალითვის მიმეცა და ამის შემდეგ ის უმესიჯებდა ხოლმე. ეს ამბავი კარგა ხანს გრძელდებოდა. თავიდან ჩემი დაქალი ყველა მის მოწერილ მესიჯს მაკითხებდა, მერე მივხვდი, რომ ზოგიერთს მიმალავდა. მერე მითხრა, საერთოდ აღარ მიმესიჯებს, ვიჩხუბეთო. ერთ საღამოს ჩემს მეგობარს ვუთხარი, ჩემი ნომერი დაებრუნებინა. დამთანხმდა, მაგრამ დილით, სკოლაში რომ მოვიდა და ნომერს ჩანთაში ძებნა დაუწყო, ვერ იპოვა. ალბათ სადღაც დავკარგეო, მითხრა. მივხვდი, რაღაცას მატყუებდა. ამიტომ, „ჯეოსელის" ოფისში წავედი და განვაცხადე, ნომერი დავკარგემეთქი (ჩემს სახელზე იყო გაფორმებული). რამდენიმე წუთში ახალი სიმბარათი მომცეს. ჩემს ტელეფონში ჩავდე თუ არა, ჩემი შეყვარებულისგან ისეთი სასიყვარულო მესიჯები მოვიდა, რომ ლამის ჭკუიდან გადავედი. მაშინვე დავურეკე და იმ ნომრიდან ჩემი ხმა რომ გაიგონა, ყველაფერს მიხვდა და მითხრა, აღარასოდეს დამირეკო, ამას არ გაპატიებო.

— იმის მერე დაშორდით?

— ამის მერე ბევრჯერ ვცადე მისი შემორიგება, მაგრამ ველარ მოვახერხე. მითხრა, შენი დაქალი შემიყვარდა, მერე რა, რომ შეუხედავია? ისეთი ლამაზი შინაგანი სამყარო აქვს, რომ ჩემთვის გარეგნობას დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. სკოლა შარშან დავამთავრე. ვანო უკვე მეორე კურსზე იყო. ჩემი ყოფილი დაქალი და მე ერთსა და იმავე ჯგუფში მოვხვდით. ვანო მას ლექციების მერე აკითხავდა და ერთად მიდიოდნენ. მე კი მათი შემხედვარე, უზომოდ ვიტანჯებოდი. ისინი თებერვალში დაქორწინდნენ...

— თავს დამნაშავედ მიჩნევ?

— მხოლოდ ნაწილობრივ...

მეორე რესპონდენტი 34 წლის ქალია, რომელიც ქმარზე ეჭვიანობამ თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა.

ნათია:

— ჩემი ეჭვიანობა გათხოვების დღიდან დაიწყო. მაშინ 25 წლის ვიყავი, ჩემი ქმარი კი 34-ის. ჯერ იყო და, ქორწილში ვიღაც ქალი ატირებული მოვიდა და ჩემს ქმარს სიყვარულში გამოუტყდა; მერე — მეორე დღეს, ჩემი მაზლის ცოლმა მითხრა, რომ ჩემს ქმარს წლების განმავლობაში საყვარელი ჰყოლია და ის ქალი დამუქრებია, — არ მოგეშვები; თუ ჩემთან ურთიერთობას გაწყვეტ, იცოდე, ოჯახს დაგინგრევო. ამ ინფორმაციამ ისე მომშხამა, რომ მეორე დღეს ოთახიდან არ გამოვსულვარ და სტუმრებს თვალით აღარ დავნახვებივარ. ჩემი ქმარი ლამის გაგიჟდა, რა დაგემართაო? — მეკითხებოდა, მე კი პასუხს არ ვცემდი, მხოლოდ ვტიროდი და ბალიშს ცრემლით ვასველებდი.

— ბოლოს და ბოლოს, არ გაუმხელ შენ ტირილის მიზეზი?

— არა, წლების განმავლობაში მისთვის საიდუმლოდ დარჩა, რატომ ვტიროდი მაშინ.

— რატომ? იქნებ გაგემხილა და მასაც აეხსნა?

— ჯერ ერთი, მაზლის ცოლმა პირობა დამადებინა, რომ არ გავამხელდი, მეორეც — ის მეტ სიფხიზლეს გამოიჩენდა და გამოჭერას ვერ მოვახერხებდი.

— შენი მიზანი მისი გამოჭერა იყო?

— ჰო, სულ ვაკონტროლებდი. ამას ისე ვახერხებდი, რომ თვითონ ვერ ხვდებოდა. მისი ყველა ნაბიჯი ვიცოდი, ჩუმად მის ტელეფონსაც ვნახულობდი.

— მერე პოულობდი რამეს?

— არა, ვერაფერს. მის წინააღმდეგ სათქმელი არაფერი მქონდა, თუ არ ჩავთვლით სატელეფონო ზარებს სახლში. ვიღაც ქალი რეკავდა, მე მკითხულობდა და ჩემს ქმარზე საშინელ რაღაცებს მეუბნებოდა.

— მაინც, რას გეუბნებოდა?

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, შენ კი ხელს გვიშლი, შენი ქმრისგან ბავშვს ველოდებიო.

— ამასაც უმალავდი მეულლეს?

— არა, ამის შესახებ იცოდა და მეუბნებოდა, ყურადღებას ნუ აქცევ, ვიღაცას ჩვენი ბედნიერების შურს და ჩვენ შორის უთანხმოების ჩამოგდება სურსო.

— მეუღლე როგორ გექცეოდა?

— ძალიან თბილად. მის სიყვარულს ყოველ წუთას ვგრძნობდი. თუ შინ იყო, სულ მეფერებოდა, თუ სამსახურში — ყოველ წუთას რეკავდა და ჩემი ამბებით ინტერესდებოდა. საკმაოდ სოლიდური ხელფასი ჰქონდა და საჩუქრებითაც მანებივრებდა. მე კი ვფიქრობდი, ამას იმიტომ აკეთებდა, ეჭვის საფუძველი რომ არ მქონოდა.

— ეჭვის გრძნობა შენთვის მტანჯველი არ იყო?

— საშინლად ვიტანჯებოდი. მის ნათქვამსა და ნამოქმედარში ყოველთვის რაღაცას ისეთს ვხედავდი, რაც ეჭვის საფუძველს მაძლევდა. თანაც, არ ვორსულდებოდი და ეს უფრო მაგიჟებდა. ჩვენი ქორწინებიდან 4 წელი იყო გასული, როდესაც დავფეხმძიმდი. ორივე სიხარულით ცას ვეწიეთ. ორსულობა გართულებულად მიმდინარეობდა და ყველანი თავს მევლებოდნენ. ერთ ღამეს ჩემი ქმარი შინ არ მოვიდა. მობილური გამორთული ჰქონდა და ვერაფრით დავუკავშირდით. დილით ისეთი გადაღლილი სახით დაბრუნდა, რომ ეჭვის ჭიამ შემჭამა. თანაც, თქვა, საქეიფოდ ვიყავი, ტელეფონი დამიჯდა და დარეკვა ველარ შევძელი, ძალიან მეძინება და არავინ შემაწუხოსო. ლამის გავგიჟდი, ისეთ დღეში ჩავვარდი. ნერვიულობისგან მუცელი მომეშალა და ბავშვი დავკარგე. მეგონა, ჩემი ქმარი ამის გამო გაგიჟდებოდა, მაგრამ არც ისეთი მწვავე რეაქცია ჰქონდა, როგორსაც ველოდი. ის სულ საქმით იყო დაკავებული. იმ ღამის მერე ველარ ვცნობდი. რამდენჯერმე ვთხოვე, აეხსნა, რა ხდებოდა, მაგრამ ჩემთან ამ საკითხზე ლაპარაკს თავს არიდებდა. მერე უეცრად მანქანის გაყიდვა გადაწყვიტა. აღარც ფული მოჰქონდა შინ. ერთხელ კი დედამთილთან ერთად მიმავალმა დავინახე, როგორ ჯდებოდა ტაქსიში ახალგაზრდა, უცნობ ქალთან ერთად და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ შესაბამისი დასკვნები გამომეტანა. იმავე დღეს, შინ დაბრუნებულმა თავის მოკვლა გადავწყვიტე და 10 აბი წნევის წამალი დავლიე. მანამდე კი 4-ფურცლიანი წერილი გავაშანშალე და რაც სათქმელი მქონდა, ყველაფერი დავწერე... გონს საავადმყოფოში მოვეგე. თვალი რომ გავახილე, პირველი, რაც დავინახე, ჩემი ქმრის აცახცახებული ზურგი იყო. თავი დედის კალთაში ედო და ქვითინებდა. ერთი სიტყვით, გადავრჩი. შინ რომ მომიყვანეს, ქმარმა ყველას გამოუცხადა, სალაპარაკო გვაქვს და დაგვტოვეთო. მარტო რომ დავრჩით, მითხრა, რომ თურმე, იმ ღამით მართლაც საქეიფოდ ყოფილა, რესტორნიდან გამოსულებს ვიღაცებთან შელაპარაკება მოსვლიათ და ჩემს ქმარს ახალგაზრდა მამაკაცი დაუჭრია. მთელი ღამე საავადმყოფოში გაუტარებია და დაჭრილისთვის ყურადღება არ მოუკლია. დაჭრილს ექიმებისა და პოლიციელებისთვის სიმართლე არ გაუმხელია. ჩემს ქმარზე უთქვამს, ამან გაიხაროს, ეს რომ არა, ალბათ მოვკვდებოდიო. ერთი სიტყვით, მანქანაც იმ ადამიანის გამო გაუყიდია და ფულიც საავადმყოფოში მიჰქონდა თურმე. ის ახალგაზრდა ქალი, რომელთან ერთადაც ტაქსიში ჯდებოდა, დაჭრილის ცოლი ყოფილა. ეს ყველაფერი კი ჩემთვის იმიტომ დაუმალავს, რომ არ მენერვიულა... ყველაფერმა ჩაიარა. მეც გამოვჯანმრთელდი და ის დაჭრილიც. ახლა ჩემი ქმარი და ის კაცი მაგარი ძმაკაცები არიან. ჩვენ კი 3 წლის გოგონა გვყავს.

— ახლა აღარ ეჭვიანობ?

— არა, ახლა მის სიყვარულში დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ ჩემი და ჩვენი გოგონას გულისთვის არაფერს დაიშურებს. ●

მოკლე ჩართვა <<< 16

კითხვები „გზავნილების“ ავტორს

— მარ, გულს უფრო ენდობი თუ გონებას? ლუნა.

— უფრო ხშირად — გონებას.

— მაინტერესებს, როგორ მოხვედი ჟურნალ „გზაში“ და ერთი ყველაზე ბედნიერი დღე გაიხსენე შენს ცხოვრებაში. green girl.

— „გზაში“ როგორ მოვხვდი, ეს ძალიან საინტერესო და გრძელი ამბავია. ოდესმე აუცილებლად მოგიყვებით. რაც შეეხება ბედნიერ დღეს, ის იმდენად „მცირე რაოდენობითაა“ ჩემს ცხოვრებაში, რომ ყველა მახსოვს. მათ ჩამოსათვლელად, ერთი ხელის თითებიც მეყოფა...

— „გზა“ როდის დაარსდა? ყველაზე ძველი, 2001 წლის ჟურნალები მაქვს და მათში „გზავნილები“ არ არის ილბლიანა.

— „გზის“ პირველი ნომერი 2000 წლის მარტში გამოვიდა. მე კი ზუსტად 1 წლის შემდეგ მოვედი რედაქციაში. „გზავნილების“ იდეა 2003 წლის ზაფხულში გამიჩნდა და ამ რუბრიკის მეშვეობით, ჩვენი ურთიერთობაც მაშინ დაიწყო.

ეჭვიანობის ცუცხლოვანი წნე

ეს გრძნობა უეცრად ჩნდება და ადამიანს თავის ორბიტაში ითრევს. ის უზარმაზარია და ისე გშთანთქავს, რომ ცხოვრების ინტერესს გაკარგვინებს, გარშემო მყოფებთან ურთიერთობისას სიხარულის განცდას გიკარგავს და რაც ყველაზე მთავარია, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას გიფუჭებს. როდესაც ეჭვიანობა ხელს დაგრევს, მოულოდნელად სხვა ადამიანად იქცევი: ქრება სასიამოვნო, მომხიბვლელი ქალბატონი და მის ნაცვლად რჩება ბრაზიანი, ჯუჯღუნა, უხეში და ისტერიკული ადამიანი.

ბრაუნ თარხანი

ალბათ არ არსებობს ქალი, რომლისთვისაც ეს გრძნობა უცხოა. ნებისმიერ თქვენგანს ერთხელ მაინც უგრძნია მისი „მხურვალება“. ეჭვიანობის ცეცხლმა რომ არ დაგწვას და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შეინარჩუნო, ეცადე, საკუთარ თავსა და იმ მიზეზებში გაერკვე, რომლებმაც ეს გრძნობა გამოიწვია.

პირველ რიგში, დანაშაულის გრძნობისგან უნდა გათავისუფლდე. ეჭვიანობა ავადმყოფობას უფრო ჰგავს, ვიდრე ცუდი ხასიათის გამოვლინებას. ეცადე, საკუთარ თავს აპატიო ის, რომ ეჭვიანობას თავს ვერ აღწევ და მისი კონტროლის უნარი არ გაქვს. შენ არც პირველი ხარ და არც — უკანასკნელი, ვინც ამ სენითაა შეპყრობილი. დაარწმუნე საკუთარი თავი, რომ თუ ნებისყოფასა და მოთმინებას მოიკრებ, აუცილებლად დაამარცხებ მას.

შეარჩიე დღე, როდესაც შენს ყურადღებას საკუთარი თავის გარდა ვერავინ მიიპყრობს. ამ დღეს შინ დარჩი და ოთახში მშვიდი გარემო შეიქმენი. დაბალ ხმაზე ჩართე მუსიკა და ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარე. მთავარია, რომ თავი კომფორტულად იგრძნო და პრობლემის გარშემო აზრის კონცენტრირება შეძლო.

შემაწუხებელი სენისგან განკურნებისთვის პირველი ნაბიჯი — საკუთარი სტერეოტიპების დანგრევაა. გავრცელებული აზრის მიხედვით — თუ ეჭვიანობს, უყვარხარ! თუ შენ ეჭვიანობ, ე.ი. გიყვარს, — მაგრამ უნდა გაითვალისწინო, რომ ეჭვიანობა საყვარელ ადამიანს თავისუფლებას ართმევს. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, ვისზე ეჭვიანობ — მოხდენილ მდივანზე, მის ნათესავებზე, ცოლზე, მეგობრებსა თუ სამსახურზე.

ჭეშმარიტი სიყვარული სიამოვნებას უნდა განიჭებდეს, ერთურთით ტკბობის საშუალებას უნდა გაძლევდეს და მტანჯველი არ უნდა იყოს. საინტერესოა, რომ ამ თვალსაზრისით, ჰიპების „სიყვარულის თავისუფლების“ კონცეფცია სწორია, რადგან ეჭვიანობისგან, შურისგან, შიშისა და სიძულვილისგან თავისუფალია. თუმცაღა, ამავე დროს, ეს „უკიდეგანო თავისუფლება“ სხვა მხრივაა მიუღებელი...

ეჭვიანობას საფუძვლად, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიში უდევს. ეს შიში კი დაბალი თვითშეფასების დროს ჩნდება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, საფუძველი ბავშვობიდან ეყრება. თუ თავს უიღბლო ადამიანად მიიჩნევ, ცდილობ, მიჰბაძო და ფეხი აუწყო მათ, ვინც წარმატებულად მიგაჩნია. ამის შედეგად, ქვეცნობიერად აკეთებ არჩევანს რომელიმე მამაკაცის სასარგებლოდ და მზად ხარ, ფეხქვეშ გაეგო, იამაყო მისით. მაგრამ სულის სიღრმეში მაინც გეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდება შენზე ჭკვიანი, ლამაზი, ეფექტური ქალი, რომელიც საყვარელ მამაკაცს წაგართმევს. ეს შიში კუთხეში მიგამწყვდევს და მისგან თავის დაღწევა გაგიჭირდება.

შევეცადოთ ამ გრძნობის შინაარსში გარკვევას. ყველა ადამიანს სამყარო გალაქტიკად წარმოუდგენია, სადაც თვითონ — მზეა, მის ირგვლივ მყოფი ადამიანები კი — გარშემო მბრუნავი პლანეტები, რომლებიც მის სითბოსა და სინათლეზე არიან დამოკიდებული. ამ ილუზიაში ყოფნის დროს გიკვირს, რომ რომელიღაც „პლანეტა“ არ გემორჩილება, თავისი ორბიტიდან გადახვევას ცდილობს და უცნაურად იქცევა. ამის გამო უკმაყოფილება, შიში, ეჭვიანობა ჩნდება. თუ მოვლენებს სხვა კუთხით შეხედავ, მიხვდები, რომ ის ადამიანებიც, რომლებთანაც ურთიერთობ, სამყაროს შენნაირად აღიქვამენ და შენი ტრაექტორია, რომელზეც მათ გარშემო უნდა იმოძრაო, განსაზღვრული აქვთ. ხშირად ეს ტრაექტორია საკუთარ თავზე შენს წარმოდგენას არ ემთხვევა. ამ სიტუაციიდან გამოსავალი კი ერთდროულად, რთულიცაა და იოლიც: უნდა ისწავლო ადამიანის ისეთად აღქმა, როგორიც სინამდვილეშია და არა ისეთად, როგორიც შენ გინდა, რომ იყოს. ამ შემთხვევაში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

რეკომენდაციები დაბალი თვითშეფასებისა და თავდაუჯერებლობის გასაქარწყლებლად, თანამედროვე პოპულარულ ფსიქოლოგიაში უხვად მოიძებნება. მაგალითად — ფენ-შუი ან კარნეგის მეთოდი. მსგავსი მიმდინარეობების უმეტესობა საკუთარი თავისადმი სიყვარულზეა დაფუძნებული. ერთ-ერთ მოქმედ მეთოდად მიიჩნევა ხელოვნება.

ყველაზე კარგი თერაპია საყვარელი საქმით დაკავებაა. თანამედროვე ცხოვრების ტემპი არ გიტოვებს დროს, რომ საყვარელი საქმე აკეთო. გეშინია, რომ თუ დროს დაკარგავ, იმდენს ვეღარ გამოიმუშავებ, რამდენიც გჭირდება ან ხელსაყრელი წინადადების მიღების შანსსაც დაკარგავ. ამის გამო მუდმივად გიწევს იმ საქმის გადადება, რომელიც სულის სიცარიელეს შეგივსებს. შეჩერდი და დაფიქრდი: განიჭებს თუ არა კმაყოფილებას ის საქმე, რომელსაც ყოველდღიურად აკეთებ და უამრავ დროს კარგავ? თუ — არა, მაშინ ცხოვრების სტილი შეიცვალე. თავისუფალი ადამიანი ხარ და შენი ცხოვრება აუტანელი თავად გაგიხდია. უარი თქვი „მაზოხიზმზე“ და ნუ იქცევი მსხვერპლად. შეიყვარე საკუთარი თავი და გააკეთე ის, რაზეც წინათ უარს ამბობდი. ამ შემთხვევაში, საყვარელ ადამიანს უკეთ გაუგებ და ეჭვის საფუძველიც აღარ გექნება. ეჭვი ჟანგივითაა, რომელიც გულს სიხარულისა და სიმშვიდის განცდას უკარგავს. ●

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ბიჭები



1. მინდა გავიცნო 37-45 წლის, ინვალიდი მამაკაცი. ვარ 37 წლის, გაუთხოვარი, პატიოსანი გოგო.

2. აღარ მინდა, მარტოობა, მინდა გავიცნო სერიოზული მამაკაცი, 36 წლამდე. ვარ თბილისელი, ქართველი, 28 წლის. ვისაც ერთხელ არ გაგიმართლათ და გინდათ, მეორედ სინჯოთ ოჯახის შექმნა, გამომეხმაურეთ.

3. ვარ 32 წლის, სუფთა წარსულის მქონე, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს.

4. ვარ 30 წლის, ქმარს გაშორებული, მყავს 1 შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინიან და დასაქმებულ მამაკაცს, 35-40 წლამდე.

5. ვეხმაურები მე-19 ნომრის 35-ე მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

6. ვარ მაღალი და ლამაზი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ და სერიოზულ ბიჭს. ნათია-20.

7. ვარ 44 წლის, სიმპათიური ქალბატონი. მოწესრიგებული, მართლმადიდებელი. ერთხელ არ გამიმართლა და მინდა, ბედი მეორედ ვცადო. ვარ დასაქმებული. გამომეხმაუროს ბინით უზრუნველყოფილი მამაკაცი.

8. ვარ 34 წლის, განათხოვარი, სიმპათიური გოგონა, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 45 წლამდე ასაკის, სერიოზული მამაკაცი.

9. მყავს 38 წლის მეგობარი, რომელიც არის ძალიან დადებითი და საყვარელი პიროვნება. უაღრესად განათლებული, პატიოსანი და ეკლესიური. ოჯახის შექმნის მიზნით გამოეხმაურეთ შესაფერისი მამაკაცები.

ბიჭები

10. გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ და არა მუდო გოგოს, იუმორის გრძნობა ცოტათი მაინც რომ ჰქონდეს.

11. ვარ 34 წლის, 182/75, მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, 25-35 წლამდე.

12. ვარ ენერგიული, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ თბილისელ ქალბატონს.

13. დაოჯახების მიზნით გავიცნობ გოგოს, რომელიც დაუფიქრებლად მაჩუქებს სიყვარულს. გამომეხმაურეთ, 23-27 წლის გოგონები. გელით, დათო-27.

14. ვარ 26 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-26 წლის მანდილოსანს. მე დათო ვარ.

ქალები

15. მაინტერესებს დაოჯახების ცენტრის მისამართი ან ტელეფონი. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ!

ბავშვები



16. ვეძებ მონიკა (ლალი) ისრაელაშვილს, დაბადებულს 21 აპრილს. ამჟამად ოჯახით არის ამერიკაში. ჰყავს და — ლია და ძმა — ემზარი.

17. ვეძებ ნათლიას, მადონა შაფათავას, ამჟამად ცხოვრობს თბილისში. ძალიან გთხოვ, გამომეხმაურეთ,

თქვენი ნათლული, ელისო ჯიქიძე.

18. გიო, მე გეძებ, მაგრამ არ ვიცი, როგორ გიპოვო, დამიკავშირდი, თუ შეძლებ, თამუნა ვარ. მივმართავ 20-38-ს.

• რომელი სერვისი, მარიკუნა? თუ ამასაც მეტყვი, უფრო კარგი გოგო იქნები, თუმცა, მაინც ჯიგრიკუნა ხარ. ისე, კარგია, მოგვაწოდე ხოლმე კაცებზე ასეთი რჩევები, კარგი? თათა.

• გიო მგალობლიშვილო, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მე შენ გელოდები, შენი ერთგული ვარ და არ დამივიწყო. ჩვენი დაშორება რომც სცადონ, მე მაინც გაგაღმერთებ. გკოცნი. მეუღლე.

• პატარა მავნევ, აქ ვარ, დაიკო, შორიდან გადევნებთ თვალს. დიდი მადლობა, რომ გაგახსენდი. გეხუტე, პაწაწინავ, გულში. პრინცესა.

• მინდა, დიდი სიყვარულით მოვიკითხო ათენი-23 და ათენი-50. ეს ორი ადამიანი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მიყვარხართ ძალიან. გუდუნა.

• ნიკოლ, ისტერიჩკობამდეც ბევრი აღარაფერი მიკლია, დაი, ჰო, მართლა, ნელკას დაბადღების დღე აქვს? არ ვიცოდი, მეც გილოცააავ! გაკოცე. ეგოისტკა.

• გმადლობთ, ლევა და მეც გილოცავთ „რეალის“ წარმატებებს. ashley, გვასახელა ხომ, „რეალმა“... :-) გაიხარეთ. მოკითხვა მგზავრს, ლუნას, პარიჟანკას, ვერმახტს და შეწირულს. მის რეალი.

• სასურველი ადამიანის ნომრის გაგების მიზნით ორჯერ გამოვგზავნე მესიჯი. პასუხად გაურკვეველი ნაწერები მივიღე. ძალიან გთხოვთ, სწორად მომწეროთ ნომრები. ერთგული მკითხველი.

• გიორგი, ამ ხუმრობა-ხუმრობაში რომ შემიყვარდი, იცი? რა მეშველება ახლა მე... აკრძალული სიყვარული მაგარი ტკბილ-მწარეა. კაცური კაცი ხარ. კეკე.

• ჩემო პატარა, ლამაზო ანგელოზო, სად ხარ, რომ აღარ მეკონტაქტები? იქნებ ჩემი დანახვაც არ გინდა, რომ გაბრაზებ მუდამ, ძაან მომენატრა გოჩა, შენი გაბრაზება. მპუა, მპუა...

• რატომ ვარ ასეთი მოწყენილი? ეჰ, ღმერთო, რატომ ვარ, ასე? ნუთუ სულ ასე უნდა ვიყო? გულუკა.

• მეგრელო მგელო, მეც 1991 წელს ვარ დაბადებული და 30 ნოემბერს. ამიტომ, მაგრად მიყვარხარ. კარგი გოგო ხარ. თაკო.

• შოშია, ძალიან გვენატრები. ასე გვგონია, დაცარიელდა ლაგოდეხი... გკოცნით, გიხუტებთ გულში. მაი, პაკუნა და წანწკარა.

• შენც კარგი გოგუჩუნები ხარ, მგელო, ჰოდა... მე სად გაკოცე, იცი? წვეტიან აზრებში. გავიცნოთ, აბა მაგას რა კითხვა უნდა, ქა, გადმომიბლუთუზე რა, „მგლები“. ბოტოტა, მპუა. ლუნა.

• მის რეალ, ძალიან გამახარე, ლექსში მეც რომ მომიხსენიე. გმადლობთ, რომ გიყვარვარ. შენი გაცნობა მინდა. აბეზარა, გმადლობთ, გენაცვალე, გაიხარეე! :-) non stop.

• მგზავნელ პოინტჯგუფში ყველაზე ბოლო სართული მინდა, რადგან სიმაღლე მიყვარს. 3-ოთახიანი, ნათელ ფერებში. იმედია, ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებ. გრუზინკა.

• მგზავნელობა გადავწყვიტე, თუმც მინდოდა, რა ხანია, ყველა მგზავნელს ვენაცვალე, გრუზინკა კი მაგარია. მარი, მინდა დამეხმარო და მგზავნელი გავხდე. მოხუცი.

• გრუზინკა, შენ ისეთი თბილი და კარგი ხარ, მინდა, შენი წყალობით გავხდე მგზავნელი. გამარჯობა. მიმიღეთ, მგზავნელებო. გრუზინკას ხათრით. მიყვარხართ. მოხუცი.

• ქსნის კოლონიაში, დიდი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ ვაჟკაც ბიჭებს, ჩემს ძმებს, დათო კენჭოშვილს, დათო ტაბატაძეს, ზაზას, ვირთხას, გიგას, დათოს, გოშას, გოგილოს და ყველა ღირსეულ ადამიანს. ბიჭებო, არ გეგონოთ, დამავიწყდით, ყველა მახსოვხართ და მიყვარხართ, მინდა მალე თავისუფლები გნახოთ. აბა, თქვენ იცით, არ მოიწყინოთ და ერთი უნამუსო კაცუნასავით თქვენც არ დამივიწყოთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ამ ჩემს მესიჯს გამგები გაიგებს. ლიკა.

• ვალიკო, მინდა გითხრა, რომ მიყვარხარ და თანაც მძულხარ! რატომ? ამას შენ უნდა ხვდებოდე. ჩემი გულის ტკენისთვის ღმერთი სასტიკად დაგსჯის, მოღალატევ, შენ აზრზე არ ხარ, ჩემი სახით რა ქალი დაკარგე. აზრზე რომ მოხვალ, უკვე გვიან იქნება. შენი გულისთვის მეტს აღარ ვიტირებ, შენნაირი „აფერისტი“ ჩემი ერთი ცრემლის ღირსიც არაა. „ვოტ ტაკ!“ აბა, რა გეგონა, შენისთანა მოღალატეს გადავყვებოდი? ახლა ვისთანაც ხარ, დარწმუნებული ვარ, მასთან დიდხანს ვერ გაძლებ, ჩემთან მოსვლა მოგინდება, მაგრამ იცოდე, ვერ შეძლებ, რადგანაც შენ თვითონ გაანადგურე ის ოცნებები, რომელიც შენთან მაკავშირებდა. მხოლოდ ტკბილი მოგონებები დამიტოვე. უფალმა დაგსაჯოს, მოღალატევ!

• იქნებ ამიხსნათ, მუსლიმანმა ღორი როგორ დავხატო? ხელი მიკანკალებს, კალამს ვერ ვიჭერ. ლუნა, მიხარია შენი გაცნობა. რაც მაგრები ვართ, მგზავნელები ვართ. გრუზინკა.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? გენათალეთ ყველას, მობილი-ზაციაში პირველად ვამესიჯებ, ნოსტალგია მომაწვა და გადავწყვიტე, თქვენთან ვიპოვო ნუგეში. საყვარლები ხართ, ყველანი.

• გიო, შენზე ფიქრს ვერ ვიშორებ, სინანულის ცრემლები მახშობს, სამაგიეროს გადახდა არასდროს მჩვევია, როგორ ცუდადაც არ უნდა მომექცეს ადამიანი და მით უმეტეს — შენთან, როცა ასე მიყვარხარ. ვნანობ, რომ ცივად მოგექეცი, მაგრამ გამიგე, ძალიან მატკინე გული. ვფიქრობ, მე გაიძულებ რამეს და ეს არ მინდა, იქნებ არ იყო ყველაფერი ის სიმართლე, რაც მითხრეს. მაშინ მე მაპატიე, ახლა იმაზე მეტად მენატრები, ვიდრე ოდესმე, რადგან გულნატკენი გაგიშვი. თან არ იყავი კარგად, გეტყობოდა, მაგრამ იმ ტკივილმა არ მომცა იმის ნება, თბილად მოგქცეოდი. მიყვარხარ და მუდამ მეყვარები, მაგრამ როცა სწორ არჩევანს გააკეთებ, როცა მიხვდები, რომ მართლა გიყვარვარ, მაშინ დაგელოდები, აქ. ბავშვები აღარ ვართ, რომ ვითამაშოთ და ჩვენ ირგვლივ მყოფებს თავი დასაცინად ავაგდებინოთ და ამიტომ გთხოვ, ნუღარ მოვატყუებთ ერთმანეთს. ნატო.

• ეს რა ჭირი მჭირს, ტო! აფხაზეთის პრინცესა, რა კარგი გოგო ხარ! აუ, „უძინართა მზე“ არ გიყვართ? მე მაბოდებს დათოზე, ბოლოს რომ ტირის, მეც ვტირი ხოლმე. მიყვარხართ! ლუნა.

• ლუნა, გმადლობთ მოკითხვისთვის, გაიხარე! მართლა მაგარი კლუბი გაქვთ, მაგრამ მე საპატიო მიზეზით კლუბგარეშე ვარ, თუმცა მეგობრობა უკლუბოდაც შეიძლება.

• ვაუუ, განძის მაძიებელო, შენ რა მხდალი ბიჭი მეგონე და რა მაგარი ყოფილხარ?! შენს ყველაზე ლამაზ, მეზობლის გოგოს სალამს რომ მამადლი, ასე უნდა? გამოფხიზლდი! ვინმე.

• მოვალთ, მაფიოზა, აბა არა? ოღონდ, მე პირადად უნდა დამიკრიფო, რადგან ხეზე ვერ ავალ. მგელო მაგარი ყოფილა, ნიკს გარეგნულად არ ამართლებს. ძალიან მომეწონა. გრუზინკა.

• ლიმონა მეუბნება, რომ ინტერვიუ უნდა ჩაწეროს. მე ვეუბნები, რომ უინტერესო იქნება, რადგან ხშირად არ ვამესიჯებ. უბრალოდ, ერთგული მკითხველი ვარ.

• საკვირველია, შემამჩნია ვიღაცამ, ჩემო მგზავრო, მე აქ ვარ, მაგრამ ვერ მამჩნევ. :) ფარვანა, იგივე ამაზონკა. :) გაიხარე მაინც, ჩემო ძვირფასო. :) ამაზონკა.

• ზურა, საყვარელო, მაპატიე, რომ გეჩხუბე. ძალიან ცუდად ვიყავი, საშინელ დღეში. ისევ შენ გამომიყვანე მდგომარეობიდან. უზომოდ მიყვარხარ. გკოცნი უამრავს. პატარა ლელა.

• ვაუუ, ნიკოლ, ჩემი გულის სწორი ჩამოვიდა და 1 კვირაში უკან ბრუნდება, მაგრამ არა უშავს, მაინც გვიხარია, ერთმანეთი ხომ ვნახეთ და�ა... მეგრელი მგელო.

• მარი და მგზავნელებო, ყველას გილოცავთ ნიკოლოზობას. P.S. მოკითხვა აფხაზეთის პრინცესას, მანაველს ეთო მ-ს და ოლეგარიოს. P.P.S. non stop, მაინც დაწერე, არა? :) გიო-93.

• ჩორი, მპუაა, გენაცვალეთ, ემიგრანტებო. უკარება, პატარა სიხარული ხარო. ათენი-23 და გუ-ათენი, ძამიკოებო, გაკოცეთ. ვარდენა, ბოთოთა და კობრა, ჩაგეხუტეთ გულში. ნიკოლ და ბაო, გენაცვალეთ:. ბოა, გამიხარდა, რომ ჩამოხვედი. ჯეჯე, გინდა, გიმკითხაო? :) თაის, მაგარი ხარ. თაკლო, შენც. გაკოცეეთ. green girl.

• დათო ბათლიძეს! დათ, გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ. ეს ზაფხულიც უშენოდ... აღარ მინდა! იცოდე, არ გავჩერდები, სხვა გზებს მოვძებნი და მაინც გიშველი. აბა, შენ იცი, თავს მიხედე და გაუფრთხილდი. ჯანმრთელი გვჭირდები. გკოცნი. მარი.

• ბაო, როგორ ხარ, სად დავიკარგე? სად და ხელი მოვიტეხე. ეს სამ თვეში უკვე ორჯერ მოვახერხე. აუ, მაგარია, ხომ? ლიფსო.

• ვაცხადებ საკავშირო ძებნას, კრიტიკოსის დაკარგვის გამო. თუ ვინმემ იცის მისი ადგილსამყოფელი, „გზაში“ დამიმესიჯეთ. მენატრება. ლუნა, იცი, რომ მიკალქალ? გრუზინკა.

• ბავშვებო, რას იზამთ, „გზავნილები“ რომ გაუქმდეს? ვერმახტ, ბოტოტა, ვარდენა და მის13.07, მიხარია, რომ გაგიცანით. მპა, ყველას. lilly-19, მიკალქალ. ashley pcd.

• გუშინ მარშრუტკას გავყევი. იმდენი ხალხი იყო შიგნით, ისე იყო გადაჭედილი, რომ მძღოლი ფეხით მოდიოდა. როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე და რას ვხედავ? ამ პამპერსს რა ვუთხარი, ამდენი ბავშვის ცოდვას რომ იდებს, საწყალ ბავშვებს ჩაახოხებენ შიგნით და სამი დღე ხოხიალობს. ფელამუშივითაა აზელილი. ჰოდა, რა მინდა, რომ ვთქვა: შატულიას შვილიშვილი გამოსულა გარეთ. შევხედე, ჰოკეის მეკარეს ჰგავდა ბაღანა. რომ მივუახლოვდი, მიტოვებული ტუალეტის სუნი ჰქონდა, ბოვშს, ტრიკო გაწელილი ჰქონდა, კუკურიას ჭიშკრამდე. გაჭრეს მაკრატლით საცოდავი და ლაგოდეხის ჩურჩხელასავით იყო ამოვლებული. ეჰ, საცოდავი ბავშვები, რა დღეში არიაან... ჯეჯე.

• მხედრული სალამი მგზავნელებს. რა ხდება ხალხო, ახალი? აქ ყოველგვარ ინფორმაციას ვარ მოკლებული. მის რეალ, „რეალი“ რას შვება? მუხროვანიდან, მოქმედი რეზერვისტი, ლევა მადრიდი.

• კობა გუგუტიშვილო, შენს ნომერს 893 გარდა დაუმატე 591766 და დამირეკე. შენი დავიწყება არ შემიძლია, არა! ამის ძალა არ მაქვს. მაინც სიგიჟემდე მიყვარხარ. ნი.

• გია, გთხოვ, ნუღარ გამიხსენებ, აღარ შემიძლია ამდენი თვალთმაქცობისა და ტყუილების ატანა. გიორგი, მართლად გაგიცანი, მაგრამ არასდროს ყოფილხარ ჩემთან მართალი. გია, სხვას ისეთი რამ არ უნდა დააჯერო, რაც თავადაც კი არ გჯერა. საკუთარი თავი მეზიზღება, ასეთი უგუნური და მიმნდობი რომ ვარ. ნეტავ მართალი ყოფილიყავი, ჩემთან. იმდენჯერ მეცვლება აზრი, ლამისაა ჩემმა ფიქრებმა გამაგიჟოს, ხან მართალი მგონიხარ, ხან კი ბრაზი მახრჩობს. შენი თვალები მართალი მგონია. არადა, ლიასიც მჯერა. ნატო.

• ვინც ჩემს ზაზუნას ხელი მუცელზე მოუჭირა და ვისი ხელითაც განიგმირა, მაგას ხომ მოვკლავდი, ჩემი ბოვში რომ არ ყოფილიყო? კანიბალკა, მინდა ზაზუ. მეგრელი მგელო.

• გიორგი დვალიშვილო, მენატრები. თამო.

• ზურა, როგორ ველოდი ეს თვეები შენს ზარს „ბალზე“, შენ კი ისევ „მაგთიზე“ დაგირეკავს. რომ ვნახე შენი დარეკილი, ცუდად გავხდი. რატომ გააკეთე ასე? თამო.

• რამაზ ზაზაძეს: ძალიან მენატრები, დე, ერთი სული მაქვს, როდის დამირეკავ. ბავშვები გახარებულები არიან, რომ გნახეს. გკოცნი, ჩემო შავო ბიჭო. თამო დედა.

• როცა რამეს პოულობ და კარგავ, გული გწყდება. თუ ეს მეგობრობას შეეხება, სულიერი ტრავმა და პირადი მარცხია. ორი ადამიანის შეცდომა. გთხოვ, დამიბრუნდი. მოხუცი.

• ლაკ, ახლა გრიშამ დარეკა უკრაინიდან. მამიდა ძალიან ცუდად ყოფილა. მამა მიდის და წაგიყვანო. კიდევ რა უნდა, ეე! რა მინდა უკრაინაში? აქ მინდა, ჩემს სასტავში.

• კოდური სიტყვა კი არა, ნუ აჩმახებთ ახლა!

• გამო ლაკ, ჩათიდან, შე გამოჩათავებულო! გიო 93-ო, მაპატიე, თუ გაწყენინე, რა! კარგი ბიჭი ხარ, მიყვარხართ შენ და მარი. ეთო.

• აუ, მაგადი კონცერტი იყო ხობში, ისნიდან სტუდენტები იყვნენ ჩამოსულები და ძაან მაგარი იყო გოდერძი ბუკიას მხარდასაჭერი აქცია. უუ, მაგარი იყო ძაან! მეგრელი მგელო.

• მიუხედავად იმისა, რომ თინეიჯერობის ასაკს მე კი არა, ჩემი შვილიც აღარ ეკუთვნის, მაინც დიდი ინტერესით ვკითხულობ მათ

გზავნილებს. ამჯერად ჩემთვის მტკივნეულ თემას შეეხეთ და გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მომეწერა. 25 წლის წინ, მაისის თვეში მე და ჩემი ყოფილი მეუღლე გავიპარეთ. 17 წლის მანძილზე ბევრი რამ გადავიტანეთ ერთად: პირველი შვილის სიხარული, მეორე შვილის დაღუპვის ტკივილი, გაჭირვებაც და დალხინებაც. 8 წლის წინ, ისევ მაისის თვეში, ჩემი პრინციპულობისა და სიამაყის მიზეზით უბრძოლველად დავუთმე ჩემი ბედნიერება სხვას და 8 წლის მანძილზე მარტო ვებრძვი ცხოვრებას. შვილს კარგი განათლება მივეცი, მატერიალური მდგომარეობაც გავიუმჯობესე, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს სულიერ სიმარტოვეს ვერ შეავსებს. ვნანობ, რომ არაფერი გავაკეთე ჩემი ბედნიერების შესანარჩუნებლად. ყველა თინეიჯერს ვურჩევ, არ დაუშვათ შეცდომა და იბრძოლეთ თქვენი ბედნიერებისთვის. ჯული.

• თქვენ, მეგობრებო, გინახავთ ქართულ-ბერძნული ოჯახი? პაკისტანურ-ქართული? არაბულ-ქართული? არც ალბანურ-ქართული? გინახავთ, როგორ მათხოვრობს ახალგაზრდა, ქართველი ნარკომანი 50 ცენტს? გინახავთ, როგორ შესცინინებენ ახალგაზრდა, ქართველი გოგონები სხვადასხვა ჯიშის ნაძირალას — ქურთს, პაკისტანელს, ალბანელს, არაბს? ბერძენზე აღარაფერს ვამბობ... არ გინახავთ? მერე, რა გიშლით ხელს, ჩამოდით აგერ, ათენში, ჩემო ბატონო და ნახავთ. ნახევარი საქართველო აქ არის და თქვენ რაღას უცდით, საკუთარ სახლში იგრძნობთ თავს, გეუბნებით. მერე რა, თუ გაუტანლობა, შური და ღალატი მძლავრობს? რა, მანდ ასე არ არის? ჩამოდით და ნახეთ, თურმე როგორ შეიძლება, გადაგვარდეს ქართველი. აუ, ჩამოდით, რაა... ვაი, ჩვენს პატრონს! საით მიდიხარ, საცოდავო საქართველო?! კრაზანა.

• ჰმ, საინტერესოაა... თურმე, პარიჟანკას კლუბში ეპატიჟებიან. დიდი მადლობა, გრუზინკა (მაპატიე, ერთმანეთისგან ვერ გარჩევთ და არ ვიცი, რომელი ხარ), მაგრამ აქ მე მხოლოდ მარის ვცნობ შეფად. დიდი ხნის წინ ვთქვი, რომ ჩემი ამბიცია კლუბის შეფობაზეც დიდია, არამცთუ წევრობაზე და ვარ ჩემთვის. :) მაინც, გმადლობთ შემოთავაზებისთვის. პარიჟანკა.

• ათენი-23-ს მინდა ვუთხრა, რომ ქუთაისში მიმდინარეობს სარემონტო საქმეები, მთელი ქალაქი გადათხრილია და თქვენ რომ ჩამოხვალთ, ჩემო კარგო, ქუთაისი გალამაზებული დაგხვდებათ. „გზას“ ვკითხულობ და თქვენი მესიჯები მაცოცხლებს. მარის ღალატი სამშობლოს ღალატია. ყველანი მიყვარხართ. გკოცნით. გერასიმე.

• გამარჯობა, ზაზა. ტყუილად ღელავ. არავის უწყენინებია ჩემთვის. 1-2-ჯერ ვიყავი დედაშენთან და არ დამხვდა. შენკენ სიახლე არაფერია, ვიცი... წარმატებებს გისურვებ და დიდ სიყვარულს. ხანდახან შემეხმიანე.

• ათენი-23, მადლობა სიხარულო, „გზისთვის“. მოვიკითხავ ათენი 23-ს, ვარდენას, კობრას, ტატუსიას, ნონას, გუ-ათენს და ყველა მგზავნელის დედიკოს. გაკოცეთ. ბოტოტა.

• კონსტანტინე, სიხარული ბავშვი ხარ. ვანი მაგარია, ხომ? მოვიკითხავ შენს დედიკოს, ქალბატონ დოდოს (მედეას). კარგები და მხიარულები ხართ. ბოტოტა.

• ახლა მე და სევდია რუსთავის სტადიონზე ვართ და მაგრად ვბალელშიკობთ. ნეტავ, აქ სხვა მგზავნელები თუ არიან, ძალიან მაინტერესებს. ყველას გკოცნით. პუპსიკა.

• როგორ ხაართ? დღესაც შევხვდით ათენელი მგზავნელები ერთმანეთს და კარგი დროც გავატარეთ. სრული შემადგენლობით ვერ შევიკრიბეთ... ჰო, მართლა, მავიწყდებოდა, მეთქვა — უკარება მოგვეკარა! გუ-ათენი.

• გამარჯობა, მარი, კვლავ გესალმები, ათენიდან. გსმენიათ რამე ბერძნების ერთუჯრედიანობაზე? ბებოს ვუვლი. თევზი მივირთვით და მიბრძანა, ძვლები კატას დაუყარეო. მომიბრუნდა და მეკითხება — თქვენთან, საქართველოში კატა თევზის ძვლებს ჭამსო? ათენი-50.

• ვეხმაურები ბოტოტას. ძვირფასო, მე შენ ბავშვობიდან გიცნობ. სკოლაშიც ბევრჯერ წავსულვართ ერთად, თუმცა შენზე უფროსი ვარ (არც ისე, 2 წლით). ვიზიარებ შენს მწუხარებას, მამის გარდაცვალების გამო. 2 კვირის წინ ძმა დამეღუპა. საშინლად ვგრძნობ თავს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. გაიხსენე შენი მშობლიური ქუთაისი.

• ტრაგიკოსავ, შენი გაცნობა მინდა, მგონი გოგო ხარ, ასეა? ზესტაფონში სად ცხოვრობ? პია.

• მინდა მოვიკითხო დიდი სიყვარულითა და მონატრებით ჩემი საყვარელი დეიდაშვილი, ვანიკო სარჯველაძე, ორთაჭალის ციხეზე, კრიტში. ვან, გამძლეობას და მოთმინებას გისურვებ. ღმერთი გფარავდეთ ყველა უდანაშაულო და მაინც დამნაშავე ბიჭს. გკოცნი ბევრს. მიყვარხარ ძალიან. ნათი.

• როცა შენ გიხსენებ, რაღაც მემართება, თითქოს ჩემი გული ნაზად იღიმება; და თუ ახლა შორს ვართ, ამით რა შავდება, ჩვენ ხომ ერთმანეთი მაგრად გვენატრება. მამუკა მუკბანიანო, მიყვარხარ. ბარტყი.

• კობა კობეშავიძეს: სიცოცხლის ნაპერწკალო, სიგიჟემდე მიყვარხარ. გთხოვ, მალე ჩამოდი, გელოდები. შენი თათუ

• იყავი ყოველთვის სათნო და წმინდა, გფარავდეს ღმერთი, მე ასე მინდა, გჯეროდეს ჩემი, ვილოცებ შენთვის და მუდამ გეტყვი, მიყვარხარ-მეთქი. ქრისტო, მიყვარხარ და მენატრები. ათენი-23.

• ჩემო მონატრებულო შვილებო, ლაშა, დათო და გიორგი, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ყველგან და ყველაფერში. გკოცნით და გეფერებით. თქვენზე უზომოდ მონატრებული დედიკო — მაია.

• მოგიძღვენი ჩემი გული, თვალები, თეთრი მთვარე, წითელი ვარსკვლავები, ალბათ უნდა გაგიმხილო ძვირფასო, სიყვარულის მახეში რომ გავები. ზურა, მიყვარხარ. გუდუნა.

გილოცავ



• მაესტრო21, გილოცაააავ! დიიდი ბიჭი გაიზარდე. :) მავნე, ჩემი სიფორცხლე ხარ, გიუო. :) ჩორტიოზნაეტის და ბოას დაბრუნება უმაგრესად გამიხარდა. ბაო-ბაო.

• 18 მაისს, დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს მონატრებულ დედიკოს, მზია ნარსიას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ყველაფერ საუკეთესოს, მამიკოსთან ერთად. შვილები.

• მამიკუნააა, დიდი, დიიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. ბედნიერება, სიხარული, სიყვარული არ მოგკლებოდეს. გვიყვარხააარ! შენი შვილები.

• მსურს მოგილოცო დაბადების დღე და ზედ დავურთო ღვთისმშობლის ლოცვა შენი ცხოვრების მეგზური იყოს სიყვარული და იესოს ლოცვა. ნი, გილოცავ, სიხარულო. თამუნა ბენდუქიძე.

• ფიქრო, გილოცავ დაბადების დღეს, 22 მაისს. დაესწარი მრავალს. შენი ეთო. ისა და, ლაკ, მარიკა მოსკოვში გათხოვდა. ლაკ, მადლობის ნიშნად, იქნებ, 5-იანის ნაცვლად 10-იანი, ჰა?

• საბერძნეთში მყოფ დაიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერებას გისურვებ. გულუკა. არა უიმედო.

• კოხი-20-ს და ასევე მაესტრო-21-ს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 მაისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. მრავალს დაგასწროთ, ღმერთმა. non stop.

• დაბადების დღეს ვულოცავ ათენში, ჩემს სიცოცხლეს და სიყვარულს, მერი პაქსაშვილს. გისურვებ ყველაფერს კარგს და ლამაზს, ცხოვრებაში. მენატრები. დაუვიწყარი სიყვარული და ადამიანი ხარ, ფიქრებით სულ შენთან ვარ, კუს. ჩემი კუსი ხარ. იხარე და იბედნიერე. მრავალ დაბადების დღეს დაესწარი.

• ჩემს დედიკოს, ქეთინო კაკაბაძეს დაბადების დღეს ვულოცავ, ულევ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას და ღვთის წყალობას ვუსურვებ, ჩემს მამიკოსთან ერთად. დათო ღაღანიძე.

• მაესტრო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანსაღ სიყვარულს. წმინდა გიორგი იყოს მუდამ შენი მფარველი. კიკო.

• მინდა, ჩემს მამიდაშვილს, გიორგი გაბუნიას დაბადების დღე და მის დას — თამარობა მივულოცო. ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და ღვთის შემწეობა. აბეზარა.

• დედას, ჯულიეტა ხვისტანს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას. იყავი დღეგრძელი. მენატრები. კესო.

• დათო ფუტკარაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 მაისს. ვუსურვებ ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას, ოჯახთან ერთად. უცნობი.

• 19 მაისს, დაბადების დღეს ვულოცავ რეზო ბუზალაძეს. მშობელო, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს და დიდხანს სიცოცხლეს, შენს ოჯახთან ერთად. მა, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, ძალიან მენატრები. როგორ მინდა შენ გვერდით ყოფნა. მიყვარხარ და გკოცნი ბევრს. ვერიკო.

• გიორგი კიპაროიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი, მამიდა, შენი მშობლებისა და კიპაროიძეების საამაყოდ. ხათუნა მამიდა.

• ჩემს საყვარელ დედიკოს, მარინა ლიკლიკაძეს და ძმისშვილს, სანდრის, 20 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას. მიყვარხართ. გკოცნით ბევრს. თეა.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ დაიკოს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 მაისს. მადი, ძვირფასო, ლამაზ სიყვარულს და ულევ სიხარულს გისურვებ, ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. მაკლია შენი სითბო და სიყვარული. გკოცნის შენი დაიკო.

• თემურ ცეკვავას ვულოცავ დაბადების დღეს, 23 მაისს. თემო, გისურვებ ჯანმრთელობას და დიდ ბედნიერებას, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. მოკითხვა ხუტა ბიძიას. დარეჯანი.

• რეზო ბუზალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 მაისს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ, შენს ოჯახსა და ყველა ახლობელთან ერთად. დარეჯანი.

• ვალიკო თუშურავს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 მაისს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ, შენს ოჯახთან და ყველა ახლობელთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დარეჯანი.

• დიდი სიყვარულით ვულოცავთ 26 მაისს, ლაშა ჭუმბურიძეს, დაბადების დღეს. მართლაც იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა შენ გაჩნდი, ამ ქვეყანაზე. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ მეუღლესთან ერთად. უფალი ფარავდეს შენს სიყვარულით შექმნილ ოჯახს. სიდედრი, მზია.

• მეგრელო ლალის გვინდა მივულოცოთ დაბადების დღე, 21 მაისი. მეგრელო, ჯანმრთელობას, გამძლეობას, სიხარულს და სიყვარულს გისურვებთ, შენს შვილებთან და საყვარელ ხალხთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დიდი სიყვარულით, ბანგრატის ხევსურთა სასტავი.

• დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ დათო გიგინეიშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კარგ მომავალს, ულევ სიხარულს, საყვარელ დედიკოსთან ერთად. მზია ბებო და ძაკო მამასახლისი.

• გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს, ბევრს და მაინც გისურვებთ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს.

• მცხეთაში, ლამარა კვეზერელ-მეხაშიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი, ბედნიერი, გახარებული და გამრავლებული მენახე, შენს ლამაზ, თბილ ოჯახთან ერთად. მზია.

• ძვირფას, საყვარელ და ლამაზ საიდა ბურდულს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ თავისი მიზნების შესრულებას, ჯანმრთელობას და მეუღლესთან ერთად საქართველოში დაბრუნებას. ბედნიერება და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი მეგზური, მთელი სიცოცხლის მანძილზე. გკოცნი ბევრს. ნანული.

• ნინო-მგელოს თავისი სასტავი ულოცავს შვილის გაბედნიერებას. დაე, მთელი ცხოვრება ისე ყოფილიყოს საიდა თავის მეუღლესთან, როგორც ნინოს კეთილ გულს უნდა. ნანული, ნანა, ლია.

• დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ დისშვილებს, ლევან და ლაშა სთურუებს. გილოცავთ,

ვაუკაცებო, 15 და 19 მაისს, დაბადების დღეს, გისურვებთ ორივეს ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს. ზაირა და მადონა დეიდები, გია ბიძია, თიკო და გიო.

• დაბადების დღეს ვუ-ლოცავ ჩემს გიორგი კიკალიშვილს, ასი ლამაზი წელიწადი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს.

• დაბადების დღეს, 28 მაისს ვულოცავ ნათელა აიხინაშვილს. ვუსურვებ კარგად ყოფნას, შვილთან ერთად და მალე დაბრუნებას სამშობლოში. კლარა და ლალი.

• 25 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ყველაზე მაგარ ადამიანს, ლევან გამბარაშვილს. ლევანიკო, მრავალს დაესწარი, გაიხარე და გამრავლდი, სიხარული და სიყვარული არ მოჰკლებოდეს შენს თბილ გულს. უფალი გფარავდეს, ჩემო სიხარულო. ათენი27.

• ქუთაისში, გიორგი ულენტს, 25 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო გიო, გისურვებ ლამაზ ბავშვობას, კარგ სწავლას, ულევ სიხარულს, ნათელ მომავალს და ყველაფერ საუკეთესოს, ცხოვრებაში. დედიკო მაია.

• გუგალო, გილოცავთ დაბადების დღეს. სასახელო ვაუკაცი გაიზარდე. ღმერთი იყოს შენი მფარველი, შენ ჩვენი ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი შვილი ხარ, ძალიან, ძალიან უყვარხარ შენს დედიკოს და მამიკოს. გკოცნით და გეფერებით. ზაალი და ლელა.

• მარინა, ჩემო კარგო, შენს მონატრებულ ვაუკაცს, კახას ვულოცავ ბედნიერებას, ვუსურვებ, მის რჩეულ სოფოსთან ერთად ბედნიერი დღეების გატარებას. შენ კი, ჩემო მეგობარო, ჯანმრთელობას, გამძლეობას გისურვებ, რომ შენი გაგზავნილი ევროებით შენმა შვილებმა ისიამოვნონ. მჯერა, ძალიან განიცდი, ერთადერთი ვაუკაცის ქორწილს რომ ვერ ესწრები, მაგრამ რას ვიზამთ? ბედნიერებით დატკბობა და კარგი მატერიალური პირობები ერთად, ჩვენს ქვეყანაში ერთეულების ხვედრია. გკოცნი. თამილა.

• გუგალო, მიყვარხარ ძალიან. გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა გაგზარდოს სასახელო ვაუკაცი, შენი დედიკოს და მამიკოს გულები გაგეხარებინოს. გკოცნის შენი მარინა ბებო.

• ქრისტო, ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გისურვებ ულევ და ლამაზ სიყვარულს. მაგრად მიყვარხარ, შენი ზურა. ათენი-23.

• ქრისტინა, ჩემო უცნობო სარძლოვ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კეთილსა და კარგს, შენი ცხოვრების ბედნიერ გზაზე. ჩემო ქრისტინა, მომავალი დაბადების დღე ჩემს ოჯახში, ჩემი ზურას გვერდით მომელოცოს. გკოცნი და გეფერები. ათენი-50.

• მაგრაანში ბადრი ჯავახიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული, შენს ცოლ-შვილთან და დედიკოსთან ერთად. მაიკო.

• ერთგულ მეგობარს, მზია დევაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ულევ სიხარულს, სიყვარულს და ყოველივე კარგს და საუკეთესოს ცხოვრებაში. გფარავდეს უფალი, ყველგან და ყველაფერში. შენი კეთილის მსურველი, მზია ბასილაძე.

• ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, მაიკო მერკვილაძესა და ივიკო მესხს მთელი გულითა და სულით ვულოცავ გაბედნიერებას. ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ლამაზი ოჯახის შექმნას, გისურვებთ, მუდამ სიყვარულით მოციმციმე თვალებს და ანთებულ გულებს, დაე, მუდამ თან გდევდეთ უფლის მადლი და წყალობა. მენატრებით და მიყვარხართ, უზომოდ. ფიქრია ხითარიშვილი.

• რუსთავის პირველში, ნიკო მაისურაძეს, ქოსას ვულოცავ ნიკოლოზობას. თამო.

• ვახო ჯიბუტს (ჯიბეს) ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. აგნესა და თამო.

• ათენში, მეგრელოს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 მაისს! გაიხარე, ჩემო კარგო! ღმერთი გფარავდეს! მიყვარხარ! მალე ჩამოდიიიი! ეკა.

• პატარა ლელა, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი. პატარა მავნე.

• ნინო ბენდუქიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 მაისს. დაიკო, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს. გკოცნით მე და მარი. თამუნა.

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფიქტიკალენდარი



1-ელი ივნისი

ბავშვთა დაცვის დღე

რატომლაც ეს დღესასწაული ყველაზე პოპულარული საბჭოთა ქვეყნებისთვის იყო და ის არდადეგების დაწყებას ემთხვეოდა. ალბათ, დასასვენებლად წასული ბავშვები მასწავლებლებისგან იცავდნენ თავს.

ამ დღეს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1949 წლიდან აღნიშნავენ. ქართველი ბავშვების თამადობით ყველა პატარას გაუმარჯოს!

8 ივნისი

ოკეანის საერთაშორისო დღე



მერე რა, რომ საქართველოში ოკეანე არ გვაქვს? ეს დღე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დღესასწაული ოფიციალურად არ ცნო, მას ყველა აღნიშნავს, ვისაც კი სულ მცირე შეხება აქვს ოკეანესთან. ჩვენ კი პირდაპირი თუ არა, ირიბი შეხება ხომ გვაქვს? ამ დღეს ზოოპარკის, აკვარიუმებისა და დელფინარიუმების თანამშრომლები თავის ძალებს ოკეანის ბინადართა უფლებების დაცვას ახმარენ. ჰოდა, ამ დღეს მე ჩემს ოქროს თევზებს განსხვავებულ საკვებს ვუყიდი, თქვენ კი თუ თევზები შინ არ გყავთ, ზოოპარკში წადით და სელაპები გამოკვებეთ (ნეტავ, თუ არიან თბილისის ზოოპარკში სელაპები?).

9 ივნისი

მეგობრების საერთაშორისო დღე

არისტოტელეს უთქვამს: მეგობრები — ორ სხეულში არსებული ერთი სულიაო.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეროვნების ადამიანი მეგობრობას სოციალურ, მორალურ მოვლენად მიიჩნევს, ყველა აღიარებს, რომ ნამდვილი მეგობრობა იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თითოეული თქვენგანის ცხოვრებაში არსებობს თუნდაც 1 ადამიანი, რომელსაც ნამდვილ მეგობარს უწოდებთ და მისთვის ამ დღის მილოცვის სურვილი გაგიჩნდებათ.

14 ივნისი

ლუდის მხარშველის დღე

წესით, ამ დღეს ქართული ლუდის მწარმოებლებმა სასმელი უფასოდ უნდა დაარიგონ, რადგან ეს დღე იმისთვისაა დაწესებული, რომ ლუდის ავტორიტეტი გაამყაროს. ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ დღეს საუკეთესო თანამშრომლებს ღვაწლს უფასებენ და პრემიას აძლევენ... ჩვენც ხომ ევროპელები ვართ? არა? ეჰ...

20 ივნისი

დევნილთა საერთაშორისო დღე

2 ქართველი რესტორანში ქეიფობს. მათ მაგიდას ზანგი ოფიციანტი ემსახურება.

— ვა, ეს აქ საიდან გაჩნდა? — იკითხა ერთმა.

— დევნილია, აფრიკიდან, — უპასუხა მეორემ.

— ვაა, აფრიკაც დავკარგეთ? — უკვირს პირველს.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და პოპულარული აფრიკელი დევნილების საერთაშორისო დღე ყოფილა, რომელსაც უამრავ ქვეყანაში აღნიშნავენ თურმე (ალბათ იქ, სადაც საკუთარი დევნილები არ ჰყავთ).

26 ივნისი

წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღე

წამება ეს არის ადამიანისთვის სულიერი ან ფიზიკური ტკივილის რაიმე მიზნით, განზრახ მიყენება. არავითარი განსაკუთრებული მდგომარეობა — საომარი მოქმედებები თუ შიდა არეულობა, პოლიტიკური არასტაბილურობა თუ საგანგებო მდგომარეობა არ ამართლებს სახელმწიფოს, რომელიც თავის მოქალაქეებს აწამებს. 26 ივნისს გაუმარჯოს! ჩვენ გაგვიმარჯოს, ქართველებს!

27 ივნისი

მეთევზის საერთაშორისო დღე

ეს დღესასწაული 1985 წლიდან აღინიშნება. თევზჭერა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰობია. ვისაც ერთხელ უგემია ანკესით თევზის დაჭერის სიამოვნება, იცის, რომ მას არაფერი შეედრება. თევზის ჭერის პროცესი ისეთი აზარტულია, რომ ადამიანს აიძულებს, ყველაზე შორს, ყველაზე მიყრუებულ ადგილზე გადაიხვეწოს და ამინდის მიუხედავად, საათობით ელოდოს, როდის ანიშნებს ტივტივა, რომ ანკესზე თევზი წამოეგო. ამ დღის აღნიშვნა ალბათ ღირს! დიდ თევზს გისურვებთ, მეგობრებო...

ხუთიოსანი

ყვითელ ავტობუსში გოგონა იჯდა. შავი, ტანზე მომდგარი, გახეხილი ჯინსის შარვალი ეცვა. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო. მის წინ 40 წლამდე ასაკის, პორტფელიანი მამაკაცი იჯდა. გოგონას წამიერი მზერა ესროლა და ფიქრებში ჩაიძირა.

„ლამაზია, ალბათ, 20 წლის იქნება. ჩანთიდან რვეულები მოჩანს. ალბათ სტუდენტია. მაღალი გოგონა ჩანს, გრძელფეხება. თმაც ლამაზი აქვს. კოსმეტიკას არ სწყალობს, რადგან იცის, რომ ბუნებრივადაც მშვენივრად გამოიყურება“, — ფიქრობდა, ღრმად ამოიოხრა და მზერა აარიდა. ეჰ, იყო დრო, როცა ასეთ ქალიშვილებთან ერთად, თვითონ ატარებდა დროს. მაშინ არც სადარდებელი ჰქონდა და თავში ნიავიც უქროდა. ახლა?

„ახლა მასწავლებელი ვარ, ვმელოტდები, ცოლი (ღმერთო ჩემო, რა უცებ მობერდა!) მყავს და 2 შვილი. ფულიც მაქვს და ბინაც, მაგრამ ახლა რაღაში მჭირდება?!.“ — განაგრძობდა ფიქრს და თან თვალს გოგონასკენ აპარებდა.

ჩასვლის დრო იყო. ადგა და კართან გაჩერდა.

— ჰმ, დიდხანს უნდა გაგრძელდეს ასე? — მის სმენას გოგონას გაბრაზებული ხმა მისწვდა.

— ბატონო? — გაოცდა მამაკაცი.

— ბოლოს და ბოლოს, გავიცნობთ ერთმანეთს თუ არა? — გაბუტულმა შეხედა და ტუჩები მოკუმა გოგონამ. — შევამჩნიე, როგორ მომშტერებოდით...

— გოგონა, მე არ მოგშტერებოდი... — თითქოს ჯიბრზე, ავტობუსი შუქნიშანთან შეჩერდა.

— მართლა? აბა, ის რა იყო?!. არა, გამოტყდი, რომ ჩემი გაცნობა გინდა. — გოგონა წამოდგა და თვალი გაუშტერა. მამაკაცმაც სიმართლე არ დაუმალა:

— ისე, რატომაც არა?! შენი გაცნობა მართლაც, მინდოდა.

— მე თაკო ვარ, — გოგონას თვალებში კმაყოფილების სხივმა გაუელვა, მამაკაცთან ახლოს მივიდა და ხელკავი გამოსდო. — შენ ვინ ხარ?

— მე ცოლიანი ვარ... — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა. — უფრო სწორად, ბატონი ვახტანგი ვარ... — უცნაურმა წყვილმა მგზავრების ყურადღება მიიპყრო.

— ვახტანგ, მე გათხოვება მინდა! — თქვა თაკომ და მეოცნებე თვალები ავტობუსის ჭერს მიაპყრო. — ხომ მომიყვან ცოლად? არ მომატყუო, მითხარი, ცოლად მომიყვან?

გოგონას პირდაპირობამ მამაკაცი დააბნია და ვეღარაფერი მოიფიქრა: — მე ხომ ცოლიანი ვარ... — ამოღერღა ბოლოს.

— მერე რა?! დიდი ამბავი!.. ცოლიანი იყავი და აღარ იქნები. სიმართლე მითხარი, ცოლიანი რომ არ იყო, ცოლად მომიყვანდი?

— თაკო, მე ხომ საერთოდ არ გიცნობ?! — დაიწყო ვახტანგმა, მაგრამ გოგონამ შეაწყვეტინა:

— კარგი ვარ, გეფიცები! გადასარევ კერძებს ვამზადებ, ჭკვიანი ვარ, ხუთოსანი, ლამაზი... ხომ ლამაზი ვარ? ხომ მოგწონვარ?

— კი, ლამაზი ხარ.

— ჰოდა, მითხარი, ცოლად მომიყვანდი?

— რა ვიცი... — კიდევ უფრო დაიბნა მამაკაცი. ავტობუსი გაჩერებას გაუსწორდა და რაღაც ხომ უნდა ეთქვა? — ალბათ მოგიყვანდი...

— ვაშაააა! — გოგონა სიხარულისგან შეხტა. — როდის დავქორწინდეთ?

კარი გაიღო, მამაკაცმა კითხვა უპასუხოდ დატოვა და ჩასვლა დააპირა. გოგონა ფეხდაფეხ მიჰყვა. მამაკაცი მისკენ შებრუნდა. გოგონამ წელზე ხელი მოხვია, ცხვირი მის მკერდში ჩარგო და ჩაიბურტყუნა:

— ჩემი ქმარი... ჩემი საყვარელი ქმარი...

— საკმარისია, გოგონავ, თავი დამანებე! გეყოფა ხუმრობა, ყველაფერს საზღვარი აქვს, ბოლოს და ბოლოს! — გაბრაზდა ვახტანგი, მისი ხელებისგან თავი ძლივს გაითავისუფლა და გზას გაუყვა. ზურგს უკან სულის შემძვრელი ტირილის ხმა მოისმა. ასეთ რამეს ვერც ერთი ჯენტლმენი ვერ გაუძლებს. ტირილი ხომ ქალების საიდუმლო იარაღია... გოგონა ტროტუარზე იჯდა, ცრემლს იწმენდდა და დიდ, ბავშვურ თვალებს აფახულებდა.

მამაკაცმა ამოიოხრა და უკან მიბრუნდა.

— ხომ იცი, რომ ცოლად ვერ მოგიყვან?! — თაკომ თავი დაუქნია. — მაშ, რა გატირებს?

— გათხოვება მინდااა! — ისევ მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი. — მომატყუე? არ მოგწონვარ?

— იქნებ, სხვა რამ მოვიფიქროთ? გინდა, რამეს გიყიდი და მერე თავი დამანებე.

გოგონამ ტუჩები გამობერა, წამოდგა და მამაკაცს თვალებში ჩახედა:

— მატყუარა ყოფილხარ. შენი ნაყიდი არ მჭირდება. აი, აქ ჩამიწერე, რომ გამოცდა ჩავაბარე, — უთხრა და ჩათვლის წიგნაკი გაუწოდა.

„უხ, შენი!..“ — გაიფიქრა ვახტანგმა. ახლაღა გაახსენდა, რომ უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კურსს კითხულობდა.

— დამიწერეთ ნიშანი, ბატონო ვახტანგ, — შეახსენა გოგონამ. — თქვენს ლექციებს არ ვესწრებოდი, მაგრამ საკურსო ნაშრომს თემაზე — „სხვა ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედების ექსტრემალური მეთოდები“ — ხვალ ჩაგაბარებთ.

მამაკაცმა ფსიქოლოგიის გრაფის გასწვრივ ხუთიანი ჩაწერა და თავისი ხელმოწერაც სინდისის ქენჯნის გარეშე დასვა. იმსახურებდა ეს გოგონა ხუთიანს და რა ექნა?!.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

წმინდა ნიკოლოზი მეოხი და მფარველი საქართველოს ეკლესიისა



22 მაისს დაწესებულია ხსენება წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედად წოდებულისა. წმინდა ნიკოლოზი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული მეოხი და მფარველია. სწორედ მას შეავედრა ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია სრულიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, პატრიარქად კურთხევისას. მეტად საგულისხმოა მისი უწმინდესობის მიერ წმინდანის მიმართ წარმოთქმული სიტყვები „წმინდანთა შორის საკვირველო, დიდო სასწაულმოქმედო, მოწყალეო ჩვენო მამაო ნიკოლოზ, მეუფდაბალი, მორჩილი შენი ილია II, განგებითა და ნებით ღვთისაითა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ჩემი ერისა და ეკლესიის სახელით შეგივრდები და გევედრები: უწინამძღვრე და მარადჟამს იყავ მფარველი ქართველი ხალხისა, რათა ერსა ჩვენსა ან და მარადის ქრისტეს გზით ევლოს, მოგვმადლე სარწმუნოება ჭეშმარიტი და სიყვარული შეუორგულებელი. დაგვიცევ ხილულ და უხილავ მტერთაგან, უწმინდურ ზრახვათა და უკეთურ საქმეთაგან“...

ზორენა მერკვილაძე

მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნიკოლოზს წელიწადში ორჯერ იხსენიებს — 19 დეკემბერს და 22 მაისს. 19 დეკემბერს იხსენიება წმინდა მღვდელმთავრის ამა სოფლიდან გასვლა, 22 მაისს კი იხსენიება წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილების გადაბრძანება მირონ-ლუკიიდან, იტალიის ქალაქ ბარში. ეს მოხდა 1087 წელს.

წმინდა ნიკოლოზის შესახებ ალბათ ყველა ჩვენგანს სმენია, მისი ცხოვრება ღვთიური სასწაულებით იყო გაბრწყინებული; სიცოცხლეშივე არაერთი სასწაული მოახდინა. საკვირველმოქმედი წმინდანის ძალით აღსრულებული სასწაულები არც მისი ამა სოფლიდან გასვლის შემდგომ მოგვკლებია. მოგითხრობთ რამდენიმე მათგანის შესახებ:

პირველი სასწაული ყრმის ამქვეყნად მოვლინებას მოჰყვა, მისი შობის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა დედამისი — ნონა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ტანჯავდა მძიმე სნეულება. როდესაც ჩვილს ნათლავდნენ, სამი საათის მანძილზე, სხვების დაუხმარებლად იდგა ემბაზში. საკვირელია ისიც, რომ ჩვილი შობის დღიდანვე მარხულობდა — ოთხშაბათობით და პარასკეობით დედის რძის მიღებაზე უარს აცხადებდა.

ეს საკვირველი მოვლენა უკრაინაში მოხდა: ნიკოლოზობის დღესასწაულის ღამეს, ერთი ოჯახი წმინდა ნიკოლოზის ტაძრისკენ გაემართა, რათა დღესასწაულს ტაძარში შეხვედროდა. გზად მდინარე უნდა გადაელახათ. ცოლ-ქმარს თან ჩვილი შვილი მიჰყავდა. შუა მდინარეში ყოფნისას, ჩვილი ამოძრავდა, დედას ხელიდან გაუსხლტა და წყალში ჩავარდა. მთელი ღამე ამაოდ დაეძებდნენ მშობლები ყრმის ცხედარს, გამთენიისას სასომიხდილებმა წმინდა ნიკოლოზის ტაძარს მიაშურეს. ტაძრის ეზოში მხოლოდ დარაჯი დახვდათ. დამწუხრებულმა ცოლ-ქმარმა დარაჯს ტაძრის კარის გაღება სთხოვა. ტაძარში შესულებს ბავშვის ტირილის ხმა მოესმათ. წმინდა ნიკოლოზის ხატის წინ მათი ჩვილი იწვა და ტიროდა.

ათონის მთაზე, ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწე ბერები — მიქაელი და ქრიზანთემოსი (ეს სასწაული 1924 წელს მოხდა), სავანის ფურნეში პურებს აცხობდნენ, თან მწუხარებას მისცემოდნენ, რადგან მონასტერში ხორბლის მარაგი ელეოდათ. მოულოდნელად მათთან ჩია ტანის მოხუცი მივიდა. მას ხელთ „სახარება“ ეპყრა. მოხუცი ბერებს მიესალმა და მოკითხვის შემდეგ, ხორბლის მარაგის შესახებ შეეკითხა ბერებს: ერთი გამოცხობაღა დაგვრჩა, ჩვენ კი კვირაში ორჯერ ვაცხობთ პურსო, — უპასუხეს ბერმონაზვნებმა. მოხუცმა ღვთის სახელით დაამშვიდა ისინი, ხორბალი აკურთხა და გაუჩინარდა.

როდესაც მამები გონს მოეგნენ, მოხუცი აღარსად ჩანდა. ყველგან დაუწყეს ძებნა, მაგრამ მონასტერში მოსული მოხუცის მხილველი მათ გარდა არავინ აღმოჩნდა. წმინდა ნიკოლოზი ხომ არ იყოო? — დაეჭვდნენ ბერები; მართალი გამოდგა მათი გუმანი — წმინდა ნიკოლოზის მიერ ნაკურთხი ხორბალი, რომელიც ერთ გამოცხობად უნდა ჰყოფნოდათ, მონასტერს ექვსი თვის მანძილზე ასაზრდოებდა. ეს ამბავი ათონზე მდებარე გრიგორიატის მონასტერში მოხდა. მონასტერს ამის შემდეგაც არაერთხელ შესწევია წმინდანი. აი, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა: ამავე მონასტერში, წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულის დღეს, მონასტრის იკონომოსმა იღუმენს განუცხადა, რომ განდეგილ ბერებს სადღესასწაულოდ ზეთს ვეღარ დავურიგებთ, ნახევარი ქოთანიღა დარჩაო. არა უშავს, რაც დარჩა, ის მივცეთო — უთხრა იღუმენმა. მართლაც დაურიგეს ზეთი მეუდაბნოე მამებს. ის, რაც დარჩა, ქოთნის ფსკერსაც ძლივს ფარავდა. იღუმენს ადამიანურმა სისუსტემ სძლია და დამწუხრდა, მაგრამ სულ მალე იხილა, რომ ქოთანი ზეთით ავსებულიყო. ეს წმინდა ნიკოლოზის ძალით და შეწევნით მოხდა.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეულ პატიმრების ერთ ნაწილს, პატიმრობიდან გათავისუფლების იმედი მიეცა. ერთ-ერთი პატიმრობაში მყოფი მღვდლის შთაგონებით, მათ გადაწყვიტეს წმინდა ნიკოლოზისთვის ეთხოვათ შემწეობა. თანაც წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულამდე სამი დღეც ემარხულათ. მღვდელმსახურის ნებას რამდენიმე ათეული კაცი დაჰყვა, თუმცა როდესაც ნიკოლოზობა მოახლოვდა, მხოლოდ 26 კაცი შეუდგა მარხვას. ნიკოლოზობის — დღესასწაულის დღეს სწორედ მათი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა.

წმინდა ნიკოლოზის განსაკუთრებული რწმენა და სიყვარული ჰქონია მამა გაბრიელ ურგებაძეს; არც საკვირველმოქმედი წმინდანი აკლებდა მას შემწეობასა და მეოხებას. ეს მისი ცხოვრებიდანაც ჩანს. ერთხელ, ადამიანთა ცილისწამებით შეწუხებულმა მამა გაბრიელმა, გულზე წმინდა ნიკოლოზის ხატი ჩამოიკიდა, ბათუმის ზღვაში შევიდა და უფალს მიმართა — უფალო, თუ შენთვის სათნოა ჩემი ცხოვრება, გადამარჩინეო. ზღვასთან ახლოს სამხედრო ნაწილი დგა. ჯარისკაცებთან ვიღაც ჩია ტანის მოხუცი მივიდა და განუცხადა: ზღვაში კაცი იხრჩობა და გამოიყვანეთო. მართლაც მიეშველნენ ჯარისკაცები მამა გაბრიელს. როდესაც ზღვის ნაპირას დაანწვინეს, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ბერის გულზე დაკიდებულ წმინდა ნიკოლოზის ხატს მოჰკრა თუ არა თვალი, მასში ის მოხუცი ამოიცნო, რომელიც რამდენიმე წუთის წინ გამოეცხადათ და მამა გაბრიელის დახმარება სთხოვა.

P.S. ცხადია, წმინდა ნიკოლოზის სასწაულები ამით არ ამოიწურება. ყველა მათგანის მოთხრობა შეუძლებელია, თუმცა ჩვენ მიერ მოთხრობილი სასწაულებიც საკმარისია იმისათვის, რომ განგვიმტკიცდეს რწმენა და სასოება წმინდა ნიკოლოზის მიმართ. მთავარია, მტკიცე რწმენით აღვსილებმა შევთხოვოთ მეოხება და შემწეობა საკვირველმოქმედ წმინდანს. ■

ცხენზე ქმნილი ორი მეტრი სიმაღლის მეცნიერი, ქარში, ეზესა და ნიმაში დაკნეტეზოდა

ვინც საქართველოს ისტორიას გაეცნობა, უსათუოდ იფიქრებს, როგორი მარტოსული ერი ვყოფილვართ, საუკუნეთა მანძილზე გვერდზე დამდგომი არავინ გამოგვჩენია... თუ გამოგვჩენია, ისიც მუშტრის თვალით მაყურებელი — რა წავართვა და რა წავიღოო! ერისთვის კი არა, კაცისთვისაა ძნელი ცხოვრება მეგობრისა და გულშემატკივრის გარეშე. მოსაგრეს დანატრებული ქართველები შესაძლოა ამიტომაც ვაასმაგებთ ხოლმე უცხოსგან ჩვენთვის გაკეთებულ სიკეთეს... მაგრამ ახლა ვისზეც გიამბობთ, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ მეორეა, ვინც აღმოაჩინა და მერე საქართველოს ჩააბარა ათასწლეულების მანძილზე შექმნილი საგანძური.



ბორის კუფტინი მეუღლითურთ

ეთერ ერაძე

ბორის კუფტინი 1936 წელს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ჩამოიყვანა საქართველოში. ეს ის დროა, როცა დიდ იმპერიაში საქართველოს წარსულის კი არა, მომავლის გაქრობაც უნდოდათ და არქეოლოგებს ქართული მიწის „ჩიჩქნაში“ გროშსაც არ უხდიდნენ...

ივანე ჯავახიშვილმა კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში შერისხული ცნობილი არქეოლოგი საქართველოში მოიწვია — მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, საქართველოს წარსული უნდა შეესწავლა და დაემტკიცებინა მსოფლიოსათვის, რომ ამ მიწაზე საიდანღაც მოსული მომთაბარეები კი არ ვიყავით, არამედ ათასწლეულთა (და მილიონი წლისაც!) მემკვიდრეები...

ასე ჩამოვიდა საქართველოში რუსი მეცნიერი (ამბობენ, სინამდვილეში რუსი კი არა, შუაზიელი იყოო), ხელში ტროსტით, თავზე შლაპით, ლამაზი ცოლით და ჭკვიანი თვალებით. ნელ-ნელა ისრუტავდა იმას, რამაც ქართულ მიწას სამუდამოდ მიაჯაჭვა.

ჩამოსვლის უმალ წალკაში მიავლინეს — იქ საბჭოთა ხელისუფლებამ ჰიდროელექტროსადგურის აშენება გადაწყვიტა, თრიალეთის ველის მრავალი სოფელი (და მასთან ერთად სამარხებიც) წყალში იძირებოდა... ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც გუმანით ხვდებოდა თრიალეთის მიწის არქეოლოგიურ საიდუმლოს, კუფტინს სთხოვა, იქ განსაკუთრებულად გულდასმით ემუშავა. კუფტინს აღბათ ასეთი თხოვნა არც სჭირდებოდა, მაგრამ ივანე ჯავახიშვილს სინდისი ქენჯნიდა — თრიალეთის ცხელ ველზე სამუშაოდ გაშვებულ უცხო კაცს ფაქტობრივად ვერაფერს სთავაზობდა — ფული არ იყო...

მაგრამ კუფტინის თავდადებისთვის ფული საჭირო არ გამხდარა, თრიალეთმა მას მოსვენება დაუკარგა. ცხენზე ამხედრებული ლამის ორი მეტრი სიმაღლის მეცნიერი ქარ-

უცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მეექვსე
წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №16-20

გიორგი მახარაძე

ფერეიდანი

ფერეიდანში გავრცელებული გვარებია: ბათუანი, იოსელიანი, სეფიანი, ლაჩინაანი, გოგიჩაანი, გუგუნაანი, ასლანაანი, ონიკაანი, მიქელაანი, ხეცუცაანი, დავითაანი... პროფესორ ცაგარეიშვილს დაუდგენია, რომ საქართველოდან გასახლებული ერთი სოფლის ხალხი კვლავ ერთად დასახლებულა და ამ ადგილისათვისაც თავისი სოფლის სახელი დაურქმევია: მარტყოფელებს — მარტყოფი, ნინოწმინდელებს — ნინოწმინდა და ა.შ.

გამიჩნდა სურვილი აქვე შემოგთავაზოთ ე.წ. ლირიკული გადახვევა.

საქართველოს ძირძველი სოფელი მარტყოფი ბევრი რამით არის ცნობილი. იმითაც არის სახელგანთქმული, რომ აქაური იყო იბრაჰიმ ბეგი — აბრამ (გაბო) შინჯიკაშვილი, რომელიც ღამის მეხრეობისას 1756 წელს მარბიელმა ლეკებმა შეიპყრეს, სტამბოლის მონათა ბაზარზე ერთმა ეგვიპტელმა სოვდაგარმა იყიდა და კაიროში წაიყვანა. ტანადი, ჯან-ღონით სავსე 21 წლის აბრამი მამლუქთა ჯარში ჩარიცხეს.

ვაჟკაცობისა და მხედარმთავრული ნიჭის წყალობით, იგი მალე დაწინაურდა, მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ატარებდა ეგვიპტის გამგებელი, შიხბალალის („უპირველესი ბელადის“) წოდებას.

ოცდაერთწლიანი განშორების შემდეგ, მამლუქმა წერილი გამოუგზავნა მოხუც დედასა და ოჯახის წევრებს. გაიბა მიმოწერა, იბრაჰიმი ატყობინებდა თავის სისხლსა და ხორცს საკუთარ თავგადასავალს და თავისთან იბარებდა — ჩამოდით, მნახეთო. მართლაც, მომდევნო წელს ეგვიპტეში ეწვივნენ ძმა ბასილა და სიძე — გოგია ბერუაშვილი. მიიღო ისინი გულმხურვალედ და ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარეობით. როცა გაიგო, რომ მარტყოფელები ისევ გომურის ეკლესიაში წირავდნენ, იქ დედაჩემი როგორ ივლისო?! — თქვა და გამოატანა მათ 200 ოქრო ახალი სალოცავის ასაგებად, რაც განხორციელდა კიდეც (მონათხრობია ჩაკვეტაძის ნაშრომიდან — „სიმღერამ გითხრას“).

XVIII საუკუნეში აგებული, გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევების გარდა, დღემდე სოფელში შემორჩენილი ყოფილა შინჯიკაშვილებისა და სხვათა კოშკ-სალოცავების ნაშთები; მათგან უკეთესად შემონახულა თუშმალიშვილების სალოცავი.

კიდევ ერთი ცნობა თემაზე — „კვიცი გვარზე ხტის“: მარტყოფელი მძიმეწონოსანი მოჭიდავე ოთარ შინჯიკაშვილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და სამგზის პრიზიორი გახლდათ სამბოში.

ახალ დავუბრუნდეთ მთავარ თემას.

ფერეიდნელები ზეიმობენ ყველა მაჰმადიანურ დღესასწაულს, მაგრამ დღესაც კარგად ახსოვთ, რომ წინათ, ქრისტიანები ყოფილან. მათ შემონახული აქვთ ჩვევა — პურის გამოცხობისას ცომის გუნდებზე ჯვრის გაკეთებისა; ასევე, კვერცხს წითლად ღებავენ. დღეობებს — ამაღლებას, ვარდისფენობას აღნიშნავენ.

ბევრი ფერეიდნელის ოჯახში რელიკვიად არის შემონახული ძველი „სახარება“ — ლოცვათა კრებულები და ხატები. დაბოლოს, როცა ფერეიდანში ერთმანეთს შორდებიან, ასე ემშვიდობებიან ერთურთს: „ღმერთს ებარებოდეთ!“

ფერეიდანში, მიწათმოქმედების ძირითადი სახეობა მეკარტოფილეობაა. ითესება მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული. დღემდე შემოუნახავთ ხორბლის ძველქართული ჯიში — დიკა. მისდევენ მეცხოველეობას, ძროხისა და ცხვრის რძისგან ამზადებენ ყველს, კარაქს, მაწონს, ერბოსა და სხვა პროდუქტებს. დღემდე შემორჩენილია კარაქის დღვების ხალხური წესი. ასევე შემორჩენილია გუთანი, წველის დროს ძროხისთვის ქართველი ქალის მიმღერება — „დედო, დედო, დედოჯან“.

ფერეიდანში ვენახს, თურმე, „ბალას“ უწოდებენ („ბალას“ აგრეთვე ხეხილსაც ეძახიან), ყურძნის კრეფას — „მობალვას“. მუსლიმანები ხომ ღვინოს არ სვამენ. ამიტომაც, მოსავალს ყურძნადვე ყიდიან.

ჩვენი წინაპრების სამეტყველო ლექსიკური ფონდი ძალზე ღარიბი ყოფილა ურთიერთსალანძღავი და საგინებელი სიტყვებით. ფერეიდნელისთვის ყველაზე საგინებელ სიტყვას „ყროლი“ წარმოადგენს.

ში, მზესა და წვიმაში დაეხეტებოდა თვალუწვდენელ არქეოლოგიურ ველზე, სადაც ძველი ეგვიპტის ტოლი ხელშეუხებელი ყორღანები გადაჭიმულიყო. იქ, ქვის სარკოფაგებში, სამი-ოთხი ათასწლეულის წინათ გარდაცვლილი ქართული ტომის ბელადები იწვნენ, თან იმდროინდელ ქართველთა ნახელავი ჰქონდათ ჩატანებული... კუფტინი თხრიდა, ნახელავი ამოჰქონდა და თავადაც დამუნჯებული შეჰყურებდა კერამიკის, ვერცხლისა და ოქროს ნივთების ბრწყინვას... მან ამ ექსპედიციის აღმოჩენებს ასეც უწოდა — ბრწყინვალე თრიალეთის კულტურა... შემდეგ მან მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოაჩინა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ პირველად გაიგო მტკვარ-არაქსის ხეობაში მოსახლე უძველესი ქართული ტომების შესახებ, რომლებიც მაშინ, როცა მსოფლიომ ქვის ბლაგვი იარაღის ხმარებაც არ იცოდა, ვერცხლსა და ოქროს თიხასავით „ძერწავდნენ“. თვით სახელგანთქმული ელინების იმდროინდელ სამარხებშიც იშვიათობა იყო მსგავსი სილამაზის ჭურჭელი (თრიალეთის ექსპონატების გვირგვინად თრიალეთის ოქროს თასი იქცა)...

ასე გახმინდა უძველესი ტაოელების ლეგენდა, რომელიც კუფტინმა გააღვიძა და მთელი სიცოცხლე თავგანწირულად უვლიდა. საკმარისი იყო, რომელიმე ქვეყანაში რომელიმე ქართული არქეოლოგიური ექსპონატების სიძველეში დაეჭვებულიყვნენ, კუფტინი საქართველოს კულტურის დასაცავად ომს იწყებდა...

წლების შემდეგ თრიალეთის ველიდან კუფტინმა კოლხეთის დაბლობზე გადაინაცვლა და კოლხეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე სქელტანიანი ტომები დაწერა (არა მარტო კოლხეთში: მას ექსპედიციები ჰქონდა მდინარეების — ლიახვის, ფრონეს ხეობებში, რიონის აუზში, სამაჩაბლოში...). მაშინდელ მეცნიერებაში იშვიათად მოიძებნებოდა უფრო ტევადი და ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებით სავსე ტომები — კუფტინს სამოოთხი ათასწლეულის წინანდელი ბრინჯაოს ნატეხიც არ დარჩენია აღუწერავი და შეუსწავლელი. იგი საღამოობით მოჩვენებასავით დაეხეტებოდა სამარხებში და მცველების სიფხიზლეს ამოწმებდა, ღამღამობით კი ლამპის შუქზე წერდა. მისი ყველა დღიური ასეთი ფრაზით იწყებოდა: „მთავარია, ხვალ არ გაწვიმდეს, საქმე ბევრია!“ საქმე ბევრი იყო, ხოლო მუშები მშივრები, ხელფასი კი თითო-ოროლა კაცს თუ ჰქონდა. ამიტომაც კუფტინი მუშებს საკუთარ ხელფასს აძლევდა. თან მზეთუნახავი ცოლი დაჰყვებოდა. არქეოლოგიური ველის მტვერში ქმართან ერთად მოხეტიალე ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ მუშები საქმეს თავს ანებებდნენ და გაოგნებულები შესცქეროდნენ... ვერა სტეშკინა პიანისტი იყო და ქართულ ფოლკლორს სწავლობდა, — ქმარივით საქართველოთი დატყვევებული...

თავისი სიყვარულის ამბავს კუფტინი ხშირად ჰყვებოდა თურმე: ქალს ცოლობაზე მისთვის იმდენჯერ უთქვამს უარი, რომ ერთი კონცერტის დროს, კუფტინი სცენაზე ასულა, ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია, შუბლზე მიუდვია და ქალისთვის უთქვამს, თუ ახლავე არ იტყვი, რომ ცოლად გამომყვები, თავს მოვიკლავო.

როგორც მაშინ სცენიდან გაჰყვა, დიდ არქეოლოგს ცოლმა უკანასკნელ გზაზეც არ უღალატა — 1953 წელს ისინი ერთად წავიდნენ დასასვენებლად რიგაში. კუფტინი აგარაკზე გარდაიცვალა. იმავე საღამოს თავი მოიკლა მისმა მეუღლემ...

ორივენი ქართველმა მეცნიერებმა ჩამოასვენეს თბილისში, სოლოლაკში, თავის სახლში, იქ, სადაც ახლა კუფტინის ქუჩაა...

ქართველ მეცნიერებს კოლეგის დაღუპვა თურმე პირველმა სოლოლაკელმა მათხოვარმა მიუსამძიმრა — გულამოსკვნით ქვითინებდა, — ეგ კაცი იყო ჩემი პატრონი, ახლა რაღა მეშველებაო. თავისივე ანდერძით საქართველოსთვის თავშეწირული მეცნიერი თბილისში დაკრძალეს. საფლავის ქვაც ქართველმა მეცნიერებმა დაადგეს და დღემდე უვლიან... ქართველების და ქართველთა ისტორიისთვის თავშეწირული კაცი ქართულ მიწას სამუდამოდ შეუერთდა...

განა ასე არ უნდა ყოფილიყო? ■

მარტყოფის ტაძარი

ფერეიდნელები მტკიცედ მისდევენ ცნებას — „არა კაც კლა“. ოთხი საუკუნეა, ფერეიდანში არ ახსოვთ, რომ ქართველს მოეკლას ქართველი.

ფერეიდნელი ქართველები, ადგილობრივ მოსახლეობასთან არ ათქვეფილან. ამაში რელიეფმაც შეუწყო ხელი: ზამთარში გზები იკეტება და 6 თვის განმავლობაში მთელ ირანს არის მოწყვეტილი. გარდა ამისა, მტკიცედაა დაცული გათხოვება-დაქორწინების წესი: ბოლო დრომდე ფერეიდნელი ქართველები არ ქორწინდებოდნენ ირანელებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელი მოგზაური — ტავერნიე წერდა: „ძალიან ცოტაა ისეთი სპარსელი, დაწყებული მეფიდან მის ყველაზე დაბალ მსახურამდე, რომელსაც არ ჰყავდეს ქართველი დედა ან მამა, ან ქართული სისხლი მაინც არ ჰქონდეს“.

XIX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, ინგლისელი ჩარლზ დარვინი ნაშრომში — „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“ აღნიშნავს, რომ სპარსელებს, თავიანთი წარჩინებულების სისხლის (მემკვიდრეობის) გასაუმჯობესებლად, საქართველოდან მიჰყავდავთ (*თუ მიერეკებოდნენ?! — ავტ.*) ულამაზესი ქალები და თუ სპარსელთა შორის ვინმე ხეირიანი აღმოჩნდებოდა, მას უეჭველად, დედა ან ბებია ქართველი ჰყავდაო.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, შემდეგი მაგალითი გამოდგება:

ცნობილი ჟურნალისტი და აღმოსავლეთმცოდნე ნოდარ კოჭლაშვილი 1965 წელს ირანის დედაქალაქ თეირანში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, საორგანიზაციო ჯგუფში იმყოფებოდა. გამოფენაზე ირანის შაჰი, მუჰამედ რეზა ფეჰლევი, მეუღლესთან — ულამაზეს ქალბატონ სორეასთან ერთად მივიდა.

— ჩემთან რომ მოვიდა, — მოგვითხრობს ბატონი ნოდარი, — როგორც ქართველთა წესია, ოდნავ თავი დავხარე. მან ხელი მომკიდა და გვერდზე გამიყვანა. 20 წუთი ვისაუბრეთ. მითხრა: ჩემს ძარღვებშიც ქართული სისხლი ჩქეფს — ბებიაჩემი ახალციხელი აბაშიძე იყოო. უეცრად დედოფალი დამაკვირდა და ამაყად მითხრა — ჩემი ბებიაც ქართველიაო...

დიდია დედის როლი მშობლიური ენის შენახვა-შენარჩუნებაში. ამიტომაც არის, რომ დედაენას „დედის ენას“ უწოდებენ (14 აპრილს, ქართული ენის დღეს ფერეიდანშიც აღნიშნავენ). ქართულს გაიგონებ ქუჩაში, დუქნებში, — წერს დარეჯან ჩხუბიანიშვილი. ქალბატონ დარეჯანს თავის წერილში ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდი მოჰყავს: „ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ოჯახში უფროსები ერთმანეთს ხშირად გვარით მიმართავენ: „დავითაშვილმა იცის“, „დავითაშვილო, მაიტანე“. რატომ ასე მეთქი, ვკითხე. თურანამ *(ოჯახის დიასახლისი. — ავტ.)* განმიმარტა — სახელი რომ დავუძახო, ალი-რეზა უნდა ვთქვა, ეს კი „ექაური“ სახელია, დავითაშვილი კი „ჩონებურიაო“...

ფერეიდანში ქართული სკოლის დაარსება სეიფოლა ხან იოსელიანმა სცადა, მაგრამ ირანის სასულიერო და საერო ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა. როგორც პროფ. ჭიპაშვილი მოგვითხრობს, 1940 წლამდე ზემო მარტყოფში არანაირი — არც ქართული და არც სპარსული სკოლა არ არსებობდა. მოგვიანებით, სკოლები (დაწყებითი და საშუალო) დაარსდა, ოღონდ — საერო სპარსული. ფერეიდუნ შაჰრიში თეირანის უნივერსიტეტის ფილიალიც გახსნეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ქალის სიიუმორი...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-20

სვეტა კვარაცხელია

მთელი სისწრაფით მივაქროლებდი მანქანას. ისეთი ქარი ამოვარდა, ყველაფერი მიჰქონდა, ანგრევდა არემარეს. რაღა ახლა მოუნდა ამ ქარს თავის შეხსენება, როცა ასეთი ამბავი ხდება? განა რა უნდა შეიცვალოს უკეთესობისკენ? ეჰ, როგორი ცრუმორწმუნე ვარ, ქარისაც კი მჯერა. როგორ შემეცოდა ბექა, წარმოვიდგინე, რა დღეში იქნებოდა. ნეტავ, სწორად ვიქცევი, რომ მივდივარ? რა რეაქცია ექნება ჩემს დანახვაზე? ტელეფონზე რომ დამირეკა და გაბოროტებული მელაპარაკებოდა, მივხვდი, რომ დედამისთან ჩხუბი მოუვიდა. ხომ იფიქრებს, დედამ ამაზე ინერვიულა და ცუდად იმიტომ გახდაო. მან რა იცის, რა მოხდა სინამდვილეში...

უზნაძის ქუჩა... ღმერთო, ნუთუ, მე გავაფუჭე ყველაფერი? იქნებ, არ უნდა მეთქვა ანიკოსთვის? ალბათ, ბიძინას სანახავად წავიდა, გულმა არ მოუთმინა. მერე რა? დარწმუნებული ვარ, ერთმანეთში შეკამათება არ მოუვიდოდათ. იქნებ, ზედმეტ სიხარულს ვერ გაუძლო გულმა? არ ვიცი, ამას ალბათ მხოლოდ ნათლისგან თუ გავიგებ.

გულამოვარდნილი მივვარდი კლინიკაში. გიზელა, ნათია და ბიჭები ინტენსიური თერაპიის პალატის წინ იდგნენ სახეწაშლილები. გიზელას თვალები ჩასწითლებოდა. რაც მთავარია, ნანკა არსად ჩანდა.

— მოხვედი? — ნათია გადამეხვია და ასლუკუნდა, — იცი, როგორ შემეცოდა.

გიზელაც მოგვიახლოვდა.

— ცოცხალს ვერ მიუსწრეს, ხომ? — ხან ერთს შევხედავდი, ხანაც — მეორეს.

— არა, უკვე გარდაცვლილი იყო. ბექა ადამიანს არ ჰგავს; ისეთი ხმით ღრიალებდა, მთელ შენობას ესმოდა.

ცრემლები ვერ შევიკავე, ღაპაღუპით დამედინა ღაწვებზე.

— სად არის?

— საოპერაციოში გადაიყვანეს, უნდა გაკვეთონ, — თავით მანიშნა ნათიამ.

— რა საჭირო იყო, რატომ დაანება ბექამ?

— რა ვიცი, ასე ამჯობინეს, თან ბალზამირებასაც გაუკეთებენ.

— რაო, რას ამბობენ, რა მოხდაო? — ცრემლებს მუშტებით ვიწმენდდი.

— ინსულტიო ასე თქვეს; როგორც ჩანს, ინერვიულა, — მრავალმნიშვნელოვანი მზერა მტყორცნა გიზელამ, — შენ რომ ნახე, როგორ იყო?

— ჩვეულებრივად, რა ვიცი... ცოტას კი ნერვიულობდა, მაგრამ ისე, რომ გული გახდომოდა ცუდად... არ ყოფილა, მშვენივრად დავტოვე. გამიმასპინძლდა კიდევაც, — საუბრის კონკრეტული დეტალები არ მოვყევი და გოგოებს თვალი ავარიდე.

სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. ასე მეგონა, ანიკოს გარდაცვალებაში ლომის წილი მე მიმიძღოდა.

კარგა ხნის მერე საოპერაციოს კარი გაიღო და თვალებჩაწითლებული ბექა გამოჩნდა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. შეშინებული მივაჩერდი. წამით თითქოს მზერა გაუშეშდა; ალბათ, ჩემს გამოჩენას არ ელოდა. მივუახლოვდი, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, ჩავეხუტე და მივუსამძიმრე. მადლობა გადამიხადა.

— მე შემიძლია რამით დაგეხმარო? — გავბედე და ვკითხე ისე, ზრდილობის გულისთვის.

— ჰო, მჭირდები, — მოგუდული ხმით მითხრა, მხარზე ხელი მომხვია და გვერდზე გამიყვანა.

სუნთქვა გამიჩერდა. რა დაემართა, ასე კარგად რომ მექცევა?

— გასაღებს მოგცემ და იქნებ ჩვენთან სახლში შეიარო, სანამ აქ ყველაფერს მოვრჩებით და გადავასვენებთ.

— რა უნდა გავაკეთო? — გული გამითბა.

— იქ რაღაც სისულელები ჩავიდინე, ცუდი რამეები... იქნებ მიალაგო ცოტა. მაპატიე, შენ გარდა სხვას ვერ ვთხოვ... სანამ ნათესავები მივლენ... არ მინდა, ვინმემ ნახოს. შენ გამიგებ, ვიცი... — მითხრა და ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს პატიებას მთხოვდა.

— რა თქმა უნდა, ახლავე წავალ, — თავი დავუქნიე, გასაღები გამოვართვი და გოგოებისთვის არაფერი მითქვამს, ისე ჩავუყევი კიბის საფეხურებს.

ვიცოდი, მათი ცნობისმოყვარე თვალები უკან მომყვებოდა, მაგრამ ახლა ახსნა-განმარტების დრო არ იყო; სირბილით ჩავირბინე ბოლო სართული და ეზოში გასული, მანქანის საჭეს მივუჯექი...

ბექას ბინაში შესულს საშინელი სურათი დამხვდა. როგორც ჩანს, მაგრად უჩხუბიათ. იქაურობა ბრძოლის ველს დამსგავსებოდა. მთელ იატაკზე ჭურჭლის ნამსხვრევები და დანა-ჩანგალი იყო მიმოფანტული. იქვე, ტახტზე, ანიკოს და ბექას ტანსაცმელი არეულად ეყარა, ალბათ სარეცხი თუ ჩამოხსნა შინიდან გასვლის წინ ქალმა.

— ღმერთო, რა ხდება აქ, — აღმომხდა გაოგნებულს და კედელს მივეყრდენი დაბნეული. უნდა მომეფიქრებინა, საიდან დამეწყო.

ჯერ ნამსხვრევები ავკრიფე, მერე იატაკი მოვხვეტე, მოვწმინდე და ბოლოს ტანსაცმლის დაკეცვას შევუდექი. არ ვიცოდი, სად რას ინახავდნენ, ამიტომ კარადაში, სადაც შედარებით უფრო ცარიელი ადგილი ვნახე, იქ შევინახე. მერე აივანზე გავედი და სარეცხის გასაფენ თოკებს შევხედე. ანიკოს თეთრეულიც გაეფინა. ხელი შევავლე, ბოლომდე არ გამშრალიყო, მაინც ჩამოვხსენი, ნამიანი უკეთ დაუთოვდებოდა. უთო ჩავრთე და საქმეს შევუდექი. დიდი

გულმოდგინებით დავაუთოე ორი ხელი თეთრეული, თან მსიამოვნებდა, ბექას სახლში რომ ვტრიალებდი კარგი დიასახლისივით, თან გული მიკვდებოდა, დედამისის საკეთებელი საქმის კეთება რომ მიწევდა. ნეტავ, ის ქალბატონი სად ბრძანდებოდა, რომ არ მოვიდა? ხომ არ იჩხუბეს? ნეტამც... რა ბედნერი ვიქნები, ასე რომ იყოს. აი, თურმე, რატომ ამოვარდა ქარი. ისევ უკეთესობისკენ მიდის ყველაფერი.

ამ ფიქრებში ვიყავი, ტელეფონმა რომ დარეკა. ვიღაც ქალი იყო, ანიკოს ბიძაშვილი ვარო, მცხეთიდან რეკავდა. მოვუყევი, რაც ვიცოდი. უცნობი ატირდა. სხვებსაც გავაგებინებ და ერთ საათში მოვალთო, დამიბარა.

საქმეს მოვრჩი, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ცოტა არ იყოს, დავიღალე. „რამდენ ხანში მოვლენ?“ — ამის გაფიქრება და ბექამ დამირეკა.

— რა ქენი? — ნაღვლიანად მკითხა.

— ყველაფერი მივალაგე, არ ინერვიულო.

— დიდი მადლობა, ჩვენ უკვე გამოვდივართ.

— აქ დაგელოდო?

— არა, არა, არ მინდა ვინმემ გნახოს, მიხვდებიან. შენ წადი, მერე მოხვალ...

უცნაურად მეჩვენა მისი ნათქვამი. რას ნიშნავს, მიხვდებიან? რას მიხვდებიან? სახლი რომ მივალაგე? მერე რა მოხდა? ვიღაცას ხომ უნდა გაეკეთებინა ეს. თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში, ნირი მეცვალა. მხრებჩამოყრილმა დავკეტე ბინა და უკან, კლინიკაში დავბრუნდი. გოგოები იქ დამხვდნენ.

— გაასვენეს, — თანაგრძნობით წარმოთქვა ნათიამ.

— ვიცი, — ამოვიოხრე და სკამზე ჩამოვჯექი.

— სად იყავი?

— მთხოვა, სახლი მიალაგეო...

— ხედავ? შენ დაგირეკა, მიხვდა, რომ მიქარა, ახლა კი ამით პატიებას გთხოვს, დანაშაული უნდა, გამოისყიდოს.

— რა ვიცი, რა გითხრათ, — მხრები ავიწურე.

— ის ალქაჯი რომ არ გამოჩნდა, არ გიკვირს? — წამოიწყო გიზელამ.

პასუხი არ გამიცია, მხოლოდ შევხედე.

— ორსულად ყოფილა ქალბატონი.

— გიზელა! — საყვედურით სავსე ტონით წამოიძახა ნათიამ.

— რა გიზელა, რა გიზელა! სანამ უნდა ვმალოთ, არ უნდა იცოდეს? ლამისაა, ხელში ჩაგვაკვდეს ეს გოგო მაგ დეგენერატის გულისთვის და... — გაწიწმატდა გიზელა და გვერდით მომიჯდა, — შენ არ ინერვიულო, მაგას ნახე, რა დღეს დავაყრი.

— ნათი, ვიცი, ეგ ამბავი, ასე რომ, ტყუილად საყვედურობ გიზელას, დედამისმა უკვე მითხრა.

— ვინ? ანიკომ? იმანაც იცოდა?

— ჰო, იცოდა, ამიტომაც უნდოდა ჩემთან შეხვედრა.

— თვითონ დაურეკა ალბათ და მიახარა. გაუსკდებოდა იმ ქალს გული, აბა რა იქნებოდა.

— არა, არა, იმას არა, ბექას უთქვამს.

— ბექას უთქვამს? — თითქმის ერთდროულად აღმოხდა ორივეს.

— ჰო, რჩევა უკითხავს — მოვაშლევინო მუცელი თუ ცოლად შევირთოო.

— მერე?

— რა, მერე; ანიკო კარგს რას ეტყოდა, თვალის დასანახავად ვერ იტანს ნანკას. — ცრემლი კვლავ ყელში მომებჯინა.

— ახლა გასაგებია ყველაფერი. როგორც ჩანს, ბექამ უთხრა, აბორტი გაიკეთეო, ამიტომაც არ ჩანს, — დაასკვნა გიზელამ.

— არაფერიც! ტოქსიკოზი მაქვს, გული მერევა და ვწევარო, სანდროსთვის დაურეკავს ამ დილით, სამსახურში ვერ მოვალო. გაიგე? ევაჭრება ბექას, როგორც ჩანს. უნდა, რომ ამ მეთოდით დაითრიოს. ან ამ სანდროს რას ურეკავდა, ვერ გავიგე. საზიზღარი! ნეტავ იცოდეს, როგორ მეჯავრება.

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, საერთოდ არის კი ორსულად? — ეჭვი გამოთქვა გიზელამ.

— ანიკომაც ეგ თქვა, არ მჯერაო, — დავუდასტურე კოლეგას.

— აი, ხომ ხედავ! აბა, რას ვამბობდი.

ამ დროს ბატონმა მიხეილმა შემოაღო კარი.

— სოფიო, ერთი წუთით გამოდი, გენაცვალე! — სათვალის ზემოდან გამომხედა მთავარმა ექიმმა.

წამოვხტი და დერეფანში გამოვედი. თითქოს დიდ საიდუმლოს მანდობსო, ჩურჩულით მითხრა.

— ბიძინასი ხომ არაფერი იცი? მივხვდი, რაც აწუხებდა. ისიც მიხვდა ალბათ, ანიკო რომ მასთან იქნებოდა. მე ისეთი სახე მივიღე, ვითომ არაფერი ვიცოდი.

— არა, დღეს არ მილაპარაკია, ამ დღეებში ვიყავი. უკეთესად იყო.

— ჰმ... — რაღაცის თქმა დააპირა მიხეილმა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, — კარგი, მე გავალ, ვინახულებ... შენ როდის აპირებ სამსახურში დაბრუნებას? — სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი მთავარმა ექიმმა.

— იმ ორშაბათიდან გამოვალ, ბატონო მიხეილ.

— გამოდი, გამოდი. გვიჭირს უშენოდ, თანაც ძალიან მოგვანატრე თავი. — გამიღიმა მამაკაცმა და მხარზე მომითათუნა ხელი. — მოიწყინეს გოგოებმა უშენოდ.

— ვიცი, იყვნენ ჩემთან სახლში.

— მართლა? უყურე შენ! რა ყაჩაღანები არიან! — თქვა და გაბრუნდა.

საღამოს ბიძინას ნახვა გადავწყვიტე. ვერ მოვისვენე, მინდოდა გამეგო, რა მოხდა, რა ილაპარაკეს...

ზარი დავრეკე, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. სახელური ჩამოვწიე, ახლაც ღია დამხვდა კარი. ოთახში შევიხედე. ბიძინა კვლავინდებურად საწოლზე წამოწოლილიყო და ჭერს მიშტერებოდა. ასე მეგონა, ბოლოს რომ ვნახე, მას შემდეგ პოზა არ შეუცვლია-მეთქი.

— გამარჯობა, ნათლია, — ხმად-

აბლა მივესალმე.

მძიმედ მოატრიალა თავი, თვალები ცრემლით ავსებოდა.

— მოდი, სოფიო, მოდი, შვილო.

— ცუდად ხართ?

— როგორ ფიქრობ, კარგად ვიქნები? ეს რა გავიგე, კაცო, ეს რა გავიგე, მე მოვმკვდარიყავი, არ მერჩივნა? რა უსამართლოა ეს ცხოვრება, რა უსამართლო. — გულწრფელად მოთქვამდა ბიძინა.

მეც ავტირდი. მივუახლოვდი და ჩავეხუტე, ხმას ვერ ვიღებდი.

— შენ ხომ არ იცი, სოფიო, როგორი იყო ჩვენი შეხვედრა, რა ბედნიერი წუთები განვიცადეთ ორივემ. გულმა ვერ გაუძლო ალბათ ამ სიხარულს. ჩემმა გულმა როგორ გაუძლო ნეტავ, რატომ ის არ დამიწდა და დასამარდა? — გოდება აღმოხდა კაცს.

მისი დამშვიდება მინდოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

— მიხვდი, აქ რომ იქნებოდა ხომ? მიშაც მიხვდა და მაშინვე ჩემთან წამოვიდა. ოქრო კაცია მიშა, ოქრო. მე სასიკვდილემ კი არაფერი ვიცოდი. გამიხარდა, რომ დავინახე. რას ვიფიქრებდი... როგორ გაუჭირდა თქმა, რომ იცოდე, ერთი სიკვდილი გაათავა, სანამ ამოღერღავდა.

— ჰო, მეც მივხვდი, უზნაძის ქუჩა რომ ახსენეს, მაშინვე ვიფიქრე, აქ იქნებოდა-მეთქი. ჩემი ბრალია ყველაფერი...

— შენ რა შუაში ხარ, გენაცვალე. შენი კი არა, ჩემი ბრალია. ამ სიბერეში რა სიყვარულის ახსნა ამიტყდა, ვერ გავჩუმდი? ისეთი სიტყვები ვუთხარი, ცხოვრებაში რომ არ მითქვამს. თავის დროზე რომ გეთქვა ასეთი რამეები, რა გამაჩერებდა, ეგრევე შენთან გამოვიქცეოდიო, გამეხუმრა. ნეტავ დარჩენილიყო, ნეტავ არ აჩქარებულიყო... იქნებ დავხმარებოდი, იქნებ გადამერჩინა... — თავს იტანჯავდა ნათლია.

— ნუ ნერვიულობთ, ბიძინა ძია; ალბათ ასე ეწერა, თქვენ ვერას გახდებოდით.

— მეჩქარებაო, ბექა გავანერვიულე და ბიჭმა თავს რამე არ აუტეხოსო, მაინც იმაზე ფიქრობდა. დალევას შეეჩვია ბოლო ხანებში და ცუდი სიმთვრალე დასჩემდაო. ნახევარ საათზე მეტხანს ვერ შევძელი მისი გაჩერება, ისევ გამექცა, ისევ... ახლა კი სამუდამოდ. აქამდე კიდევ იმედი მქონდა. სულ მიგრძნობდა გული: აი, ახლა შემოაღებს კარს, ან აი ახლა-მეთქი. ყოველთვის ღია მქონდა სახლის კარი მის მოლოდინში.

— ახლაც ღია იყო... — შევნიშნე მე.

— ალბათ, ქვეშეცნეულად ახლაც ველოდები, შვილო... ის ჩემთვის მკვდარი არასდროს იქნება.

— ბექამ იცის, თქვენ რომ იყავით მისი?.. — მომერიდა მეკითხა, მისი საყვარელი-მეთქი.

— ალბათ იცის, შვილო; დედამისი

არაფერს უმალავდა. ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება არც იცის, კონკრეტულად მე რომ ვარ. ეჰ... ჩემთვის უკვე სულერთია... ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა.

ორი საათი მაინც დავყავი ნათლიასთან, ისე განიცდიდა, შემეშინდა მისი მარტო დატოვება, ცუდად არ გახდეს-მეთქი. მერე, მისი და და დისშვილი მოვიდნენ და სამივეს დავემშვიდობე.

ანიკოს დაკრძალვა შაბათს გადაწყდა. ხუთშაბათს და პარასკევს პანაშვიდები დაინიშნა.

ულამაზესი ყვითელი ვარდები ვიყიდე და თანამშრომლებთან ერთად სამძიმარზე წავედი. ჩემს დანახვაზე ბექას სახე მოექუფრა, რატომღაც თვალები მოწკურა და დაჟინებით მომაჩერდა. მივხვდი, რაღაც არ ესიამოვნა, მაგრამ რა, ვერ გავიგე. ნუთუ არ უნდა მოვსულიყავი? ალბათ, მე მაბრალებს მომხდარს და იმიტომ. თუმცა მე რა შუაში ვარ? თვითონ ნანკას გადაეკიდა და მე რა?.. ნანკა იმ დღესაც არ გამოჩენილა, პანაშვიდზეც არ ინება მობრძანება. გოგოები ცოფებს ყრიდნენ. სანდროც მოვიდა, ნიტაც, ოღონდ ცალ-ცალკე. ნიტას მივესალმე, სანდროსკენ კი არც გამიხედავს. მოსალმება დააპირა, მაგრამ თვალი ავარიდე, ვითომ არც შემიმჩნევია.

დიდხანს არ დავრჩენილვარ, მიცვალებულს წრე შემოვუარე თუ არა, გარეთ გამოვედი და ერთი სართულით დაბლა ჩავინაცვლე, რომ ბექას არ დავენახე. გიზელამ ჩამომაკითხა.

— რატომ არ შემოდიხარ?

— არ მინდა, ცუდად ვხდები, მიცვალებულს რომ ვუყურებ, — თავი გავიმართლე.

— აბა, აქ ხომ არ იდგები?

— მე წავალ...

— როგორც გინდა, ჩვენ ცოტა ხანს დავრჩებით.

— კარგი, ნახვამდის, გიზელა. ხვალ აღარ მოვალ, რა საჭიროა.

— დაკრძალვაზეც არ მოხვალ?

— აბა, რას ვიზამ, აუცილებლად მოვალ. ზეგ დილით დაგირეკავ და შეგხვდები სადმე.

— კარგი, სიხარულო, მე ამ საღამოსაც დაგირეკავ.

ხელი დავუქნიე მეგობარს და შინ წამოვედი.

საშინელ გუნებაზე ვიყავი. თვალწინ გამუდმებით ბექას სახე მიტრიალებდა. რას ნიშნავდა მისი მზერა? რა არ მოეწონა? ამაზე ფიქრი არ მასვენებდა. თუმცა ვინ გამცემდა პასუხს...

მთელი ღამე თეთრად გავათენე, მომხდარზე ვფიქრობდი მხოლოდ.

შაბათს ულამაზესი თაიგული ვიყიდე, თეთრი ორქიდეებით და მინდვრის ყვავილებით გაწყობილი და სადარბაზოსთან დავხვდი კლინიკის თანამშრომლებს. ბექა თითქოს გამხდარიყო, მხრებშიც მოხრილი მეჩვენა. როგორ განიცდის, რა დღეშია. — გამიელვა გონებაში. ხელზე ხელი მოვუჭირე, გამაგრდი-მეთქი, წავჩურჩულე და ვაკოცე. ყინულივით ცივი ჰქონდა ლოყა. ჩემს სიტყვებს რეაქცია არ მოჰყოლია. გარეთ რომ გამოვედი, კიბეზე კოჭლობით ამომავალი ბიძინა შევნიშნე. ხელში უზარმაზარი შავი ვარდების თაიგული ეკავა. ალბათ ისეთი, როგორიც პირველად მიუტანა ქალს. გამახსენდა, რომ მომიყვა. ბერიკაცი მოკუნტულიყო, ათი

წლით დაბერებულიყო... გული მომიკვდა მისი შემხედვარე. რა ძნელია, როცა ერთადერთ სიყვარულს კარგავ. მესმოდა მისი...

ეზოში შევიკრიბეთ. გიზელამ თვალით მანიშნა და გვერდზე გამიყვანა.

— იცი, დღეს რა ხდება?

— რა? — გონება დავძაბე.

— ის ქალბატონი თურმე აბორტს იკეთებს.

— დღე-ეს? — თვალები გამიფართოვდა.

— ჰო, მაინცდამაინც დღეს. ამით უნდა ბექაზე შური იძიოს.

— შენ ვინ გითხრა?

— თვითონ. გუშინ სასხვათაშორისოდ დავურეკე, სად დაიკარგე, რომ არ ჩანხარ-მეთქი. ისე გადამიშალა გული, თითქოს დიდი დაქალი ვყოფილიყავი. ყველაფერი მომიყვა. ვიჩხუბეთო, დაჟინებით მომთხოვა, გინდა თუ არა, აბორტი გაიკეთეო. ჰოდა, მეც ხვალ მივდივარ და ვიკეთებო. მეც ხომ იცი, რა საზიზღარი ვარ, გამოგყვები-მეთქი. თავი გაიგიჟა, არ მინდაო. ჯერ მითხრა, მარტო მივდივარო, მერე კი, მეც გამოგყვები-მეთქი, რომ შევთავაზე, ჩემი დეიდაშვილი მომყვებაო. ასე მგონია, რაღაცას იტყუება.

— არ მაინტერესებს, გიზელა, თავში ქვა უხლია და...

— მუცელში სამართებელი... — დაასრულა ჩემი ფრაზა გიზელამ და მაჯაში ჩამავლო ხელი. — მართალი ხარ, შენ არ ინერვიულო. ბექა მიხვდა თავის შეცდომას და მალე შეგირიგდება; აი, ნახავ.

— ქარი თუ ამოვარდება, შემირიგდება, თუ არადა, არა, — წამომცდა ჩემდა უნებურად.

— ქარი? ქარი რა შუაშია?

— ვხუმრობ, — ტყუილზე დაჭერილი ბავშვივით გავწითლდი.

— წარმომიდგენია, რა დღეშია ბექა. აქეთ გასვენება, იქით იმის აბორტი... ჭკუაზე არ იქნება... — გადააქნია თავი გიზელამ.

— არ უნდა მოქცეულიყო ასე, — თითქოს ჩემს თავს ვუთხარი.

— ვინ, ბექა?

— ბექაც და ნანკაც. თუ დაორსულდა, ბექას მუცლის მოშლა არ უნდა მოეთხოვა. და თუ ნანკა ამაზე დათანხმდა, მაინცდამაინც დღეს არ უნდა გაქცეულიყო ამის გასაკეთებლად.

— მაგას არ ვამბობ? ხომ გეუბნები, სპეციალურად იქცევა ასე-მეთქი. ამას უნდა, ნერვები მოუშალოს.

— მაგით ვერაფერს მოიგებს.

— მეც ასე მგონია, მაგრამ თვითონ ხომ აქვს გათვლები! ჰგონია, რომ ამით საქმეს გაიკეთებს და ბექას შემოირიგებს.

— ბექა მას არასდროს აპატიებს ამას, კარგად ვიცნობ.

— მეც დარწმუნებული ვარ... მგონი, მოასვენებენ...

თვალებით ნათლიას დავუწყე ძებნა. სასახლეს უკან მოჰყვებოდა ჩამქრალი თვალებით. საოცრად შემებრალა.

სასაფლაომდე გავყევი პროცესიას, გიზელამ მთხოვა, ბოლომდე დარჩი და ქელეხში წამოდიო, მაგრამ შორს დავიჭირე. ბიძინა მოვძებნე, შინ წაგიყვან-მეთქი, შევთავაზე. გაუხარდა, ფეხი ისე მტკივა ამდენ ხანს ფეხზე დგომისგან, ღამისაა, დავეცეო. მანქანაში ჩავსვი და წამოვედით.

შემდეგი დღეები უღიმღამოდ წაეწყო ერთმანეთს. ორშაბათს სამსახურში გავედი. ნანკაც გამობრძანებულიყო. „კონკურენტუნარიანი“ მზერა მესროლა. არ შევიმჩნიე, ცივად მივესალმე და ჩავუარე. „ბექა ჯერ არ გამოსულა სამსახურში. ალბათ, სანამ სასაფლაოზე არ გავლენ მესამე დღეს, არ მოვა. იმედია, ოთხაშაბათს მაინც გამოჩნდება“. — გავიფიქრე ჩემთვის.

ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. არც ოთხშაბათს, არც ხუთშაბათს და არც შემდეგ დღეებში ბექა სამსახურში არ გამოცხადდა. ნერვიულობისგან ადგილს ვერ ვპოულობდი, მაინტერესებდა, როგორ იყო. შაბათ საღამოს ვერ მოვითმინე და დავურეკე. ცივად შემხვდა.

— როდის აპირებ სამსახურში გამოსვლას? — ვკითხე.

— ორშაბათიდან გამოვალ, რა იყო?

— არაფერი, გკითხულობენ გოგოები და ბიჭები... — ალმური წამეკიდა სახეზე.

— გამოვალ, არ დავიკარგები, — მკვახედ მიპასუხა.

— როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები... არა მგონია, ძალიან გაინტერესებდეს.

— რატომ მეუბნები ასე, როგორც ჩანს, ცუდად მიცნობ; მე ვღელავ შენზე. — ნერწყვი ყელში გამეჩხირა ამ სიტყვების წარმოთქმისას.

— ოჰ, — იქიდნურად ჩაიცინა, — ღელავ? ეგ რაღაც ახალია. როდის მერე?

— სულ, — უკან არ დავიხიე.

— მაშინაც ღელავდი, ყვითელი ვარდებით რომ მომადექი სახლში?

— მერე რა?

— რაა? არ იცი, ყვითელი ვარდები რას ნიშნავს? მივხვდი, მაგით რისი თქმაც გინდოდა.

— რისი თქმა მინდოდა? — ავილეწე.

— რომ გძულვარ, გეზიზღები. გავიგეთ, ბატონო, ხაზგასმა არ იყო საჭირო, ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

— რა სისულელეა, ბექა! ყვითელი ვარდები ჩემი ყველაზე საყვარელი ყვავილებია და ამიტომ შევარჩიე. ეგრე როგორ იფიქრე? მსგავსი რამ, გულშიც არ გამივლია.

ყურმილში პაუზა გაიწელა, ბექა ხმას არ იღებდა.

— კარგი, მეჩქარება, ორშაბათს გნახავთ ყველას, — იმავე ტონით გაიმეორა და არც დამემშვიდობა, ისე დამიკიდა ყურმილი.

უმწეოდ ჩავქინდრე თავი. როგორი იმედი მქონდა, გული მოუბრუნდება-მეთქი. რა მიამიტი ვარ... იქნებ, ვცდები? იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენი მკითხველი

– გამარჯობა. ძალიან მიყვარს თქვენი ჟურნალი და გთხოვთ, ამ კითხვებზე პასუხი გამცეთ: „შეურიგებელი ანა“ წიგნად გამოვა თუ არა? ნამდვილი ამბავია? ანა ქართველია? წინასწარ გიხდით მადლობას.

– „შეურიგებელი ანა“ წიგნად გამოვა თუ არა, ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ სულ მალე, „გზის“ მეშვეობით, ანას შესახებ ახალ ამბებს შეიტყობთ. გეტყვით იმასაც, რომ ანა ნამდვილად ქართველია და მისი ამბავიც ნამდვილ ფაქტებზეა აგებული.

ეროვნების საკარჩევო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რომელ დღესასწაულს ეძახდნენ ხევსურეთში „კუდიან წუხრას“?
2. რა არის გრაფომანია?
3. რისგან არის დამზადებული ხუთი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც კრემლის ხუთივე კოშკს ამშვენებს?
4. ცოლის დაჟინებული მოთხოვნით, ამ ამერიკელმა მწერალმა დაწერა „ავტობიოგრაფია“, რომელიც შედგებოდა სულ ერთი ფრაზისგან: „მე ვცხოვრობ უესპორტში და მყავს ძაღლი“. დაასახელეთ იგი.
5. ლონდონის ცენტრალური ფოსტის შენობაზე, იქ, სადაც სატელეფონო განყოფილებაა, შესასვლელში კიდია წარწერა: „ნუ დაწერთ წერილებს. დარეკეთ ტელეფონზე. ამით თქვენ თავიდან აიცილებთ...“ დაასრულეთ ტექსტი.
6. რა არის ხაბიზგინა?
7. ერთხელ კალიგულამ ბრძანება გასცა, სასწრაფოდ შეეგროვებინათ ზღვის სანაპიროზე ყველა ნიჟარა. რისთვის?
8. ერთხელ რომის პაპმა იტალიელ ფერმწერ ჯოტო დი ბონდონესთან ბერები გაგზავნა თხოვნით, ტაძრის მოსახატად მხატვარს ვეძებ და შენი შემოქმედების შესაფასებლად, რამდენიმე ნახატი გამომიგზავნეო. რა გაუგზავნა ჯოტომ რომის პაპს?
9. აქსიოსი (ახლანდელი ვარდარი), სტრიმონი (სტრუმა), ლიდიასი (მიასტა) და გალიაკმონი (ბისტრიცა). რომელ ქვეყანას სერავდა ეს მდინარეები?
10. რომელი აღმოსავლელი ტირანის მეუღლე იყო თამარ ამილახორი?
11. ამბობენ, ეს პოეტი ერთ-ერთ წვეულებაზე ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ციმციმმა ლამის ჭკუაზე შეშალა და მას შემდეგ დაწერა ლექსი „საყურეო“. დაასახელეთ იგი.
12. დაასახელეთ დაავადება, რომლის უებარ წამლად ლეკვის ხორცი ითვლება?
13. ისეთი სახელმწიფო, რომელსაც საზღვაო ნაპირი არ გააჩნია, დღეისათვის 42-ია. დაასახელეთ მათგან ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა.
14. დავით ყიფიანი და ეს ქართველი პოეტი თანაკლასელები იყვნენ. დაასახელეთ იგი.
15. ენათმეცნიერების ინსტიტუტში ამ ადამიანს მოფერებით, დღესაც ლექსო პაპას ეძახიან. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

***

ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან გაიქცა და კარგა ხნის სირბილის შემდეგ, ბუჩქებში შეძვრა. იქ ვიღაც ოფიცერი დახვდა დამალული.

— უკაცრავად, ბატონო ლეიტენანტო, ცოტა უნდა შეგავიწროვოთ!

— ლეიტენანტი არა ვარ!

— უკაცრავად, ბატონო კაპიტანო!

— არც კაპიტანი ვარ!

— შევცდი, ბატონო მაიორო!

— პოლკოვნიკი ვარ!

— ბიჭოს, რა შორს გამოვქცეულვარ!..

***

ორი ხანდაზმული მამაკაცი პარკში ზის და გოგოებს ათვალიერებს. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, ადრე, საკმარისი იყო, კარგი გოგო დამენახა, რომ ეგრევე ვიგზნებოდი...

— ახლა?

— ახლა მხედველობა აღარ მივარგა....

***

სტატია გაზეთში სათაურით: „სამაგალითო საქციელი“.

„ღვთისნიერი საქციელი ჩაიდინა თბილისის ერთ-ერთმა პენსიონერმა. მან ქუჩაში იპოვა ჩემოდანი, რომელშიც მილიონი დოლარი იყო და, განსხვავებით სხვა, „ცუდი“ პენსიონერებისაგან, მითვისების ნაცვლად, ჩემოდანი ნაპოვნი საგნების ბიუროში მიიტანა. იმავე დღეს ჩემოდანი დაუბრუნდა მფლობელს — თბილისის ერთ-ერთ მაფიოზურ კლანს. ამჟამად პენსიონერის ვალი მაფიოზური კლანის წინაშე მხოლოდ 20 ათას დოლარსღა შეადგენს, რაც მათი ფულის ერთი დღით ფლობის პროცენტს წარმოადგენს...“

***

საპატრულო პოლიციაში ქალი რეკავს:

— ვაიმე, კარზე ვიღაც კაცი მიკაკუნებს.

— არ გაუღოთ, ქალბატონო, ახლავე მოვალთ!

— რას ჰქვია, არ გავუღო?! დავიღალე ამდენი მარტოობით!..

***

არმიაში:

— წამო, ბატალიონის უფროსს წავეკაიფოთ!

— შემეშვი, თუ ძმა ხარ, რექტორს ხომ უკვე წავეკაიფეთ...

***

პოლიციის უფროსის კაბინეტში შეიყვანეს დაკავებული და პატაკს აბარებენ:

— უფროსო, აგერ ეს ტიპი დავაკავეთ. თქვენ დაჰკითხეთ, ჩვენ კი სამორიგეოდ ვბრუნდებით.

— რა დააშავა? — დაინტერესდა უფროსი.

— ზოოპარკში გალიაში იყო შეპარული და ვეფხვს აუპატიურებდა!

— მერე, მაგასთან ერთად მტოვებთ კაბინეტში მარტოკას, თქვენი დედა რომ ვატირე?!

***

მიმდინარეობს თამაში ელიტურ კლუბში — „რა? სად? როდის?“. წამყვანი:

— პატივცემულო ერუდიტებო, გთხოვთ, ყურადღებით მოისმინოთ შეკითხვა, რომელიც ჩვენმა ჩეჩენმა ტელემაყურებელმა გამოგვიგზავნა: რა დევს შავ ყუთში?..



MK

***

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანაწერი:

— ძვირფასო მგზავრებო, გთხოვთ,

ამოიღოთ პასპორტები, ამოხიოთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსოთ უკანალში. წინასწარ გიხდით ბოდიშს ამ უხერხულობისათვის, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ გვამების ამოცნობისას ძალიან გავწვალდით.

***

პოლიციის განყოფილებაში ბავშვი შევარდა და მორიგეს ეუბნება:

— ჩქარა წამოდით, ქუჩაში ვიღაც კაცი მამაჩემს სცემს!

პოლიციელი ქუჩაში გავარდა და ხედავს, ორი კაცი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევს.

— რომელია მამაშენი?

— ზუსტად მაგას არკვევენ ეგენიც...

***

ორი ჭიანჭველა ხეზე ზის. გამოიარა სპილომ და ხეს გაედო. ერთი ჭიანჭველა ჩამოვარდა და სპილოს ზედ დაეცა. მეორე უყვირის ზემოდან:

— დაახრჩე, მე მაგის!..

***

პოეტი ეუბნება ცოლს:

— დილიდან ვეძებ და ვერსად ვიპოვე ჩემი საუკეთესო ლექსი. ჩვენმა გოგონამ ხომ არ დახია?

— ნუ სულელობ!.. ბავშვმა ჯერ კითხვა არ იცის...

***

ორი ტარაკანის დიალოგი:

— გუშინ ერთ რესტორანში ვიყავი. ისეთი სისუფთავე იყო, ისეთი, რომ...

— კარგი, რა! რა საზიზღრობებს ჰყვები, ვერ ხედავ, საჭმელს ვჭამ.

***

— რა ქნეს ჩვენებმა კიევის „დინამოსთან“?

— წააგეს — ხუთით ნოლი.

— რამ წააგებინათ ასე სასტიკად?

— წვიმა იყო კოკისპირული.

— კი, მარა კიეველები „ზონტიკებით“ თამაშობდნენ?

***

— ადამიანი უცნაური არსებაა. თუ ბიბლიოთეკაში ხმამაღლა დაიყვირებ — „ა-ა-ა!“ — ყველა გაკვირვებით შემოგხედავს. თუკი იმავეს თვითმფრინავში გაიმეორებ, უკლებლივ ყველა შემოგიერთდება.

***

ამერიკელი თბილისში სტუმრად ჩამოვიდა. თბილისელი მასპინძელი ქალაქს ათვალიერებინებს. ჩაუარეს ოპერის თეატრს. ამერიკელი ეკითხება:

— რამდენი ხანი მოუნდით ამის აშენებას?

— ორი წელი, — უპასუხა ქართველმა.

— ჩვენ ერთ წელიწადში ავაშენებდით.

ქართველს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. შემდეგ ჩაუარეს ფილარმონიას. ამერიკელი ეკითხება:

— ეს შენობა რამდენ ხანში ააშენეთ?

ქართველმა იფიქრა, მოდი, მოვატყუებო და უპასუხა:

— ერთ წელიწადში.

— ჩვენ ექვს თვეში ავაშენებდით.

შემდეგ ჩაუარეს „დინამოს“ სტადიონს.

— ეს რამდენ ხანში ააშენეთ?

— რავი, წეღან რომ გამოვიარეთ, არ იყო!

ჯერნაბის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჭიაკოკონობას.
2. წერის ავადმყოფური სურვილი.
3. ლალისგან.
4. ჯერომ სელინჯერი.
5. „...ორთოგრაფიულ შეცდომებს“.
6. ოსური ნამცხვარი, რომელსაც გულად ნიგოზი ან ყველიანი ხაჭო აქვს.
7. რომის იმპერატორს სურდა, ნიკარეები ფულად ერთეულად გამოეცხადებინა.
8. მხატვარმა სუფთა ტილოზე ერთი ხელის მოსმით დახატა იდეალურად მრგვალი წრე, ბერებს გადასცა და უთხრა: ვისაც მხატვრობის რამე გაეგება, ჩემს შემოქმედებას ამ წრის მიხედვითაც შეაფასებსო (ამ ნახატს შემდგომში ჯოტოს „ო“ უწოდეს)
9. ძველ მაკედონიას.
10. შაჰ-აბასის.
11. ნიკოლოზ ბარათაშვილი.
12. ჭლექი.
13. ყაზახეთი და ვატიკანი.
14. კოტე ყუბანეიშვილი.
15. ალექსი ჭინჭარაული.

ჩვენი ჯოტო მაღლრეა

ძვირფასო მკითხველებო!

*ეს ფოტო გამოგვიგზავნა ჩვენმა კოლეგამ, **მარიამ საპაპაძემ**, რომლისთვისაც ფოტოგრაფია ჰობი ყოფილა*

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ურთიერთობა მოსაწყენი რომ არ გახდეს...

თქვენი ურთიერთობა უსასრულოდ გაიწელა და მოსაწყენმა ერთფეროვნებამ დაისადგურა. უკვე ყარგა ხანია, აღარაფერი იცვლება, ყოველი დღე მომაბეზრებლად ერთნაირია. ბოლო ხანებში უფრო და უფრო ხშირად გრძნობთ, რომ ეს ყველაფერი გაღიზიანებთ, მაგრამ...

იქნებ დროა, დაფიქრდეთ და ქცევის სტილი შეიცვალოთ?

ქვემოთ მოყვანილ მასალაში იმ ტიპურ შეცდომებზე გვექნება ლაპარაკი, რომელსაც ქალები მამაკაცებთან ურთიერთობისას უშვებენ. თუკი ნაცნობ სიტუაციას წააწყდებით, ნუ გაბრაზდებით საკუთარ თავზე. ჩვენი რჩევების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ კიდევ ერთხელ გააცნობიეროთ: თქვენ შეგიძლიათ, გონიერება გამოიჩინოთ და სიტუაცია თქვენდა სასიკეთოდ შეატრიალოთ.

● თუკი ფიქრობთ, რომ უმამაკაცოდაც მშვენივრად გრძნობთ თავს და სიყვარული მხოლოდ პოეტების მოგონილია — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, გულისტკივილისგან თავის დაძვრენის მეთოდია. მაგრამ თუკი გგონიათ, რომ ნამდვილი სიყვარული არასოდეს გეწვევათ, ეს უკვე საგანგაშოა: შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს. დაიმახსოვრეთ! რაც უფრო პოზიტიურად იაზროვნებთ, მით უფრო იოლად იპოვით ნამდვილ სიყვარულს.

● ალბათ ცხოვრებაში შეხვედრიხართ ისეთ მამაკაცს, რომელსაც დანაპირების შესრულება არ სჩვევია. ნუ შეეგუებით ამგვარ გარემოებას და ეცადეთ, რაც შეიძლება მალე დაივიწყოთ ის პიროვნება. ამოიგდეთ თავიდან აზრი, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია; ნურც თვითგვემას მიეცემით — რომ ყველაფერი თქვენი ბრალია და ვინაიდან ასე მოგექცნენ, უკეთესს არც არაფერს იმსახურებთ. კარგად გაიაზრეთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი, როგორს იმსახურებთ თავად და ამის მიხედვით შეაფასეთ სიტუაცია.

● სიყვარული კონტროლს არ ექვემდებარება. სურვილი იმისა, რომ მამაკაცი 24 საათის განმავლობაში თქვენ გვერდით იყოს, არარეალურია. თავს მარტოსულად მიიჩნევთ, როდესაც ის ბილიარდის სათამაშოდ ან ფეხბურთის მატჩის საყურებლად მიდის? — სულ ტყუილად. შეგიძლიათ შემთხვევით ისარგებლოთ და კოსმეტიკურ პროცედურებს დაუთმოთ ის ძვირფასი დრო, რომელიც საამისოდ „არასოდეს გყოფნით“. საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ პერიოდულად ცალ-ცალკე ყოფნაში ცუდი არაფერია, პირიქით: ის წყვილები, რომელთაც ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ, ანგარიშს უწევენ ერთმანეთის სურვილებს და ურთიერთს განმარტოების საშუალებას აძლევენ. ამგვარი დამოკიდებულება მათ უფრო მეტად აახლოებს და ერთმანეთისთვის ახალ-ახალი შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებასაც აძლევს.

● ნუ განახორციელებთ ემოციურ „ცვლილებებს“. თუკი მთელ თქვენს შთაბეჭდილებებს, დავუშვათ, თანამშრომელ მამაკაცს გაუზიარებთ, მაშინ რაღა უნდა მოუყვეთ თქვენს რჩეულს? თუკი მთელ დროსა და ენერგიას სხვა ადამიანზე დახარჯავთ, მისთვის რაღა დაგრჩებათ?! თუ ასე გააგრძელებთ, დროთა განმავლობაში თქვენი ურთიერთობა ჩიხში მოემწყვდევა; დაკარგავთ ემოციურ კავშირს პარტნიორთან და იგი აღარ იქნება იმ „პირველთაგანი“, რომელმაც მართლაც რომ პირველმა უნდა გაიზიაროს თქვენი მწუხარება თუ სიხარული. ამის შემდეგ კი ძალიან მალე, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები გახდებით.

● ცდებით, როცა გსურთ, იყოთ მუდამ მართალი. ეს იმას ნიშნავს, რომ არასოდეს იხდით ბოდიშს და ყოველთვის იტოვებთ უფლებას, თავად მიიღოთ გადაწყვეტილება. ასეთი თავდაჯერებულობა, ერთი მხრივ, ყველანაირი დაბრკოლებისგან თავის დაღწევაში უდავოდ დაგეხმარებათ, მაგრამ მეორე მხრივ, არასოდეს მოგიტანთ სრულ კმაყოფილებას. უნდა გახსოვდეთ, რომ დროულად ბოდიშის მოხდა სულაც არ გახლავთ სისუსტის გამოვლინება.

● ერთმანეთის რომ გესმოდეთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მამაკაცები და ქალები ერთსა და იმავე სიტუაციას რადიკალურად განსხვავებულად აფასებენ. მოდი, ვნახოთ, რას ფიქრობენ მამაკაცები ამ თუ იმ ცხოვრებისეულ საკითხზე.

მაშ ასე, მამაკაცი მიიჩნევს:

სიყვარული

ერთხელ ხომ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, რაღა საჭიროა, დაუსრულებლად ვუმეორო ერთი და იგივე?!

ქორწინება

ეჰ, ოჯახი ტვირთია... მაგრამ ტრადიციას არ ეღალატება. ეს ქორწინების ბეჭედიც ნერვებს მიშლის. ერთი კვირის შემდეგ, ალბათ უკვე მოვიხსნი.

ბიზნესი

მაგარია! ყოველთვის გაქვს შანსი, წახვიდე იქით, საითკენაც გული გაგიწევს; შინ გვიან დაბრუნდე, თუნდაც ნასვამი და განაცხადო: ოფიციალურ შეხვედრაზე ვიყავიო. რაც შეეხება ფულს, როცა მას ღარიბი ნათესავები გთხოვენ, ეტყვი — ახალ საქმეში ჩავდეო.

ფული

ფული იმისთვის მოიგონეს, რომ მისით ისევ ფული აკეთო ანდა გარშემო მყოფებს შენი ინდივიდუალურობა დაუმტკიცო. ათასგვარ სისულელეზე მისი ხარჯვა არ ღირს.

უკმაყოფილება

ნუთუ ასე ძნელია, დაიმახსოვროს, რომ ჩაიში სამის ნაცვლად, ოთხი კოვზი შაქარი უნდა ჩამიყაროს?!

ანდა, შარვალზე ორი ზოლი რომ არ უნდა იყოს ერთის მაგივრად?!

ჩხუბი

ღმერთო ჩემო! ისევ აღრიალდა. ჯერ პირი წესიერად არც გამიღია, რომ უკვე ნიანგის ცრემლები გადმოყარა. როგორმე უნდა დავაწყნარო და შემოვირიგო.

ასაკი

ჩემს ცოლს ნაოჭები ეჭვიანობისგან გაუჩნდა და თანაც შურს, როცა ნორჩი, კოხტა გოგონები ქუჩაში მიღიმიან. რა ჩემი ბრალია, თუკი კარგად გამოვიყურები?!

გამოცდილება

გამოცდილება? რაღაც კარგად არ მესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ისე, გამოცდილ ქალთან ლაპარაკი უკვე შეიძლება, რადგან დუმილი რომ ოქროა, — ეს მან მშვენივრად იცის.

დღესასწაული

საღამომდე წამოვგორდები დივანზე და კარგად გამოვიძინებ. სტუმრების მოსვლამდე დრო თავზე საყრელად მაქვს. რაც მთავარია, ღვინო უკვე მოვიტანე.

ზაფხული

ცოლი და ბავშვები — დასასვენებლად! მე კი... დაიწყება ახლა პრეტენზიები. რაიმეს მოვიფიქრებ და ერთი-ორი კვირით მაინც მოვახერხებ მარტო დარჩენას. ცივი ლუდი, ტელევიზორი... ერთი სიტყვით, სრული თავისუფლება. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მალე გაემგზავრონ.

ტელეფონი

ზოგჯერ მინდა, ნამსხვრევებად ვაქციო... მაინც რა უბედურებაა — გამუდმებით ზედაა „ჩამოკიდებული“. ■

ნიღბები მშრალი და ცხიმიანი თმისთვის

ცხიმიანი თმის სამკურნალოდ გამოიყენეთ მუხის ქერქის ნახარში (3 ს/კ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადურეთ 15 წუთის განმავლობაში). გაგრილებული და გადაწურული ნახარში გამოიყენება თავის დასაბანად.

მშრალი თმა, დაბანის წინ დაიმუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეითუნის ზეთით. შემდეგ თავზე უნდა შემოიხვიოთ ცხელი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ კი შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და შეიზილოთ 1 კვერცხი ან ამჟავებული რძე. ბოლოს კი თმაზე გადაივლეთ ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი.

ნიღბები ცხიმიანი თმისთვის

√ ერთი კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩ/კ წყალი. ცოტა ხანს თმაზე გაიჩერეთ, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არის ქოლესტერინი, რომელიც ხელს უშლის ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.

√ 1-2 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად, ქაფის წარმოქმნამდე შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის შემცველი საპნით ჩამოიბანეთ.

√ 100-150 გ შავი პური ან მისი ქერქი დაფშვენით და დაასხით ადუღებული ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაფარი და გაიჩერეთ 20-30 წთ. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ.

ნიღბები მშრალი თმისთვის

√ ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.

√ ორ დაბანას შორის, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევით (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაუსვით თმას. შემდეგ ჩამოიბანეთ. ■

კარტოფილის სალათა

მასალად საჭიროა:

2 ცალი ხახვი;

75 გ კურკაგამოცლილი შავი ზეთისხილი;

2 ს/კ მცენარეული ზეთი;

მარილი, ლიმონის წვენი ან ძმარი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

კარგად გარეცხილი კარტოფილი ცოტა მარილიან წყალში კანიანად მოხარშეთ. შემდეგ გაფცქვენით და დაჭერით კუბურებად. შეურიეთ წვრილად დაჭრილი, მოშუშული ხახვი, ასევე წვრილად დაჭრილი ზეთისხილი. ყველაფერი თასზე მოათავსეთ, მოასხით ზეთი, ლიმონის წვენი (ან ძმარი), დაუმატეთ მარილი და კარგად აურიეთ. მზა კერძი შეგიძლიათ მწვანე სალათის ფოთლებით გააფორმოთ. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Æåíñêèé æóðíàë	11.65	69.7
4. Æåíñêîå çäîðîâüå	7.00	41.8
5. Ñàíäà	4.00	24.0
6. Âñå äëÿ æåíùèíû	0.80	19.9
7. Ãëàìóð		



პრესის გავრცელების საგენტო

ᲔᲚᲕᲐ

ქ. თბილისი

ითხებიძის ქ. № 49

ტელ: 42-43-40;

38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა

დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რუბრიკა მოამზადა

ეკა გუნთაიშვილმა



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-20

დილისთვის სრულიად დაწყნარდა ქართველთა ბანაკი. იმ დროისთვის, დავითმა დაზუსტებით იცოდა, როგორ დამთავრდა ბრძოლა. მუჰამედ ატ ტავილის თავი, ქართველთა გასახარად და თურქთა დასაზაფრავად, ბანაკის შუაგულში, მაღალ მარგილზე აღემართათ. მისი ოთხიათას ხუთასი მეომარი ქართველთა ხმლებით დარეცილიყო. ორასიოდე ჭაობიდან ნახევრად გაგუდული ამოათრიეს და ქედზე ბორკილი დაადეს. ატ ტავილის მთელი ლაშქრიდან, მხოლოდ სამასიოდე მეომარმა გააღწია მტკვარს გაღმა. და ახლა, ერთ-ერთი მათგანი შიშით დაზაფრული უამბობდა რუსთავის ციხისთავს ლაშქრისა და მისი სარდლის განადგურების ამბავს.

მძიმე ბრძოლის მერე, დაღლილობას გრძნობდა დავითი, მაგრამ დასვენებაზე არც კი უფიქრია. დაჭრილი ქართველი მეომრები მოინახულა. მისდა გასახარად, არც ისე ბევრნი იყვნენ ისინი. დიდი გამარჯვებით გახარებულნი, ვაჟკაცურად იტანდნენ ტკივილს და მომავალ ომებში უფლისწულს თავგამოდებით ბრძოლის პირობას აძლევდნენ. მერე მიუბრუნდა კარავს მეფე. სისხლით დაშხეფილი თორი მეაბჯრეს მისცა; ტანთ სხვა აბჯარი მოირგო და თათბირად სარდლები იხმო. უმალ ეახლნენ ნიანია ბაკურიანი და ერისთავი ლიპარტიანი.

მსუბუქად გაეკენწლა თურქის ხმალს ბაკურიანი. რამდენიმე ნახმლევი ეგრის-აფხაზეთის ერისთავის თორსა და ფარსაც აჩნდა, მაგრამ თავად არაფერი დაშავებოდა.

ჯარის ამბები მოიკითხა უფლისწულმა. მერე რუსთავის ციხეზე ალაპარაკდა. ეგონათ სარდლებს, რომ იმ დღესვე გადავიდოდა ლაშქარი მტკვარზე და ციხეს შემოეწყობოდა, მაგრამ ისევ გააკვირვა ისინი დავითმა.

— ადრეა ჯერ!

— ახლაა უკეთესი დრო, უფლისწულო. შიშში არიან მტრები და წინააღმდეგობასაც არ გაგვიწევენ. უკეთეს ხმალ, გავარვარებული იჭედების. გრილი ფოლადი ვერ მოიმაგრებს ფხას. ახლაა ყველაზე ცხელი ჩვენი ფოლადი და რაღას ვუცდით?.. დავკრათ! — ურჩია ლიპარტიანმა.

— დავკრათ! — მხარი მისცა ბაკურიანმაც.

— არა... ფოლადი, თქვენ რომ გულისხმობთ, სარდლებო, ორ დღეში უფრო გავარვარდება. ჯარს დღესვე გადავიყვანთ მტკვარზე. არ ივარგებს მძორით ავსებულ ბანაკში დარჩენა. კაც-ცხენი გაიხრწნება და რამე სახადი არ შეეყაროს სპას. საირმის ფონით გავალთ რუსთავს, მაგრამ ციხეს არ შემოვეწყობით. ციხიონის სანახავად, ღია მინდორზე დავაბანაკებთ ჯარს, — თქვა დავითმა.

— რისთვის, ბატონო?.. რისთვის მივცეთ ალი ბაჰადურს საომრად მზადების დრო? — გაიკვირვა ლიპარტიანმა.

— ბაჰადური დიდი ხანი ემზადა ამ ომისთვის. ახლა უფრო ძლიერია მისი ციხიონი, ვიდრე ორი დღის მერე იქნება. სრულიად შეგვეძლო ატ ტავილის ლაშქრის განადგურება. რა უნდოდა ამას — გავამართვინებდით ხერგილებს ჭაობს მიღმა, ასიოდ მოისარს ჩავსვამდით საფრად და ერთი თურქიც ვერ გააღწევდა მტკვარს გაღმა. იქ თავის საკეთებელს, ბრძოლას გადარჩენილი მხედრობა გააკეთებდა. ახლა ყოველი მათგანი უყვება რუსთავის ციხიონს, როგორცა სწყურია მათი სისხლი ჩვენს ხმლებსა. უყვება შიშით და თავადაც შიშში აგდებს. ომში კი შიში ცუდი მეგობარია, — უპასუხა დავითმა.

— ეგ ვიცით, ბატონო, მაგრამ რას შეუშლის ციხის შემოწყობა? ილაყბონ გადარჩენილმა თურქებმა და აშინონ ციხიონი. ჩვენ კი შიშს შიში შევმატოთ. შემოვეწყოთ ციხეს და მივახვედროთ, რაც მოელით, — თავისი სიტყვა თქვა ბაკურიანმა.

— განა, უკეთესი არ იქნება, რაც ნაკლები ჯარი ეყოლება ალი ბაჰადურს? ციხესაც ადვილად გავტეხთ და სპაც ნაკლები დაგვეღუპება! — თქვა დავითმა.

— უკეთეს იქნების, — დაუდასტურა ლიპარტიანმა.

— მერედა, როგორ შემცირდება ბაჰადურის ციხიონი, თუ წასასვლელი გზა არ ექნება? — ჩაილაპარაკა დავითმა.

— წასასვლელი?! მერედა, ვინ აპირებს რუსთავიდან წასვლას?! — დაიბნა ლიპარტიანი.

— არა მგონია, რატი რუსთავს დარჩეს. ბაღვაში ადრევე დაარიგებდა თავის მემკვიდრეს — ელოდე... დავითმა თუ წააგო ბრძოლა, რუსთავს გაერიდე და თუ მოიგო, ვეჟინს გაიყვანე ლაშქარი და მეფე გიორგის შეუტიეო. თანაც, აფრთხილებდა: არავინ შეიტყოს შენი რუსთავს ყოფნაო. ამიტომაც მალავდა სახეს ბაღვაშის ნაშიერი. ატ ტავილის მარტო შემოტევაც მიმანიშნებს ამაზე. ელოდა რატი და დღეს იცის, რომ აღარაფერი ესაქმება რუსთავს. ჰგონია, რომ დღემდე გაუმჟღავნებელია ალი ბაჰადურთან და კვირიკესთან მისი ყოფნა. გზა თუ დაიგულა, არ გაჩერდება ციხეში. მამის დარიგებას შეასრულებს... წავა. მერე კი, ალბათ, ბაღვაშსაც გაუვლის წელკავი და დაპირებულ ლაშქარს მეფე გიორგის მიაშველებს — იმ ლაშქარს, რომელიც ახლა რუსთავის ციხის ქონგურებიდან გადმოგვცქერის... რატი ბაღვაშთა ღირსეული შვილია. ადრე თუ გვიან, მაინც მოგვიწევს მისი მოშთობა, მაგრამ დღეს არ ღირს მისი რუსთავს დაკავება. არ შევაწყვეტ სპას მის ლაშქარს და არც კლდეკარელთა სისხლს დავღვრი. ქართველნი არიან ისინიც და, ბაღვაშთა და განდგომილ აზნაურთა მოშორების მერე, საქართველოს უნდა ემსახუროს კლდეკარის ლაშქარი! — ბრძანა დავითმა.

— წავიდეს რატი, მაგრამ აღსართანის ძმისწული, კვირიკე არ გაგვეპაროს უეცრად, — ჩაურთო ნიანიამ.

— წავიდეს აღსართანის ძმისწულიც... მაგით არაფერი შეიცვლება. ატ ტავილის ამბავს ჩაიტანს კახეთს. შიშს შეჰყრის აღსართანს. მერე იმ შიშს სხვა შიში დაემატება, როცა ვეჟინს რუსთავის ციხის დაცემის ამბავი ჩავა, — უპასუხა დავითმა.

— არა მაქვს სათქმელი. სარდალი შენ ხარ, უფლისწულო. შენ გემორჩილებით მსახურნი, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ვნახე ომისა შენეული წესი. ატ ტავილის წაკვეთილი თავი და მტკვრის პირას გაფენილი მისი ლაშქარია შენი მეფური სი-

ძლიერის დასტური... გვიმსახურე! — მდაბლად დაუკრა თავი ლიპარტიანმა.

სარდლებთან თათბირი მოათავა თუ არა, ჭაობში ნანახი ფხოველები მოიკითხა დავითმა. მეაბჯრეებმა ორივე, კარვის შესასვლელთან მოიყვანეს. ტყუპი იყო. ორივე — ახოვანი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი გახლდათ. ფხოვურად ეცვათ, მაგრამ სახით არა ჰგავდნენ მთიელებს: ოქროსფერი ჰქონდათ, შუბლზე ჩამოშლილი თმა. თვალები კი...

მსტოვარმა ცისა ფერს შეადარა მათი თვალები, მაგრამ არა ჰქონდა ნანახი მსტოვარს ზღვა. დავითს კი მათმა თვალებმა აფხაზეთის ლურჯი ზღვა მოაგონა. იეჭვა უფლისწულმა — იქნებ არც არიან ფხოველნი? ბაღვაშის მსტოვრები არ იყვნენ, ატ ტავილთან წარგზავნილნიო... კლდეკარელი და ზედაზნელიც ბევრი უნახავს, ამგვარი თმისა და თვალისა ფერით. ისიც შენიშნა დავითმა, რომ ორივესთვის აეყარათ იარაღი და თანაც, გაეთოკათ. გაახსენდა მათი ბორგვა. ზედ ესხათ ხმალ-სატევარი და გული დასწყდა: ასე იბრძოდნენ, ტყეობას გადარჩენისთვის. ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ: გვიშველეთო და როგორ აჰყარესო იარაღი?!.

— რად არიან გაკოჭილნი? — მეაბჯრეთ ჰკითხა დავითმა.

— უგუნურნი ყოფილან, ბატონო. ვგონებ, თავის დახრჩობა მოსურვებოდათ. ქამანდი ვტყორცნეთ, ახლოს არ გაეკარნენ. მშვილდები მოიმარჯვეს და ისარი დაგვიშინეს. ცოტა შემორჩენოდათ ისარი, თორემ მეომართ დაგვიზიანებდნენ. როცა ისარი გამოლიეს, სატევრები იშიშვლეს... ხეების ჩეხამ მოგვიწია. მორი და ტოტი ჩავყარეთ ჭაობში, ფეხი რომ მოგვეკიდებინა და მაგ უგუნურებამდე მიგვეღწია. ლაფში იყვნენ ჩაფლულნი. გასაქანი არა ჰქონდათ, თორემ შეგვაკვდებოდნენ. ოთხმა ვაჟკაცმა ძლივს გააკავა, ვიდრე იარაღი ავყარეთ და გავთოკეთ, — უპასუხა მეაბჯრემ და ფხოველთა ხმლები და სატევრები ფერხთით დაუწყო დავითს.

— ვინ ხართ? — ტყვეებს გახედა დავითმა.

ფხოველებმა თვალების ბრიალით უპასუხეს.

მიხვდა დავითი, რაც აბრაზებდათ. ორივეს გათავისუფლება ბრძანა.

— ფხოველნი ვართ. არდოტის ხევისთავ დაიაურის ვაჟები, — მერე თქვეს ძმებმა.

მათ ხმლებს გადასწვდა დავითი. ორივე ერთნაირი იყო — ფხოვურად, ჯვრებით მოზარნიშებული, შავი ქარქაშებით. ხმლის პირებზე ნაცნობი დამღა შენიშნა — მგლის გამოსახულებით. გაუკვირდა. თავადაც ჰქონდა ასეთი ხმალი. მისი დიდი წინაპრის, სვეტიცხოვლის ამგების — გიორგის ოსტატები ჭედდნენ მგლისსახა გორდებს.

— საიდანა გაქვთ ეს ხმლები? — ჰკითხა დავითმა.

— ჩვენია... წინაპრებისგან გვერგო! — თქვა ტყუპმა.

თავისი აღმზრდელის, ჭყონდიდელის ნაამბობი გაიხსენა დავითმა.

გიორგი პირველსაც ბევრჯერ ასჯანყებიან ფხოველნი. შემოირიგა. ერისთავებს დაუყვავა. ხევისთავებსა და ხევისბრებს უბატონოდ ყოფნის პირობა მისცა, მაგრამ მალევ ისევ აჯანყდა ფხოვი. მაშინ ლაშქრით აიჭრა მეფე მთას. შელეწა ციხენი.



განდგომილთ თავები დააყრევინა და ისევ შემოირიგა ფხოვი. მერე ქვეყნის საზღვრებს მიღმა ლაშქრობაშიც გაჰყვნენ მთიელნი და ბოლომდე უერთგულეს. ყველანი გმირულად ომობდნენ თურმე. გამორჩეულნი კი „ძვლისა და ფოლადის მკვნეტელი ხმლებით“ დაუჯილდოებია მეფეს. ერთგულებისა და მუდმივი თანამებრძოლეობის ნიშანი იყო ეს საჩუქარი. მაგრამ მისი პაპის, ბაგრატის დროს ისევ მოირღვა კავშირი ბაგრატოვანთა და ფხოველთ შორის. მას შემდეგ აღარ მოუქნევიათ ფხოველებს ბაგრატოვანთათვის, მათგან ნაჩუქარი ხმლები.

— თქვენი წინაპრები უცხოეთის ლაშქრობაში ახლდნენ მეფე გიორგის? — ტყუპს ჰკითხა დავითმა.

— ახლდნენ და მისგან მიიღეს საჩუქრად მგლისსახიანი გორდები, — დაუდასტურეს დაიაურებმა.

— და ბაგრატოვანთა სამტროდ მომართეთ, მათგანვე ნაჩუქარი ხმლები?! — თქვა უფლისწულმა.

— გორდა — გორდაა. რაიც გვქონდა, იმითაც დავხვდით მტერსა! — ძმას დაასწრო მუროჩიმ.

— მტერსა?! საქართველოს მარბიელ თურქთა ლაშქართან ერთად იბრძოდი, ფხოველო!.. ვინ იყო იმ ბრძოლაში ქართველთა მტერი და ვინ — მოყვარე?! — წარბები შეყარა დავითმა.

— სხვა მარბიელი თურქიცა ვნახე, ოღონდ — ვეჟინსა. შენს მამასთან ერთად ომობს ის ჯარი. რას იზამ, ოდეს შეხვდები?.. მაჰკლამ?! — არ შეეპუა მუროჩი.

— გულმაგარი და მართლისმთქმელი ყოფილხარ! — პირდაპირობა მოუწონა დავითმა.

— ცხენ წაგვექცა. შეუჩვეველია ფხოვური ცხენი ბარის ჭაობსა. ვეღარ გავედით მეორე ნაპირს, თორემ ნახავდი გულმაგრობასა. ვაი, დედასა!.. როგორ იხვის ჭუკებივით დაგვიჭირეს შენმა მხედრებმა! — კბილები გაახრჭიალა უშიშამ.

— დანარჩენებმა როგორ გააღწიეს? განა, ისინი ფხოვური ცხენებით არ იყვნენ? — გამომცდელად ჰკითხა დავითმა. მსტოვრებს ატ ტავილთან სხვა ფხოველთა ყოფნაზე არაფერი უთქვამთ და მის სპას ბრძოლაშიც არ უნახავთ ისინი, მაგრამ დაიაურებისგან უნდოდა ამაში დარწმუნება.

— სხვანი არა ყოფილან. მხოლოდ ჩვენ ვიყავით ატ ტავილთან, — უპასუხა მუროჩიმ.

— ჩვენც არ მოვხვდებოდით იქა, ჩვენი ნათლია, არაგვის ერისთავი რომ არა. მამას არც უნდოდა ბარში ომად დაშვება. ძაგანისძის სიტყვით ვართ აქა და არა — კახთ მეფისა! — დაამატა უშიშამ.

— ბრძენი მამა გყოლიათ. არ მოუნდომებია ქართველთა სისხლის ღვრა, — განაგრძო უფლისწულმა.

— გულჩვილი ყოფილხარ, ბაგრატოვანო. თუ დასაღვრელია, უნდა დაიღვაროს და გინდ, ქართველისა ყოფილა ის სისხლი და გინდ —

უსჯულოსი. მტერი მაგით არ განირჩევის. ამ ხმლების მჩუქებელს, მეფე გიორგის დაულაშქრავს ფხოვი და ბევრი ხევისბერისთვისაც გაუგდებინებია თავი. განა ქართველნი არ იყვნენ ისინი?! მამაი ქართველთა სისხლის დაღვრას არ შეუჩერებია. ეს თქვენი ომია, მეფეთა... და ჩვენ არაფერი გვესაქმება თქვენს დავაში. ჩვენ არდოტის შვილები ვართ, გუდანის ჯვრის ყმანი. ისაა ჩვენი სამშობლო და მთასა და ხეობას ყველასგან დავიცავთ, გინდ დიდო-ძურძუკი იყოს და გინდაც — ბაგრატოვანი. ესაა ჩვენი სიმართლე და სხვა აღარა გვაქვს სათქმელი. ჰქენ, რაც გადაგიწვეტია. სიკვდილით კი ვერ შეგვაშინებ, ბაგრატოვანო. არდოტელი ყოველთვის მზად არის მაგისთვის! — მრისხანედ თქვა მუროჩიმ და დავითს თვალი თვალში გაუყარა.

დააღონა უფლისწული, ფხოველის სიტყვამ. სიტყვა და მოელვარე თვალები მიანიშნებდა, უშიშარი იყო, შეწყალებას არ მოითხოვდა და დაუკვნესებლადაც მოკვდებოდა, მაგრამ ვის მოუკვდებოდა — ატ ტავილს თუ დავითს?.. მტერს თუ მოყვარეს?.. მაგრამ მის თვალებში ისიც იკითხებოდა, რომ არ ესმოდა მისი, თავისუფლებას ჩვეულ არდოტელს. მოსისხლე მტრად აღიქვამდა.

— არა, ფხოველო. არც მე მოვსულვარ და არც ჩემი ლაშქარი ქართველთა სისხლის საღვრელად. პირიქით, მისთვის ვღვრით საკუთარ სისხლსა, რომ ხვალ რომელიმე გადამთიელმა ვერ გააკეთოს ეგ. და იყოს ქართველისთვის სამშობლო — საქართველო და არა — კახეთი, იმერეთი ან ფხოვი. რომ იყოს საქართველო თავისი ხალხის დასაცავად მოზიდული მახვილი, რომელიც ერთის შემოკვრით გააგდებინებს თავს მომხდურსა... და არა ფხამოცვეთილი და ჟანგმორეული სატევარი, რომელიც მტერს ათი დარტყმითაც ვერას დააკლებს!.. მისთვის ვართ აქ და თუ შენ არდოტი გგონია შენს სამშობლოდ, წადი და იმ არდოტს ამსახურე მარჯვენა და ბაგრატოვანთა ნაჩუქარი ხმალი! — თქვა დავითმა. მერე მეაბჯრეთ მიუბრუნდა და ბრძანა:

— იარაღი დაუბრუნეთ, ცხენები და საგზალი მიეცით და მტკვარს გაღმა გაისტუმრეთ!

არა სჯეროდათ ძმებს უფლისწულის სიტყვებისა. დარწმუნებულნი იყვნენ, თავებს დაგვაყრევინებენ, როგორც ურჩთ ან დილეგში ჩაგვყრიანო; მაგრამ ირწმუნეს, როცა მეაბჯრეებმა იარაღიც დაუბრუნეს და ორი სანაქებო ბედაურიც მოჰგვარეს, რომლებსაც უნაგირებზე საგზლით სავსე გუდებიც ეკიდა.

უშიშა პირველი ამხედრდა. სადავეები მოზიდა, მიაბრუნ-მოაბრუნა, გაწაფულობა შეამოწმა. არა ჰქონდა ბედაურს დასაწუნი. საომრად გამოწვრთნილი იყო. ფლოქვს სცემდა მიწას და თვალებს აბრიალებდა. ამხედრდა მუროჩიც. ფარი და ხმალი შეისწორა და მძიმედ დასძრა ცხენი მტკვრისკენ.

ამ დროს სიტყვა დაადევნა უფლისწულმა.

— ფხოველო!.. — ცხენი შეაყენა მუროჩიმ. დავითს გამოხედა.

— ეგ ხმალი შენმა წინაპრებმა საქართველოსთვის ომში დაიმსახურეს, მაგრამ შენ ჯერაც არ მოგიქნევია შენი გორდა, საქართველოსთვის. იქნებ მიტომაც არ გაგწირა დღეს ღმერთმა — მისთვის, რომ ხვალ შეუდგე მაგ ხმლის პირველი პატრონის გზასა?.. ხვალ რომ მოგიხმო საომრად, მოხვალ?.. გვქონდეს მე და საქართველოს შენი იმედი?.. — ჰკითხა დავითმა.

— არა!.. არ მოვალ!.. ამ ხმლის სამსახური რომ გნდომოდა, დაიტოვებდი და მაიხმარდი!.. ჩემი იმედი კი ნუ გექნების. შენთვის, ბაგრატოვანო, არასოდეს მოვიქნევ ხმალსა!.. — გოროზად გადმოსძახა მუროჩიმ. მერე ცხენს დეზი ჰკრა და უკან მიჰყვა დაწინაურებულ ძმას.

რატი და კვირიკე მეორე დღესვე გაიქცნენ რუსთავის ციხიდან. მსტოვრებმა დროულად შენიშნეს ციხიდან გამოსული მხედართა რაზმი, მაგრამ დავითმა უარი თქვა გაქცეულთა დადევნებაზე და რუსთავის ციხისთავს შუამავალი მიუგზავნა: ამაოდ ნუ დამაღვრევინებთ სისხლს, დამნებდი და შენ და შენს ციხიონს შეგიწყალებოთო!

ციხის მაღალ გალავანს მიენდო ალი ბაჰადური და უარი შემოუთვალა უფლისწულს. დავითმაც აღარ დააყოვნა და ციხის შემოწყობა ბრძანა.

წინ წაიწია ჯარმა. მიუვალი ძეძვი უშლიდა ხელს მეომრებს გალავანთან მიახლოებაში. დაწვითო! — ბრძანა დავითმა...

ერთ კვირას ხმალდახმალ იბძოდნენ დავითის სპანი და ალი ბაჰადურის მეციხოვნენი. შემტევი ჯარი ხერგილებს აშენებდა, გალავანს შემოვლებულ თხრილებს ავსებდა და ვერძების მოსაზიდად, ძელებს ამზადებდა. ციხის დამცველი ყველანაირად ცდილობდა ხელის შეშლას. ქონგურებიდან უშენდა ისარს, დროდადრო ციხიდან გამოდიოდა და ხმლით უტევდა დავითს. ბოლოს, მაინც უფლისწულს დარჩა გამარჯვება. ჯარმა გაუვალი რკალი შეკრა ციხის გარშემო და გალავანს ვერძები და ფილაკავანები მიაყენა.

ახსოვდა დავითს ჭყონდიდელის დარიგება: სამხრეთ კედელი სუსტი აქვს რუსთავის ციხესო.

ოთხივე კედელს სცემდა ვერძები, მაგრამ სამხრეთის კედელს — ყველაზე სასტიკი გამეტებით.

ნელ-ნელა დაიბზარა კედელი. ახლა იმ ბზარებზე მიუშვეს ვერძები. სპაც მიახმარა დავითმა. ფარები იფარეს და წერაქვით მიესივნენ გალავნის საძირკველს. ბოლოს იხუვლა გალავანმა და საშინელი გრუხუნით ჩამოიშალა. მაშინვე ფარ-ხმალი მოზიდეს მეომრებმა, მაგრამ უკუქცევა ბრძანა უფლისწულმა: ვერძებიც და სპაც მოაშორეთო გალავანს!

გაკვირვებულები მოცვივდნენ ნიანია და ერისთავი ლიპარტიანი: რისთვის ვანგრევდით, თუ შიგ არ შევალთო?!.

ჩვენი მკითხველი

„მთელ „გზის“ კოლექტივს უდიდესი სიყვარულით მოგესალმებით. ძალიან საინტერესო ჟურნალი გაქვთ. აქ, იტალიაში ქართული პრესით განებივრებულები არ ვართ და თუ ვინმეს გამოუგზავნეს, ხელიდან ხელში გადადის. ასე რომ, შეიძლება, ერთი ეგზემპლარი 50-ზე მეტმა ადამიანმა წაიკითხოს. განსაკუთრებით გვიყვარს „გზა“ და „კვირის პალიტრა“. თქვენ შესაცვლელი არაფერი გაქვთ, ეგრე გააგრძელეთ. ერთადერთი, თუ საშუალებაა, „გზა“ ფერადი გახადეთ, უფრო გაალამაზეთ. ძალიან მიყვარხართ, უდიდეს პატივს გცემთ და იმედია, ოდესმე მეღირსება იმწუთას გამოშვებული „გზის“ წაკითხვა. უფალი გფარავდეთ თქვენ და მთელ საქართველოს. ნინი, იტალია“.

ბრძანა დავითმა: ვაცალოთ მცირე ხანს — იქნებ გონს მოეგოს ბაჰადური და უსისხლოდ დათმოს ციხე; მანამდე სპა კარვებში დააბრუნეთ და საომრად მზად გყავდეთო!

დაიბნა რუსთავის ციხისთავი. ის უკვე შეტევის მოსაგერიებლად ამზადებდა ციხიონს, როცა მოახსენეს: დავითის სპა უკან იხევსო,

არ დაიჯერა. თავად ავიდა ქონგურზე.

მართალი ყოფილა მაცნე: უკან მიაგორებდა ქართველთა ლაშქარი ვერძებსა და ფილაკავანებს. მალე საერთოდ გაშორდნენ გალავანს და კარვებს დაუბრუნდნენ. დიდხანს იხსენებდა ალი ბაჰადური, სადმე თუ სმენოდა ციხის ასე აღება. ვერ გაიხსენა, რომ გალავნის შენგრევის მერე, რომელიმე სარდალს უკან გაებრუნებინა ლაშქარი.

თავის ასისთავებს ეთათბირა:

— რაიმე ხაფანგს ხომ არ გვიგებენ ქართველები?

უპასუხეს ასისთავებმაც:

— შიში მოსძალებია ქართველთ მეფეს. ერთია გალავნის შენგრევა, მეორე კი — აღება!

გაშმაგდა ალი ბაჰადური:

— ბრიყვებო, ვის მოსძალებია შიში?! კარგად გახედეთ მათ ბანაკს — ვისი თავია, სარზე რომ წამოუგიათ?! ატ ტავილის, რომელსაც ეგონა, მარტო გავფანტავ ყრმა ბაგრატიონის ლაშქარსო, — და თავად დარჩა ჯარისა და თავის გარეშე!

მაშინ დაასკვნეს ასისთავებმა:

— ციხეში ბრძოლას გაურბის ქართველთ მეფე. იცის, რომ აქ გაუჭირდება ჩვენი დამარცხება და იმედი აქვს, რომ ველზე გაგვიტყუებს საომრად.

ესეც უგუნურებად ჩათვალა ციხისთავმა. სამჯერ ან ოთხჯერ მეტი მეომარი ჰყავდა დავითს. რომ მოენდომებინა, ყველა კედელს მოუშლიდა ციხეს და პირდაპირი იერიშითაც აიღებდა. მაგრამ მაინც დუმდა ქართველი უფლისწული.

ბოლო იმედად დარჩა ბაჰადურს ფიქრი — იქნებ კიდევ გამომიგზავნოს შუამავალი და მაშინ ჩავწვდები, რაც აქვს განზრახულიო, — მაგრამ არავინ მოსულა ქართველთა ბანაკიდან. დავითს ისე ეჭირა თავი, თითქოს საერთოდ, აღარ აინტერესებდა ციხე და რუსთავს, შემოდგომის იხვსა და წეროზე სანადიროდ ჩამოსულიყო.

სამი დღე გაუძლო ალი ბაჰადურმა ატ ტავილის მოკვეთილი თავის ცქერას. ამ სამი დღის განმავლობაში, ცხადშიც და ძილშიც, მარტო ერთზე ფიქრობდა — როგორ უახლოვდებოდა ქართველთა მეფის ხმალი მის კისერს...

მეოთხე დღეს მოთმინება ფიალა აევსო და ციხის კლიტენი დავითს გაუგზავნა.

შიშით გათანგული ელოდა ციხიონი ქართველთა შემოსვლას. ყველას კარგად ახსოვდა, თუ რა ბედიც ეწია ატ ტავილის ლაშქარს, რომელიც ციხიონს ძლიერებით ხუთჯერ მაინც აღემატებოდა. ახსოვდათ, ციხეს შემოხიზნულ თურქთა ნაამბობიც, თუ როგორი დაუნდობლობით ჩეხდნენ ქართველნი მტერს. მათ რომც არ ეამბნათ, საკუთარი თვალით ხედავდნენ თურქთა გვამებით მოფენილ მტკვრის ნაპირს და ციხის პირდაპირ, სარზე აგებულ ატ ტავილის თავს. შიშობდნენ, რომ თავადაც იგივე ბედი ელოდათ. და მარტო ერთი ჰქონდათ იმედად — იქნებ, გულმოწყალება გამოეჩინა ქართველთა უფლისწულს და შეეწყალებინა ციხის უსისხლოდ დამთმობნი.

ბაგრატოვანთა მოფრიალე დროშებით შევიდნენ ქართველები რუსთავის ციხეში. ერთი ნიშანი დაინახა ყველამ ამაში — ციხე ქართული იყო და ამიერიდან არა ესაქმებოდა იქ თურქსა თუ შირვანელს.

ციხიონი ქართველთა შორის, თვალისცეცებით ეძებდა უფლისწულს. ყველა ელოდა, რომ ის მეფეთა სადარ მოოქრულ აბჯარ-იარაღში იქნებოდა ჩამჯდარი, მაგრამ რაინდთა გუნდში, რომელიც ლაშქარს მოუძღოდა, ასეთი ვერავინ შენიშნეს. იფიქრეს, რომ გაერიდა ახალგაზრდა უფლისწული, სიმაგრეში შესვლას, რომელშიც მტრის ციხიონი იდგა, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ. რიგითმა მეომარმა თუ არა, ალი ბაჰადურმა კარგად იცოდა, იყო თუ არა რაინდთა შორის უფლისწული დავითი. როგორც კი ქართველი მეომრები ალაყაფს გამოსცდნენ, ციხისთავი დაწინაურდა, მუხლებზე დაეცა ქორისფერ თორში ჩამჯდარი მხედრის წინაშე და შეჰღაღადა:

— შემიწყალე, უფლისწულო, მე უღირსი!

თავადაც არ სჯეროდა ალი ბაჰადურს, რომ წყალობას გაიღებდა დავითი და სიცოცხლეს აჩუქებდა, მაგრამ დიდსულოვანი ყოფილა ქართველთა უფლისწული. ყველაზე მცირე სასჯელი აკმარა, რასაც ქართლის სხეულისთვის იარად ქცეული სიმაგრის ციხისთავი იმსახურებდა.

ქედი მოადრეკინეს ალი ბაჰადურს და უკანალზე სამოცჯერ დაჰკრეს ტაჯგანალი.

მთიული და ჰერეთელი მეომრები შეივრდომა უფლისწულმა. თურქებს კი მისი ბრძანებით, ქედზე ბორკილი დაადეს.

ესე გასრულდა რუსთავის ბრძოლა და ახალი ბრძოლისთვის დაიწყო დავითმა ჯარის მზადება. ციხეში ახალი ციხიონი ჩააყენა და მეორე დღეს, ვეუინს ლაშქრის დაძვრა ბრძანა, მაგრამ იმავე ღამით მოვიდა რუსთავს ჭყონდიდელის მალემსრბოლი.

შემაძრწუნებელ ამბავს ატყობინებდა აღმზრდელი დავითს.

პირველი თოვლი მოვიდა თუ არა, მისმა მამამ, მეფე გიორგიმ თქვა:

— ახლა აჯამეთის ტყეში კარგი იქნება ნადირობა. ძალიან მომენატრა იქაურობა, — მერე ალყა მოხსნა ვეუინს, ლაშქარი აყარა და იმერეთს გაბრუნდა...

ცეცხლი წაეკიდა დავითს, მამის უპასუხისმგებლო საქციელის გამო, მაგრამ რაღა უნდა ექნა?! დიდი საქმე, რომელიც ყველა ქართველის ერთ სამეფოში გაერთიანება იყო, ამით მთავრდებოდა. საკუთარი ჯარით ვერ შეძლებდა ლაშქრობის გაგრძელებას და ვერც აღსართანს დაამარცხებდა.

და მანაც აყარა ლაშქარი, იმ იმედით, რომ გზად მაინც წამოსწეოდა უდარდელ მამას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმდიდრესი ემიგრანტები

ხელისუფლებისგან დევნილი ბიზნესმენი და ოცალიელებისთვის დატოვებული ქონება

ემიგრაციაში მყოფი ქართველი მილიონერები რუსუდან დაუშვილმა გაგვაცნო. მან ქართველი ემიგრანტების შესახებ რამდენიმე წიგნი უკვე გამოსცა, ყველაზე დიდი წიგნს კი საზოგადოება სულ რამდენიმე კვირაში იხილავს. ვინ იყვნენ ამ მილიონერთა სიაში და როგორ მიაღწიეს მათ წარმატებას? — ამის შესახებ ქალბატონი რუსუდანი მოგვითხრობს.

მანანა გაბრიჭიძე

— ქართული ემიგრაცია, პოლიტიკოსთა სიჭარბის გამო, მატერიალურად ყოველთვის ღარიბი იყო, მაგრამ XX საუკუნის 20-30-იან წლებში რამდენიმე მდიდარიც გვხვდება, რომელთა ბიზნესმა მილიონიანი მოგება მოიტანა. მათი უმეტესობა ამერიკაში მცხოვრები ქართველები არიან. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წელსაც კი ქართველ ემიგრანტთა რიცხვი ამერიკაში 300-ს არ აღემატებოდა, 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალი სამშობლოს განვითარებაში მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს. მათ შორის არიან: ავიაკონსტრუქტორები — *მიხეილ გრიგორაშვილი* და უმსხვილესი ამერიკული საავიაციო კომპანიის — „რიპაბლიკის“ ვიცე-პრეზიდენტი *ალექსანდრე ქართველიშვილი;* მრეწველები — მინის მრეწველი *გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი),* ოქროსა და ალმასების — *დიმიტრი მეტრეველი (მაიკ მიტო),* გვარჯილის — *ავთანდილ მერაბიშვილი,* პარფიუმერიის — *გიორგი მაჩაბელი* და *არჩილ გურიელი,* ღვინის — *ივანე კობახიძე* და სხვები. ქართველებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ამერიკულ კულტურაშიც: ამერიკული ბალეტის ფუძემდებელმა, ქორეოგრაფმა *ჯორჯ ბალანჩინმა,* მოქანდაკე *ლადო გუჯაბიძემ,* მწერლებმა: *სანდრო ნებლომ (პაპუაშვილი)* და *პავლე ჭავჭავაძემ,* ისტორიკოსმა *თეიმურაზ ბაგრატიონმა,* რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის დირექტორმა *მერაბ კვიტაშვილმა,* რადიოსადგურ „თავისუფლების“ ამერიკელმა კორესპონდენტმა *ალექსი ჩხენკელმა,* გაეროს თარჯიმანებმა და მრჩევლებმა — *თამარ ჩხენკელმა* და *მოსე შანიძემ,* ნიუ-იორკის ვიცე-მერმა *კონსტანტინე სიდამონ-ერისთავმა,* გენერალმა *ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა.* პროფესორებმა: ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზანტოლოგმა *კირილე თუმანიშვილმა,* ითაკის კორნელის უნივერსიტეტის აგროკულტურისა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტმა *პავლე კვარაცხელიამ,* იუტის შტატის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის გამგემ *ვახტანგ ჯობაძემ,* პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგმა *ალექსანდრე გრიგოლიამ,* პრინსტონის უნივერსიტეტის იურისტმა *დავით ჯაფარიძემ,* კოლუმბიის უნივერსიტეტის ენათმეცნიერმა *გიორგი ნაკაშიძემ,* კლივლენდის ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელმა *გედევან ასათიანმა* და მრავალმა სხვამ.

— ამბობთ, რომ ყველაზე მდიდარი ქართველი ემიგრანტები ამერიკაში ცხოვრობდნენ. მილიონერთა სიაში პირველი ვინ დგას?

— რაც შეეხება მილიონერებს, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე მინის მრეწველი, გრიგოლ კობახიძე, იგივე — ჯორჯ კობი. ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, რაჭველი გლეხის ოჯახში დაბადებული ბიჭი ჯერ ბორჯომის მინის ქარხანაში დაეუფლა ტექნოლოგიას, შემდეგ თბილისის, ოდესისა და დომბასის ქარხნებში. 20 წლის გრიგოლი, პოლონეთის გავლით, გერმანიაში ჩავიდა, იქიდან კი ინგლისში გაემგზავრა. 1909 წელს, 26 წლის კობახიძე ნიუ-იორკში ჩავიდა. ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ იყვნენ ქართველები, მათ შორის, რაჭველები, რომელთა ერთ ნაწილს ჩვეული ხელობისათვის, მეპურეობისათვის მოეკიდა ხელი. გრიგოლი სწორედ მათი დახმარებით მოეწყო. იგი, ცოლთან ერთად, 9 წელი მუშაობდა „ჯენერალ ელექტრიკის“ კომპანიაში და თავისი საქმის დასაწყებად ფულს აგროვებდა. დამატებითი შემოსავლის წყაროდ გაიხადა გამოგონება, მიიღო რამდენიმე პატენტი ავტომატურ საწერ-კალამზე და წამოიწყო მცირე ბიზნესი: კალმებითა და სხვა წვრილმანი საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობით ფული დააგროვა. 1919 წელს, მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონთან ახლოს, ქალაქ ეტლებოროში დიდი ქარხანა გამართა და 1922 წელს წარმოება The Cobi Glass Products Company უკვე წარმატებული იყო. იგი უშვებდა სამედიცინო, ქიმიური, ლაბორატორიული და სხვა 45 სახის პროდუქციას, აგრეთვე, ფანჯრის მინებს, ოთახის გასატიხრ ფილებს და სხვა... კობის პროდუქცია ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა, მაგრამ მაინც, იგი მუდმივად აუმჯობესებდა ტექნოლოგიას. მისი წარმოების საქონელბრუნვამ 15 მილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო სუფთა შემოსავალმა — 4 მილიონს. მილიონერის სტატუსის მიუხედავად, უსაქმოდ არასოდეს ყოფილა — მისი 60-ზე მეტი პატენტი წარმოებას პრესტიჟს მატებდა.

რუსუდან დაუშვილი

— მხოლოდ ბიზნესით იყო დაკავებული?

— რა თქმა უნდა, მაგრამ არასოდეს ჩამოშორებია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ერთი სული ჰქონდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო და თავისი საქმე დამოუკიდებელი ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ 1918-21 წლებში მისი ბიზნესი ჯერ კიდევ

ფეხს იდგამდა. სამშობლოს დახმარებას ოკუპაციის შემდეგაც ცდილობდა და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თბილისში, ქუთაისში ან ბორჯომში დიდი მინის ქარხნის მშენებლობის თაობაზე. „ნეპი“ (ე.წ. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“) ამის ნებას რთავდა და უცხოურ კონცესიებს უწყობდა ხელს. მას კაპიტალის ჩადება შესთავაზეს, მაგრამ გრიგოლი ამაზე არ დათანხმდა — მას თვითონვე სურდა მშენებლობისათვის ეხელმძღვანელა, რადგან ბოლშევიკებს ფულს ვერ ანდობდა. უარის შემდეგ, გადაწყვიტა, თავის სოფელს დახმარებოდა, რაზეც თანხმობა მიიღო, მაგრამ 1924 წლის აჯანყების გამო, სამშობლოში მხოლოდ 1925 წელს ჩამოვიდა. მეორედ 1928 წელს ეწვია საქართველოს. მან ოთხ წელიწადში ბევრი რამ გაუკეთა თავის კუთხეს: დაეხმარა მრავალ გაჭირვებულ ოჯახს, სოფელ თხმორს აუშენა სკოლა, აფთიაქი, მდინარე შარეულაზე გადო ორი ხიდი, შეაკეთა ეკლესია და მღვდლის სახლი, გახსნა სავაჭროები, მოამარაგა საქონლით და მოაგვარა მრავალი წვრილმანი პრობლემა. მასთან დახმარების სათხოვნელად არა მარტო რაჭისა და იმერეთის სოფლებიდან, არამედ — ქუთაისიდანაც კი ჩადიოდნენ. ამ დროს უფროსი ძმის, ლეონტის შვილი — მიშა ჩამოვიდა თბილისიდან და ბიძას შეატყობინა, რომ მის დაჭერას აპირებდნენ. გრიგოლი სასწრაფოდ გაემგზავრა სოფლიდან და ქვეყნიდანაც.

— ქართველების დახმარება ისევ განაგრძო?

— 1929-33 წლების ეკონომიკური კრიზისის — „დიდი დეპრესიის“ ჟამს ჯორჯ კობის წარმოებაც გაკოტრდა. მართალია, მან მილიონები დაკარგა, მაგრამ იმდენი შეძლება კიდევ ჰქონდა, რომ გაჭირვებულ ქართველებს დახმარებოდა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და საქართველოში. ფარ-ხმალი არ დაუყრია: თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა, სადაც ბევრ რამეს საკუთარი ხელით აკეთებდა და მუშტარიც გაიჩინა. მისი წარმოების გასაფართოებლად, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბლის შეკვეთა — დაემზადებინა სუნამოს — „საქართველოს დედოფლის“ ფლაკონი. ჯორჯ კობის ბიზნესი ნელ-ნელა იკრებდა ძალას. 1941 წლის 7 დეკემბერს, როცა აშშ II მსოფლიო ომში ჩაება, გრიგოლმა ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ამერიკის მთავრობას და ფინანსური დახმარება ითხოვა, რათა სამხედრო შეკვეთებისათვის მინის წარმოება აღედგინა. როცა მისი საბუთები და მონაცემები შეისწავლეს, მან დაუყოვნებლივ მიიღო ლიცენზია და ფული — 2 მილიონი დოლარი. გრიგოლმა მასაჩუსეტსის მოსაზღვრე როდ-აილენდის შტატის ქალაქ პატაკეტში ქარხანა გახსნა და დაიწყო ქიმიური თუ სამედიცინო ლაბორატორიებისათვის, საველე ჰოსპიტლებისა და რიგითი საავადმყოფოებისათვის აუცილებელი პროდუქციის დამზადება. მალე The Cobi Glass Products Company კვლავ მძლავრ წარმოებად იქცა. ცნობილმა ქართველმა ავიაკონსტრუქტორმა, „ამერიკული გამანადგურებლების მამამ“, ალექსანდრე ქართველიშვილმა მას შეუკვეთა ახალი გამანადგურებლის ზემტკიცე მინის კაბინა, რომელიც აფრენის შემდეგ ფუზელაჟში ჩადიოდა. კობის ნაწარმი მიეწოდებოდა როგორც კანადას, ასევე მოკავშირეებსაც. ბიზნესმენმა მთავრობის ვალი მალე გაისტუმრა და კაპიტალის დაგროვებას შეუდგა. მოგებას ძირითადად, ხარისხის ხარჯზე იღებდა. გააუმჯობესა წარმოების ტექნიკური მხარე, მუშების ცხოვრების დონე, შემოიღო წამახალისებელი ჯილდოები, დახმარებები მრავალშვილიანი თანამშრომლებისათვის... გრიგოლმა მრავალი ჯილდო მიიღო როგორც მთავრობის, ისე კერძო და სოციალური ორგანიზაციებისაგან. როცა ომის შემდეგ წარმოება მშვიდობიან რელსებზე გადავიდა, სიახლე დანერგა — დაიწყო ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება. მან შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები, ე.წ. Babel lamps, რომელშიც ქსელში ჩართვის შემდეგ, ფერადი ბუშტები იწყებდა მოძრაობას. მანამდე ნაძვის ხეებს ნამდვილი სანთლებით რთავდნენ, რაც ხშირად ხანძარს იწვევდა. მოგვიანებით, სანთლებს ფერადი მინისაგან ამზადებდა და ქიმიური სითხე აღარ იყო საჭირო. შემდეგ ფერადი მინისაგან სხვადასხვა ფორმის სათამაშოების დამზადება დაიწყო, რომელსაც „ორნამენტი“ უწოდა. ქართული დროშის შინდისფერ ყუთებში ჩალაგებული იყო 24 ან 12 სათამაშო და მას ეწერა: „კობი. მინის საშობაო ხის ორნამენტები, კობი — ეს შობაა“. რადგან სათამაშოები კანადაშიც გადიოდა, ამიტომ წარწერა ფრანგულადაც კეთდებოდა.

— ქველმოქმედებას მთელი ცხოვრება ეწეოდა?

— გრიგოლ კობახიძის საქველმოქმედო საქმიანობა ცალკე საუბრის თემაა. 30-იანი წლების კრიზისმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პარიზის ქართველობა. გრიგოლი იყო ყველა იმ ადამიანის შემწე, ვინც პირადად მიმართავდა და მათიც, ვისი გაჭირვების ამბავსაც შეიტყობდა. ომის შემდეგ ფულით, ტანსაცმლით, პირველადი მოხმარების საგნებით და წამლებით ეხმარებოდა ევროპასა და დანგრეულ გერმანიაში მცხოვრებ ქართველებს — მიხეილ წერეთელს, გრიგოლ რობაქიძეს, ვიქტორ ნოზაძეს, ალექსანდრე კორძაიას, გივი კობახიძეს და სხვებს. გრიგოლ კობახიძის პირად არქივში უამრავი მადლობის წერილი იყო დაცული. მათ შორის, ცნობილი რეჟისორის — ვასო ყუშიტაშვილის, რომელსაც გრიგოლი სწავლის საფასურს უხდიდა. ფულს უგზავნიდა თავის ძმისშვილ მიხეილ-

გრიგოლ კობახიძე

საც, რომელიც გერმანიაში სწავლობდა. როცა მიშამ სწავლა დაამთავრა, დიპლომის ასლთან ერთად, ბიძას მეგობართან გადაღებული ფოტო გაუგზავნა და აცნობა, რომ მისი გაგზავნილი ფულით, მასთან ერთად, ამ ღარიბ ბიჭსაც დაუმთავრებია სწავლა. ჰყავდა სხვა სტიპენდიანტებიც. სამწუხაროდ, გრიგოლ კობახიძეს შვილი არ ჰყავდა და ცოლის დახმარებით უძღვებოდა ბიზნესს. მას ძმისშვილების ან ახლო ნათესავების ამერიკაში ჩაყვანა და მათი წარმოებაში ჩაბმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო და საბჭოთა კავშირში დაწყებული რეპრესიების და ძმისშვილის დახვრეტის გამო, მათთან ურთიერთობა სულაც შეწყვიტა, რათა ისედაც დაზარალებულ ოჯახს მის გამო ახალი რეპრესიები აღარ დასტეხოდა თავს. რადგან კომპანიონად ქართველი ვერ მოძებნა, გრიგოლმა იტალიელი ძმები: ჯიმ და ჯული პაგლისები აიყვანა, რომლებიც 1967 წელს, გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, მისი საქმის გამგრძელებლები გახდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არომატის Chanel N5 ახალი სახე

პოპულარული ფრანგი მსახიობი ოდრი ტოტუ („ამელი“, „და ვინჩის კოდი“) ლეგენდარული არომატის — Chanel N5-ის ახალი სახე გახდება. ამის შესახებ ფრანგული პრესა უკვე აპრილის შუა რიცხვებიდან წერდა. ახლა კი ეს ინფორმაცია კომპანიამ ოფიციალურად დაადასტურა. ახლა სარეკლამო რგოლს ოდრი ტოტუს მონაწილეობით, ფილმების — „ამელი“ და „ხანგრძლივი ნიშნობა“ რეჟისორი ჟან-პიერ ჟენე გადაიღებს.

სხვადასხვა დროს Chanel N5-ის სახეები იყვნენ თავად „დიდი მადმუაზელი“, მსახიობები: კაროლ ბუკე, კატრინ დენევი, ესტელა უორენი, ლორენ ჰატონი და ჯინ შრიმპტონი. ამჟამად 31 წლის ოდრი ტოტუ ენ ფონტეინის ფილმის — COCO Avant Chanel — გადაღებებით არის დაკავებული, რომელიც მაყურებელს გაბრიელ შანელის ახალგაზრდობის წლების შესახებ მოუთხრობს. ფილმი და სარეკლამო რგოლი ეკრანებზე 2009 წელს გამოვა. ■

დრიუ მერიმორმა ლოს-ანჯელესის ქუჩებში ნამდვილი რმოლა მოაწყო

კინოვარსკვლავმა ლოს-ანჯელესის გარეუბანში ნამდვილი ჰოლივუდური ავტორბოლა მოაწყო. გარეუბნის შერიფის სამმართველოს სერჟანტის, კრისტიან ალომას განცხადების თანახმად, მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლი მსახიობის მანქანის საბარგულს შეეჯახა და ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, მაგრამ 33 წლის ბერიმორი დამნაშავეს დაედევნა და მისი მანქანის ნომრის ჩაწერა შეძლო. თავად მსახიობი არ დაშავებულა, მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. პოლიციას დამნაშავე მძღოლი ჯერჯერობით არ დაუკავებია. სერჟანტი ალომა ამბობს, რომ დრიუ ბერიმორი დამნაშავეს დაედევნა და ამით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, მაგრამ ეს პოლიციას ძალზე დაეხმარა. ■

პერის ჰილტონმა მოსკოვს მოითხოვნდი წარუდგინა

პერის ჰილტონი მოსკოვს კიდევ ერთხელ ესტუმრა. სასტუმროების მრავალმილიონიანი იმპერიის მემკვიდრემ რუსეთის დედაქალაქს ამჯერად პარფიუმი Can Can Coctail და ბოიფრენდი, ჯგუფის — Good Charlotte — სოლისტი ბლენჯი მედენი წარუდგინა. შეყვარებულები იმავე სასტუმრო „არარატ ჰაიატში“ დაბინავდნენ, სადაც ტელეარხის MTV კინოდაჯილდოებაზე ჩასული პერისი ცხოვრობდა. Can Can Coctail-ის პრეზენტაცია Wall Street Bar-ში ჩატარდა. პერის ჰილტონის გარდა, წვეულებას მოსკოვის მაღალი საზოგადოების ქალბატონები: მარია ბუტირსკაია, ტატიანა პუშკინა, ლარისა ვერბიცკაია და სხვები ესწრებოდნენ. ■

სილვიო მერლუსკონი პოლიციის ქალმატონემთან არმიცს ატ იმლის

იტალიის პარლამენტის თემთა პალატა ახალი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებისას კენჭიყრის შედეგებს დაძაბული ელოდა, მაგრამ 73 წლის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ორ დეპუტატ ქალბატონთან ბარათის გაგზავნა და მათთან გაარშიყება მაინც მოასწრო! 32 წლის ნუნცია დე ჯიროლამოსა და 31 წლის გაბრიელა ჯიამანკოს მისამართით გაგზავნილ ბარათში მთავრობის მეთაური წერს: „გაბრი, ნუნცია, ერთად მშვენიერი სანახავები ხართ. მადლობელი ვარ, რომ (ჩემი გამოსვლის მოსასმენად) დარჩით; ეს აუცილებელი სულაც არ იყო. თუ ვინმემ ლანჩზე მიგიწვიათ, წასვლის ნებას გაძლევთ (ეს ფრაზა სამჯერ არის ხაზგასმული). ორივეს გკოცნით!!! თქვენი პრემიერ-მინისტრი“. ეს ბარათი ტელეკამერების ობიექტივებმა დააფიქსირა. ბერლუსკონის გზავნილი უპასუხოდ არ დარჩენილა. „ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, მსგავს მიწვევას მხოლოდ თქვენგან მივიღებთ“, — ნათქვამია საპასუხო წერილში. გაბრიელა ჯიამანკო აცხადებს, რომ პრემიერი კეთილგანწყობილებას სქესის მიუხედავად, ყველას მიმართ გამოხატავს და მათ სულაც არ ეარშიყებოდა! გასულ კვირას ბერლუსკონიმ თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის მინისტრად ყოფილი მოდელი, 32 წლის მარა კარფანია დანიშნა, რომელიც მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალებისთვის პოზირებდა. და განაცხადა: მარტოხელა რომ ვიყო, მარა კარფანიას ცოლად შევირთავდიო. ადრე მსგავსი განცხადებების გამო, ბერლუსკონი იძულებული შეიქნა, მეუღლისათვის საჯაროდ, წერილის მეშვეობით, ბოდიში მოეხადა. ■

სტუდია Fox ევროპასა და აზიაში ახალ ქვედანაყოფს ქმნის

კინოკომპანიამ — Fox Filmed Entertainment ახალი ქვედანაყოფი — Fox International Productions (FIP) შექმნა, რომელიც რუსეთში, გერმანიაში, იაპონიასა და ინდოეთში იმუშავებს. FIP-ის მიზანი — ფილმების პროდიუსირება, დაფინანსება, შეძენა, ამ ქვეყნების ენებზე თარგმნა და გავრცელება იქნება. რუსეთში Fox-ის საკუთარი წარმომადგენლობითი კომპანია — XX Century Fox-როსია უკვე არსებობს. მას თავკაცობს მიხაელ შლიხტი, ის კომპანიის — „გემინი ფილმს ინტერნაციონალის“ თანამფლობელია, რომელსაც ამჟამად 20th Century Fox-თან სასამართლო დავა აქვს. დავის მიზეზი კი რუსეთის კინოგაქირავებაში გამოსული ფილმებიდან საავტორო წილის გადაუხდელობაა. ■

პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეული

ჟურნალის — Maxim — ვერსიით, პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეულის სათავეში 29 წლის ამერიკელი სუპერმოდელი მარისა მილერი აღმოჩნდა. 2007 წლის ყველაზე მიმზიდველი ქალის ტიტულის მფლობელმა, ლინდსი ლოხანმა კი მეცხრე პოზიციაზე გადაინაცვლა. ჟურნალის მთავარი რედაქტორის, ჯეიმს კამინსკის აზრით: „სინდი კროუფორდის შემდეგ, ამერიკულ ნიადაგზე არ აღმოცენებულა მოდელი, რომელიც მამაკაცთა წარმოსახვის მონუსხვას მარისა მილერის მსგავსად შეძლებდა!“ კომპანიის — Victoria`s Secret — სახემ რეიტინგში პირველი ადგილის დაკავება ჟურნალის — Sports Illustrated გარეკანზე გამოქვეყნებული ფოტოსურათის წყალობით შეძლო. Maxim-ის რეიტინგში მეორე ადგილი სკარლეტ იოჰანსონმა დაიკავა, ჯესიკა ბილი — მესამეა. „სასოწარკვეთილმა დიასახლისმა“ ევა ლონგორიამ მეოთხე ადგილი დაისაკუთრა, სარა მიშელ გელერი კი მეხუთე პოზიციაზე გავიდა. პირველ ათეულში აგრეთვე მოხვდნენ: ელიშა კატბერტი, ევა მენდესი, კრისტინა აგილერა და ეშლი ტისდეილი. ■

სასამართლომ რეპერ ქალს 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

რამდენიმე დღის წინ, ნიუ-იორკის სასამართლომ ამერიკელი რეპშემსრულებელი Remy Ma (ნამდვილი სახელი — რემი სმიტი) შეიარაღებულ თავდასხმასა და იარაღის უკანონო შენახვაში დამნაშავედ ცნო და 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბრალდების მიზეზი, 2007 წლის 14 ივლისს, მანჰეტენის ერთ-ერთ კლუბთან მომხდარი ინციდენტია. მომღერალმა მისი ნაცნობი მაკედ ბარნს-ჯოზეფი 3.000 დოლარის მოპარვაში დაადანაშაულა და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. რეპჯგუფის — Terror Squard — ყოფილი წევრი Remy Ma „გრემის“ პრემიის ნომინანტია. იგი 3 რეპშემსრულებელ ქალთაგან ერთ-ერთია, ვინც Billboard Hot 100-ის ჰიტაღლუმში პირველი ადგილის დაკავება შეძლო. Remy Ma-ს ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი სოლო ალბომი აქვს გამოშვებული. მისი თაყვანისმცემლების „ვიკიპედიაში“ მომღერლის გვერდზე უკვე წერენ იმის შესახებ, რომ Remy Ma-ს ახალ ალბომს — PunishHER („დასაჯე იგი“) მსმენელი 2016 წლამდე ველარ მიიღებს. ■

ტომი ლი ჯონსი ჰემინგუეის უკანასკნელი რომანის ეკრანიზაციას გადაიღებს

ტომი ლი ჯონსმა კანში ერნესტ ჰემინგუეის ბოლო რომანის („კუნძულები ოკეანეში“) — ეკრანიზაციის პროექტი წარმოადგინა. მომავალი ფილმის პროდიუსერი, რეჟისორი, სცენარისტი და მთავარი როლის შემსრულებელიც მსახიობი თავად იქნება. სურათის ბიუჯეტი 30 მლნ დოლარს შეადგენს. რომანი „კუნძულები ოკეანეში“ დიდი მწერლის თვითმკვლელობიდან 10 წლის შემდეგ, 1970 წელს გამოქვეყნდა. 1952 წელს გამოცემული ცნობილი ნოველა — „მოხუცი და ზღვა“ თავდაპირველად, ამ რომანის ნაწილად იყო ჩაფიქრებული, ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა, მხატვარი ტომას ჰადსონია, რომელსაც სამი ვაჟიშვილი ერთიმეორის მიყოლებით ეღუპება. ფილმის ფინალში ჰადსონი გერმანული სამხედრო ხომალდის დევნისას, თავადაც იღუპება. 1977 წელს რეჟისორმა ფრანკლინ შაფნერმა რომანის ეკრანიზაცია გადაიღო, სადაც მთავარ როლს ჯორჯ სკოტი თამაშობდა.

ფილმი — „კუნძულები ოკეანეში“ ტომი ლი ჯონსის მეორე რეჟისორული ნამუშევარი იქნება. მისი პირველი სურათი — „სამი საფლავი“ ეკრანებზე 2005 წელს გამოვიდა. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

ჰომოსექსუალი უცხოელი ტურისტები...

ინგა ჯაყელი

მახო არც განათლებითაა ისტორიკოსი და არც მოწოდებით სიძველეების მოყვარული, მაგრამ ანდაზის — გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო! — მთელი სიმწვავე რომ გამოცადა საკუთარ ტყავზე, ამიტომ მიაკითხა ბავშვობის მეგობარს — ბექას, რომელმაც ცოტა ხნის წინ ტურისტული სააგენტო გახსნა, ქუთაისის ცენტრში და თუ სანათესავოსა და სამეგობროში ვინმე უმუშევარი, უცხო ენის სპეციალისტი ეგულებოდა, ყველა დაასაქმა...

— ე, ბიჭო, მიშველე რაცხა, თვარა, ცოლი სახში არ მიშობს. ისე, სამი წელია, „ბუხანკა“ პური არ შემიტანია „კუხნაში“ და რა ღირსი ვარ ცხელი სადილის?.. მარა, მინდა ახლა მე 20 წლის ოჯახის დანგრევა? ასეც რომ იყოს, თინაიასავით ვიღას გავაბრიყვებ აწი?!.

ბექას მახო მართლა უყვარდა, მაგრამ რაში უნდა გამოეყენებინა კაცი, რომელმაც უცხო ენა კი არა, ქართულიც არ იცოდა გამართულად და ამიტომ, დიდ საგონებელში ჩავარდა:

— რა გიყო ახლა მე შენ და რაით გიშველო? საყველპურო ინგლისური მაინც რომ იცოდე...

— ინგლისური და კომპიუტერი რო ვიცოდე, ტლიკინი და ტყვიცის თქმა ჩემი მოგონილია. ჰოდა, პრეზიდენტობაზე თუ არა, პარლამენტარობაზე მაინც გევიქაჩებოდი! — მკერდზე მჯიღი დაიცა სასოწარკვეთილმა.

— იარაღის ხმარება თუ იცი? — თვალები გაუბრწყინდა ბექას.

— არ ვიცი, ჯარში მე არ ვარ ნამყოფი და... ტვინის ნაანთებარი რომ ვარ ბაღნობაში, მაგიზა არ წამიყვანეს. „ლაგატკის“ მეტი, ხელში აფერი მჭერია. კიდო, ქვებს ვისვრი კარქათ! ხომ გახსოვს, რაფრა ვყრიდით შინაბერა ქსენიას ატმებს ხიდან, ბოვშობაში! — გულწრფელად აღიარა მახომ, მაგრამ რადგან სხვა გზა ვერ გამონახეს, მაინც ასე შეთანხმდნენ: ბექა ძმაკაცს დაცვის სამსახურში გააფორმებდა, მაგრამ რევოლვერს „ხალასტოი“ ტყვიებით დაუტენიდა.

მახოს შესახედაობა კი ჰქონდა ათლეტის — მისი სიგრძე-სიგანე თავად შევარცენეგერსაც შეშურდებოდა. რაც მისი ტვინისთვის დაეკლო ბუნებას ძალა და მოქნილობა, კუნთებში გადაენაწილებინა და საერთოდ, თავის ასაკთან შედარებით (38 წლის გახლდათ), ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ფორმაც ისე მოუხდა, რომ ქალებმა თვალებიც „ქე გააყოლ-გამოაყოლეს“...

აი, სამსახური კი ღამის პირველ დღესვე დაკარგა. სათაფლიაზე, ჰოლანდიელი ტურისტების ჯგუფს გააყოლეს. ავტობუსშივე ერთი „რიჟა“ ტიპი აეკიდა და გაღიმებულმა „რაცხაზე დოუწყო ჟღურტული“. თან, გვერდით მდგომ ძმაკაცზე ანიშნებდა და ბოლოს, მწვანე ასდოლარიანიც დაანახვა, აგრძნობინა — გადამხდელი ვარო...

— რა ვქნა, ახლა მე უბედურმა, რომ ვერ გევიგე, რას მთხოვ მაგ ფულის სანაცვლოდ? — გულწრფელად შეწუხდა მახო და თარჯიმნის დაძახება დააპირა, როცა უცხოელმა დამტვრეული რუსულით უთხრა: Не надо, я сам объясню! — თუ რაღაც მსგავსი და სხვებს კი არ გაჰყვა, დინოზავრის ნაკვალევის სანახავად, არამედ მახოს ანიშნა, — ტყისკენ გამყევიო.

თვალს მოეფარნენ თუ არა, შარვალზე ქამარი შეიხსნა და... შვებით ამოისუნთქა მახომ:

— ე, ბიჭო, ავშენდი! მაი თუ გიჭირდა, ვერ თქვი დროზე? ახლა, აქანე კარ შეიძლება, მარა, ჯანაბას შენი თავი, ას დოლარს თუ იხდი, თუ გინდა, მუჭით გევიტან შენს ოხრობას! — მაგრამ ვინ აცალა სიხარული, უკნიდან მეორე მოეხვია და კისერში აკოცა...

მასე არ უნდაო და ორივე „სასწრაფო დახმარების“ მანქანით გახდა ტყიდან გამოსაყვანი, თავად კი საპატრულო პოლიციამ მიაბრძანა განყოფილებაში, სადაც „შარზე მყოფი“ უფროსი დახვდა:

— რაის ერჩოდი, შე უბედურო, იმ უცხოელებს? რომელი არსენა ან კაკო ყაჩაღი შენ მყავდი, ძარცვა რომ დოუპირე იმ პატიოსან ხალხს? თან, ასი დოლარიზა რავა გეიფუჭე თავი?!

— რაის არსენა და რომელი კაკოიე, თქვენ თავი ხვარაფერფზე მიგირტყიათ? ყაჩაღობა რო მდომოდა, იმდენ ხალხში ვიზამდი? — თავი გაიგიჟა მახომ.

— არ თქვა ახლა, იქით შემიტყუეს ტყეშიო! — თვალები დაუქაჩა უფროსმა. — გახვრეტილი შაურიანიც არ გიგდია ჯიბეში, უკვე ვნახეთ...

— სწორედაც რომ გამიტყუეს და... და... — ენა დაება მახოს, შერცხვა სიმართლის თქმის. — ვერ გეტყვით, რეიზა, თუ გინდა, სამუდამო პატიმრობა მომისაჯოთ!..

...მოკლედ, სიმართლე არ გაამხილა იმის შიშით, არ თქვან: მიზეზი თუ არ მიგიცია, რაღა შენ ამეგიღენ მიზანშიო?! — და ჩაიგუბა წყალი პირში, მაგრამ კანონმორჩილმა ჰოლანდიელებმა პატიოსნად აღიარეს:

— ჰომოსექსუალისტები ვართ, ქართველი კაცები ძალიან მოგწონს და რა მოხდა, ფულს სიყვარულში თუ ვიხდიდით?!

— ეუჰ, თავი მოგთხოვენ, შე უბედურო? — მაშინვე ახსნა ბორკილები მახოს პოლიციის უფროსმა და ხელიც ჩამოართვა. — გაგიხარდა მარჯვენა, ძმა ხარ აწი ჩემი! — და ჩამორთმეული ასდოლარიანიც დაუბრუნა. — ალალია შენზე!..

უცხოელები კი მკაცრად გააფრთხილა:

— მეორედ არ გაბედოთ ქართველ კაცზე „გაწევა“, თორემ ციხეში ამოგალპობთ, იცოდეთ!..

...ბექას მახო სამსახურიდან არ მოუხსნია, მაგრამ დაცვას ჩამოაშორა და ღამის დარაჯად გადაიყვანა...

„ხმა საქართველოდან“ უკვე მრავალ ქვეყანაში გაისმა

საერთაშორისო საბავშვო მუსიკალური ფესტივალი — „ხმა საქართველოდან“ წლეულს უკვე მეორედ ტარდება. ფესტივალის იდეის ავტორი და ხელმძღვანელი, მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი გახლავთ. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის, მან საკუთარი არტ-სტუდიაც დააარსა. ტელეკომპანია „მზის“ ეთერში მაყურებელს საშუალება ჰქონდა, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული მელოდია ქართველი ბავშვების შესრულებით მოესმინა. გარდა ამისა, ნორჩი მომღერლები, საქართველოს საელჩოების დახმარებით, იმ ქვეყნების სტუმრები აღმოჩნდნენ, რომელი ქვეყნის სიმღერებსაც ასრულებდნენ.

საიდან წარმოიშვა ფესტივალის იდეა და როგორ განახორციელეს იგი ორგანიზატორებმა? — ამაზე თავად მაია დათუნაშვილი გვიამბობს:

ქართული მაგშვები მსოფლიოს აღცემენ

მაია ღუღუნიშვილი

— ძალიან მინდოდა, ისეთი ფორმატის ფესტივალი გამეკეთებინა, რომელიც, როგორც მუსიკალური, ასევე კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით, მარტო საქართველოსთვის კი არა, ბევრი სხვა ქვეყნისთვისაც საინტერესო იქნებოდა. კონკურსის წესით შევარჩიეთ ძალიან ნიჭიერი ბავშვები და მოვიძიეთ 17 ქვეყნის მუსიკალური მასალა. ფესტივალზე 48 ბავშვმა თითო ქართული და თითო უცხოური სიმღერა შეასრულა. მრავალფეროვანი და საუკეთესო რეპერტუარი შედგა. თითოეულ ტელეგადაცემაში, ერთი ქვეყნის ეროვნული მუსიკალური ნაწარმოები სრულდებოდა. ამ გადაცემას იმ ქვეყნის საელჩოს წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლის სიმღერასაც ბავშვები ასრულებდნენ. დიდი შრომა გასწია ყველა იმ ადამიანმა, ვინც ჩემ გარშემოა. ჩვენ ენთუზიაზმით, ყოველგვარი ფინანსების გარეშე დავიწყეთ ეს საქმიანობა, მაგრამ მერე ერთ-ერთმა კომპანიამ და თბილისის მერიამ გაგვიწიეს ფინანსური მხარდაჭერა. შარშან ფესტივალის გამართვაში საგარეო საქმეთა სამინისტრო დაგვეხმარა. ჩვენ შორის არაჩვეულებრივი ურთიერთობა დამყარდა. დეკემბრის ბოლოს — გალა-კონცერტზე ყველა საელჩომ გადაცემაში მონაწილე ბავშვს საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. ასეთ შედეგს, მართალი გითხრათ, არ ველოდი. ეს ჩვენი ბავშვებისა და იმ გუნდის დამსახურებაა, ვინც ამ წარმატების მისაღწევად, თავდაუზოგავად შრომობდა. პროექტის მიზანია, ჩვენი ბავშვები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარვადგინოთ, ამიტომაც დავარქვით „ხმა საქართველოდან“. საშუალება გვეძლევა, მრავალი ერის მუსიკას გავეცნოთ. ფესტივალის გალა-კონცერტზე გეუფლება განცდა, თითქოს შენ თვალწინ მთელი მსოფლიოა. ამასთანავე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოზარდს არ უნდა შევუქმნათ არაჯანსაღი კონკურენციის გარემო: როდესაც ბავშვი ელოდება იმას, თუ ვინ რამდენ ქულას დაუწერს ან მესიჯს გამოუგზავნის, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ამიტომ, ჩვენ არ გვყავს ჟიური. ფესტივალის მონაწილეთა შემფასებელი — დიპლომატიური კორპუსია, რომელსაც უნდა გავაცნოთ, თუ რაოდენ ყოვლისშემძლე და ნიჭიერი თაობა მოდის. ამ პატარებს კი უნდა ვუჩვენოთ სხვადასხვა ქვეყნის კულტურა. ასე რომ, ეს ის ფესტივალია, სადაც დამარცხებული არ არსებობს. და ამიტომაც, ის მოზარდებისთვის ნამდვილი დღესასწაულია.

ეს ის ფესტივალია, სადაც დამარცხებული არ არსებობს

— სხვადასხვა ხალხის ეროვნული მუსიკის ნიმუშების მოძიება და შემდეგ, ბავშვებისთვის მისი შესწავლა ალბათ, რთული და შრომატევადი საქმეა. არ გაგიჭირდათ რეპერტუარის შედგენა?

— მართალია, რადგანაც აბსოლუტურად განსხვავებულია მუსიკალური ენა, ასევე ურთულესია უცხო სიტყვებიც. გვყავდა კონსულტანტები, რომლებიც გვეხმარებოდნენ, ბავშვებს სწორად რომ გამოეთქვათ ეს რთული ფრაზები. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელი ბავშვი რას შეასრულებდა. სპეციალურად ირჩეოდა მათთვის სიმღერები, მათ ტემბრსა და ხასიათს რომ მორგებოდა.

— როგორც აღნიშნეთ, თქვენმა აღსაზრდელებმა სხვადასხვა ქვეყნის კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. პირველი შემოთავაზება ვისგან მიიღეს?

— პირველი შემოთავაზება ლიტვის ელჩისგან მივიღეთ. მან, გალა-კონცერტიდან ერთ კვირაში ვილნიუსში, ლიტვის პრეზიდენტის მეუღლის ფონდის მიერ ორგანიზებულ საშობაო კონცერტზე მიგვავლინა. ჩვენ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე პრეზიდენტისთვის პირველი სტუმრები ვიყავით. ლიტვაში მათ განსაკუთრებულად თბილი მიღება მოგვიწყეს. ჩვენმა ბავშვებმა გახსნეს ის საშობაო ნაძვის ხე, რომელზეც პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა. ეს კონცერტი ყველა იმ ქვეყნის

ტელეეთერში გადაიცა, სადაც ლიტვის დიასპორა არსებობს, ასეთი კი სულ 17-18 ქვეყანა გახლავთ. ჩვენი ბავშვები გამოვიდნენ აგრეთვე, ვილნიუსში ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზის — „სიმენს ჰოლის“ სცენაზე, დიდ კონცერტზე, რომელშიც ლიტველი ბავშვები მონაწილეობდნენ. შემდეგ ოდესაში იყო ძალიან რთული, აკადემიური მუსიკის კონკურსი, სადაც ჩვენმა გენერალურმა კონსულმა, ბატონმა ზურაბ კვაჭაძემ მიგვიწვია. იქ „უკრაინის დღეზე“ გამარჯვებული კონკურსანტი — ნატა ჯაოშვილი მივავლინეთ. მან კონკურსზე გრანპრი აიღო. რამდენიმე დღეში ოდესაში კვლავ მივემგზავრებით: 26 მაისს გაიმართება მიღება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და ოდესაში ჩვენი ქვეყნის გენერალური საკონსულოს გახსნის ათი წლისთავს მიეძღვნება. იქ იმღერებენ ნატა ჯაოშვილი და თამრიკო გვერდწითელი. საიუბილეო მიღებამდე ერთი დღით ადრე, ნატას სოლო კონცერტია დაგეგმილი. პირველ ივნისს კი ის ოდესის ფილარმონიაში დაგეგმილ დიდ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. უმეტესად, ერთი გამგზავრებისას, რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაში გვიწევს მონაწილეობა. რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი კონკურსის მონაწილე, თურქული სიმღერის 3 შემსრულებელი თურქეთში იმყოფებოდა და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ თანატოლებთან ერთად, ამ ქვეყნის სახელმწიფო დღესასწაულზე — „თურქეთის დღის“ ზეიმში მონაწილეობდა. რამდენიმე დღის წინ, 4 ბავშვთან ერთად, ბერლინიდან და ვენიდან დავბრუნდი. ბერლინში იქაური „ემტივის“ ახალგაზრდულ ფესტივალზე ვიყავით მიწვეული, სადაც საქართველოს გუნდი საუკეთესო აღმოჩნდა. იქიდან სპეციალური პრიზებით დავბრუნდით და ნოემბრისთვის, საკმაოდ სერიოზულ საერთაშორისო კონკურსზე მიგვიწვიეს. ბერლინიდან ვენაში ჩავედით, სადაც ახლგახსნილი ქართული ეკლესიისთვის კონცერტი გავმართეთ (იქ წირვა-ლოცვას მამა ლაზარე აღავლენს, რომელიც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ისთვის, რომ ქართულმა ტაძარმა ავსტრიაში იარსებოს). ჩვენს კონცერტს უამრავი ადამიანი დაესწრო. არაჩვეულებრივი და თბილი საღამო გამოვიდა. დიდი დახმარება და მხარდაჭერა გაგვიწიეს ჩვენმა დიპლომატებმა — ელჩმა, ვიქტორ დოლიძემ და კონსულმა, თამარ კიკვიძემ.

ჩვენმა ფესტივალმა უკვე საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა

— უახლოეს მომავალში სად მიემგზავრებით?

— ამჟამად სამზადისში ვიმყოფებით: 28 მაისს 3 ბავშვი ალმა-ათაში საერთაშორისო საბავშვო ფესტივალზე მიემგზავრება, 10 ივნისს ჩვენი 3 ლაურეატი — ვარშავაში, საერთაშორისო საბავშვო ფესტივალზე „პოლონეთის დღეებზე“. 20 ბავშვი იტალიაში — ლაგომაჯორეში საბავშვო ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალზეა მიწვეული. მოგვიანებით, საპასუხისმგებლო გასვლა გვექნება ჰოლივუდში, საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის ნაციონალური პროდიუსერიც გახლავართ. იქ ჩვენი ფესტივალის მონაწილე, ელენე ქაჩლიშვილი გაემგზავრება, რომელიც ამერიკულ სიმღერას ასრულებს. ამის შემდეგ, საბერძნეთის საელჩოსა და იქაური ქართული სათვისტომოს მიერ დაჯილდოებული, ბერძნული სიმღერის შემსრულებლები საბერძნეთში გაემგზავრებიან. რუსეთის საელჩომ ჩვენს ბავშვებს არაჩვეულებრივი საჩუქრები გაუკეთა: სამი საუცხოო გოგონა, რომელთაგან ორი წლევანდელ საბავშვო „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობს და უკვე წარმატებულად გაიარა შესარჩევი ტური, მთელი რუსეთის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გაემგზავრებიან. აქვე დავამატებ, რომ ჩვენი სტუდიის 4 აღსაზრდელი საბავშვო „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევ ტურში მოხვდა, ძალიან ბედნიერები ვიქნებით, თუკი რომელიმე მათგანი ამ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

— თუ შეარჩიეთ უკვე მონაწილეები წლევანდელი ფესტივალისთვის და არის თუ არა რაიმე ცვლილება პროექტში?

— დიახ, ბავშვები უკვე შევარჩიეთ. წლეულს ფორმატი შეიცვალა: ამჯერად, საქართველოდან 25-30 მონაწილე გვეყოლება. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, 10 ქვეყნიდან სტუმრებს ველოდებით. მათ შარშანდელი ფესტივალის ლაურეატი ბავშვები უმასპინძლებენ. ამგვარად, ჩვენმა ფესტივალმა უკვე საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. ■

FM 103.9
ძალიან კარგი
და ეროვნული სანავ
FM 103.9

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 16

ახალგაზრდებს შორის „ძუჩურ გარჩევას" სისხლის ღვრა მოჰყვა

19 მაისს, დღის პირველ საათზე, ვაკეში მომხდარი „ქუჩური გარჩევისას", 18 წლის ბექა სუხიაშვილი მძიმედ დაჭრეს. ჭრილობა მას გულმკერდის არეში, დანით მიაყენეს. ბექა სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ექიმების თქმით, შემთხვევის ადგილთან ახლოს საავადმყოფო რომ არ ყოფილიყო, ბიჭს სიცოცხლეს ვერაფრით შეუნარჩუნებდნენ.

დაზარალებულს სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოები — გული, ფილტვი და აორტა დაუზიანდა. „აორტის დაზიანების შემთხვევაში, პაციენტის გადარჩენას შეიძლება, სასწაული ვუწოდოთ", — აღნიშნავენ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები. დაჭრილი იმავე დღეს, მე-9 საავადმყოფოდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ურთულესი ოპერაციის ჩასატარებლად გადაიყვანეს.

ამჟამად, ბექა სუხიაშვილი „ემერჯენსის" განყოფილებაში წევს. ექიმების თქმით, ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, მაგრამ პაციენტის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. დაჭრილი საავადმყოფოში პატრულის თანამშრომლებმა მიიყვანეს. თვითმხილველების თქმით, მათ ახალგაზრდების ჩხუბი შენიშნეს, მაგრამ დანის დარტყმის ფაქტი არ დაუფიქსირებიათ. ბოლოს შეამჩნიეს, რომ ერთ-ერთი მათგანი გულზე ხელს იკიდებდა და მერე, სისხლიც დააფიქსირეს...

დაჭრილის მამა — ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, დავით სუხიაშვილი სწორედ იმ საავადმყოფოში მუშაობს, სადაც დაზარალებული პირველად მიიყვანეს. იმ დღეს, ის მორიგე ექიმი გახლდათ. დავით სუხიაშვილმა მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა და როცა საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პაციენტი მიიღეს, მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, რომ ის მისი შვილი იყო. დაჭრილს რომ აორტა ჰქონდა დაზიანებული და მისი გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა, ეს ექიმებმა მაშინვე დააფიქსირეს. გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების შემდეგ, რესპუბლიკურ საავადმყოფოში შვილის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება დავით სუხიაშვილმა, თანამშრომლებთან ერთად მიიღო. რესპუბლიკური საავადმყოფოს „ემერჯენსის" განყოფილება ახალი გარემონტებული და უახლესი აპარატურით აღჭურვილი გახლავთ. *„2 ლიტრზე მეტი სისხლი დაკარგა. ურთულეს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. სისხლი სხეულში იყო ჩაღვრილი. ფილტვიც დაზიანებული ჰქონდა, რაც ექიმებმა ოპერაციის დროს დააფიქსირეს"*, — აღნიშნავს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი.

ირაკლი აბაშიძის №8-ში მომხდარ „გარჩევაში", თვითმხილველთა თქმით, დაახლოებით 15-17 ახალგაზრდა მონაწილეობდა. დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით სამართალდამცველები კომენტარს არ აკეთებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ დაკავებულია ურთიერთშელაპარაკების მონაწილე რამდენიმე პირი, ხოლო ის, თუ რის გამო მოხდა „საქმის გარჩევა", სწორედ მათი დაკითხვის შედეგად გაირკვევა. რაც შეეხება დაზარალებულის ოჯახის წევრებს, ისინი ამბობენ, რომ კონფლიქტის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათი თქმით, ბექა მშვიდი ადამიანი იყო და მსგავს გარჩევებში არასდროს მონაწილეობდა. შემთხვევის დღეს ის უნივერსიტეტში ეგულებოდათ და საიდან ან რატომ მოხვდა აბაშიძის ქუჩაზე, არ იციან.

ბექა სუხიაშვილი ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველ კურსზე სწავლობს. ■

CICI-BOX-ების ძურწებისთვის პროკურატურამ მოზარდის დაპატიმრება მოითხოვა

15 წლის მოზარდმა, რომელსაც მარტოხელა დედა უკიდურეს გაჭირვებაში ზრდის, დახლზე დაწყობილ იაფფასიან CICI-BOX-ებს ხელი დასტაცა და გაიქცა (ამ შემთხვევის შედეგად მიღებული ზარალი 9 ლარს შეადგენს). მას ჯერ გამყიდველი დაედევნა, შემდეგ — პოლიცია. საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, პროკურატურამ მოზარდისთვის პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. პროცესს დედაც ესწრებოდა, რომელმაც შვილის თავისუფლების სანაცვლოდ, სასამართლოს ბავშვზე მკაცრი მეთვალყურეობა და საგამოძიებო უწყებაში მისი დროულად წარდგენა აღუთქვა...

არასრულწლოვან მურაზ მახმუდოვს პროკურატურამ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით წაუყენა. მუხლი არაერთგზის ჩადენილ ქურდობას ითვალისწინებს. ბრალდების თანახმად, 2008 წლის 7 მაისს, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოზარდმა ერთ-ერთი სავაჭრო კონტეინერიდან 10-თეთრიანი საბავშვო-საკონდიტრო ნაწარმის მთელი ყუთი მოიპარა. პოლიციამ მურაზი მაშინ დაიჭირა, როცა ის დანაშაულის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ბიჭი განყოფილებაში მიიყვანეს და ჩვენებაც ჩამოართვეს. მურაზ მახმუდოვმა დანაშაული აღიარა და პატიება ითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე არასრულწლოვანს ეხებოდა, ზარალი კი მცირე მნიშვნელობის იყო, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა, აღკვეთის ღონისძიების სახით, მოზარდისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, ამის მოტივად კი დაასახელა ის, რომ მურაზი, იმავე სახის დანაშაულისთვის, წარსულშიც ნასამართლევი გახლდათ. მისი თქმით, პატიმრობა აუცილებელი იყო, რათა არასრულწლოვანს დანაშაულებრივი ქმედება მომავალშიც არ გაეგრძელებინა, გამოძიებისთვის თავი არ აერიდებინა და ჭეშმარიტების დადგენისთვის ხელი არ შეეშალა.

პროკურატურის ამ მოთხოვნას მოწინააღმდეგე მხარე აღშფოთებით და მწვავე რეაქციით შეხვდა. ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ გამომძიებლის შუამდგომლობის დაკმაყოფილება, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც საქმეში ფიქსირდება, წარმოუდგენელი და დაუშვებელია. დამცველმა სასამართლოს სთხოვა, მხედველობაში მიეღო ბრალდებულის როგორც ასაკი, ასევე მისი ოჯახური მდგომარეობა და პირობები. ადვოკატის თქმით, — ბრალდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს, ჰყავს დედა, რომელსაც მასზე მეთვალყურეობა შეუძლია. აქედან გამომდინარე, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების რაიმე სახის გამოყენება აუცილებლობას არ წარმოადგენს და უფრო მეტიც, ეს უსამართლობა იქნებოდა.

სხვათა შორის, პროკურატურის პოზიციას არც სასამართლო დაეთანხმა. გარდა იმისა, რომ საქმე მოზარდს ეხებოდა, მოსამართლემ დანაშაულის სიმძიმეც გაითვალისწინა და მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ ბრალდებულმა ჩადენილი ქმედება გულწრფელად მოინანია. ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა — არასრულწლოვანს მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა შეუფარდეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. სასამართლოს ასეთი პოზიცია ადვოკატებმა ერთ-ერთ უიშვიათეს შემთხვევად შეაფასეს, სასამართლოში კი ამბობენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მოსამართლეებს საკმაოდ ხშირად გამოაქვთ. ■

დანაშაულის შემკვეთი მსხვერპლის თანამშრომელი ქალი აღმოჩნდა

ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა და ცნობილი ბანკირის — არტურ კოკაევის მკვლელობის შემკვეთს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. განსასჯელი, კოკაევის ერთ-ერთი თანაშემწე — ფატიმა კასტუევა გახლდათ. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მკვლელობა 2006 წლის ზაფხულში მოხდა. განაჩენის მიხედვით, ბანკის მმართველის თანამდებობაზე კოკაევის დანიშვნამდე, კასტუევამ ბანკის კუთვნილი თანხა — 200 ათასი რუბლი მიითვისა. მას შემდეგ, რაც ბანკის საქმეებს ახალი ხელმძღვანელი გაეცნო, კასტუევა შეშინდა, რომ ის გაფლანგული ფულითაც დაინტერესდებოდა და ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, კოკაევის მკვლელობა ჩაიფიქრა — მიზნის მისაღწევად კილერი დაიქირავა. აღსანიშნავია, რომ კილერს, მითვისებულ ფულთან შედარებით, ორჯერ მეტ თანხას — 400 ათას რუბლს დაჰპირდა. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ დაქირავებულ პირს — გიორგი ალიბეკოვს ფატიმა კასტუევა წლების მანძილზე იცნობდა.

ალიბეკოვმა დანაშაულში თავისი მეგობრები — მარატ ცოგოევი და ზაურბეკ გუნასოვი ჩართო, მაგრამ მათ მკვლელობის განზრახვა არ გაუმხილა და მხოლოდ ის უთხრა, რომ „საქმე“ კოკაევის მოტაცებით და რამდენიმე დღით (თანხის გამოძალვამდე) მისთვის უკანონო თავისუფლების აღკვეთით ამოიწურებოდა. ადამიანის გატაცებისთვის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის, ზაურბეკ გუნასოვს სასამართლომ 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. რაც შეეხება ცოგოევს, მას მხოლოდ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. მკვლელობის უშუალო შემსრულებელი — ალიბეკოვი მილიციას გაექცა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს და შენობას, სადაც დამნაშავე ეგულებოდათ, ალყა შემოარტყეს, ხოლო შიგნით მყოფ ალიბეკოვს იარაღის დაყრა და გამოსვლა უბრძანეს. ალიბეკოვი მილიციის ბრძანებას არ დაემორჩილა — მან ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა... ■

ცნობილი დიჯეის საღისტური მკვლელობა გახსნილია

ყაზახეთის პოლიციამ ცნობილი დიჯეის — ალექსანდრ ლეგკოდიმოვის (მეტსახელად კურდღელი) მკვლელობა გახსნა. კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ქალაქ ალმა-ათაში, საკუთარ ბინაში ახალგაზრდა დიჯეის გვამი აღმოაჩინეს. ლეგკოდიმოვი თავისივე ფეხსაცმლის შესაკრავი თასმით იყო მომხრჩვალი. სამართალდამცველებმა ისიც დააფიქსირეს, რომ ბინაში შესასვლელი კარის საკეტი დაზიანებული არ გახლდათ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, დიჯეი მკვლელს იცნობდა და ის ბინაშიც თავად შეუშვა. შემთხვევის ადგილზე პოლიციელებმა ვერც ყაჩაღობის კვალი შენიშნეს — ნივთები ხელუხლებელი გახლდათ.

მკვლელობიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცველებმა ვინმე ასხატი დააკავეს. გაირკვა, რომ ის იმავე ღამის კლუბში მუშაობდა (მიმტანად), სადაც დიჯეი პერიოდულად, თავისი მუსიკალური ნომრებით გამოდიოდა. დაკავებულმა დანაშაული აღიარა და გამოძიებას დეტალური ჩვენებაც მისცა. მისი თქმით, მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე, დიჯეიმ მას 200 დოლარი ასესხა და რადგან ფული დროულად ვერ დაუბრუნა, ამის გამო, ერთხელ შელაპარაკებაც მოუხდათ, მაგრამ მაშინ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. შეთანხმდნენ და ვალის დაბრუნების ვადა გადასწიეს. ასხატმა ვერც ამ ვადაში შეძლო მევალის გასტუმრება. იმ ღამეს, მოსალაპარაკებლად მასთან, ბინაში მისვლა გადაწყვიტა. უნდოდა, კიდევ რამდენიმე კვირით გადავადება ეთხოვა. დიჯეიმ კარი გაუღო, შეიპატიჟა, მაგრამ მისი სტუმრობის მიზეზი რომ შეიტყო, ყვირილი და გინება ატეხა. შელაპარაკებისას ასხატმა თავი ვეღარ შეიკავა და დიჯეი სცემა, შემდეგ კი მოახრჩო. დანაშაულის მომენტში დამნაშავე ალკოჰოლური სასმლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებულის თქმით, ნასვამი რომ არ ყოფილიყო, თავს შეიკავებდა და მკვლელობას არ ჩაიდენდა. ■

კალიფორნიელი მანიაკი და 300 კატა

კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოში სამართალდამცველებმა უცნაური მანიაკი დააკავეს, რომლის ბინის ჩხრეკისას 300-ზე მეტი კატის გვამი აღმოაჩინეს. გვამები საშინლად იყო დაფატრული და დასახიჩრებული. როგორც ჩანს, მანიაკი კიდევ 30-ის მოკვლას გეგმავდა, მაგრამ ვერ მოასწრო. სასიკვდილოდ განწირული, გამომწყვდეული კატები პოლიციელებმა სათავსში იპოვეს... აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ინფორმაცია „ასოშიეიტედ პრესმა“ გაავრცელა. იმავე დღეს, მომხდარს ცხოველთა დაცვისა და მეთვალყურეობის სამსახურიც გამოეხმაურა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სიკვდილს გადარჩენილ კატებზე მზრუნველობა იკისრეს და ისინი დაწესებულებაში გადიყვანეს.

დაკავებული 47 წლის მაიკლ ლუის ფონდიურენი საკრამენტოში მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში, 81 წლის დედასთან ერთად ცხოვრობდა. სამართალდამცველებმა მანიაკს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით წაუყენეს: ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვას, ხოლო მეორე პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევას ეხება. რა მუხლს შეურჩევენ მანიაკს კატების მკვლელობასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ფონდიურენი ყველა ბრალდებას აღიარებს. ადასტურებს იმასაც, რომ გარკვეული დროის მანძილზე, კატების წამებით ერთობოდა. სამართალდამცველების თქმით, ფონდიურენის სახლში, კატების გვამებით სამი მაცივარი იყო სავსე. ■

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა არჩენს (ორგანიზმის გაწმენდით): ნაღვლის ბუშტის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავისა და სხვა დაავადებებს. იკურნება: დისბაქტერიოზი, ბუასილი, პროსტატიტი, სიმსუქნე. ქალბატონი ლამარა მალამოებით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, გამონაყარს, ფერიმჭამელებს, დაჩირქებას, ნაწოლებს (ყოველგვარი იარის გარეშე); აქრობს ნაოჭებს და 10 დღეში არჩენს ჰაიმორიტს, თმის ცვენას, სოკოვან დაავადებებს.

მის: კანდელაკის ქ. №65.
ტელ: 37-02-19; 899 16-10-82; 39-92-66 (ბინა)

მსოფლიოთმოვალური სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-20

ადოლფ ჰიტლერი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ამბობდა: *„...უახლოეს მომავალში ჩვენ მოვახდენთ იმ ტერიტორიების ოკუპაციას, სადაც სლავური მოსახლეობის ძალზე მაღალი პროცენტი სახლობს. მათ ასე მალე თავს ვერ დავაღწევთ. ჩვენ ვალდებული ვართ, ამოვხოცოთ მოსახლეობა, ეს შედის ჩვენს მისიაში — დავიცვათ გერმანელი მოსახლეობა. ჩვენ მოგვიწევს, განვავითაროთ მოსახლეობის ამოწყვეტის ტექნიკა. მხედველობაში მაქვს მთელი რასობრივი ერთეულების განადგურება... თუ მე გერმანული ნაციის საუკეთესო შვილებს ომის ქარცეცხლში ვგზავნი, ყოველგვარი სიბრალულის გარეშე ვღვრი ძვირფას გერმანულ სისხლს, მაშინ, უეჭველია, უფლება მაქვს, გავანადგურო დაბალი რასის მილიონობით წარმომადგენელი... ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ყველა დროში, ის იქნება, რომ პირი შევკრათ სლავური რასების განვითარების წინააღმდეგ. ყველა ცოცხალ არსებას ბუნებრივი ინსტინქტები უკარნახებს, რომ არა მარტო დაამარცხოს თავისი მტერი, არამედ გაანადგუროს კიდეც იგი“.*

ადამიანს სრულიად არ უნდა ესმოდეს, თუ რას წარმოადგენდა დიდი სამამულო ომი (ან თავი მოაჩვენოს სხვას, თითქოს არ ესმის), რომ მიუღებლად მიიჩნიოს ის მკაცრი, ზოგ შემთხვევაში კი მართლაც, დაუნდობელი ზომები, რომელთა მიღებაც უწევდა საბჭოთა სარდლობას, ფრონტზე არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, განსაკუთრებით, 1941-1942 წლების ექსტრემალურ პირობებში.

ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელია: დიდი დანაკლისი დიდ სამამულო ომში გარდაუვალი იყო. მაგრამ საბჭოთა არმიის, მისი სარდლობის, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიაში ამ თემას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. პროპაგანდა მკაცრად განსაზღვრული მიმართულებით ხორციელდება — ყოველი ღონე იხმარონ საიმისოდ, რათა გაიზარდოს არმიისა და სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლის რაოდენობა. ასეთი ავტორების მიერ მოტანილ მონაცემებში სრული ბაკქანალია სუფევს. რამდენი ავტორიცაა, იმდენივე რაოდენობის ციფრია. საერთო მხოლოდ ერთი რამაა — საბჭოთა კავშირის მიერ განცდილი დანაკარგების უსაზღვროდ გაბერვა.

საქმე სრულ აბსურდამდე მიდის — თითქოს საბჭოთა არმიის მსხვერპლმა 10-ჯერ და მეტჯერაც კი გადააჭარბა ფაშისტური ჯარების დანაკარგებს. არადა, ასეთი დანაკარგებისთვის ქვეყნის მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობაც კი არ იკმარებდა.

ომის პირველსავე დღეებიდან კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც ფრონტის ინტერესებს ექვემდებარებოდა და საბჭოთა კავშირის ზურგს განამტკიცებდა.

პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, სტალინმა ვეებერთელა შრომა გასწია საბჭოთა ეკონომიკის მართვის რეორგანიზაციის განსახორციელებლად, სამხედრო ყაიდაზე მის გადასაყვანად.

ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, მთავრობამ მიიღო საომარი დროის პირველი გეგმა — „სამობილიზაციო სახალხო-სამეურნეო გეგმა“ 1941 წლის მესამე კვარტალისთვის, რომელსაც სოციალისტური ეკონომიკა სამხედრო ეკონომიკის ლიანდაგზე უნდა გადაეყვანა.

1941 წლის ივლისის შუა ხანებში ბელადმა შეიარაღების სახალხო კომისარს — უსტინოვს მოსთხოვა, სასწრაფოდ დაეწყოთ ვოლგისპირეთში დუბლიორი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 20-მილიმეტრიან საავიაციო ქვემეხებს დაამზადებდა. მშენებლობა მალე გაიშალა და თვენახევრის შემდეგ დავალება უკვე შესრულებული იყო. მარშალი უსტინოვი იგონებდა: *„მე არაერთხელ მომიხდა, მომეხსენებინა სტალინისთვის პროდუქციის გამოშვების გრაფიკის შესრულების შესახებ. გრაფიკის დარღვევაზე ის ზოგჯერ საკმაოდ მკაცრად რეაგირებდა. როცა, მაგალითად, ურალის ერთ-ერთმა ქარხანამ იარაღის გამოშვების შეკვეთა ვერ შეასრულა, ბელადმა მაშინვე გაუგზავნა დეპეშა ქარხნის დირექტორსა და პარტიული ორგანიზაციის მდივანს, უმკაცრესად გააფრთხილა ისინი და პასუხისმგებლობის სიმძიმე შეახსენა. ამ დეპეშამ მთელი ქარხანა შეაფუცხუნა და გრაფიკის დარღვევები შემდგომში აღარ ყოფილა“.*

იმაზე, თუ როგორ ან რა ვითარებაში ვლინდებოდა სტალინის მკაცრი მომთხოვნელობა ომის წლებში, ნათელ წარმოდგენას ქმნის ბაიბაკოვის მიერ მოთხრობილი ერთი ეპიზოდი. ბაიბაკოვი მაშინ, ნავთობმრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე იყო.

„ივლისის ერთ-ერთ ცხელ დღეს (1942 წელს) სტალინმა კრემლში გამომიძახა. ხელი ჩამომართვა, მშვიდად შემომხედა და არცთუ ხმამაღლა, სავსებით ჩვეულებრივად მომმართა:

— ამხანაგო ბაიბაკოვ. ჰიტლერი კავკასიისკენ მიიწევს. მან გამოაცხადა, რომ თუ კავკასიის ნავთობს არ იგდებს ხელთ, ომს წააგებს. ჰოდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა გერმანელებს არც ერთი წვეთი ნავთობი არ ერგოთ.

შემდეგ სტალინს ტონი ოდნავ გაუმკაცრდა:

— მხედველობაში იქონიეთ: თუ გერმანელებს ერთ ტონა ნავთობს მაინც დაუტოვებთ, დახვრეტას ვერ ასცდებით.

დღემდე მახსოვს ეს ხმა — მართალია, მშვიდი, მაგრამ უკიდურესად მომთხოვნი. მისი ოდნავ ყრუ ტემბრი,

პოსკრებიშევმა მიპასუხა და შემდეგ მითხრა: — ახლა ამხანაგი სტალინი დაგელაპარაკებათ

...სტალინს კიდევ არაერთხელ დაურეკავს ჩვენს ქარხანაში. ერთხელ მან მკითხა — რა აფერხებს ძრავების გამოშვებასო?

ძლიერი კავკასიური აქცენტი დღესაც ყურებში ჩამესმის.

სტალინმა მაგიდის გასწვრივ აუჩქარებლად გაიარ-გამოიარა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ ალაპარაკდა:

— მაგრამ თუ თქვენ საბადოებს დროზე ადრე გაანადგურებთ, ე.ი. გერმანელები მას ხელთ ვერ იგდებენ, მაგრამ ჩვენც საწვავის გარეშე დავრჩებით, დახვრეტას მაინც ვერ ასცდებით.

იმ დროს, ფაქტობრივად, თითქმის გამეორდა ის, რაც 1941 წლის ზაფხულში ხდებოდა, უდავოა — სხვაგვარად ლაპარაკი შეუძლებელიც კი იყო... მე ვდუმდი, ვფიქრობდი და როცა გამბედაობა მოვიკრიბე, წყნარად ვთქვი:

— მაგრამ თქვენ არჩევანს არ მიტოვებთ, ამხანაგო სტალინ.

სტალინი ჩემ გვერდით გაჩერდა, ნელა ასწია ხელი და მსუბუქად მიიკაკუნა საფეთქელზე:

— არჩევანი აქ არის, ამხანაგო ბაიბაკოვ: სასწრაფოდ გაფრინდით და ბუდიონისთან ერთად იფიქრეთ გამოსავალზე, ადგილზე გადაწყვიტეთ საკითხი.

აი, ასე, მაღალი მამობრივი რჩევადარიგებით დამნიშნეს ნავთობჭაბურღილებისა და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების განადგურების საქმეში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებულად კავკასიის რეგიონში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბაქოშიც.

რასაკვირველია, თავში აზრადაც არ მომსვლია, გავნაწყენებულიყავი სტალინზე მის მიერ წამოყენებული პირობების გამო, მისი სიმკაცრის გამო, იმის გამო, რომ არანაირ არჩევანს არ მიტოვებდა. მით უმეტეს, გამორიცხული იყო, ყოველივე ეს შემეფასებინა, როგორც სისასტიკე და დაუნდობლობა. ლაპარაკი ხომ უდიდეს სამხედრო პასუხისმგებლობაზე, შესაძლებელი შეცდომის უმძიმეს საზღაურზე იყო! ომის პერიოდი სასტიკია, იმიტომ, რომ ქვეყნის, ხალხის ბედი წყდება. როგორ შეიძლება, ასეთ დროს საკუთარი თავით არ აგო პასუხი უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმეზე?!. არა, უყოყმანოდ უნდა დადო საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს გადარჩენის სამსხვერპლოზე“.

სტალინის ბრძანება შესრულდა. ფაშისტები ჩრდილოეთ კავკასიის დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებულ ნავთობს ვერ დაეპატრონნენ. თითქმის ნახევარწლიანი ოკუპაციის განმავლობაში მათ ვერ შეძლეს, აღედგინათ ნავთობის ერთი ჭაბურღილი მაინც.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ომამდე, სტალინის ინიციატივით, ქვეყნის აღმოსავლეთით მეორე სამრეწველო ბაზა იქმნებოდა. ეს შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება გახლდათ, რომლის ჭეშმარიტი მნიშვნელობაც სამამულო ომის პირველსავე თვეებში შეფასდა, როცა იძულებული ვიყავით, მოგვეხდინა სამრეწველო საწარმოების ერთდროული მასობრივი ევაკუაცია — უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ბალტიისპირეთიდან, მოლდავეთიდან, ყირიმიდან, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის, მოგვიანებით კი — ცენტრალური სამრეწველო რაიონებიდან. ასეთი ბაზის არსებობამ ევაკუირებული საწარმოების ამოქმედება დააჩქარა.

დასავლეთიდან სამრეწველო საწარმოთა გადაადგილება ბელადის მუდმივი ყურადღების არეში იმყოფებოდა. ის ხშირად, პირადად ურეკავდა ქარხნების დირექტორებს, პარტორგანიზაციების მდივნებს და ითხოვდა, გაეზარდათ თვითმფრინავების, ტანკების, ძრავების წარმოების მოცულობა. ერთ-ერთი საავიაციო ქარხნის დირექტორი კომაროვი იგონებს:

„საამწყობო საამქროში ვიმყოფებოდი, როდესაც დისპეტჩერმა მაცნობა, რომ სასწრაფოდ უნდა დამერეკა პოსკრებიშევთან (სტალინის მდივანი. — რედ.). კაბინეტში შესულმა, ჩემთვის გადმოცემული ტელეფონის ნომერი ავკრიბე. პოსკრებიშევმა მიპასუხა და შემდეგ მითხრა:

— ახლა ამხანაგი სტალინი დაგელაპარაკებათ. ტელეფონთან დამელოდეთ, ახლავე მოვახსენებ.

თუმცა მზად ვიყავი ბელადთან სასაუბროდ, მაგრამ სტალინის ხმის გაგონება მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის...

— გამარჯობა, ამხანაგო კომაროვ, — თქვა სტალინმა. — შეგიძლიათ თუ არა, უახლოეს ხანში, თუნდაც ერთი ძრავათი გაზარდოთ სადღეღამისო წარმოება?

ვუპასუხე:

— ვეჭვობ, უფრო მეტიც — ვფიქრობ, ეს შეუძლებელია.

— კარგად მოიფიქრეთ. ამის მიღწევა ძალიან საჭიროა. ილუშინის მოიერიშე თვითმფრინავები ფრონტს ძალზე სჭირდება.

...სტალინს კიდევ არაერთხელ დაურეკავს ჩვენს ქარხანაში. ერთხელ მან მკითხა — რა აფერხებს ძრავების გამოშვებასო?

— ქვიშა, — ვუპასუხე.

— რა ქვიშა? — გაუკვირდა სტალინს.

— ქარხანაზე მხოლოდ ორი დღის მარაგი დარჩა იმ ქვიშისა, რომელიც ყალიბების დასამზადებლად გვჭირდება. ამის გამო, შესაძლოა, წარმოება გაჩერდეს.

— რატომ არავის მიმართეთ?

— მივმართეთ, მაგრამ გვპასუხობენ — ქვიშის შემოსატანად ვაგონები არ გვყოფნისო.

— ქვიშა იქნება, — თქვა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

მომდევნო დღის ბოლოსთვის ქარხანაში ქვიშის ეშელონი შემოვიდა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარდაიცვალა ნარკოტიკ LSD-ს შემქმნელი

ახლახან, ქალაქ ბაზელში, საკუთარ სახლში, 102 წლის ასაკში გარდაიცვალა ნარკოტიკ LSD-ს შემქმნელი შვეიცარიელი მეცნიერი — ალბერტ ჰოფმანი. მისი ერთ-ერთი კოლეგის, რიკ დობლინის თქმით, სიკვდილი გულის შეტევამ გამოიწვია.

ალბერტ ჰოფმანი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის, მათ შორის, „LSD — ჩემი რთული ბავშვის“ ავტორია. გასულ წელს, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, შვეიცარიელმა ქიმიკოსმა იმ მომენტისთვის ცოცხალ ას გენიოსს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

პარაზიტი სოკო სპორინიის ალკალოიდების ცენტრალური კომპონენტის — ლიზერგინის მჟავას კვლევამ მეცნიერი LSD-25-ის სინთეზამდე და LSD-ს შემდგომი ფსიქოლოგიური ეფექტის აღმოჩენამდე მიიყვანა.

LSD ფსიქოაქტიური საშუალებაა, რომელიც ჰალუცინაციებს, დროისა და სივრცის დამახინჯებულ აღქმას და აგრეთვე, ინტენსიურობით ფსიქოზთან მიახლოებულ ემოციურ დარღვევებს იწვევს.

გლობალური დათბობა პირველად ქალებს იმსხვერპლებს

დამანგრეველმა ციკლონმა, რომელმაც ახლახან მიანიმს გადაუარა და ადამიანთა არნახული რაოდენობის (გადაუმოწმებელი მონაცემებით — მილიონების) დაღუპვის მიზეზი გახდა, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული მეცნიერული დისკუსიები კვლავ გააქტიურა. საერთაშორისო ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ესოდენ მძლავრი სტიქიური უბედურების პირველ მიზეზს ე.წ. სათბურის ეფექტი და დედამიწის კლიმატზე მისი დამღუპველი ზემოქმედება წარმოდგენს.

გლობალური დათბობის აპოკალიფსურ თეორიაში საკუთარი წვლილის შემტანი კენიელი მეცნიერი ქალის, ნობელის პრემიის ლაურეატ ვანგარი მაატაის აზრით, კლიმატური ცვლილებების შედეგად პირველად მშვენიერი სქესის წარმომადგენლები გადაშენდებიან და გარკვეული დროის მანძილზე, მამაკაცები მარტონი დარჩებიან. საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად, მაატაი ქალური ცნობიერების იმ არქეტიპებს აანალიზებს, რომელსაც ოჯახური კერა, სახლი და მიჩვეული ადგილი განსაკუთრებული ფასეულობის რანგში აჰყავს. იმის გამო, რომ გლობალური დათბობის ბოლო ეტაპზე რესურსებისთვის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყება, სუსტი სქესის წარმომადგენლები კი ახალი საცხოვრებლისა და საკვების საძიებლად მომთაბარეობას არ ისურვებენ, შეიძლება, ჰუმანიტარული კატასტროფა დაიწყოს.

ძლიერი სქესის წარმომადგენლები მობილურობით გამოირჩევიან; ეს კი მათ არასახარბიელო გარემოებებისას საცხოვრებელი ადგილის შეცვლაში, ახალი ტერიტორიების ათვისებაში, უკეთესი პირობების ძებნისას კი დიდი მანძილის გავლასა და თვით სხვა ქვეყანაში სამუდამოდ გადასახლებაში ეხმარება. მათი ცხოვრების თანამგზავრი სუსტი სქესის წარმომადგენლები კი რომლებსაც კერიის შემნახველის პროგრამა გენეტიკურ დონეზე აქვთ ჩანერგილი, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას სიკვდილს ამჯობინებენ.

გარდა ამისა, კენიელი მეცნიერის თქმით, ქალები მამაკაცებზე მეტად არიან დამოკიდებულნი გარემო პირობებზე — ჰაერზე, წყალზე, მიწასა და მცენარეებზე. მაატაის აზრით, გლობალური დათბობა, პირველ რიგში, განვითარებად ქვეყნებში (სადაც დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს) მცხოვრებ ქალებს დაღუპავს.

არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ გლობალური დათბობის შედეგები სამხედრო შეტაკებებისა და პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზი უკვე ხდება. კერძოდ, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოდი უილიამსი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილება დედამიწის უსაფრთხოებას ემუქრება, უფრო კონკრეტულად კი, სწორედ ამის გამო მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწების დაკარიელება, რასაც თან სუდანის დარფურში კონფლიქტიც მოჰყვა.

რუსებმა ჩინელები საუკეთესო მეგობრებად აღიარეს

ახლახან, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა მოქალაქეების გამოკითხვის (რომელ ქვეყნებს მიიჩნევენ ისინი რუსეთის მეგობრებად და რომლებს — არა?) შედეგები გამოაქვეყნა. ცენტრის თანამშრომლების მიერ დასმულ შეკითხვებს 153 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებმა, 1,6 ათასმა ადამიანმა უპასუხა. გაირკვა, რომ რუსეთს ყველაზე კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩინეთთან აქვს — ასე გადაწყვიტა გამოკითხულთა 23%-მა, ოდნავ ნაკლებმა კი დაასკვნა, რომ მათი ქვეყნის საუკეთესო მეგობრები გერმანია (17%) და ბელორუსია (14%) არიან. რაც შეეხება ყაზახეთს, აშშ-ს, ინდოეთსა და საფრანგეთს, მათ რუსეთის მეგობართა რიგებში ბევრად იშვიათად ასახელებენ. ამ სახელმწიფოებს საკუთარი ხმა გამოკითხულთა 6-9%-მა მისცა. რუსეთის მოქალაქეებს შორის კიდევ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნები, რომლებსაც მეგობრულად განწყობილად რესპონდენტთა მხოლოდ 4% მიიჩნევს. ირკვევა, რომ რუსეთის მოქალაქეებს ევროპა ნაკლებად იზიდავს და არც იქ ცხოვრება ხიბლავს.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ გამოკითხულებმა ქვეყნის აშკარა მტრები დაუფარავად დაასახელეს. კერძოდ, რუსეთის მოქალაქეებმა იმ სახელმწიფოების რიცხვში, რომლებთანაც რუსეთს ყველაზე უფრო დაძაბული ურთიერთობა აქვს, საქართველო (25%) და უკრაინა (21%) დაასახელეს. ასევე, რუსეთის მოწინააღმდეგეებად აღიარეს დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, კერძოდ — ესტონეთი (5-8%).

ალბათ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცენტრის მიერ ერთი წლის წინ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობას რუსეთისა და უკრაინის ერთიან სახელმწიფოდ ხილვა სურდა, დღეს კი ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესებას რუსი პოლიტიკოსებიცა და უბრალო მოქალაქეებიც ერთნაირად აღიარებენ. თუმცა, მათივე თქმით, ფაქტია, რომ უკრაინასა და რუსეთს კვლავაც ბევრი საერთო აქვთ და დღევანდელი უთანხმოების მიუხედავად, მათი გაერთიანება მაინც შესაძლებელია.

მოძმე სლავური სახელმწიფოების შერწყმის ყველაზე თავგადაკლული მომხრეები უფროსი თაობის წარმომადგენლები — 60 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეები არიან. ამ კატეგორიის გამოკითხულთა 63%-მა (რომელთა უმეტესობას საშუალოზე დაბალი განათლება აქვს), წარმოსახვითი რეფერენდუმის კითხვას დადებითად უპასუხა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა მეორე სოციალური ჯგუფი — მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანები — რუსულ-უკრაინული ალიანსის კატეგორიული წინააღმდეგია. კერძოდ, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, ამ კატეგორიაში შემავალ გამოკითხულთა 44%-ზე მეტი ჰიპოთეზური რეფერენდუმის შეკითხვას უთუოდ უარყოფითად უპასუხებდა.

„მის ბიკინი საქართველო 2008“

ფოტომოდელების და მანეკენების სტუდია

„ფავორიტი“

იწვევს 17-24 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს სილამაზის კონკურსში: „მის ბიკინი საქართველო 2008“ მონაწილეობის მისაღებად.

გამარჯვებული ორი გოგონა გაემგზავრება სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე: „მის ბიკინი მსოფლიო“ და „მის დედამიწა“.

საკონტაქტო ტელეფონი:
893 955 622

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს რეალითი შოუში მონაწილეობა შესთავაზეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნს ახალგაზრდულ ტელეშოუში მონაწილეობა შესთავაზეს, რომელიც მალე ტელეარხ BBC One-ის ეთერში გავა. ამ შეთავაზების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ჟურნალისტებმა მუნიციპალური სამმართველოს მინისტრის, ჰეიზელ ბლერზის ხელში დოკუმენტები დააფიქსირეს და მას ფოტოსურათები გადაუღეს. მოგვიანებით, ეს ფოტოები გაადიდეს და ამის წყალობით, პროგრამის პროდიუსერსა და ბლერზის თანაშემწეთა შორის ელექტრონული მიმოწერის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. ამ მიმოწერაში ახალ სატელევიზიო შოუში გორდონ ბრაუნის მონაწილეობის შესაძლებლობა განიხილება. ახალგაზრდული პროგრამა, რომლის სამუშაო დასახელებაა — „ახალგაზრდა პრემიერი“, ჯერჯერობით მომზადების სტადიაშია. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ იგი პოპულარულ რეალითი შოუს წააგავს, რომელსაც ჩვენი მაყურებელი „კანდიდატის“ სახელით იცნობს. ამბიციურ სატელევიზიო შოუში ბრიტანელი მოზარდები მომავალი პოლიტიკური კარიერისთვის მოემზადებიან, ხოლო გორდონ ბრაუნს მსაჯის რანგში მონაწილეობას სთავაზობენ. ერთ-ერთ წერილში არხის მესვეურნი პრემიერ-მინისტრს მიანიშნებენ, რომ ტელეშოუში მონაწილეობა ახალგაზრდებს შორის პოპულარობის მოხვეჭაში წაადგებოდა! მინისტრ ბლერზის განცხადებით, ჯერჯერობით, ტელეშოუში მონაწილეობის შესახებ შეთანხმება მიღწეული არ არის, მაგრამ მანვე დაადასტურა, რომ პროდიუსერებთან მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

საფეხბურთო ჟურნალებს შორის, „ათიანი“ ერთადერთი გამოცემაა, რომელმაც ქართულ ბაზარზე დამკვიდრება შეძლო. იგი 1986 წლიდან გამოდის და პოპულარობა როგორც საინტერესო მასალებით, ასევე მაღალი პოლიგრაფიული დონით მოიხვეჭა.

ამიერიდან, ჟურნალის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ვინაიდან „ათიანი“ საქართველოში ყველაზე წარმატებულ მედიასახლს — „კვირის პალიტრას“ შეუერთდა.

«ათიანის» ახალი ხანა — «კვირის პალიტრასთან» ერთად

ლაშა თაბაგარი

ახალი გაერთიანების პრეზენტაცია კაფე „მსოფლიო სპორტში“ შედგა და თანამშრომლობის მემორანდუმიც იქვე გაფორმდა.

ჟურნალ „ათიანის“ მხრიდან, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ძმებმა — ლევან და ნიკა ყიფიანებმა, რომლებიც ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, გია გორგოძესთან ერთად, „ათიანის“ დამფუძნებლები არიან, ხოლო „კვირის პალიტრიდან“ — მედიასახლის პრეზიდენტმა ირაკლი თევდორაშვილმა.

ნიკა ყიფიანი:

— დღეს ჩვენთვის ისტორიული დღეა. მედიასახლ „კვირის პალიტრას“ კარგი საგოლე პასი მივეცით, რათა მან იგი გამოიყენოს და ლამაზი გოლი გაიტანოს. „ათიანი“ წმინდა სპორტული ჟურნალია. ჩვენ გვჭირდება რწმენა, რათა გავაკეთოთ კარგი საქმეები. ვამაყობთ ამ თანამშრომლობით და იმედი გვაქვს, ჩვენი ჟურნალი კიდევ უფრო პოპულარული გახდება.

ლევან ყიფიანი:

— პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ურთიერთობა „კვირის პალიტრასთან“. ჩვენი გაერთიანება იმისკენ იყო მიმართული, რომ „ათიანი“ კიდევ უფრო წარმატებული გამხდარიყო. დარწმუნებული ვარ, ამ ჟურნალს დიდი მომავალი აქვს. სიმბოლურია, რომ „კვირის პალიტრის“ დამფუძნებლები ძმები არიან და ჟურნალ „ათიანის“ დამფუძნებლებიც ძმები ვართ. ვიმედოვნებ, ჩვენ კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ერთად.

გია გორგოძე:

— ეს ჟურნალი ჩემთვის შვილივითაა, ნებისმიერ მშობელს კი უნდა, რომ შვილი წესიერ ოჯახში შევიდეს. მედიასახლ „კვირის პალიტრაზე“ არჩევანიც სწორედ ამიტომ შევაჩერეთ. ეს ის ჰოლდინგია, რომელმაც გაზეთი „კვირის პალიტრა“ გამოსცა და რომლის რედაქტორი ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი იყო. ჟურნალის სახელი არ შეიცვლება, შეიცვლება მხოლოდ ლოგო. უცვლელი რჩება კოლექტივი და მთავარი რედაქტორი. სამაგიეროდ, ჟურნალი უფრო გამრავალფეროვნდება და გაიზრდება კიდეც. თუ ადრე იგი მხოლოდ ფეხბურთს ეთმობოდა, ახლა გადავწყვიტეთ, მასში მთელი ქართული სპორტი მიმოვიხილოთ. მაგრამ რადგან ევროპის ჩემპიონატია, ჟურნალის ამ თვის ნომერი წმინდა საფეხბურთო იქნება.

პრეზენტაციას ესწრებოდა რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გია ნიჟარაძე**, *რომელმაც ჟურნალ „ათიანთან“ თანამშრომლობაზე ისაუბრა:*

— დავით ყიფიანი ჩემთვის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი იყო. მინდა, მადლობა ვუთხრა მის შვილებსა და გია გორგოძეს ასეთი ჟურნალის შექმნისთვის; ასევე — მედიასახლ „კვირის პალიტრას“, რომელმაც ამ ჟურნალთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. ვფიქრობ, რაგბის კავშირი „ათიანთან“ ითანამშრომლებს და ჩვენი ურთიერთობა საკმაოდ დიდხანს გასტანს.

მედიასახლ „კვირის პალიტრის“ კრეატიულმა მენეჯერმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ გვამცნო, რომ ჟურნალი ყოველი თვის დასაწყისში გამოვა, მას გვერდები დაემატება და უფრო საინტერესო გახდება.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ვეტერანი ფეხბურთელები: ოთარ გაბელია, არჩილ არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული; ასევე — გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი, მედიასახლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაზა ბუაძე, ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ხელბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები და ჟურნალისტები. ■

„საბავშვო ჯარუსელის“ პატარა მეგობრები

ნინი გარდიაშვილი

საქართველოს ყველა სკოლაში 16 მაისს პირველკლასელთათვის მიმდინარე სასწავლო წლის ბოლო ზარი დაირეკა. საგანგებოდ ამ დღისთვის თბილისის №1 საჯარო სკოლის I-IV კლასებმა მხიარული პაექრობა მოაწყო სახელწოდებით — „ჩვენ ვმეგობრობთ „საბავშო კარუსელთან“. პატარების ოთხი გუნდი — „მზე,“ „ვარსკვლავი“, „ცისარტყელა“ და „მეგობრობა“ — ერთმანეთს სხვადასხვაგვარ თამაშში შეეჯიბრა: მათემატიკური მაგალითებისა და სკანვორდების ამოხსნაში, ნახატების გაფერადებაში, სიმღერაში... თამაშს დამარცხებული გუნდი არ გამოუვლენია — ყველა მონაწილემ მიიღო სიგელი სხვადასხვა ნომინაციაში.

№1 საჯარო სკოლის დირექტორის, ლელა წიქარიშვილისა და კლასის დამრიგებლის, თამარ ჩხარტიშვილის თქმით, ბავშვები სიხარულით ელიან კვირის იმ დღეს, როდესაც „საბავშო კარუსელის“ კლასგარეშე გაკვეთილი აქვთ. პატარები „კარუსელის“ რედაქციამაც დაასაჩუქრა. ■

მონტგომერი ციხეში აღმოჩნდა

ამერიკელ სპრინტერ ტიმ მონტგომერს, „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებულ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდებით, 46 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (სწორედ ასეთივე ბრალდებით გაასამართლეს მისი ყოფილი მეგობარი, მძლეოსანი მერიონ ჯონსი). მას შემდეგ, რაც სპორტსმენი ჰეროინის შენახვასა და გასაღების მცდელობაში ამხილეს, მონტგომერი აშშ-ის ფედერალური ბიუროს წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. შეგახსენებთ, 2005 წელს, 100 მ დისტანციაზე სირბილში რეკორდსმენი შეჯიბრებებიდან მას შემდეგ მოკვეთეს, რაც აკრძალული სამედიცინო პრეპარატების მიღება დაუმტკიცდა, გასულ წელს კი სისხლის სამართლის სამი მუხლი წაუყენეს, რომელთაგან ორი ფულად მაქინაციებს ეხებოდა. ■

გულუხვი საჩუქარი

ინგლისური კლუბის „ბირმინგემის“ ფეხბურთელმა ოლივიე კაპომ მისი ფეხსაცმელების მომვლელ ჯეიმს მაკპაიკს 30.000 გირვანქა სტერლინგად ღირებული „მერსედესის“ მარკის ავტომობილი აჩუქა და მანქანის დაზღვევის თანხის გადახდაც იკისრა, რადგან მაკპაიკს ამ თანხის გადახდა არ შეეძლო. ფეხსაცმელების მწმენდავი 2007-2008 წლების სეზონის განმავლობაში კაპოს სპორტულ ფეხსაცმელებს უვლიდა და აწესრიგებდა. ტრადიციის თანახმად, სეზონის ბოლოს ფეხბურთელები ფეხსაცმლის მწმენდავებს ბუცებს უძღვნიან, მაგრამ იღბლიანმა ჯეიმს მაკპაიკმა საჩუქრად „მერსედესი“ მიიღო. „ბირმინგემის“ ნახევარმცველს „მერსედესის“ გარდა „პორშესა“ და „ჰამერის“ ფირმის ავტომობილებიც აქვს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეს საქციელი კაპოს ხელგაშლილობის შესანიშნავი მაგალითია. როდესაც ეს ამბავი შეიტყო, მწვრთნელმა ფეხბურთელს ხუმრობით ჰკითხა, თუ რას უპირებდა იტალიაში მდებარე სახლს, რომელიც კაპომ „იუვენტუსში“ თამაშის დროს შეიძინა.

28 წლის ფრანგმა ფეხბურთელმა ოლივიე კაპომ სპორტული კარიერა „ოსერში“ დაიწყო. 2004-07 წლებში „იუვენტუსში“ თამაშობდა, მაგრამ მოედანზე იშვიათად გადიოდა. „იუვენტუსმა“ კაპო იჯარით გაასხვისა და ფეხბურთელმა 2005/6 წლების სეზონი საფრანგეთის „მონაკოში“ გაატარა, 2006/7 წ.წ. სეზონში კი ესპანეთის „ლევანტეში“ თამაშობდა. 2007 წელს კაპოს კონტრაქტი „ბირმინგემმა“ 3 მილიონ გირვანქა სტერლინგად გამოისყიდა. გასულ სეზონში გუნდი ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდა. 2004-2006 წლებში ოლივიე კაპომ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 9 მატჩი ითამაშა. ■

რონალდოს დამცველი გამოუჩნდა

პოპულარული ბრაზილიელი მომღერალი — კაეტანო ველოსო რონალდოს მხარდასაჭერად გამოვიდა. მან განაცხადა, რომ რიოს ერთ-ერთ სასტუმროში ყოფნისას, სამი ტრანსვესტიტის კომპანიაში შემჩნეულ „კიჭას“ თავის მართლება არ სჭირდება. შეგახსენებთ, ეს ინციდენტი ამ ცოტა ხნის წინ მოხდა და ამან ბრაზილიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „რონალდო ვალდებული არაა, ვინმეს წინაშე ბოდიში მოიხადოს. ვფიქრობ, მის საქმეში ცხვირი არავინ უნდა ჩაყოს, — განაცხადა ველოსომ. — რონალდო პოეტია! ფეხბურთი, რომლის დემონსტრირებასაც ის ახდენს, ნამდვილი პოეზიაა და ამისთვის პატივისცემას იმსახურებს“. ამ ინციდენტის შემდეგ ფეხბურთელი გამოტყდა, რომ ტრანსვესტიტები მის დაშანტაჟებას ცდილობდნენ. რონიმ განაცხადა: „ვწუხვარ, რომ ამგვარი სისულელე ჩავიდინე და რეპუტაცია შევილახე“. ■

ლაგოსტერა ვივესი გაშიშვლდა

რუსეთის ჩოგბურთელთა ეროვნულ გუნდს ესპანეთის ნაკრები ფედერაციის თასის ფინალში, მიმდინარე წლის სექტემბერში დაუპირისპირდება, მანამდე კი სპორტსმენები თავისუფალ დროს აქტიურად იყენებენ. მაგალითად, ნურია ლაგოსტერა ვივესმა ჟურნალისთვის, — Interviu — ეროტიკული ფოტოები გადაიღო. „ფოტოები მართლაც, მშვენიერი გამოვიდა. ალბათ, მე ისეთი ლამაზი და მაღალი არ ვარ, როგორებიც რუსი ჩოგბურთელები არიან, მაგრამ თავისებური შარმი მეც მაქვს. შეიძლება, ასეთი ნაბიჯი რომ გადავდგი, უფრო მეტი პატივისცემა დავიმსახურო“, — ამბობს ვივესი. შეკითხვაზე, — „შეძლებთ თუ არა ფინალში რუსი ჩოგბურთელების დამარცხებას?“ — ნურია ლაგოსტერა ვივესმა უპასუხა: „მართალია, ჩვენს საყვარელ საფარზე ვითამაშებთ, მაგრამ თვით ამ მოედანზეც კი, ეს ძალიან რთული ამოცანაა. რუსებს სუპერგუნდი ჰყავთ, რომლის წარმომადგენელი ხუთი ჩოგანი საუკეთესო ათეულში შედის. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მათ გამარჯვების ჩვენებური ჟინი არ აქვთ“. ■

ვიქტორია არ დაფეხმძიმებულა

ვიქტორია ბექჰემმა თავისი ფეხმძიმობის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო. მომღერალმა განაცხადა, რომ ამჟამად თავის სამ ვაჟიშვილზე, — ბრუკლინზე, რომეოსა და კრუზზე, — სურს ყურადღების კონცენტრირება და მეოთხე შვილის გაჩენაზე არ ფიქრობს. ვიქტორიას ფეხმძიმობის შესახებ ხმა პირველად აპრილში გავრცელდა. ამის საფუძვლად ის იქცა, რომ მაშინ, თავის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე, ადამსს ალკოჰოლი საერთოდ არ მიუღია. ფეხმძიმობის შესახებ ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, დევიდის მიერ ოჯახის გაფართოების შესახებ ნათქვამმა სიტყვებმა. „მომისმინეთ, მე არ ვარ ფეხმძიმედ! შეიძლება, მეოთხე შვილზე გვეფიქრა, მაგრამ ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ პატარები არიან. კრუზი სულ რაღაც, სამი წლისაა. მე და დევიდს გვსურს, მათ მეტი დრო დავუთმოთ“, — განაცხადა ვიქტორიამ. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვა“

ქ. თბილისი
თოსტების ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

„ფისკერის“ სიახლე

ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია Fisker Coachbuild კალიფორნიაში სედანის, — Karma, — გამოცდას შეუდგა, რომელიც ჰიბრიდული მოტორითაა აღჭურვილი. უკანაამძრავიანი Fisker Karma ელძრავას მეშვეობით მოძრაობს. კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ავტომობილს 80 კმ მანძილის გავლა შეუძლია, რაც მათი თქმით, ქალაქში სამოძრაოდ სრულიად საკმარისია. ბატარეების დატენა ბენზინის ძრავას საშუალებით იქნება შესაძლებელი. ეს არის კომპანიის, — Volkswagen, — 1,4-ლიტრიანი აგრეგატი. აშშ-ში სედანი Karma გაყიდვაში მხოლოდ 2009 წლის ბოლოსთვის შევა, მაგრამ Fisker-ის წარმომადგენლები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ ავტომობილის 99 ეგზემპლარი, წინასწარი შეკვეთით, უკვე გაყიდულია. ამერიკულ ბაზარზე Karma-ს ფასი დაახლოებით, 80 ათასი დოლარია. ■

შვეიცარიაში 9 სთრითრეისერი დააკავეს

შვეიცარიელმა პოლიციელებმა აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის წარმომადგენელი 9 სთრითრეისერი საზოგადოებრივ ტრასაზე 200 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისთვის დააკავეს. ციურიხის პოლიცია ამტკიცებს, რომ დაკავებულები მილანიდან პარიზისკენ გერმანული, იტალიური და ბრიტანული წარმოების ძვირად ღირებული როდსტერებით მიემართებოდნენ. შვეიცარიის ჩქაროსნულ ტრასაზე მოძრაობისას, მათ რბოლა გამართეს და მაქსიმალური სიჩქარის დასაშვებ ზღვარს (120 კმ/სთ) მეტისმეტად გადაჭარბეს. საგზაო წესრიგის დამცველებმა დაადგინეს, რომ სატრანსპორტო საშუალებები იტალიასა და დიდ ბრიტანეთში იყო დარეგისტრირებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი, მძღოლებს ნაქირავები ჰქონდათ. დაკავებულების თქმით, მათ უბრალოდ, ძალიან ეჩქარებოდათ და ქალაქ მიულუზის (საფრანგეთი) მიმართულებით სწრაფად იმიტომ მოძრაობდნენ, რომ ღამე იქ გაეთიათ. ამჟამად, შვეიცარიის პოლიცია ინციდენტის სხვა დეტალებს იძიებს. ■

Nanjing Sutomobile ახალ ავტომობილს წარმოადგენს

ჩინური ავტომწარმოებელი კომპანია, — Nanjing Sutomobile, — ავტომობილ MG TF-ის ახალი თაობის შექმნაზე მუშაობს, რომლის ევროპულ ბაზარზე გაყიდვაც 2010 წლისთვის იგეგმება. სიახლე, რომელიც არა მარტო ღია ვერსიად, არამედ კუპეს ძარაზეც გამოვა, უკანაამძრავიან პლატფორმაზე აიგება, რომელიც Nanjing-მა ბრიტანულ საინჟინრო ფირმასთან, — Ricardo, — ერთად შეიმუშავა. MG TF-ისთვის ბენზინის ძრავების ფართო გამაა გათვალისწინებული, რომელთა შორისაა 1,8-ლიტრიანი ტურბომოტორი და ექვსცილინდრიანი, 2,5-ლიტრიანი აგრეგატი. ამ ეტაპზე, ავტომობილის დინამიკური და ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება. ახალი როდსტერი TF 320 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე MG SV-სა და კონცეპტ-ავტოს, — MG X80, — მოტივებზე შეიქმნება, რომლებიც იტალიური კომპანიის, — Qvale, — მიერ გამოშვებული ავტომობილის — Mangusta-ს ბაზაზე ააწყვეს. ახალი MG TF-ის ფასი სავარაუდოდ, როდსტერის, — Mazda MX-5, — ღირებულებასთან მიახლოებული იქნება და შესაძლოა, ბრიტანული ავტომობილისთვის ის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტად იქცეს. ■

1 სისხლის სამართლის დანაშაული
2 ამერიკის შტატი
3 პატარა მოთხრობა
4 საეკლესიო მგალობელთა გუნდი
5 მტაცებელი ფრინველი
6 ლეგენ-დარული ქართველი ფეხბურთელი
7 „მუდმივი ქალაქი“
8 ტოპ-მოდელი ... ჰერციგოვა
9 ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია
10 ხის პატარა ხიდი
11 რეჟისორი ფილმისა „არ დიდრდო“
12 ჩაიკოვსკის ოპერა
13 ესპანური ავიაკომპანია
14 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
15 ფესვის ამოღების ნიშანი
16 სტრ-ფოსათვის მიძღვნილი სიმღერა
17 რქებ-დახრილი ხარი
18 უპრატესობის მიცემა სუსტი მეტოქისთვის
19 ქვეყანა ახლო აღმოსავ-ლეთში
20 მდინარე ევროპაში
21 კოსმონავტის კოსტუმი
22 „ლენდროვ-ერის“ მოდელი
23 მიწის საზომი ერთეული აშშ-ში
24 უზარმაზარი ქანდაკება
25 ფრანგული თეთრი ღვინო
26 გერმანიის ფეხბურთის გუნდი
27 პალესტინის პრეზიდენტი
28 მდამო, არემარე
29 ძველი ქუთაისი
30 კრემიანი ნამცხვარი
31 ცრუ-მოძრაობა ფეხბურთში
32 ქულა ძიუდოში
33 ლუდხანა ინგლისში
34 ჯუჯა ცხენი
35 ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
36 ადამის მსწრაფება და სპოლო მზანი
37 ფულის ერთეული რუსეთში
38 ისრაელის წარმოების ავტომატი
39 სმენადაკარ-გული
40 სხვ. რეპუტაცია



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ჟურნალი; 2. რექტორი; 3. კანოე; 4. სიცივე; 5. ბრაუნი; 6. ნიქსონი; 7. ნოტა; 8. ცდა; 9. სანა; 10. ტბა; 11. პო; 12. კალიფორნია; 13. ტენი; 14. მიხაკი; 15. კაზუარი; 16. გალათასარაი; 17. დანია; 18. ლიონი; 19. აბსურდი; 20. ბია; 21. გოდოლი; 22. ბუი; 23. ლოქო; 24. შტო; 25. ლუდი; 26. დაბა; 27. სიასამური; 28. ლადო; 29. ყამა; 39. სეინერი; 31. სიმენონი; 32. კოტიტა, 33. სირტაკი; 34. რე; 35. სამბა; 36. მელომანია; 37. ეტაპი; 38. მაისი; 39. ოხუნჯი; 40. რეკვიზიტი; 41. ჯეკ; 42. რანდა.

სურათებზე: ჟანა ფრისკე; ტიმოთი.

ხართ თუ არა ოპტიმისტი?

ადამიანისთვის ოპტიმიზმი ფრიად საჭირო თვისებაა. ოპტიმისტი ადამიანები ხომ სიცოცხლის სიყვარულითა და ხალისით გამოირჩევიან და ირგვლივ მყოფთა კეთილგანწყობილებასაც იმსახურებენ. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაჭარბებული ოპტიმიზმი ზოგჯერ შესაძლოა, ხელის შემშლელი ფაქტორიც აღმოჩნდეს.

1. ჯანმრთელობის მდგომარეობა:

ა) გამუდმებით ფიქრობთ და ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე;

ბ) დროდადრო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა გიხდებათ;

გ) თქვენი ვარაუდით, სრულიად ნორმალური ჯანმრთელობა გაქვთ.

2. მადა:

ა) თქვენ ხშირად უჩივით უმადობას;

ბ) უმადობას არ უჩივით, მაგრამ განურჩევლად ყველაფერსაც არ მიირთმევთ — საკმაოდ აზიზი მჭამელი ხართ;

გ) თქვენ გემრიელად ჭამა გიყვართ, მაგრამ კულინარიული მიდრეკილებებისგან კულტს არ ქმნით.

3. გარეგნობა:

ა) საკუთარი გარეგნობა სრულებით არ გაკმაყოფილებთ;

ბ) გული გწყდებათ, რომ ისეთი ლამაზი და მიმზიდველი არ ხართ, როგორიც გსურდათ, რომ ყოფილიყავით;

გ) მიგაჩნიათ, რომ თქვენი ასაკისთვის საკმაოდ კარგად გამოიყურებით.

4. ცხოვრების გემო:

ა) ყველასა და ყველაფრის სკეპტიკურად ყურება ჩვევაში გაქვთ. სხვების ენთუზიაზმი და მიზანსწრაფულობა თქვენში ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს;

ბ) საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი ხართ, მაგრამ ზოგჯერ, უბედობასაც უჩივით;

გ) მზად ხართ, კიდევ ას წელიწადს იცხოვროთ ისე, როგორც ამჟამად ცხოვრობთ.

5. განწყობილება:

ა) ყოველივე ის, რაც თქვენ ირგვლივ ხდება, გაღიზიანებთ;

ბ) არცთუ იშვიათად, ყოფითი პრობლემების გადამკიდეს, „გულს სევდა შემოგაწვებათ“ ხოლმე;

გ) თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა საკმაოდ რთულია.

6. ენერგიულობა:

ა) საოცრად ენერგიული ხართ, ბევრსაც მუშაობთ და ამის გამო, ხშირად გადაღლილობას უჩივით;

ბ) სულიერი სიმტკიცე ნებისმიერი საქმის საკეთებლად ნამდვილად არ გყოფნით;

გ) მუშაობთ რიტმულად, ყოველგვარი ჩავარდნების გარეშე და სიახლეები არ გაშინებთ.

7. როგორ იღებთ გადაწყვეტილებას?

ა) ყოველთვის ცდილობთ, რომ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას თავი აარიდოთ;

ბ) ზოგჯერ, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი გეპარებათ;

გ) არ გიყვართ საქმის გაჯანჯლება — ყველაფერს კარგად აწონ-დაწონით და გადაწყვეტილებასაც იღებთ.

დაიწერეთ ქულები და დაავჯამეთ შედეგები:
პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 2 ქულა, ყოველ „ბ“ ვარიანტში 1 ქულა, ხოლო ყოველ „გ“ ვარიანტში — 0.

ტესტის შედეგები

12-14 ქულა: ოპტიმიზმის დოზა არ გყოფნით საიმისოდ, რომ თქვენ გარშემო არსებულ სამყაროს მხოლოდ მუქ ფერებში არ აღიქვამდეთ. შესაძლოა, სწორედ ოპტიმიზმის ნაკლებობა გახლავთ იმის მიზეზი, რომ ოჯახის წევრებთან თუ ახლობელ-მეგობრებთან ურთიერთობა საკმაოდ გიჭირთ. გაითვალისწინეთ, პესიმისტური განწყობილება თქვენს ჯანმრთელობაზეც უარყოფითად აისახება.

6-11 ქულა: არც ბუზღუნა ხართ და არც იპოქონდრიკი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად საკუთარი თავის რწმენა და გამბედაობა არ გყოფნთ. ჩვენი რჩევაა: ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში და ირგვლივ მყოფებთან უფრო ხშირად იქონიეთ ურთიერთობა.

0-5 ქულა: საოცრად სიცოცხლისმოყვარული ადამიანი ბრძანდებით. ყოველდღიური ყოფითი თუ სამსახურებრივი უსიამოვნებები თქვენს სულიერ მხნეობას ვერაფერს აკლებს. სწორედ ოპტიმიზმი გეხმარებათ ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაში. ირგვლივ მყოფების სიმპათიას იმსახურებთ, მათ თქვენთან ურთიერთობა სიამოვნებთ. მაგრამ ერთი რამ თქვენც უნდა გაითვალისწინოთ: ზოგჯერ, გადაჭარბებული ოპტიმიზმი ადამიანს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში უშლის ხელს. ამიტომ, თუ მოვლენების ან ადამიანების შეფასებისას სიფხიზლეს გამოიჩენთ, ეს თქვენთვისვე იქნება ხელსაყრელი.

ჰოროსკოპი

(22 - 28 მაისი)

ვერძი:
საოჯახო პრობლემების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. სასიყვარულო ურთიერთობა დადებითად აისახება თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე. უქმე დღეები მეგობრებთან გაატარეთ.

ხუცი:
ჯობს, საქმეებს მიხედოთ. ნუ დაკარგავთ დროს, მაქსიმალურად მიზანდასახულად იმოქმედეთ და წარმატება გარანტირებული გექნებათ. შესაძლოა, კვირის ბოლოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ.

ტყუპები:
გაგიჩნდებათ ინტერესი ყოველივე იდუმალის მიმართ. ეს კარგი პერიოდია ლოცვისათვის და წმინდა ადგილების მოსანახულებლად. მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და ექსტრავაგანტურ ადამიანებთან ურთიერთობას.

კიბრეხიები:
მიზნის მისაღწევად დამოუკიდებლად იმოქმედეთ. დედმამიშვილების მიერ დაშვებული შეცდომების გამო შესაძლოა, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. ახალი რომანტიკული ურთიერთობა გონებას აგირევთ, რაც თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება.

ლომი:
ეცადეთ, ახალი პარტნიორები იპოვოთ და საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ. გავლენიან პირებთან ურთიერთობის დამყარება გაგიადვილდებათ. კარგი პერიოდია სამოგზაუროდ და სწავლის გასაგრძელებლად.

ქალწული:
კარგი პერიოდია პოლიტიკური, ლიტერატურული და რელიგიური საქმიანობისათვის. მოუფრთხილდით ჯიბეს, რადგან დიდია ქურდობის ალბათობა. უქმე დღეები მყუდრო გარემოში გაატარეთ.

სასწორი:
ეცადეთ, სასიყვარულო პარტნიორებთან გულახდილი იყოთ, რათა ეჭვიანობის ნიადაგზე დიდი ხნის კავშირი არ დაანგრიოთ. საქმეებში ნუ გარისკავთ, რადგან ეს თქვენს მომავალზე ცუდად აისახება.

ღორღი:
მატერიალური საკითხების მოგვარებისას შეგიძლიათ, ნათესავებსა და მეგობრებს დაეყრდნოთ. კარგი იქნება, თუ უცხოეთში გამგზავრებას დროებით გადადებთ. გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალურად მოიკრიბეთ ყურადღება.

ეუფლიდოსანი:
ხშირად მოიწყვეთ დასვენების საათები, ისეირნეთ ბუნებაში. ეს კარგი დროა იურიდიული, ჟურნალისტური და პედაგოგიური საქმიანობისთვის. ახალი ნივთების შეძენა ჯობს, მომავლისთვის გადადოთ.

თხიან ძეძი:
არახელსაყრელი დროა ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციებისათვის. ერიდეთ თვალთმაქც ადამიანებს. სასიყვარულო ურთიერთობამ შესაძლოა, გონება აგირიოთ და დიდ პერსპექტივებზე გათქმევინოთ უარი.

ბეჩეული:
მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, რამდენიმე საქმე ერთმანეთს შეუთავსეთ და ეცადეთ, ყველაფერი სწრაფად მოაგვაროთ. ამ კვირაში კოლეგების პატივისცემას დაიმსახურებთ და ჯილდოსაც მიიღებთ.

თევზები:
სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ბუნებაში ისეირნეთ. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ და საქმეში წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ. ამ კვირაში ცოტაოდენი რისკი გამართლებულია.

იაპონური სენსაციია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	7	3	5	8	6	1	9	2
8	6	9	1	2	4	7	5	3
2	5	1	9	3	7	4	6	8
6	1	8	2	4	5	9	3	7
3	4	2	7	6	9	8	1	5
7	9	5	3	1	8	6	2	4
9	8	6	4	5	2	3	7	1
5	3	4	6	7	1	2	8	9
1	2	7	8	9	3	5	4	6

1	7	5	6	9	3	2	4	8
2	9	3	8	4	7	5	6	1
8	4	6	1	5	2	3	9	7
6	8	2	4	7	1	9	3	5
5	3	7	9	2	8	6	1	4
4	1	9	3	6	5	7	8	2
3	2	1	7	8	6	4	5	9
9	5	8	2	3	4	1	7	6
7	6	4	5	1	9	8	2	3

6	2	8	4	1	9	7	5	3
1	9	7	5	3	6	2	8	4
4	5	3	8	7	2	9	6	1
3	7	2	1	8	5	6	4	9
9	4	5	2	6	7	1	3	8
8	6	1	3	9	4	5	7	2
2	3	6	9	5	8	4	1	7
7	8	4	6	2	1	3	9	5
5	1	9	7	4	3	8	2	6

* მარტივი

	9	8	2			5		
	4		8				3	
		6		7	4	2		1
1	6			9				2
3			5		8			4
8			7				1	9
6		5	3	2		4		
	8				5		7	
		3			9	1	2	

** საშუალო

6		5		3	2	4		
	8				7	1		5
		7	6			2		
		2		9			4	
8	6		3		4		7	1
	3			5		9		
		4			9	3		
1		6	2				5	
		8	4	6		7		9

*** რთული

5					1		4	
2			4					9
				5			6	
	2			8	4			3
		6		1		9		
4				2			8	
	1			9				
7					3			2
	3		2					7

ფოტოკუთხეები

საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ღიმალელე — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში